avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სუზანა დობორჯგინიძე

ჩაის წარმოების განვითარების მიმართულებები საქართველოში

ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში **(Ph.D. in Economics)**
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: აგრარული ეკონომიკა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, თამაზ კუნჭულია

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი
2008

შინაარსი

შესავალი - 3

თავი 1. ჩაის წარმოება საქართველოს ეროვნული მეურნეობის სისტემაში

1.1. ჩაის წარმოების მსოფლიო ტენდენციები - 8

1.2. საქართველოს ადგილი მსოფლიო ჩაის წარმოებაში - - - - - - - - - - - - - - 23

1.3. მეჩაიეობის განვითარების ეტაპები საქართველოში - - - - - - - - - - - - - - 35

1.4. საქართველოში ჩაის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა: მიღწეული დონე და ნაკლოვანებები - 48

1.5. ჩაის წარმოების საინვესტიციო გარემო - 62

თავი 2. ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი საქართველოში

2.1. ჩაის წარმოების ეფექტიანობის შეფასების თეორიულ–მეთოდოლოგიური საკითხები და პრაქტიკა - 71

2.2. ჩაის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები - - - - - - - - - - - - 81

2.3. საქართველოში ჩაის წარმოების ეფექტიანობის დინამიკა და მიღწეული დონე - 91

2.4. ჩაის წარმოების მდგომარეობის ანალიზი ფერმერულ მეურნეობებში - - 100

თავი 3. ჩაის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები

3.1 ჩაის წარმოების მართვის სრულყოფის ღონისძიებები- - - - - - - - - - - - - - 114

3.2. ჩაის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის გზები- - - - - - - - - - - - - - - 126

3.3. ჩაის წარმოების სანედლეულო ბაზის განვითარების მიმართულებები - - - 134

3.4. ჩაის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა - - - - - - - - - - 150

3.5. ჩაის წარმოების რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებები- - - - - - - - - 167

დასკვნები და წინადადებები- 181

ლიტერატურა- 193

შესავალი

თემის აქტუალურობა. XX საუკუნეში მეჩაიეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სისტემაში. 80-იან წლებში იკრიფებოდა 500 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს მეჩაიეობის ქვეყნებს შორის მე-4-5 ადგილს იკავებდა. ფუნქციონირებდა 150 პირველადი გადამუშავების, 22 დამფასოებელი, აგურა და ფილა ჩაის მწარმოებელი ფაბრიკა. დარგს გააჩნდა მძლავრი საწარმოო ინფრასტრუქტურა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მზა პროდუქციის უდიდესი ნაწილი (100-120 ათასი ტონა) ექსპორტზე (ძირითადად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში) გადიოდა. მეჩაიეობაზე მოდიოდა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 18%-ზე მეტი.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობაში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყნის ბიუჯეტისა და სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ამ დარგიდან ფულადი შემოსავლების ძირითადი წყაროს შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ 10-15%-ითაა გამოყენებული. ჩაის პლანტაციების ფართობი 64,5 ათასი ჰა-დან შემცირებულია 47,3 ათას ჰა-მდე (აფხაზეთის ჩათვლით, მის გარეშე – 37,3 ათას ჰა-მდე), ჩაის ფოთლის წარმოება კი – 1985 წლის 581 ათასი ტონიდან 2006 წლისათვის – 7 ათას ტონამდე.

მეჩაიეობაში განვითარებული სისტემური კრიზისი, უწინარესად განპირობებულია ეროვნულ ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევი ისეთი საერთო მიზეზებით, როგორიცაა ბაზრების დაკარგვა, სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევა, ახალ გარემოში სამეურნეო-საწარმოო და ფინანსური საქმიანობის უცოდინარობა, ტექნოლოგიური დანადგარების ფიზიკური მოძველება, მათი განახლებისათვის ფინანსური რესურსების უქონლობა, ლიბერალურ სავაჭრო გარემოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოუხერხებლობა და მრავალი სხვა. ამასთან, დარგის კრიზისი განპირობებულია მხოლოდ მეჩაიეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზებით, რაც გარდამავალ პერიოდში განვითარდა.

დღეისათვის საქართველოში ჩაის წარმოების დარგში საბაზრო პრინციპების დამკვიდრების მთავარი ხელისშემშლელი მიზეზებია: განვითარების სტრატეგიის უქონლობა, მოქმედი წარმოების დაბალი ეფექტიანობა, მენეჯმენტის სისტემის არასრულყოფილება, ბაზრის კონიუქტურის არასაკმარისი ცოდნა და გასაღების

ბაზრის პრობლემა, მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა, ჩამორჩენილი ტექნოლოგია, საბრუნავი საშუალებების შევსების საკუთარი წყაროს შეზღუდვის პირობებში დარგისათვის მწირი საკრედიტო ბაზრის არსებობა, ენერგორესურსების სიძვირე და სხვა.

მეჩაიეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის აუცილებელია: ცივილიზებული საბაზრო ინფრასტრუქტურების ფორმირების დაჩქარება; აგრარული საბაზრო ურთიერთობათა რეგულირების სამართლებლივი ბაზის შექმნა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკური დახმარების მწყობრი სისტემის შემუშავება და რეალიზაცია.

ჩაის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია დარგისადმი გაწეული სახელმწიფო დახმარებებისა და კერძო ინვესტიციების მიმართულების შეცვლა, მცირე (ოჯახური) და საშუალო, მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი წარმოებების მხარდაჭერა, რაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ჯერ ადგილობრივ, ხოლო შემდეგ მსოფლიო ბაზარზე შედწევის საშუალებას მოგვცემს. საბაზრო ეკონომიკის მთავარ მოტივაციას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ამ პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრება წარმოადგენს. საერთაშორისო ბაზრებზე ჩაის მიწოდების სიჭარბის ფონზე, მსოფლიოში ჩაის, განსაკუთრებით კი დაბალი ხარისხის ჩაის ფასები მცირდება, საქართველო კი, ძირითადად, სწორედ ამ ტიპის ჩაის აწარმოებს. ამდენად, მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების შემთხვევაში, ეფექტური და გონივრული მარკეტინგის საშუალებით საქართველოს ამ პროდუქციის ექსპორტის ზრდის გარკვეული პოტენციალი აქვს.

აღსანიშნავია, რომ ჩაის წარმოების დარგში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მეჩაიეობის რეგიონში ცხოვრობს 500 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთა ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო მეჩაიეობა იყო და იგი ახლო მომავალში ასეთად უნდა იქცეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თაოსნობით, მეჩაიეობის რეგიონების, მონათესავე სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტთა უშუალო მონაწილეობით, შემუშავებულ იქნა საქართველოში მეჩაიეობის რეაბილიტაციის სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომელშიც ასახულია ჩაის წარმოების

განვითარების ძირითადი მიმართულებები. პროგრამის სრული განხორციელების შედეგად დარგში დასაქმდება 100 ათასზე მეტი ადამიანი, მკვეთრად გაუმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, შენარჩუნებული იქნება ეკოლოგიური წონასწორობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე საქართველოს ჩაის წარმოებაში შექმნილი პრობლემების ანალიზი და დარგის ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანები:

– მეჩაიეობის ადგილისა და როლის განსაზღვრა ეროვნული მეურნეობის სისტემაში და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენა.

– ჩაის წარმოების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და მისი საინვესტიციო გარემოს გამოკვლევა.

– ჩაის წარმოების აღდგენა-რეაბილიტაციის ძირითადი გზების ძიება და რეაბილიტაციის შედეგად მეჩაიეობის დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა.

თემის შესწავლის მდგომარეობა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობის განვითარების საკითხებს მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. ჩაის წარმოების რეაბილიტაციის აუცილებლობაზე და მის დიდ შესაძლებლობებზე მეცნიერულად და ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებულ წინადადებებს უამრავი მეცნიერ-მკვლევარი გვთავაზობს (ვ. ცანავა, თ. კუნჭულია, რ. კოპალიანი, ზ. მახარობლიძე, ლ. ლაზიშვილი, ზ. ძნელაძე, ზ. გაბრიჩიძე, ნ. ქარქაშაძე, ვ. ჯაყელი, ი. ორაგველიძე, მ. დავითაშვილი, გ. ქარჩავა და სხვა). აღნიშნულ ავტორთა გამოკვლევებში მაღალ მეცნიერულ დონეზეა დასაბუთებული ჩაის წარმოების მიზანშეწონილობის ეკონომიკური ასპექტები, მისი უალტერნატივობა იმ ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგურ პირობებში, სადაც ეს უნიკალური კულტურაა გაშენებული.

თანამედროვე პირობებში, მეჩაიეობის და ჩაის პროდუქტების წარმოების განვითარების განმსაზღვრელი ტენდენციები ეყრდნობა, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი ამოცანების გადაჭრას: საქართველოს მოსახლეობის შიგა მოთხოვნილების უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციაზე; კონკურენტუნარიანი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობათა ღონისძიებების დამუშავება; საერთაშორისო ბაზარზე

მაღალხარისხოვანი საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის გაზრდა; ტრადიციული საექსპორტო ბაზრების დაბრუნებისათვის აქტიური სამარკეტინგო პოლიტიკის გატარება; საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების გაუმჯობესება. სწორედ ამ საკითხების აქტუალობამ განაპირობა დისერტაციის თემის შერჩევა.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია მეჩაიეობაში სექტორალური და სისტემური კრიზისის გამომწვევი საერთო და სპეციფიკური მიზეზების დადგენა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა, ჩაის წარმოების ეფექტიანობის ეკონომიკური ანალიზი და მისი ამაღლების გზები საქართველოში, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს ჩაის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მეჩაიეობის განვითარების საკითხებზე თანამედროვე ეკონომიკური შეხედულებანი, თეორიული ნაშრომები, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების რეკომენდაციები, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ბრძანებულებები, დადგენილებები და განკარგულებები, მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული კონცეფციები და წინადადებები. პრობლემის ცალკეული ასპექტების გამოკვლევისას გამოყენება ჰპოვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზისა და შეფასების ისეთმა მეთოდებმა, როგორიცაა: მონოგრაფიული, სტატისტიკური დაჯგუფების, საწარმოო-ანალიტიკური, საანგარიშო-კონსტრუქციული და სხვა. თემის დამუშავებისას ძირითადად გამოყენებულია სტატისტიკური კრებულები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები, სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა „ჩაის" მონაცემები, ინტერნეტით მოპოვებული მასალები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ეკონომიკურ გამოკვლევას, რომელშიც ასახულია გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ჩაის წარმოების ეკონომიკური პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები. თეორიული განზოგადებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

– დადგენილია მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში მეჩაიეობის განვითარების ტენდენციები და თავისებურებები;

– განსაზღვრულია ჩაის წარმოების ადგილი და როლი საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში;

– გაანალიზებულია საქართველოს ჩაის წარმოების მიღწეული დონე, ნაკლოვანებანი და გადაუწყვეტელი საკითხები;

– გამოვლენილია მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუარესების ძირითადი მიზეზები და შემოთავაზებულია მისი გაუმჯობესების ღონისძიებები;

– ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით დადგენილია ჩაის კულტურის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები;

– დასაბუთებულია ის ძირითადი წინადადებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს მეჩაიეობის შემდგომ განვითარებას და განსაზღვრულია ქართული ჩაის წარმოების რეაბილიტაციისათვის აუცილებელი ხელშემწყობი პირობები;

– შეფასებულია ჩაის წარმოების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი, რადგან მისი უშუალო ჩარევითა და ხელშეწყობით ხდება კერძო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მეჩაიეობის პრობლემების გადაწყვეტა, პროდუქციის ადგილზე მოხმარებისა და ექსპორტის ხელშეწყობა (წარმოების სუბსიდირებით, საგადასახადო შეღავათებით, ბაზრის დაცვის მექანიზმების გამოყენებით და სხვა).

გამოკვლევის შედეგებს აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქართველოში ჩაის წარმოებით დაინტერესებული კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ამ მიმართულებით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციის პროცესში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე დაბეჭდილ 192 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

დისერტაციის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია რეფერირებულ გამოცემებში საჟურნალო პუბლიკაციების სახით.

თავი 1. ჩაის წარმოება საქართველოს ეროვნული მეურნეობის სისტემაში

1.1. ჩაის წარმოების მსოფლიო ტენდენციები

საერთაშორისო ინფორმაციული წყაროების მონაცემებით, მსოფლიოში ჩაის წარმოება და მოხმარება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ჩაი ამჟამად მსოფლიოს 43 ქვეყანაში მოჰყავთ, მათ შორისაა: აფრიკის 19, აზიის 16, სამხრეთ ამერიკის 5, ევროპის 2, ოკეანეთის 1 ქვეყანა. აზიის ქვეყნებზე მოდის პლანტაციების 85 და წარმოებული პროდუქციის 80 პროცენტი.

ჩაი დიდი რაოდენობით, 900 ათას ტონაზე მეტი, მოიხმარება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. აქედან დაახლოებით 50 პროცენტი მოდის ევროპის ქვეყნებზე, 28 პროცენტი აზიის ქვეყნებზე, 18 პროცენტი ამერიკის კონტინენტზე, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებზე.

ჩაის მწარმოებელი წამყვანი ქვეყნებია: ჩინეთი, ინდოეთი, შრი–ლანკა, კენია, თურქეთი, იაპონია, ინდონეზია და სხვა.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

<u>ჩ ი ნ ე თ ი.</u> აქაური ჩაის პროდუქცია მაღალი ხარისხისაა და, ბუნებრივია, კარგად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. იგი ჩინელების ყოველდღიური კვების პროდუქტია. გაშენებულია შედარებით მწირ ნიადაგებზე, ჭადრაკული წესით, რომლის მოვლა–მოყვანის სამუშაოები, ძირითადად, ხელით სრულდება. მეჩაიეობის 18 რეგიონიში განლაგებული პირველადი გადამუშავების ფაბრიკები ძირითადად უშვებენ მწვანე, შავ, წითელ და თეთრ ბაიხაოს ჩაის. შავი ჩაი ძირითადად საექსპორტოდ იგზავნება. თუ 1995 წელს ჩინეთში იყო 300 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია და აწარმოებოდა 105 ათას ტონა მზა ჩაის, 2000 წლისათვის აქ ჩაის ეკავა 1,250 ათასი ჰექტარი, ხოლო წარმოებამ 650 ათას ტონას გადააჭარბა. აქედან, 220 ათასი ტონა უცხოეთში გაიყიდა.

<u>ი ა პ ო ნ ი ა.</u> ტექნიკური კულტურებიდან განვითარებულია მეჩაიეობა, რომელსაც აქ საუკუნოვანი ისტორია აქვს, წარმოდგენილია პატარ–პატარა პლანტაციების სახით და ამ მიზნით უმთავრესად მთის ფერდობებს იყენებენ. გაშენების წესი, ძირითადად, ჭადრაკულია, თუმცა გვხვდება შპალერული პლანტაციებიც (განსაკუთრებით ახალგაშენებული). იაპონური ჩაი მაღალი ხარისხისაა, მოსავლის მოსაყვანად უნარიანად იყენებენ ტექნიკას, განსაკუთრებით გავრცელებულია ხელით საკრეფი აპარატები. მინიმუმამდეა შემცირებული

ნედლეულის დანაკარგები. ჩაის ფოთლის დამუშავების მაქსიმალური დროა მოკრეფიდან ნახევარი საათი. ამ მიზნით იყენებენ მოძრავ გადამამუშავებელ დანადგარებს, რომლებიც პლანტაციასთან ახლოს არის დადგმული და საჭიროების მიხედვით გადაადგილდება. ჩაით დაკავებული ფართობები 60 ათას ჰექტარს შეადგენს, ხოლო წარმოება 120 ათასამდე ტონა ფოთოლს აღწევს, რომლიდანაც მზადდება მხოლოდ მწვანე ჩაი, რაც საკმარისია ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (ერთ სულზე მოდის 500 გრამი).

მართალია, ეს ფიზიოლოგიურ ნორმაზე 3–ჯერ ნაკლებია, მაგრამ იაპონელები დიდი რაოდენობით ხმარობენ ყავას, კაკაოს, რომლებიც უცხოეთიდან შემოაქვთ.

<u>ი ნ დ ო ე თ ი</u> ჩაის პროდუქციის ყველაზე დიდი დამამზადებელია მსოფლიოში. მის წილად მოდის მსოფლიო ჩაის წარმოების 1/3. ჩაის მსოფლიო ბაზარი და მომხმარებელთა უზრუნველყოფა ძირითადად ინდოეთსა და შრი–ლანკაზეა დამოკიდებული. დღეისათვის ქვეყანა ამზადებს დაახლოებით 750 ათას ტონა ხმელ ჩაის, პლანტაციები კი 440 ათას ჰექტარზეა გაშენებული. ნაწარმის 3/4 გააქვთ საექსპორტოდ. უმთავრესი მწარმოებელი რაიონებია ასამი, ბენგალია, დუარსი, ტერაი და მდინარე ბრახმაპუტრის ზედა აუზი, სადაც აწარმოებენ ჩაის 80 პროცენტზე მეტს. საუკეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი მოდის ჰიმალაის სამხრეთ ქვედა კალთებზე (ნილგირი, ტრავანკორი). ჩაის ბუჩქებს, მცხუნვარე მზის სხივებისაგან დაცვის მიზნით, აშენებენ ხეხილის ბაღების რიგთაშორისებში, ინდოეთში პლანტაციებს ბაღებს უწოდებენ.

<u>შ რ ი – ლ ა ნ კ ა</u> (ცეილონი) ჩაის წარმოების ინტენსიური რეგიონია, რომელსაც მესამე ადგილი უკავია ჩაის წარმოების მხრივ. ჩაის კულტურა წარმოდგენილია, როგორც პატარ–პატარა, ისე დიდი პლანტაციების სახით. არის მსხვილი ჩაის მეურნეობები თავიანთი გადამამუშავებელი საწარმოებით, აგრეთვე, მეჩაიეობის აგროსამრეწველო კომპლექსებით, რომლებიც აწარმოებენ ნედლეულს, ამუშავებენ და აფასოებენ კიდეც. შრი–ლანკის ჩაი საექსპორტოდ დაუფასოებელიც იგზავნება და მას ადგილზე აფასოებენ (მაგალითად, ინგლისში).

ჩაის კულტურის გავრცელების არეალია 600-1800 მეტრი ზღვის დონიდან. ყველა აგროტექნიკური სამუშაო ხელით სრულდება. პლანტაციების მოსავლიანობა 5–6 ტონას არ აღემატება ჰექტარზე. დიდი ყურადღება ექცევა ხარისხიანი ფოთლის კრეფას და მის სწრაფ გადამუშავებას. ამ მიზნით ჩაის გავრცელების რაიონებში ბევრია პირველადი გადამუშავების ჩაის მიკროფაბრიკები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამეცნიერო კვლევით მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების 2/3 ჩაიზე მოდის. მას წარმოებული პროდუქციის 90-95 პროცენტი საზღვარგარეთ გააქვს. 1995 წელს ჩაის პროდუქციის რეალიზაციით ქვეყანაში ერთ მილიარდ დოლარზე მეტი იქნა შემოტანილი. ფართობი 2000 წლისათვის 220 ათას ჰექტარს, ხოლო წარმოება 272 ათას ტონას შეადგენდა.

კ ე ნ ი ა დღესდღეობით ითვლება ჩაის მესამე უმსხვილეს მწარმოებლად შრი-ლანკისა და ინდოეთის შემდეგ. კენიის ჩაის დარგი არნახულ კონკურენციას შეეჯახა საერთაშორისო ჩაის ბაზარზე, რომელიც ჩაის ჭარბი მიწოდებითაა გამოწვეული. გართულებული სიტუაცია გამოწვეულია შრი–ლანკისა და ინდოეთის მხრიდან საბაზრო აქტიურობის ამაღლებით. გარდა ამისა, კენიური ჩაის მიწოდების მოცულობა შემცირდა მალავიაში, რუანდაში, ვიეტნამში და ნეპალში. ამ ოთხმა ქვეყანამ მოდერნიზება გაუკეთეს ჩაის სექტორს ეკონომიკაში და დაიწყეს საკუთარი ჩაის უფრო მეტად წარმოება, შიგა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის მიწოდების მოცულობა აუქციონზე გაიზარდა 158 მლნ კგ–მდე, უფრო ზუსტად 46%-ით, საშუალო ფასი კენიის ჩაიზე 17%-ით დაეცა, 1 კგ-ზე 2,09 დოლარიდან - 1,72 დოლარამდე. კენიის ჩაის საბჭო (The Tea Bord of Kenya) აქტიურ ნაბიჯებს დგამს ქვეყანაში ჩაის პოპულარიზაციისათვის. შემდგომ ათწლეულში კენიაში ჩაის მიწოდება გადააჭარბებს მოთხოვნას. ამიტომ, როგორც საბჭოში თვლიან, გადასახადების შემცირება – სტრატეგიულად სწორი ნაბიჯია.

ი ნ დ ო ნ ე ზ ი ა. ჩაის კულტურის განვითარება 1825 წლიდან დაიწყეს ძირითადად იავაზე და სუმატრაზე. პირველ ხანებში იავას ცხელი ტროპიკული ჰავა ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდა ასამიდან ჩატანილი ნერგებისათვის. შემდგომში პლანტაციები გაშენდა კუნძულის მაღალმთიან პლატოზე, რომლის პირობები ხელსაყრელი იყო. ამჟამად ჩაის პლანტაციები გაშენებულია, აგრეთვე, კუნძულ სულავეზზე. გასული საუკუნის 50–იან წლებში ინდონეზიას მსოფლიოში ჩაის წარმოებით მესამე ადგილი ეკავა. აქ ეს კულტურა გაშენებულია დიდი პლანტაციების სახით. გვხვდება ,აგრეთვე, გლეხური მეურნეობებიც. მათი მთლიანი ფართობი 113 ათას ჰექტარს აღემატება. აქვთ ჩაის პირველადი გადამუშავების თანამედროვე ტიპის ფაბრიკები. წელიწადში აწარმოებენ 150 ათას ტონა მზა პროდუქციას.

ინდონეზია ცდილობს თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის გამოიყენოს ყველა რესურსი, გაზარდოს ჩაის წარმოების მოცულობა, ამიტომ

პროდუქციის დიდი ნაწილი (77–80%) საზღვარგარეთ გააქვს. ამითაა გამოწვეული მოხმარებასთან შედარებით ექსპორტის უფრო მაღალი ხვედრითი წილი.

<u>პ ა კ ი ს ტ ა ნ ი</u> ჩაის წარმოების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რაიონია, სადაც ჩაის მსხვილი პლანტაციებია. ჩაის ფოთლის გადამუშავება უახლესი ტექნიკით წარმოებს. აგებულია ჩაის ფაბრიკები და ნედლეული ქარხნული წესით მუშავდება. 1970 წელს 40 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია იყო, სადაც გამოშვებული იქნა 25 ათასი ტონა მზა პროდუქცია. 2000 წლისათვის ჩაის პლანტაციების ფართობმა 60 ათას ჰექტარს მიაღწია. მსოფლიო ბაზარზე პაკისტანის ჩაის ხვედრითი წილი 15,6 პროცენტია.

<u>მ ი ა ნ მ ა რ ი.</u> ჩაის კულტურა წარმოდგენილია ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, ძირითადად მთის ფერდობებზე, გავრცელებულია იაპონური ჯიშის მცენარე, რომელიც ხასიათდება სტაბილური მოსავლიანობით. მზა ჩაის მცირე ნაწილი (15–20%–მდე) გააქვთ საექსპორტოდ. დანარჩენი მოიხმარება ქვეყნის შიგნით. აქ ჩაი ზღვისპირეთის სუბტროპიკულ ზონაშია გავრცელებული. იგი ვიწრო ზოლად გასდევს ზღვის სანაპიროს.

<u>თ უ რ ქ ე თ ი.</u> თურქული ჩაი ხასიათდება კარგი საგემოვნო თვისებებით. 2000 წლისათვის ჩაის 80 ათასი ჰექტარი ეკავა. იგი აწარმოებს 150 ათას ტონა ხმელ ჩაის, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით წელიწადში 500 გრამს შეადგენს. თურქეთს ყოველწლიურად საზღვარგარეთდან 15–20 ათასი ტონა ჩაი შეაქვს. შემუშავებულია მეჩაიეობის განვითარების სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომელიც მისცემს ქვეყანას ამ ძვირფას პროდუქციაზე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას.

ჩაის წარმოება იზრდება აფრიკის ქვეყნებში, რაც იაფი მუშახელითა და შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკით აიხსნება. ამ პროცესს ხელი შეუწყვეს ინგლისელმა კოლონიზატორებმა, რომლებმაც აზიაში თავიანთი გავლენა დაკარგეს.

ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობას ქვეყნების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ მონაცემები საშუალოდ 500–დან 3000 კილოგრამამდე მერყეობს. საბჭოთა საქართველოში კი ჰექტარზე საშუალოდ 10 000 კგ–ს კრეფდნენ, რაც ძირითადად მკაცრი და უხეში კრეფით იყო გამოწვეული, რის გამოც მზა პროდუქცია დაბალი ხარისხითა და არაკონკურენტუნარიანი თვისებებით ხასიათდებოდა.

ჩაის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე გრამებში შემდეგ სურათს გვაძლევს: ინგლისი – 4,602, ირლანდი – 3.305, ავსტრალია – 2,500, ეგვიპტე – 1,447, იაპონია –

1,100, ნიდერლანდები – 1,013, კანადა – 1,200, თურქეთი – 700, ინდოეთი – 650, აშშ – 400, პოლონეთი –350, რუსეთი – 400, საქართველო – 500 და ა. შ. (ცხრილი 1.1.1)

ჩაის სულადობრივი მოხმარება წლებისა და ქვეყნების მიხედვით (გრამობით)

ცხრილი 1.1.1

№	წლები / ქვეყნების დასახელება	1940	1950	1960	1970	1980	1990	2005
1	ინგლისი	4560	4265	4630	4220	4280	4564	4602
2	ავსტრალია	3180	2948	2950	2950	2805	2664	2500
3	იაპონია	–	–	–	–	967	1096	1100
4	ირლანდია	3600	3946	3400	3090	3267	3200	3305
5	კანადა	1774	1471	1225	987	1076	1115	1200
6	ახალი ზელანდია	3242	3220	3400	3090	3260	2967	2456
7	ნიდერლანდები	1300	816	820	828	916	994	1013
8	თურქეთი	267	346	430	440	533	610	700
9	ინდოეთი	168	227	196	280	391	550	650
10	ეგვიპტე	457	907	905	1180	1276	1345	1447
11	აშშ	328	317	430	333	356	387	400
12	მაროკო	1333	1633	1540	1300	1250	1100	1010
13	პოლონეთი	218	251	321	267	310	327	350
14	რუსეთი	240	316	465	510	550	526	400
15	საქართველო	265	376	496	540	510	520	500

[1]გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემები

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ჩაის მზა პროდუქციის ყველაზე დიდი მომხმარებელია ინგლისი, ირლანდია, ავსტრალია, იაპონია, ეგვიპტე, კანადა, ახალი ზელანდია, მაროკო და ა.შ. საქართველოში კი ჩაის მოხმარება ერთ სულზე 500 გრამს არ აღემატება. მოხმარების მაჩვენებლები იმ ქვეყანაში უფრო მაღალია, სადაც პროდუქციას არ აწარმოებენ. გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, ესპანელები და სხვა ჩაიზე უფრო მეტად ყავას ეტანებიან. ასეთივე მდგომარეობაა ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც, ეს აიხსნება ჩაის ნაკლებობითა და სიძვირით,

აგრეთვე, ყავისა და ჩაის შემცველების–მატე ჩაისა და გუარანის ფართოდ გავრცელებით.

სხვადასხვა ხალხი ჩაის სხვადასხვა წესით მოიხმარს. ჩინეთის ზოგიერთ პროვინციაში უყვართ დამწნილებული ანუ დასილოსებული ჩაი. მწვანე ფოთოლს გაორთქლავენ და ტენიან (სველ) მდგომარეობაში ათავსებენ სპეციალურ ორმოებში ან ბამბუკის ქილებში. მათში ფოთოლი 10 დღიდან 6 თვემდე, ზოგჯერ კი მეტ ხანსაც ინახება და როცა ამოიღებენ, კამკამა მწვანე ფერისაა. როგორც კი ჰაერი მოხვდება–მუქ ფერს ღებულობს და ობდება. ჭამის წინ მას მარილწყალში რეცხავენ და ხმარობენ, როგორც სალათას.

დამწნილებული ჩაი ბირმაში და ტაილანდში აღებ–მიცემობის საგანიცაა. ქ. კიაუკმაში (მიანმარი) ასეთი ჩაის ერთ–ერთი უდიდესი ბაზარიცაა. აზიის ზოგიერთ ქვეყნებში მარინირებულ ჩაის ექსტრაქტსაც სვამენ, როგორც ალკოჰოლურ სასმელს. უფრო მეტიც, შანები (მიანმარი) ჭამენ ჩაის მწვანე ფოთლებს და ამით მთლიანად ითვისებენ ფოთოლში შემავალ ყველა სასარგებლო ნივთიერებას.

ტიბეტის, ვიეტნამისა და ქაშმირის მკვიდრნი ჩაიში ხშირად ურევენ ქერის ფქვილს. ამის გარდა, ამ ქვეყნებში შავი აგურა ჩაისაგან ამზადებენ სუპის მაგვარ კერძს.

ჩაი ბევრგან კვების ძირითადი პროდუქტია. მაგალითად, ჩინეთში ერთ–ერთი სახეობის ჩაისაგან მზადდება კერძი. მწვანე აგურა ჩაის ფართო მომხმარებელია ბურიატ–მონღოლეთის, ყალმუხეთის, ალტაის მხარისა და რუსეთის სხვა ოლქების მოსახლეობა. მას ხარშავენ რძეში, ურევენ ქონს, მარილს, პილპილს, ცხვრის რძეს, სანელებლებს. ამგვარად მომზადებული კერძი წარმოადგენს მწვანე აგურა ჩაის მოყვარულთა ერთ–ერთ მთავარ კვების პროდუქტს.

ყაზახეთის, ციმბირის, ბაშკირეთის, თათრეთის და იაკუტიის რესპუბლიკებში, ტუვის, ჩიტისა და ასტრახანის ოლქებში შავი ფილა ჩაიზე დიდი მოთხოვნილებაა, მასში შენარჩუნებულია ბაიხის ჩაის საგემოვნო თვისებები და არომატი. აზიის, აფრიკისა და სხვა კონტინენტების ხალხი სხვადასხვანაირად ამზადებენ (აყენებენ) ჩაის, მაგრამ ყველა ამ წესის განხილვა შორს წაგვიყვანს.

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოში ჩაის წარმოება და მოხმარება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მოწინავე პოზიციებს კვლავ ინარჩუნებენ ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, კენია, შრი-ლანკა, ინდონეზია, რომლებიც რჩებიან ასევე ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებად.

ჩაის იმპორტიორი ქვეყნებიც კვლავ ტრადიციულია. ესენია: დიდი ბრიტანეთი, დსთ-ს ქვეყნები, პაკისტანი, ეგვიპტე, აშშ და ა.შ.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიო ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში ჩაის ფართობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება (ცხრილი 1.1.2).

მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში ჩაის პლანტაციის ფართობების, საჰექტარო მოსავლიანობის, შავი და მწვანე ჩაის საშუალო წლიური წარმოების დინამიკა[1]

ცხრილი 1.1.2

№	ქვეყანა	ფართობი, ათასი ჰა		მოსავლიანობა, კგ/ჰა		წარმოება, ათასი ტონა	
		1989-94	1999-2004	1989-94	1999-2004	1989-94	1999-2004
1	ჩინეთი	847	880	662	720	561	634
2	ინდოეთი	415	445	1693	1843	703	820
3	შრი-ლანკა	222	189	1023	1434	27	272
4	კენია	95	115	2045	2238	194	257
5	ინდონეზია	93	113	1565	1382	146	156
6	თურქეთი	90	78	1475	1603	132	125
7	ვიეტნამი	59	70	536	701	32	49
8	იანმა	57	63	235	513	14	34
9	იაპონია	58	52	1532	1734	89	90
10	ბანგლადეში	47	48	902	1046	43	51
11	საქართველო	65	47,3	1653	722	120	32
12	არგენტინა	38	38	1280	1193	49	46
13	ირანი	32	35	1115	1918	36	67
14	გუანდა	11	21	601	1015	7	21
15	მალავი	18	20	2146	2124	40	42
16	ტანზანია	15	19	1263	1181	19	22
17	ტაილანდი	17	17	304	300	5	5
18	სამხრეთ აფრიკა	9	11	1333	1129	12	12
	სულ მსოფლიოში	*2265*	*2324*	*1113*	*1212*	*2521*	*2818*

[1]გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მსოფლიოში ჩაის პლანტაციების ფართობები საანალიზო წლებში თითქმის 60 ათასი ჰექტარით, ანუ 2,6%-ით გაიზარდა, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 100 კგ-ით, ხოლო მზა პროდუქციის წარმოებამ 297 ათასი ტონით, ანუ 10,5%-ით მოიმატა. მსოფლიოში ფართობების და მთლიანი პროდუქციის წარმოების მხრივ კვლავ პირველ სამეულშია ჩინეთი, ინდოეთი და შრი-ლანკა. ჩაის ფართობების ზრდასთან ერთად მთელ რიგ ქვეყნებში მნიშვნელოვნად იზრდება საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, რაც ამ ქვეყნებში დარგის სრულ ინტენსიფიკაციაზე მიუთითებს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია უკანასკნელ ათწლეულში კენიაში მეჩაიეობის რადიკალური გარდაქმნა. ამ პერიოდში ქვეყანაში 20 ათასი ჰა ჩაის ახალი პლანტაციებია გაშენებული, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 8,6%-ით, ხოლო მზა პროდუქციის წარმოება 24,5%-ით გაიზარდა და წარმოების მოცულობით თითქმის მეჩაიეობის ტრადიციულ კლასიკურ ქვეყანას – შრი-ლანკას მიუახლოვდა. აღსანიშნავია, რომ საანალიზო წლებში მეჩაიეობის 18 ქვეყნიდან მხოლოდ 2 ქვეყანაში – საქართველოსა და თურქეთში შეინიშნება ჩაის პლანტაციების ფართობების შემცირება, თუმცა თურქეთში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 8%-ით გაიზარდა და პროდუქციის წარმოება 5,3%-ით შემცირდა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც შემცირდა როგორც საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 56,3%-ით, ასევე პროდუქციის წარმოება 73,3%-ით.

ბოლო ინფორმაციით, ჩაის პლანტაციების გაფართოების სერიოზული პროცესები ხორციელდება აფრიკის ქვეყნებში, რომელთაც ამისათვის შესაფერისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები გააჩნიათ, ხოლო ის ფაქტი, რომ აფრიკული ქვეყნები იაფი შრომითი რესურსების სიჭარბით გამოირჩევა, საყოველთაოდ ცნობილია, ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩაის წარმოების განვითარებისათვის. მსოფლიოში ჩაის პლანტაციების ფართობების ზრდა კვლავაც გაგრძელდება, რადგან ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნილება მსოფლიოში 30%-ით სჭარბობს მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქტის მიწოდებას.

ჩაიზე მოთხოვნის ზრდის ტენდენციის გამო, მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი ყველა ქვეყანა ცდილობს გაზარდოს პროდუქციის წარმოება (ცხრილი 1.1.3).

მსოფლიოში ჩაის წარმოებისა და ექსპორტის ფაქტიური და საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, 2005-2008 წლებში, 1983-1985 წლების საშუალოსთან შედარებით, ინდოეთში ჩაის წარმოება 40%-ით, კენიაში – 57%-ით, შრი-ლანკაში – 30%-ით, მთლიანად მსოფლიოში კი 31%-ით გაიზრდება. აღნიშნული ტენდენციიდან

გამონაკლისია საქართველო, სადაც შესადარის წლებში ადგილი აქვს ჩაის წარმოების 33%-ით შემცირებას. მეჩაიეობის მსოფლიო ექსპერტების შეფასებით, 2006 წლისათვის, საქართველოში ჩაის წარმოებამ უნდა მიაღწიოს 80 ათას და ექსპორტმა 78 ათას ტონას, რითაც იგი მე-6 ადგილს დაიკავებს ჩაის ექსპორტიორ 10 სახელმწიფოს შორის.

შავი ბაიხის ჩაის წარმოებისა და ექსპორტის დინამიკა
ჩაის ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით[1]

ცხრილი 1.1.3

ქვეყანა	1983-85 (საშუალო)		1993-95 (საშუალო)		2005-2008 (საშუალო)	
	წარმოება	ექსპორტი	წარმოება	ექსპორტი	წარმოება	ქსპორტი
1. ინდოეთი	618	213	749	159	1015	165
2. კენია	128	106	222	203	300	276
3. შრი-ლანკა	200	187	240	222	285	263
4. ჩინეთი	199	91	180	103	220	192
5. თურქეთი	117	1	122	16	170	25
6. ინდონეზია	92	78	105	89	160	140
7. ირანი	44	1	53	2	85	0
8.საქართველო	120	-	16	-	80	78
9. ბანგლადეში	41	28	49	27	55	32
10. არგენტინა	36	44	51	43	54	42
სულ მსოფლიოში	*1858*	*929*	*1970*	*985*	*2681*	*1292*

[1]გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო წლებში ჩაის ექსპორტი ინდოეთიდან შემცირდება 23%-ით, რაც მისი ადგილობრივი მოხმარების ზრდითაა განპირობებული, ხოლო იმ სახელმწიფოებიდან, რომლებშიც ჩაის ადგილობრივი მოხმარება მისი წარმოების შესაძლებლობებთან შედარებით მცირეა, ექსპორტი გაიზრდება. ასე მაგალითად, კენიიდან – 62%-ით, შრი-ლანკიდან – 29%-ით, ჩინეთიდან – 53%-ით. მთლიანად მსოფლიოში კი ჩაის ექსპორტი 28%-ით

გაიზრდება. ყოველივე ეს ხდება უახლოეს ათწლეულში მსოფლიო სასურსათო ბაზარზე მოსალოდნელი რადიკალური ცვლილებების პირობებში, რაც უკავშირდება დედამიწაზე მოსახლეობის მკვეთრი ზრდის გამო პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობის შეცვლას. სურსათზე მოთხოვნილება გაიზრდება ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ლათინური ამერიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა. 2005-2008 წლებში მოსალოდნელია ჩაის მოხმარების გაზრდა ლათინურ ამერიკაში 18 ათასი ტონიდან 41 ათას ტონამდე, ახლო აღმოსავლეთში 282-დან 584 ათას ტონამდე, ირანში თითქმის სამჯერ და ა.შ. პარალელურად ჩაი ნაწილობრივ კარგავს თავის პოზიციას მისი მოხმარების ისეთ ტრადიციულ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და კანადა. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ამავე პერიოდში ჩაის მოხმარება გაიზრდება 218 ათასი ტონიდან 250 ათას ტონამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, განვითარებად ქვეყნებში უნდა მოხდეს შავი ბაიხის ჩაის მოხმარების ზრდა 1235 ათასი ტონიდან 1950 ათას ტონამდე, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში 641 ათასი ტონიდან 720 ათას ტონამდე (ცხრილი 1.1.4).

შავი ჩაის იმპორტის დინამიკა ძირითადი
იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით

ცხრილი 1.1.4

ქვეყანა	1983-85 (საშუალო)		1993-95 (საშუალო)		2003-2005 (საშუალო)	
	იმპორტი	მოხმარება	იმპორტი	მოხმარება	იმპორტი	მოხმარება
1. დსთ	69	218	139	154	180	250
2. პაკისტანი	87	87	113	113	140	160
3. დიდი ბრიტანეთი	165	165	148	148	135	135
4. ეგვიპტე	71	70	62	62	100	90
5. აშშ	79	79	83	83	92	92
6. ერაყი	41	41	1	1	54	54
7. ირანი	30	43	34	85	37	122

8. გერმანია	16	-	17	-	32	-
9. ოკეანია	27	28	20	21	28	28
10. ნიდერლანდი	10	-	15	-	16	-
11. მაროკო	-	-	33	-	-	-
12. სირია	-	-	21	-	-	-
სულ მსოფლიოში	*911*	*1876*	*986*	*1970*	*1268*	*2669*

[1]გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემები.

ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზების შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიოში უახლოეს ათწლეულში მოსახლეობის ზრდისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩაის წარმოება, მისი შიდა მოხმარება, ექსპორტი და იმპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რასაც თან სდევს ჩაის პროდუქციაზე ფასების რყევა. ამასთან, ჩაის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით აუქციონის ფასები წლებისა და ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია (ცხრილი 1.1.5).

ჩაის სააუქციონო ფასის დინამიკა, ჩაის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით[1]
(აშშ დოლარი/კგ)

ცხრილი 1.1.5

წელი	ინდოეთი	შრი-ლანკა	კენია	ინგლისი
1994	1,29	1,32	1,57	1,83
1995	1,48	1,41	1,29	1,64
1996	1,37	1,88	1,42	1,75
1997	1,84	2,03	2,00	2,21
1998	1,86	2,08	1,89	1,49
1999	1,69	1,63	1,78	დახურ.
2000	1,38	1,76	2,01	დახურ.
2001	1,48	1,80	1,85	დახურ.
2002	1,51	1,79	1,79	დახურ.

2003	1,77	1,84	1,88	დახურ.
2004	1,82	1,83	1,76	დახურ.

[1]მოცემული ქვეყნების ჩაის აუქციონების მონაცემები. მასალა მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით.

აღნიშნულ წლებში ჩაის საბირჟო ფასები უმნიშვნელოდ მერყეობს და 1 კგ დაუფასოებელი შავი ბაიხის ჩაიზე 1,62 და 1,66 აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, სარეალიზაციო ფასები სხვადასხვა ქვეყნების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მნიშვნელოვნად განსხვავებულია და 1 კგ დაუფასოებელ ჩაიზე 1,2-ან 2,0 აშშ დოლარამდეა, თუმცა 2000 წლის შემდეგ იგი რამდენადმე შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში აშკარად შეიმჩნევა ჩაის კონკურენტ (სუბსტიტუტ) პროდუქციაზე – კაკაოსა და ყავაზე ფასების დაცემა, რაც მსოფლიო ბაზარზე ჩაის ფასების პოზიტიური ძვრების პროგნოზირების საშუალებას იძლევა (ცხრილი 1.1.6).

მსოფლიო აუქციონებზე ჩაის, კაკაოსა და ყავის საბითუმო ფასების დინამიკა
წლების მიხედვით
(აშშ დოლარი/კგ)

ცხრილი 1.1.6

	1975	1985	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ჩაი, ბაიხაო, 3 აუქციონი	2,53	2,55	1,25	1,88	1,66	1,77	1,79	1,81	1,79	1,87
ჩაი, ლონდონის აუქციონი	–	2,89	1,38	2,04	2,13	2,25	2,09	2,34	2,32	–
კაკაო	2,76	3,29	1,20	0,91	1,02	1,01	1,04	1,06	1,03	1,09
ყავა, დაუფქვავი	2,98	3,86	2,32	0,91	0,66	0,68	0,67	0,69	0,71	0,78

[1]მოცემული სახის პროდუქციის მსოფლიო აუქციონების მონაცემები. მასალა მოპოვებულია ინტერნეტის მეშვეობით.

ჩვენს მიერ მსოფლიო მეჩაიეობის განვითარების ტენდენციების შესახებ მოტანილი მონაცემები სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით გარკვეული, ზოგჯერ სერიოზული ცვლილებები არ მოხდება იმ ექსპერტულ შეფასებებში, რომელსაც ჩვენი პროგნოზები ეყრდნობა. საკმარისია აღინიშნოს ერაყში განვითარებული მოვლენები, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ პროგნოზის საწინააღმდეგოდ იქ უახლოეს წლებში ჩაის მოხმარების ზრდა არ მოხდება. იგივე გავლენა შეიძლება იქონიოს ჩაის მოხმარებაზე ნავთობზე მსოფლიო ფასების დაცემამ, რაც მოსახლეობის მიერ ყველა სახის სასურსათო პროდუქტის, მათ შორის ჩაის მოხმარების შემცირებას გამოიწვევს და პირიქით, ჩაის წარმოების, მისი მოხმარებისა და ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს ჩაის გასაყიდი ფასების იმდენად დაცემა, რომ მისი წარმოება არარენტაბელური გახდეს. აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა ინდოეთში 2000 წელს, როცა ჩაის პლანტაციების ასოციაციის კომიტეტმა (ჩპკი) მიიღო გადაწყვეტილება დეკემბრის შუა რიცხვებიდან ჩაის წარმოების მთლიანად შეწყვეტის შესახებ. ამით მათ სურდათ შეესუსტებინათ რუსეთის მიერ ინდური ჩაის დიდი პარტიების შესყიდვის შეწყვეტით გამოწვეული ზიანი, რაც ჩაის პროდუქციის ჭარბწარმოებასა და მასზე ფასების დაცემაში აისახა. შესაძლებელია ჩაის წარმოებაზე სხვა ფაქტორებმაც იქონიონ გავლენა, მაგალითად ისეთი გლობალური მნიშვნელობის სტიქიურმა მოვლენამ, როგორიც 2004 წლის დეკემბერში განვითარდა ცეილონის, ინდოეთის, ინდონეზიის სანაპირო ზოლში ცუნამის სახით, ანდა პროდუქციის იმპორტისას დღგ-ს შემოღებამ ან სხვა ფისკალური ხასიათის გადაწყვეტილებებმა, ვთქვათ, ისეთის, როგორიც რუსეთის ფედერაციის მიერ წვრილად დაფასოებულ ჩაიზე (300 გრ. და ნაკლები) შემოღებული საიმპორტო მოსაკრებელი, რომელიც საკონტრაქტო ფასის 20 % –ს შეადგენდა და სხვა.

ჩინეთში, ჩაის მთავრობათაშორისი ჯგუფის სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით, (FAO)-მ მოამზადა მოხსენება დარგის მდგომარეობაზე და საშუალოვადიან ტენდენციებზე ჩაის მსოფლიო ბაზარზე. უახლოეს წლებში ნავარაუდევია მკვეთრად გაძლიერდეს ბრძოლა ჩაის, უპირველეს ყოვლისა, შავი ჩაის ხარისხისათვის. ამ მიზნით შემუშავდება ხარისხის ახალი სტანდარტები.

ექსპერტთა დასკვნით, მთლიანობაში ჩაის ბაზარი ვითარდებოდა დინამიკურად. 2006 წ. სერიოზული რყევები არ ყოფილა და შეგროვდა 3,6 მლნ ტ. ჩაის ფოთოლი. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩინეთმა, ვიეტნამმა და ინდოეთმა.

ჩინეთმა, მაგალითად, მიიღო 1 მლნ ტ. ჩაის ფოთოლი, ეს კი 9,5%-ით აღემატება წინა, 2005 წლის მაჩვენებელს. ეს მოხდა გლეხების შემოსავლების ზრდის სტიმულირების პოლიტიკის, დარგის რაციონალიზაციის წყალობით, ასევე ახალი პლანტაციების შექმნის შედეგად, ძველი დაბალპროდუქციული ბუჩქების ახლით შეცვლის გზით. შთამბეჭდავად გამოიყურება ასევე ვიეტნამის წარმატებებიც. იქ ჩაის წარმოება გაიზარდა თითქმის მესამედით, კერძოდ კი 28%-ით. შეგროვდა 133 ათასი ტ. ამ შემთხვევაში შედეგი მოგვცა ბოლო ათწლეულების ძალისხმევამ, როდესაც განხორციელდა ფართობების გაზრდისა და ძველი პლანტაციების რეაბილიტაციის მცდელობები. ინდოეთში კი მოხერხდა შედეგის გაზრდა 3%-ით, კარგი ამინდის წყალობით და მიღებული იქნა 945 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. წარმოება შემცირდა კენიაში და შრი ლანკაში (ცეილონი).

ჩაის ექსპორტში ასევე არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ექსპორტმა შეადგინა 1,55 მლნ. ტ. ცალკეული ქვეყნები, მაგალითად, კენია, ინდონეზია, კარგავდნენ თავიანთ პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ დანაკარგი კომპენსირებული იყო ინდოეთის, ვიეტნამისა და შრი ლანკის მიწოდების ხარჯზე. ვიეტნამის ექსპორტი, მაგალითად, გაიზარდა 24%-ით და შეადგინა 105 ათასი ტ, ინდოეთისა – 14%-ით (218 ათასი ტ). მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაით ვაჭრობა ახლო აღმოსავლეთში. ჩინეთის ექსპორტი დარჩა იმავე დონეზე – 286 ათასი ტ. კარგად აჩვენეს თავი ჩაის ახალმა ექსპორტიორებმა – რუანდამ, ტანზანიამ და ზიმბაბვემ. სერიოზულად შემცირდა ჩაის ექსპორტი კენიიდან. ეს ცუდი მოსავლის შედეგია.

რაც შეეხება ჩაის იმპორტს, იგი 2006 წ. რამდენადმე შემცირდა და შეადგინა 1,57 მლნ ტ (2006 წ. მსოფლიო ექსპორტი იყო 1,55 მლნ ტ დონეზე). ჩაის ბაზრის სპეციალისტები ამას ხსნიან შესყიდვათა შემცირებით უმსხვილესი იმპორტიორების მიერ, რომელთა შორის არიან პაკისტანი, რუსეთი, ჰოლანდია. რუსეთმა შეისყიდა 2%-ით ნაკლები ჩაი. ესაა 127 ათასი ტ.; ჰოლანდიამ იმპორტი შეამცირა 25%-ით; პაკისტანმა – 3%-ით. მაგრამ მთლიანობაში სიტუაცია არ გაუარესებულა ისეთი ქვეყნების იმპორტის ზრდის წყალობით, როგორიცაა აშშ, ინგლისი, გერმანია.

2006 წ. მსოფლიოში ჩაის მოხმარებამ შეადგინა 3,64 მლნ ტ. მოხმარების ზრდის ტემპები ამ დროს, ბოლო 10 წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირდა ნახევარზე მეტჯერ და არ აღემატებოდა 1%-ს. მოხმარების ზრდა აიხსნება ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკების გაძლიერებით. ამ ქვეყნებში ცხოვრების

დონის ზრდის კვალობაზე დაიწყეს მეტი ჩაის სმა. მაგალითად: რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სულ ერთი წლის წინ ჩინელები მოიხმარდნენ 13,6%-ით ნაკლებ ჩაის. ასე რომ მიღწეული იქნა რეკორდული მაჩვენებელი, აღნიშნავენ ექსპერტები,–ჩინელებმა მოიხმარეს 779,9 ათასი ტ ჩაი. ინდოეთში ეს მაჩვენებელი გაიზარდა არა იმდენად შესამჩნევად, მაგრამ მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკებისა და კეთილდღეობის ზრდა აზიაში გამოიწვევს ჩაის მოხმარების ზრდასაც, თუმცა, როგორც ადვილი მისახვედრია, მსოფლიოს ჯერ-ჯერობით არ ემუქრება "ჩაის დეფიციტი".

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ჩაის შემოთავაზება აღემატება მოთხოვნას. 2006 წელს ფასმა შეადგინა საშუალოდ 1,83$/კგ. (პროგნოზების მიხედვით, 2010 წლისთვის ფასი უნდა გაიზარდოს 1,95$/კგ-მდე). FAO-ს ინფორმაციით, მიმდინარე წელს კი ჩაი გაძვირდება თუნდაც იმიტომ, რომ კენიაში მოსავალი შემცირდა 10%-ით. გათვლების მიხედვით, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა წელიწადში 4%-ით. ბაზარი მოერგება ახალ ფასებს 3 წლის განმავლობაში, მაგრამ თუ წარმოების ვარდნა აღმოჩნდება 10%-ზე მეტი, მაშინ სავსებით შესაძლებელია სპეკულაციური შესყიდვები "მარაგად", რაც აისახება ფასებზე.

უახლოეს 10 წელიწადში ჩაის წარმოების ზრდა შენელდება, ძირითადად აფრიკის ხარჯზე. შავი ჩაი მიიღება 3,1 მლნ ტონა. მსოფლიოში შავი ჩაის უმსხვილეს მწარმოებლად დარჩება ინდოეთი-დაახლოებით 1,2 მლნ ტონა 2017 წლისთვის. შემდეგ მოდის კენია-344 ათასი ტონა, შრი-ლანკა-341 ათასი ტონა, ჩინეთი-312 ათასი ტონა, თურქეთი-210 ათასი ტონა. მწვანე ჩაისთან მიმართებაში მონაცემები არასრულია, ამიტომაც ექსპერტები თავს იკავებენ ზუსტი პროგნოზებისაგან. მართალია, FAO-ში მიაჩნიათ, რომ მწვანე ჩაის წარმოება გაუსწრებს შავის წარმოებას. ყოველწლიური ზრდა-4,5% (შავისათვის-1,9%). ძირითადად ნამატს უზრუნველყოფს ჩინეთი, სადაც 2017 წლისთვის მიიღებენ დაახლოებით 1,3 მლნ ტონა მწვანე ჩაის. შავი ჩაის მოხმარებაც გაიზრდება. 10 წლის შემდეგ მოხმარების მოცულობა შეადგენს 2,8 მლნ ტონას. აღნიშნულ ჩაის მეტს მოიხმარენ აზიის ქვეყნებში. გარდა ამისა, უმსხვილეს იმპორტიორებს შორის დარჩება რუსეთიც. 2017 წლისთვის ის შეისყიდის მსოფლიო ბაზრებზე 328 ათას ტონა შავ ჩაის. რაც შეეხება მწვანე ჩაის, მისი მოხმარება კვლავ იქნება მეტი აზიისა და აფრიკის თბილ ქვეყნებში. ექსპორტი 2017 წლისთვის მიაღწევს დაახლოებით 397 ათას ტონას.

სულადობრივი მოხმარება ევროპაში კვლავ მნიშვნელოვნად გაუსწრებს მოხმარებას აზიაში. ასე მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე ინგლისში მოდის 2,2 კგ ჩაი წელიწადში, რუსეთში-1,26 კგ, ხოლო ინდოეთში-0,65 კგ.

FAO-ს მიაჩნია, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ჩაის ხარისხისათვის. მსოფლიო ბაზარზე მიწოდებული ჩაის საბაზო სტანდარტები საყოველთაოდ უნდა გამოიყენებოდეს. ეს გვესახება FAO-ს ძალიან დროულ გაფრთხილებად ჩაის ცნობილი მარკების ზოგიერთი დამამზადებლის მიერ გაყალბების წინააღმდეგ, რაც დროდადრო ჩნდება ბაზარზე.

1.2. საქართველოს ადგილი მსოფლიო ჩაის წარმოებაში

ცხადია, ცალკეული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები შემდგომშიც შეიტანენ გარკვეულ კორექტივებს მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებაში, მაგრამ როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ზრდის ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებული იქნება. შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მისი გეოგრაფიულ სივრცეში გადაადგილება. ცხადია ისიც, რომ ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციები განსაკუთრებით ხელსაყრელია საქართველოსთვის, რომელსაც აქვს ჩაის პლანტაციები, გადამამუშავებელი მრეწველობა და მისი ინფრასტრუქტურა, ჰყავს კვალიფიციური მუშახელი, სპეციალისტები, სამეცნიერო ძალები და მაინც ამოვარდნილია მსოფლიო მეჩაიეობაში მიმდინარე პროცესებისგან. თუ საქართველო ვერ შეძლებს მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი გარემოს გამოყენებას, მის ადგილს დაიკავებენ სხვა ქვეყნები. ეს მოხდება იმიტომ, რომ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტენდენციების მიუხედავად, მრავალი ფაქტორის გამო, თითოეული სახის პროდუქციის, მათ შორის ჩაის ეფექტიანად წარმოების არეალი შეზღუდულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კენიის მსგავსად, საქართველო განეკუთვნება მეჩაიეობის ისეთი ქვეყნების რიცხვს, სადაც ჩაის ადგილობრივი მოხმარება მისი წარმოების შესაძლებლობებთან შედარებით მცირეა და სწორედ ასეთ ქვეყნებს აქვთ ყველაზე მეტი შანსი წამყვანი ადგილი დაიკავონ ჩაის მსოფლიო ექსპორტში.

ბოლო წლებში საქართველოში ჩაის ექსპორტის მაჩვენებლები კლების ტენდენციით ხასიათდება (ცხრილი 1.2.1). ჩვენი ტრადიციული ბაზრები, ძირითადად

დსთ-ს ქვეყნებში, გაჯერებულია სხვა ქვეყნებიდან შეტანილი ჩაით, რამაც შეამცირა ქართული ჩაისადმი ინტერესი. ჩინეთმა, ინდოეთმა, კენიამ და შრილანკამ ფაქტობრივად უკვე შეაღწიეს ქართული ჩაის გასაღების ბაზრების სეგმენტებში. დღეისათვის მეტად შელახულია ქართული ჩაის ავტორიტეტი, რაც ძირითადად მისი დაბალი ხარისხითაა განპირობებული, და ერთადერთი, რაც მას ჯერ კიდევ აძლევს საექსპორტო პოტენციალის შენარჩუნების შესაძლებლობას, დაბალი ფასებია.

ქართული ჩაის ექსპორტმა თავის პიკს 1984 წელს მიაღწია, ამ წელს ექსპორტირებული იყო სულ 26271 ტონა ჩაი. მათ შორის: მონღოლეთში – 5719 ტ, პოლონეთში – 5250 ტ, ინგლისში – 5500 ტ, ჰოლანდიაში – 6000 ტ. ჩაი და ა.შ. 1984-1991 წლებში ჩაის ექსპორტი 8,5-ჯერ შემცირდა, 1991 წელს ექსპორტირებული იქნა 3000 ტ. მწვანე აგურა ჩაი (მხოლოდ მონღოლეთში). 2001-2003 წლებში, როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ჩაის ძირითად მომხმარებლად კვლავ რუსეთი და მონღოლეთი დარჩა. 2003 წლის ექსპორტის მოცულობამ შეადგინა შესაბამისად: რუსეთში 2373 და მონღოლეთში 1584 ტ.

ჩაის ექსპორტი საქართველოდან

2001-2007 წ.წ.

ცხრილი 1.2.1

	2001		2003		2005		2007	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
სულ	5 855	9 838	4 365	8 471	3 095	6 018	1 310	2 303
აშშ	642,4	1170,5	727,9	1259,7	257,6	540,0	85,7	140,0
აზერბაიჯანი	–	–	14,1	3,5	–	–	28,2	30,0
ბელარუსი	40,8	79,0	66,8	141,8	19,8	29,0	49,3	32,9
ბულგარეთი	15,4	28,0	–	–	–	–	–	–
ჩეხეთი	66,1	71,9	7,5	15,0	–	–	–	–
გაერთიანებული სამეფო	11,6	20,0	9,3	22,0	–	–	3,9	0,2
გერმანია	663,5	752,5	438,2	564,2	809,1	1187,8	170,2	184,6
ინდოეთი	–	–	13,5	18,5	–	–	–	–
იტალია	–	–	–	–	11,9	5,5	–	–

კანადა							151,2	180,0
ლიტვა	19,6	31,8						
მოლდოვა	34,0	87,0	21,6	45,0	20,3	46,2	–	–
მონგოლეთი	272,7	872,8	493,9	1584,4	352,7	1 030,0	184,6	576,4
ნიდერლანდები	29,4	70,0	34,2	84,0			5,4	10,4
პოლონეთი	677,6	1270,3	140,1	325,2	71,6	159,8	–	–
პორტულაგია	60,7	141,3						
რუსეთი	2069,1	2635,7	1394,2	2373,2	879,7	1702,0	–	–
სერბია-მონტენეგრო							5,8	10,0
სომხეთი	37,3	13,2	47,3	4,3	11,7	0,1	7,2	16,0
შრი-ლანკა	1,1	1,0						
ტაჯიკეთი	93,0	213,9	143,8	452,5	89,2	291,9	194,0	434,3
თურქეთი					17,8	20,9		
თურქმენეთი	140,5	243,6	259,4	428,4	148,4	191,6	95,4	119,2
უკრაინა	526,9	1007,7	425,6	877,3	397,1	790,6	311,9	547,5
უზბეკეთი	266,9	552,7	120,0	265,0	–	–	–	–
ყაზახეთი	91,1	216,0	8,4	28,0	7,1	22,0	17,3	21,1

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ პერიოდში საქართველოდან ჩაის ექსპორტი ძირითადად ხდებოდა 25 ქვეყანაში. მათ შორისაა როგორც ტრადიციული დსთ-ს, ასევე ახალი ქვეყნები, რაც იმედის მომცემი ფაქტორია. ქართული ჩაი შევიდა აშშ-ის, გერმანიის, პოლონეთის ბაზრებზე. მაგალითად, 2003 წელს აშშ-ში ექსპორტირებული იყო 1259,7 ტონა ჩაი. ამ ქვეყანაში პირველად ქართული ჩაი 1998 წელს გამოჩნდა 169 ტონის ოდენობით, ანუ 2003 წ. ექსპორტირებული იყო 7-ჯერ მეტი, ვიდრე 1998 წელს. ასევე შეიძლება ითქვას გერმანიაზეც, სადაც პირველად 1996 წელს 11,9 ტონა ქართული ჩაი შეიტანეს, 2005 წელს კი ექსპორტის მაჩვენებელმა შეადგინა 1187,8 ტონა, ე.ი. დაახლოებით 100-ჯერ მეტი.

ახალი ბაზრების მოპოვებასთან ერთად ქართული ჩაი ტრადიციულ მომხმარებელსაც უბრუნდება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთში ჩაის პროდუქციის ექსპორტი თანდათან შემცირდა, რაც მნიშნელოვანწილად აღნიშნულ ქვეყანასთან ურთიერთობაში პოლიტიკური

დაძაბულობით არის განპირობებული და მისი მოწესრიგების დაწყება მხოლოდ ამ მხრიდან არის შესაძლებელი, ასე მაგალითად, რუსეთში 2000 წელს თუ ექსპორტირებული იყო 2,8 მილიონი დოლარის ღირებულების 4,1 ათასი ტონა ჩაი, 2005 წელს შესაბამისმა მაჩვენებელმა შეადგინა 879,7 ათასი აშშ დოლარი და 1,7 ათასი ტონა, ხოლო 2007 წელს რუსეთში საქართველოდან ჩაის ექსპორტი არ განხორციელებულა.

განსახილველ პერიოდში ჩაის ექსპორტი საქართველოდან ყველაზე დიდი იყო 2001 წელს და შეადგინა 9838 ტონა, ხოლო 2007 წლისათვის ეს მაჩვენებელი 2303 ტონა იყო, ე.ი. 7,5 ათასი ტონით ნაკლები 2001 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

როცა უკანასკნელ წლებში ექსპორტის მაჩვენებელთა მკვეთრ გაუარესებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ობიექტური ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ პროდუქციის ექსპორტზე და საექსპორტო შემოსავლების ზრდაზე. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რამაც გამოიწვია ქართული ჩაის ექსპორტის დაქვეითება, მისი არაკონკურენტუნარიანობა იყო.

მთლიანად ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში გაიზარდა ჩაის ექსპორტიორთა რიცხვი, რაც ძველ ბაზრებზე დაბრუნებისა და ახალი ბაზრების მოპოვების თვალსაზრისით არ შეიძლება დადებით ტენდენციად იქნას მიჩნეული, რადგან ქართული ჩაის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია და არაპროფესიონალი ექსპორტიორის მიერ მიწოდებულმა პროდუქციამ, შესაძლებელია მრავალი პრობლემა შექმნას. მხედველობაში გვაქვს ისიც, რომ ბევრი ექსპორტიორი ადვილად ახერხებს პროდუქციის შესაბამისობის ისეთი სერთიფიკატის აღებას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი გახდა, იგი ვერ იყენებს სოფლის მეურნეობის შეთანხმებით მინიჭებულ უფლებებს, რაც უპირველესად პროდუქციის დაბალი ხარისხის ბრალია. ქართული პროდუქცია ვერ პასუხობს განვითარებულ ქვეყნებში ჩაიზე მოქმედ სტანდარტებს, გარდა ამისა, სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ვმო-ს პირობებით ვაჭრობის წესების უცოდინარობა, რომლის დაძლევისათვის ქვეყანაში თითქმის არაფერი კეთდება. აშკარაა, რომ იმ ფონზე, როცა მეჩაიეობის ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მსოფლიო მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი ტენდენციების მაქსიმალურად გამოყენების საკითხებს, ქართულ მეჩაიეობას, როგორც ჩაის ექსპორტის, ისე პროდუქციის ფასის თვალსაზრისით,

სერიოზული პრობლემები აქვს და მისი აღმოფხვრისათვის განსაკუთრებული ღონისძიებებია განსახორციელებელი.

ბუნებრივია, განვლილ წლებში შემცირდა საქართველოს წილი მსოფლიო ჩაის წარმოებაში, რაც იმავდროულად ბაზრების დაკარგვის მაჩვენებელიცაა (ცხრილი 1.2.2.).

ჩაის ფოთლის წარმოება მსოფლიოსა და საქართველოში 1994-2001 წლებში (ათასი ტონა)

ცხრილი 1.2.2.

შინაარსი	წლები							
	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
ჩაის ფოთლის წარმოება მსოფლიოში	2633,2	2618,0	2689,3	2764,9	2990,4	3088,6	3086,4	3081,2
ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში	60,7	38,5	34,0	33,2	47,2	60,0	24,0	23,0
საქართველოს წილი მსოფლიო ჩაი წარმოებაში	2,3	1,5	1,3	1,2	1,6	2,0	0,8	1,0
საქართველოს ადგილი მსოფლიო ჩაის წარმოებაში	8	12	13	13	12	10	4	13

ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

რეფორმების წლებში, ნაცვლად მოსალოდნელი ზრდისა, ჩაის ფოთლის წარმოებით საქართველომ მერვედან მეცამეტე ადგილზე გადაინაცვლა. ამით აშკარა გახდა, რომ მსოფლიო ჩაის ბაზარზე ადვილი შესაძლებელია საქართველოს სხვა ქვეყანა ჩაენაცვლოს და ვერ იქნეს გამოყენებული ის შანსი, რომელსაც მას ჩაის ექსპერტები უწინასწარმეტყველებენ – მეექვსე ადგილს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, რაც საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების, მუშა-ხელის, სპეციალისტების, გადამამუშავებელი სიმძლავრეების, სამეცნიერო პოტენციალისა და ბაზრის მოთხოვნილების მონაცემებზე დაყრდნობითაა გაანგარიშებული.

ეკონომიკური რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში ჩაის წარმოების, აგრეთვე, მისი ექსპორტ-იმპორტის საკითხის განხილვისას ხაზგასმული იქნა, რომ

ბოლო წლებში კლებულობს არამარტო ჩაის ექსპორტი, არამედ გაყიდული პროდუქციის ერთეულის ფასი.

ქართულ ჩაის მსოფლიო ბაზარზე, არგენტინული ჩაის მსგავსად, დაბალხარისხოვანი პროდუქციის იმიჯი დაუმკვიდრდა, რაც სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებთან ერთად, გააძნელებს მის ბაზარზე დაბრუნებას. როგორც აღვნიშნეთ, უხარისხო ქართული ჩაის წარმოებას დიდად უწყობს ხელს მისი მრავალი სუბიექტის მიერ უკონტროლო გატანა. აღსანიშნავია, რამდენიმე წლის წინ საზღვარგარეთ პროდუქციის გატანის შესახებ ლიცენზიის გაუქმება დიდ მიღწევად იქნა აღიარებული. შედეგად მივიღეთ, ის რომ ბოლო წლებში, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, ჩაის ექსპორტიორი ფირმებისა და ფიზიკური პირების რაოდენობა 250-მდე გაიზარდა, მაშინ როცა, როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, ბოლო წლებში საშუალოდ ერთ ქვეყანაზე გაანგარიშებით ქართული ჩაის ექსპორტი 200-300 ტონას არ აღემატება. ჩაის ექსპორტისას პროდუქციის წარმოშობის შესახებ სერთიფიკატის გაცემის უფლება დეპარტამენტ „საქსტანდარტის" მიერ აკრედიტებულ ყველა ლაბორატორიას აქვს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც მხოლოდ ქაღალდზეა დარეგისტრირებული. საზღვარგარეთ, მათ შორის ევროგაერთიანებაში შესატანი ჩაის ხარისხის განსაზღვრისას, ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს პროდუქციის ექსპორტზე სამინისტროს მიერ ნებართვის გაცემის წესის აღდგენის შესახებ, არამედ მიგვაჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე ჩაის საექსპორტო პროდუქციაზე დოკუმენტაცია გასცეს მხოლოდ ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო–საწარმოო გაერთიანების ლაბორატორიამ. ეს ეწინააღმდეგება დღეს მოქმედ წესს, მაგრამ არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამის გაკეთება აუცილებელია მსოფლიო ბაზარზე ქართული ჩაის იმიჯის აღსადგენად. იმის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო დაწესებულებების ბიუჯეტი უკიდურესად მწირია და იგი კაპიტალურ ხარჯებს პრაქტიკულად არ ითვალისწინებს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთობლივი მეცადინეობით უნდა შესძლონ ჩაის უახლესი ლაბორატორიის შეძენა და მისთვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის მინიჭება.

სხვა ღონისძიებებიდან, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართული ჩაის რეალიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, კვლავ არაორდინალური და ზოგჯერ მოქმედი კანონების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებია მისაღები. მხედველობაში გვაქვს ძალოვანი და სხვა

ორგანიზებული სტრუქტურების მიერ ქართული ჩაის უპირატესი შესყიდვა, რაც მიღწეული უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად ჩატარებულ ტენდერებში ჩაის ქართული მწარმოებლებისათვის უპირატესობის მინიჭებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ამ საკითხზე ძალოვანი და სხვა ორგანიზებული სტრუქტურებისადმი სამთავრობო რეკომენდაციის საფუძველზე.

სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებებში, როგორც წესი, დასახელებულია ურთიერთმისაწოდებელი პროდუქციის სახეები და რაოდენობები. ადრე, ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის პირობებში, მისი შესრულება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ამჟამად, როცა წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია დივერსიფიცირებულია, ხოლო ფასები ლიბერალიზებული და უმეტეს ქვეყნებში მოქმედებს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, ანალოგიური ხელშეკრულებები, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. აქ შესაძლებელია იყოს ორგვარი მიდგომა. ერთი, რომელსაც აყენებს სომხეთის ხელისუფლება, რომ ხელშეკრულებებში აღინიშნოს არა პროდუქციის რაოდენობა, არამედ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ხელშემწყობი პირობები, კონკრეტული ფირმების დასახელებით და შეღავათების მოქმედების ვადის ჩვენებით, ანდა სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში, ან მის დანართებში მითითებული იქნას პროდუქციის მიმწოდებელი და მიმღები ფირმები. ცხადია, ასეთი ჩანაწერის გასაკეთებლად ხელმომწერი სახელმწიფოების მხრიდან უნდა შესრულდეს სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები.

ზემოთ აღნიშნული მიდგომების აუცილებლობაზე მეტყველებს თუნდაც ერთი ფაქტი, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის ბოლო დროს გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია 8.0 ათასი ტონა ჩაის მიწოდება. მიუხედავად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს მცდელობისა, ხელშეკრულების ქვეშ ვერცერთი კილოგრამი ჩაის მიწოდება ვერ მოხერხდა.

მსოფლიო პრაქტიკაში ხშირია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე ამა თუ იმ სახის პროდუქციის ურთიერთმიწოდების საკითხის გადაწყვეტა. ამის საუკეთესო მაგალითია რუსეთის ფედერაციისათვის ინდური ჩაის მიწოდება სამხედრო იარაღის სანაცვლოდ. ასეთი შეთანხმებების დროს სახელმწიფოები არჩევენ (ტენდერი, კონკურსი თუ სხვა, ეს მათი გადასაწყვეტია) მიმწოდებელ და მიმღებ ფირმებს, პროდუქციის რაოდენობას, მის სახეს, ფასებს.

ხელი უნდა შეეწყოს მეჩაიეობის ერთობლივი საწარმოების, მათ შორის მეორე ქვეყნების ტერიტორიაზე ჩაის დამფასოებელი ფაბრიკების მშენებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით პერსპექტიულია ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, სადაც დღემდე შემორჩენილია ნოსტალგია ქართულ ჩაიზე და მისი დიდი რაოდენობით გაყიდვის პერსპექტივები არსებობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩაის ყოფილი ბაზრები, თუნდაც დსთ-ს სივრცეში, თავიდან ასათვისებელია, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის წესთან ერთად, რაზედაც ზემოთ ითქვა, სახელმწიფომ ხელშემწყობი პირობების შექმნით უნდა დაარეგულიროს ამა თუ იმ ბაზარზე მომუშავე ფირმების რაოდენობა. თავიდან ბაზრის ათვისებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოცემულ ქვეყანაში ბაზრის გაჯერებას, ბაზარზე ჩაის შემომტანი ფირმების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, იმის ცოდნას, თუ რომელი სახის ჩაიზეა მეტი მოთხოვნილება, რა ფასში იყიდება ესა თუ ის პროდუქცია, ვინ არის პროდუქციის რეალიზატორი–კერძო ფირმა თუ სახელმწიფო, ბაზრის რა სეგმენტია დარჩენილი, რომელიც შესაძლებელია დაკავებული იქნას ქართული პროდუქციით. სხვადასხვა ქართული ფირმები, რომლებიც შეეცდებიან ერთდროულად შევიდნენ ახალ ბაზარზე, მათ შორის არსებული კონკურენციის გამო, უბრალოდ ვერ მოახერხებენ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლას, რის გარეშეც წარუმატებლობა გარანტირებულია და ამის მრავალი მაგალითი გვაქვს, თუნდაც ცენტრალური აზიის ქვეყნების (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი) მაგალითზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალ ბაზარზე ჯერ უნდა შევიდეს სახელმწიფოს მხარდაჭერის, თუნდაც სიტყვიერის, მქონე ერთი ფირმა და ვიდრე იგი მოცემული ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტს არ დაიკავებს, სხვა ფირმებმა პროდუქციის მიწოდება მხოლოდ მისი მეშვეობით და ზედამხედველობით უნდა განახორციელონ.

ზემოთ ნათქვამი სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა ახალ ბაზარზე მხოლოდ ერთმა ფირმამ დაიწყოს ფუნქციონირება. მათი რიცხვი დამოკიდებული იქნება ბაზრის მოცულობისაგან, მაგრამ ფირმების საიმედობასა და კეთილსინდისიერებაზე, სახელმწიფო, ჩვენს შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო რომ უნდა იყოს პასუხისმგებელი, ეჭვს არ იწვევს. პროდუქციის საზღვარგარეთ გაყიდვისადმი ასეთი მიდგომის პირობებში, აღარ გვექნება ისეთი ფაქტები, როცა ერთი კგ ქართული ჩაი ხან 25-30 ცენტად იყიდება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - 2,5 აშშ დოლარად.

მოცემულ ეტაპზე ქართული ჩაის ბაზრის მოპოვებისათვის აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბვენციების გამოყოფის პრაქტიკა, იმ მოცულობით, როგორც ეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი"-თაა გათვალისწინებული. აღნიშნული პრაქტიკა პროდუქციის წარმოების გაზრდასთან ერთად გამოიწვევს მის გაიაფებას, ანუ მსოფლიო ბაზარზე ქართული ჩაის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართული ჩაის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც, ქართული პროდუქციისთვის პრაქტიკულად დაკარგულია. საქართველოში, ძირითადად, მარტივი ტექნოლოგიით ოჯახებში წარმოებული და შეფუთული პროდუქცია იყიდება. ცალკეული ფირმების მცდელობა, მათ შორის შპს „მარტინ ბაუერ თბილისის", გამოეშვა ერთჯერადი დაფასოების ჩაი, მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, სს „ყაზბეგი" და სხვა აგრძელებს მცირე მოცულობით ერთჯერადი დაფასოების ჩაის გამოშვებას, ისინი ძირითადად პროდუქციის ხარისხის გამო, მომხმარებლებში დიდი მოწონებით ვერ სარგებლობენ.

უმთავრესი, რაც უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ბაზარზე დასაბრუნებლად, არის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, რისი მაგალითებიც, საბედნიეროდ, გვაქვს, მაგრამ ასეთ საწარმოებს ამ ეტაპზე სჭირდება სახელმწიფო მხარდაჭერა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ აღვნიშნავთ იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ მეტი ინტენსივობით უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები ვმო–ს წევრ ქვეყნებთან, ქართული ჩაისათვის ხელსაყრელი საიმპორტო პირობების შექმნის შესახებ, პოლონეთთან მიღწეული შეთანხმების მსგავსად, სადაც პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის გამოყენებით ქართული ჩაის იმპორტი გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან. რეალურად უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკებები სხვადასხვა სახელმწიფოებთან, მიწოდებული პროდუქციის ორმაგი დაბეგვრისაგან გათავისუფლების შესახებ. ვმო–ს დირექტორატის მიერ განსახილველად უნდა მომზადდეს ანალიტიკური მასალა ჩაიზე საბაჟო ტარიფის მკვეთრად გაზრდის შესახებ იმ მოტივით, რომ იმპორტი ანგრევს ჩაის ეროვნულ ბაზარს. ვმო-ს დირექტორატის მიერ საქართველოს წინადადების გაზიარების შემთხვევაში შესაძლებელია 4 წლით საბაჟო ტარიფის თუნდაც 100% - მდე აწევა დღეს არსებული 12% - ის ნაცვლად და 4 წლის შემდეგ, თუ სასურველი შედეგები მიღწეული არ იქნება, მისი კიდევ 4

წლით გაგრძელება. აღნიშნულის მისაღწევად, სულ მცირე, ორი პირობაა შესასრულებელი: პირველი, საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონები ანტიდემპინგური საქმიანობის, კომპენსაციებისა და დაცვის შესახებ და მეორე, უნდა არსებობდეს ბაზრის ქართული პროდუქციით უზრუნველყოფის გარანტიები.

თუ როგორ ვიყენებთ ჩვენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო)-ს მიერ მონიჭებულ უფლებებს ქართული ჩაის რეალიზაციისთვის, ნათლად ჩანს ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბაზრებზე 1994-2001 წლებში პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლებიდან (ცხრილი 1.2.3.).

ქართული ჩაის ექსპორტი ვმო-ს წევრ ქვეყნებში (%-ში)

ცხრილი 1.2.3.

ქვეყნების დასახელება	წლები							
	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
ლატვია	0.11	0.15	0,04	-	0.21	0,04	0,12	0,34
ლიტვა				0,03	0,05			
ესტონეთი	0,06							
მოლდავეთი	0,76	0,56	0,07	0,30	0,25	0,15	0,84	0,59
ჩეხეთი					0,27		0,86	1,15
პოლონეთი	0,61	0,07	0,11	1,18	2,43	1,35	2,69	11,82
ბულგარეთი	0,13	0,11	0,11		0,20		0,07	0,27
უნგრეთი					0,08			
გერმანია			0,06	0,54	6,97	7,65	9,87	10,84
დიდი ბრიტანეთი				0,14		0,64	2,49	0,20
ნიდერლანდები				0,48	3,85		0,71	0,51
ესპანეთი								
შვედეთი					0,14			
საბერძნეთი						0,50		
კვიპროსი					0,13			
ბრაზილია							0,30	
აშშ					1,67	5,10	7,85	11,21
ისრაელი			0,06					
შრი-ლანკა								0,02
მონღოლეთი		2,43	1.12	2,81	3,82	3,33	6,08	4,76
თურქეთი	1,28	0,21	0,12	0,23	2,08	0,46	0,73	
ინდოეთი					1,52			
ინდონეზია				0,41				1,66
ეგვიპტე					0,22			
სულ	2,94	3,52	1,69	6,12	23,88	19,21	32,63	43,38

ცხრილი შედგენილია ინტერნეტით მოპოვებული მასალების მიხედვით

ქართული ჩაის დღევანდელი ბაზარი, რომელიც ორიენტირებულია დაბალი ხარისხისა და ფასის პროდუქციის რეალიზაციაზე, უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში თანდათანობით უნდა გადაერთოს, ერთი მხრივ, მსოფლიო ჩაის ბაზარზე აპრობირებულ სააუქციონო ვაჭრობის წესზე და, მეორეს მხრივ, გრძელვადიანი და გარანტირებული სახელშეკრულებო ურთიერთობის პრინციპზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წარმოება-რეალიზაციის მოცულობა და ორივე მხარისათვის მისაღები ფასები.

სამთავრობოთაშორისო სავაჭრო–ეკონომიკურ ხელშეკრულებებში (რუსეთი, უკრაინა, თურქმენეთი და სხვა ქვეყნები) აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ქართული ჩაის პროდუქციის მიწოდება და მისი პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად განისაზღვროს კონკრეტული შემსრულებელი–ანგარიშვალდებული იურიდიული პირი. ამ ხელშეკრულებით ჩაის პროდუქციის მიწოდება შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საქართველოს საგარეო ვალების დასაფარავად, გასულ წლებში თურქმენეთისათვის ბუნებრივი აირის დავალიანების ანგარიშში ჩაის მიწოდების აპრობირებული წესით.

ანალოგიურ სახელისუფლებო მხარდაჭერას და სათანადო გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს საქართველოს შიგა ბაზრის დაცვა, სადაც ყოველწლიურად 3-4 ათასი ტონა ჩაი მოიხმარება. ჩაის მწარმოებელი ქვეყნების მაგალითის მიხედვით მიზანშეწონილია ჩაის პროდუქციის იმპორტის გარკვეული შეზღუდვა მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესების გზით. მაგ. უკრაინაში დაფასოებული ჩაის შეტანა იბეგრება 40, ხოლო რუსეთში – 20%-იანი განაკვეთით.

საქართველოში ჩაის ექსპორტ-იმპორტის ბოლო წლების დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 1.2.4).

საქართველოში ჩაის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა
1994-2007 წლებში
(ათასი ტონა)

ცხრილი 1.2.4

	წლები													
	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ექსპორტი	11,6	8,4	16,8	15,3	10,2	14,6	9,6	9,8	8,9	8,5	7,2	6,0	3,8	2,3
იმპორტი	0,01	0,15	0,15	0,4	3,4	2,9	0,7	0,6	0,7	0,7	0,8	0,7	0,8	0,8

სხვაობა	11,59	8,25	16,7	14,9	6,8	11,7	8,9	9,2	8,2	7,8	6,4	5,3	2,0	1,5
%–ში	99,9	98,2	99,1	97,4	66,6	80,1	92,7	93,8	92,1	91,8	88,8	88,3	52,6	65,2

[1]საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

ცხრილი 1.2.4-ის მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში ჩაი ძირითადად კონტრაბანდული გზით შემოდის, რაც მისი უხარისხობისა და ფალსიფიცირების ხარისხის გათვალისწინებით იმაზე მიუთითებს, რომ ჩაის სამამულო ბაზარი ყოველმხრივ დაუცველია.

ცხადია, ქართული ბაზრის დასაცავად გატარებული ღონისძიებები მაშინ გამოიღებს შედეგს, თუ იგი დაცული იქნება კონტრაბანდული პროდუქციის შემოღწევისაგან, რომლის წილი დღეის მდგომარეობით ძალიან დიდია. ამას ადასტურებს, თუნდაც, ქვეყანაში იმპორტირებული ჩაის დეკლარირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები. 2000-2007 წლებში საქართველოში დაფიქსირებულია სულ 14641,2 ტონა ჩაის პროდუქციის იმპორტი, ანუ საშუალოდ ერთ წელზე გაანგარიშებით – 2091,6 ტონა, მაშინ როცა ადგილობრივი ბაზრის მოცულობა სულ მცირე 3-4 ათას ტონას შეადგენს. აშკარაა, რომ ძლიერდება ადგილობრივი ბაზრის დაკარგვის ტენდენცია.

დაბოლოს შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ უკლებლივ ყველა ქვეყანაში ჩაის წარმოების რეგულირების, კონტროლისა და განვითარების საკითხებში ძირითად როლს სახელმწიფო ასრულებს, ამასთან გარკვეული ფუნქციები კერძო სექტორსაც აქვს მინიჭებული.

სახელმწიფოს უფლება-მოვალეობას და პასუხისმგებლობას უნდა განეკუთვნებოდეს დარგის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, მეცნიერული კვლევებისა და მისი მიღწევების დანერგვის ხელშეწყობა, ჩაის პლანტაციების ჯიშობრივი განახლების, ნედლეულისა და პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის, სტანდარტების დაცვის კონტროლი, მეჩაიეების (ფერმერების) და გადამმუშავებელ მეწარმეთა ინტერესების დაცვა და მათი საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება, საშინაო ბაზრის დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა.

1.3. მეჩაიეობის განვითარების ეტაპები საქართველოში

საქართველოში ჩაის კულტურის შემოსვლის, მისი ფართო მასშტაბით გავრცელების, ჩაის მოვლა–მოყვანის მეცნიერული საფუძვლების დამუშავების, ახალი მაღალპროდუქტიული სელექციური ჯიშების გამოყვანის, ჩაის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიისა და მეჩაიეობის სხვა რიგ აქტუალურ საკითხებზე არაერთ დიდ მეცნიერსა და მკვლევარს აქვს გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი შრომები. (ი. ორაგველიძე 1957; მ. დავითაშვილი 1966; გ. ქარჩავა 1974). მეცნიერული რეკომენდაციების ადგილობრივი პირობებისადმი მატერიალიზაციის შედეგად მიღწეულია ის დიდმნიშვნელოვანი წარმატებები, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მეჩაიეობის დარგის საბოლოო ფორმირებას და სუბტროპიკულ რეგიონებში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის ამაღლებას.

მეცნიერები საქართველოში ჩაის მცენარის შემოტანის რამოდენიმე თარიღს ასახელებენ. უფრო დამაჯერებლად უნდა ჩაითვალოს გ. ქარჩავას მტკიცება, რომელსაც საქართველოში ჩაის მცენარის შემოტანის თარიღად 1847 წ. მიაჩნია, როდესაც ნიკიტის ბოტანიკური ბაღიდან ჩაის რამდენიმე მცენარე გადაუგზავნიათ ოზურგეთის სააკლიმატიზაციო სანერგეში. 1848 წელს კი ნერგები დაირგო ზუგდიდში დ. დადიანის მამულში. ოზურგეთიდან ჩაის ბუჩქის ნერგები 1857 წ. მიხეილ ერისთავმა გადაიტანა თავის ბაღში გორაბერეჟოულში.

1885 წ. სოლოვცოვმა ჩაქვში პატარა ნაკვეთზე გააშენა პლანტაცია. 1893 წ. ცნობილმა ჩაით მოვაჭრე კ. პოპოვმა დაიწყო ჩაის პლანტაციების გაშენება სალიბაურში, კაპრეშუმში და ჩაქვის მიდამოებში. 1898 წ სალიბაურში და 1899 წ. ჩაქვში ამუშავდა ფოთლის გადამამუშავებელი ფაბრიკები.

ბუნებრივია, იქ სადაც ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი და ზეთისხილი ხარობდა, ჩაის კულტურასაც უნდა ეხარა. ამის უტყუარ პირობას წარმოადგენდა ადგილობრივი კლიმატური პირობები. საჭირო იყო გამოერკვიათ, თუ როგორი შემადგენლობისა იყო აქაური ნიადაგები, როგორ რეაგირებდა მათზე ჩაი. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს გამოჩენილმა რუსმა მეცნიერებმა: ვოეიკოვმა, კრასნოვმა, დოკუჩაევმა, ვილიასმა და სხვებმა.

რუს მეცნიერთა ამ მეტად სასარგებლო შრომას ქართველი საზოგადოებრიობა დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს. მათ შორის აღსანიშნავია: ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა, რომ

მარცვლეული კულტურების შემცირების ხარჯზე გავრცელებულიყო სპეციალური კულტურები და ჩაი, რომლებიც მეტ ეფექტს მოუტანდა სოფლის მეურნეობას.

მიუხედავად მეჩაიეობის დიდი პერსპექტიულობისა და ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა, მეჩაიეობის დარგი ნელი ტემპებით ვითარდებოდა. 1921 წლისათვის საქართველოში ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი წარმოადგენდა 1017 ჰა-ს. ჩაის კულტურების განვითარებისათვის თანმიმდევრული სერიოზული მუშაობა იწყება 1926 წლიდან, როდესაც შეიქმნა სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი", რომელმაც თავისი საქმიანობა დაიწყო ჩაის ფაბრიკების აშენებით და არსებულის კეთილმოწყობით. მის პარარელურად მოსახლეობას ურიგებდნენ თესლს, ჩაის პლანტაციების გასაშენებლად დაიწყეს სესხების გაცემა.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ხელისუფლებამ საფუძვლიანად მოჰკიდა ხელი ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენაბას, რის შედეგადაც ისტორიულად მოკლე პერიოდში საქართველოში ჩაი გადაიქცა ეროვნულ კულტურად. ამ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში დიდია მეცნიერების როლი. 1927 და 1928 წლებში ჩაქვსა და ზუგდიდში ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესასწავლად დაარსებული იქნა საცდელი სადგურები ჩაის კულტურის დარგში. 1930 წელს ანასეულში (ოზურგეთის რაიონი) შეიქმნა ჩაის მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის კოლექტივის მიზანდასახული მუშაობის შედეგად, შემუშავდა მსოფლიო სუბტროპიკების უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარზე სუბტროპიკული კულტურების მოვლა–მოყვანის ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები, მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. შეირჩა ზონის ნიადაგურ–კლიმატური პირობები, დადგინდა სუბტროპიკული კულტურების გავრცელების შესაძლო საზღვრები, დამუშავდა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, განოყიერების, მავნებელ-ავადმყოფთაგან მცენარეთა დაცვის სისტემები. ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი იქნა სამამულო ჩაის ჯიშ–პოპულაციები, რომელთაგან 9 იქნა დარაიონებული. კლონური სელექციის შედეგად შერჩეულია ჩაის პერსპექტიული ფორმა №257, რომელიც 1972 წლიდან დარაიონებულია ჯიშ „კოლხიდას" სახელწოდებით. ინსტიტუტში დამუშავდა ჯიშ „კოლხიდას" ვეგეტატიური გამრავლებისა და სარგავი მასალის წარმოების პროგრესული ტექნოლოგია (ვ. ჯაყელი, ზ. გაბრიჩიძე), შეიქმნა ნერგის სამრეწველო წარმოების

მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, სადაც 1970–85 წლებში გამოყვანილი იქნა ას მილიონზე მეტი აღნიშნული ჯიშის ნერგი, რომლითაც საქართველოს მეჩაიეობის რაიონებში გაშენდა 5000 ჰა მაღალპროდუქტიული პლანტაცია. დიდი ყურადღება დაეთმო ჩაის მოვლა–მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, შეიქმნა ჩაის სასხლავი და საკრეფი მობილური მანქანები, ხელის მოტორიზებული აპარატები.

1952 წელს ინსტიტუტის ტექნოლოგიის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ახალი კვლევითი დაწესებულება – ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც 1986 წელს ისევ შეუერთდა ინსტიტუტს და ამჟამად ცნობილია, როგორც ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება.

ფართო ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და სამამულო სუბტროპიკული მემცენარეობის შემდგომ განვითარების დარგში ყოფილმა დირექტორებმა ი. ბერიძემ (1930), ზ. ხატიაშვილმა (1931-1932), ა. ბობოხიძემ (1932-1936), ა. გიგინეიშვილმა (1937-1938), ი. მარუაშვილმა (1939-1941), ბ. იაკობაშვილმა (1941-1943), გ. ურუშაძემ (1943-1946), ი. გამყრელიძემ (1946-1966), ვ. ჯაყელმა (1967-1988), რ. ჯინჯოლიამ (1988-1995), ვ. ცანავამ 1995 წლიდან.

ფასდაუდებელია იმ მეცნიერთა წვლილი, რომლებმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებას მოახმარეს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ: ტ. კვარაცხელია, ქ. ბახტაძე, ვ. ვორონცოვი, მ დარასელია, შ. გიგიბერია, ი. ლომია, ი. ჩხაიძე, ი. გამყრელიძე, მ. გაბისონია, ვ. იოსავა, გ. ურუშაძე, შ. პატარაია, მ. სიხარულიძე, გ. გოლეთიანი, შ. ზალდასტანიშვილი, მ. გოჩოლაშვილი, ვ. ალექსეევი, მ. ბზიავა, დ. პატარავა, ს. ფირცხალაიშვილი, ვ. ჯაში, გ. ჩხაიძე, ვ. გვასალია.

1952 წელს ქუთაისში გაიხსნა სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი, რომელიც ამზადებდა სუბტროპიკული მეურნეობის, მისი მომსახურე მექანიზაციის და სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის ტექნოლოგიის სპეციალისტებს. აღნიშნული ინსტიტუტი 1959 წელს გადავიდა სოხუმში – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სახელწოდებით. 1993 წლიდან, ცნობილი მოვლენების შემდეგ, ინსტიტუტი კვლავ ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში.

აღნიშნულ წლებში ინსტიტუტმა ქვეყანას მოუმზადა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ სუბტროპიკულ მეურნეობებსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში.

მეჩაიეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ–ერთი წამყვანი დარგის ფორმირება საქართველოში ძირითადად 1930-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან საფუძველი ეყრება სუბტროპიკული ტიპის სპეციალიზირებული მეურნეობების ჩამოყალიბებას, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის უზრუნველყოფა სუბტროპიკული კულტურების პროდუქტებით. საქართველოში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ახალი დარგი – სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა.

მას შემდეგ, რაც დაიწყო მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია, ჩაის პლანტაციების გაშენების ტემპები გაიზარდა. მარტო ერთ 1931 წელს გაშენდა 7,873 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია.

ჩაის პლანტაციების ფართობი 1913 წლის 900 ჰექტარიდან 1967 წლისათვის გაიზარდა 62,7 ათას ჰექტრამდე, ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ მოვლენას, რომ მრავალწლიანი კულტურების ფართობის ზრდა განხორციელდა დაბალი კატეგორიის მიწების მელიორაციისა და გაკულტურების სხვა ღონისძიებების შედეგად.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონები, რომელთა სოფლის მეურნეობა მეფის მთავრობის დროს მკვეთრად გამოსახული ცალმხრივი – მონოკულტურის (ძირითადად, სიმინდის წარმოების) ხასიათს ატარებდა, მრავალდარგოვან, სპეციალიზებულ, ინტენსიურ მეურნეობად იქცა.

ამრიგად, დაიწყო ჩაის მეურნეობის ნამდვილი განვითარება. 1940 წლისათვის ჩაის პლანტაციის საერთო ფართობი 49,6 ათას ჰექტარს შეადგენდა. ამ წელს ჩაის პირველადმა გადამმუშავებელმა საწარმოებმა 52 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული მიიღეს და 13 ათას ტონაზე მეტი მზა პროდუქცია გამოიმუშავეს. (ცხრ. 1.3.1).

ჩაის ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდის დინამიკა

საქართველოში

ცხრილი 1.3.1

წლები	ჩაის მთლიანი ფართობი (ათასი ჰა)	მათ შორის მოსავლიანი (ათასი ჰა)	ჩაის მთლიანი მოსავალი (ათასი ტ)	მოსავლიანობა ჰექტარზე (ცენტნერი)	ჩამოწერილი ფართობების რაოდენობა (ჰა)
1940	49,6	–	51,3	22,9	24,9

1945	51,5	40,2	20,3	5,0	–
1950	48,6	40,2	83,7	20,8	3,081
1955	66,1	43,1	117,4	27,2	21,03
1960	55,6	49,1	156,8	31,9	2,182
1965	62,6	50,6	186,1	36,6	1,686
1970	64,8	54,5	258,9	48,5	1,170
1975	65,8	55,1	334,6	60,4	8,36
1980	66,8	55,8	501,8	90,0	10,50
1985	65,9	54,6	581,7	101,8	6,82
1990	66,5	57,1	515,0	90,2	–
1998	47,3	–	130,0	7,22	19,20

ცხრილი შედგენილია გ, ჩხაიძის და სახ. პროგრამა „ჩაი"–ს მიხედვით

როგორც მონაცემები მიუთითებს, ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავლის ზრდა სარეკორდოა 1985 წელს, როდესაც 54,6 ათას ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციაში მოიკრიფა 581,7 ათასი ტონა ნედლეული 102 ცენტნერი საშუალო საჰექტარო მოსავლიანობით.

სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ფორმირების პროცესში გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაადგილების, სპეციალიზაციის და ზონალურ თავისებურებათა საკითხების შესწავლას. იგი არაერთხელ გამხდარა სადირექტივო ორგანოების მსჯელობის საგანი. მიუხედავად ამისა, რაციონალური გაადგილებისა და სპეცილიზაციის საკითხები, ზონალურ თავისებურებათა, ადგილობრივი პირობებისა და თითოეული მეურნეობის სპაციალიზაციის გათვალისწინებით, სრულყოფილად მაინც ვერ განხორციელდა.

კონკრეტულად, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და გაადგილების საკითხი ჯერ კიდევ ადრე, ქართველ აგრარიკოს–ეკონომისტთა კვლევის საგანს წარმოადგენდა. ამ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი კაპიტალური გამოკვლევები ცნობილმა მეცნიერებმა პ. გუგუშვილმა, ვ. ჯაშმა, პ. ჟღენტმა, ი. მიქელაძემ, ვ. პაპუნიძემ, გ. კუპრეიშვილმა, ი. ორაგველიძემ, დ. ბერუჩაშვილმა და სხვებმა.

საქართველოს სუბტროპიკული ზონის სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე დროის

მეტად მოკლე მონაკვეთში შეიქმნა ჩაის, ციტრუსების, დაფნის, ტუნგის და სხვა სუბტროპიკული კულტურების მძლავრი სამამულო მეურნეობა, რომელიც იმ დროისათვის თავმოყრილი იყო 540 სპეციალიზებულ კოლმეურნეობებსა და 51 სახელმწიფო მეურნეობაში – რომლებიც პირობითად დასავლეთ საქართველოს 3 ძირითად გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ რაიონებში ფუნქციონირებდნენ. (ცხრილი 1.3.2).

ჩაის კულტურის განლაგება გეოგრაფიული და ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით 1985 წლისათვის (გ. ჩხაიძის მიხედვით).

ცხრილი 1.3.2

რაიონები	ფართობები		მთლიანი მოსავალი		საშუალო მოსავალი	
	ჰა	% ჯამის მიმართ	ათასი ტონა	% ჯამის მიმართ	ც/ჰა	% ჯამის მიმართ
1.აჭარა-გურიის რაიონები: (სამხრეთის ზონა) ქობულეთი,ხელვაჩაური,ქედა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური	18904	29.4	199.7	37.1	110.5	113.2
2.იმერეთის რაიონები: (აღმოსავლეთი ზონა) ხონი, წყალტუბო, ტყიბული, სამტრედია,თერჯოლა,ჭიათურა ვანი, ზესტაფონი, საჩხერე	6002	9.5	45.3	8.6	84.1	86.0
3.სამეგრელო-აფხაზეთის რაიონები (ჩრდილოეთის ზონა) ზუგდიდი, მარტვილი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი, აბაშა, გალი, ოჩამჩირე, გუდაუთა, გულფრიში, სოხუმი	38470	60.6	288.7	51.3	94.5	96.8
სულ საქართველოში	63263	100	533.5	100	97.6	100

როგორც მონაცემები მიუთითებენ, დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული რაიონების ნიადაგური და სხვა ფაქტორების არაერთგვაროვნებამ განსაზღვრა ამ ზონებში ჩაის კულტურის განვითარების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები. (ს. მელიმონაძე 1966). ასე მაგალითად, აჭარა-გურიის რაიონებში გაშენებულია რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების მთლიანი ფართობის 29,9%, საიდანაც მიიღება მთლიანი მოსავლის 37,9%; სამეგრელო–აფხაზეთის რაიონებზე მოდის მთლიანი ფართობის 60,6%, მთლიანი მოსავლის–51%; იმერეთის რაიონებზე შესაბამისად – 9,5% და 8,6%; საშუალო საჰექტარო მოსავლიანობით: აჭარა-გურიის ზონა – 113,2 ც/ჰა; სამეგრელო-აფხაზეთის ზონა – 94,5 ც/ჰა; იმერეთის ზონა – 84,1 ც/ჰა.

აღნიშნულ გეოგრაფიულ – ადმინისტრაციულ ზონებში ფუნქციონირებდნენ ისეთი მძლავრი სპეციალიზებული მეურნეობები, როგორიცაა აჭარა–გურიაში: ჩაქვის, ოჩხამურის, ცეცხლაურის, ლაითურის, ნასაკირალის, ნარუჯის; სამეგრელო–აფხაზეთში: ინგირის, დიდი-ჭყონის, ზედა-ეწერის, ხეცერის, ნარაზენის, ვედიდკარის, ხიბულის, წალენჯიხის, ლესეჭინეს, აჩიგვარის, მერკულის, ჭუბურხინჯის, სიდას, ხუმუშკურის, მზიურის ბარღების, გალის – მეურნეობები. აღნიშნულ მეურნეობათა შორის მეურნეობა–გიგანტად წოდებული იქნა ოზურგეთის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც 1000 ჰექტარამდე ჩაის პლანტაციის ფართობიდან ყოველწლიურად 8–9 ათას ტონა ხარისხოვან ნედლეულს ამზადებდა. მეურნეობამ ქვეყანაში დასაბამი მისცა ჩაის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას, სრული ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშრომელთა სოციალური და ეკონომიკური პირობების პროგრესულ გაუმჯობესებას.

საქართველოში ჩაის პლანტაციების ინტენსიურ განვითარებას და მეჩაიეობის დარგის დიდ პერსპექტივებს ვერ ეგუებოდა მსოფლიო ჩაის მწარმოებელი დიდი კომპანიები. მათ იცოდნენ, რომ საქართველოს სახით ჩაის მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი კონკურენტები გაუჩნდებოდათ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ისტორიული ფაქტი: როდესაც საბჭოთა სახელმწიფომ საქართველოში ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის შესარჩევად საკონსულტაციოდ მოიწვიეს უცხოელი სპეციალისტები, – იმ დროს მსოფლიოში ცნობილი მეჩაიე დოქტორი არილდ მანი, ინდოელი პლანტატორი ბარბერი და სხვები, მათ შემოიარეს საქართველოს სუბტროპიკული რაიონები და განსაკუთრებით, სამეგრელოს ზონაში, სუბტროპიკულ ეწერმიწა ნიადაგებზე კატეგორიულად უარყვეს ჩაის გაშენების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ 30-40–იან წლებში ქართველ მეცნიერებს და სპეციალისტებს არ გააჩნდათ ამ დარგში მუშაობის საკმაო გამოცდილება, ისინი წინ აღუდგნენ უცხოელ სპეციალისტთა მტკიცებებს, დაძაბული მეცნიერული კვლევითა და ძიებით, წარმოებასთან მჭიდრო კავშირით შეიმუშავეს ჩაის კულტურის სწორი გაადგილების, რაციონალური კვების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა, რითაც დოქტორ მანის მიერ დაწუნებულ მიწებზე ზუგდიდის რაიონში შეიქმნა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მაღალი პროდუქტიულობითა და მაღალი რენტაბელობით.

ჩაის კულტურის გავრცელებამ და წარმოების განვითარებამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. იგი ამ რეგიონებში არსებული მოსახლეობის მატერიალურ–კულტურული დონის ამაღლების ერთ–ერთი ძირითადი წყარო გახდა.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მემცენარეობიდან მიღებული შემოსავლის 49.3% ჩაის კულტურაზე მოდიოდა.

80-იან წლებში მეჩაიეობაზე მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 18%-ზე და მიღებული მოგების 40%-ზე მეტი. სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ჩაის მრეწველობის ხვედრით წონა 12%-ს აღემატებოდა. ასეთივე იყო მისი ხვედრითი წონა ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში (გ. ბიბილეიშვილი 1980, ნ. ქარქაშაძე 1982).

ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების რაციონალურად გამოყენებისა და ფართოდ გავრცელებული სამელიორაციო სამუშაოთა შედეგად საქართველოში შეიცვალა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის საწარმოო სტრუქტურა და სპეციალიზაციის ხასიათი. როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონები, რომლის სოფლის მეურნეობა მკვეთრად გამოხატული ცალმხრივი მონოკულტურის (ძირითადად, სიმინდის წარმოების) ხასიათს ატარებდა, მრავალდარგოვან, სპეციალიზებულ ჩაის, ციტრუსების და სხვა კულტურების ინტენსიურ მეურნეობად იქცა.

ჯერ კიდევ 1917 წლს საქართველოში ფიქსირებული 2 მილიონ 338 ათასი მაცხოვრებლიდან, სუბტროპიკულ ზონაზე მოდიოდა 1 მილიონამდე კაცი, რომელთა დასაქმებას ვერ უზრუნველყოფდა მაშინდელი ცალმხრივად განვითარებული სოფლის მეურნეობა; მუშახელის დიდი ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა და ჭარბ აგრარულ მოსახლეობას წარმოადგენდა. ადგილობრივი

მკვიდრნი სამუშაოს საძებნელად ქალაქებსა და ნავსადგურებში მიდიოდნენ. დაუსაქმებელი მოსახლეობის გადატაკებისა და გაჩანაგების პროცესი სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა.

საქართველოს სუბტროპიკული ზონის სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები თავისი სამეურნეო-კულტურული შედეგებით იმის საუკეთესო ილუსტრაციაა, თუ როგორ შეიცვალა ე. წ. ჭარბი აგრარული მოსახლეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

როგორც პროფ. ვ. ჯაყელი (1970, 1992წ) აღნიშნავდა – ქვეყანაში განხორციელებულმა გარდაქმნებმა გავლენა მოახდინეს მანამდე მთვლემარე საწარმოო ძალებზე. მოსახლეობის დიდი ზრდის მიუხედავად, სუბტროპიკული ზონის რაიონებში მთელი მოსახლეობა ჩაბმულია საზოგადოებრივი შრომის ფერხულში. სავსებით ლიკვიდირებულია აგრარული ჭარბი მოსახლეობა, ისტორიას ჩაბარდა უმუშევრობა. სუტროპიკული კულტურების რაიონებიდან არათუ სადმე მიდიოდა მუშახელი სამუშაოდ, არამედ ეს სამეურნეო მხარე თვით საჭიროებდა მუშახელით დახმარებას, განსაკუთრებით, ჩაის ფოთლისა და ციტრუსების ნაყოფების კრეფის სეზონზე.

ამრიგად, ადამიანებმა თავიანთი წინასწარ გააზრებული, დაუღალავი და ორგანიზებული მოქმედებით კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენეს ერთ დროს გაუვალი ტყე-ბუჩქნარითა და ჭაობებით დაკავებული მიწები, რასაც შედეგად მოჰყვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების მოშენება ამ მიწებზე, რამაც არსებითად შეცვალა საცხოვრებელი ადგილის გარეგანი სახე, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონე და თვით კლიმატიც კი.

რესპუბლიკაში ჩაის წარმოების ერთ-ერთ წამყვან რაიონად ოზურგეთი ითვლებოდა (მაშინდელი მახარაძე). აქ მზადდებოდა საქართველოში წარმოებული ჩაის ფოთლის 19-20%, მაშინ, როდესაც ჩაის პლანტაციის ფართობი 14% შეადგენს. 1965 წელს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საერთო ფულადი შემოსავლიდან 29.2 მლნ მანეთი – მეჩაიეობაზე – 23.3 მლნ. მანეთი მოდიოდა, ანუ 80%. 1970 წელს 39.7 მლნ. მანეთიდან მეჩაიეობიდან მიღებული იყო 30.5 მილ. მანეთი. 80-90-იან წლებში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა და ჩაის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი 100-125 მლნ მანეთს შეადგენდა.

ოზურგეთის რაიონში მეჩაიეობის დარგის ასეთი აღმავლობა პირდაპირ აისახა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო

პირობების ყოველწლიურ გაუმჯობესებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის სფეროების მომსახურეობას. ამ მხრივ ადამიანი თითქმის უზრუნველყოფილი და სახელმწიფოს მიერ დაცული იყო.

მეჩაიეობაში მიღწეული წარმატებებისათვის ბევრი სასიქადულო პიროვნების მუშაობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნება. საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირები გახდნენ აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე (ჩაის ქართული სელექციური ჯიშების გამოყვანისათვის); პროფესორი შალვა კერესელიძე (ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" კონსტრუირებისათვის), რომელსაც შემდგომ ლენინური პრემიაც მიენიჭება. სამეგრელოს რაიონში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ და ანთიმოზ როგავამ. გურიის რაიონებში ოქროს ვარსკვლავით მკერდი დაიმშვენეს ტატიანა ჩხაიძემ, მიხაკო ორაგველიძემ და მრავალმა სხვამ.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაიე–მექანიზატორი ვალერიან მეუნარგია სოციალისტური შრომის გმირი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა (მ. დავითაშვილი, 1979).

ძნელია დაასახელო ყველა იმ ადამიანთა სახელები, რომელთა პროფესიონალურმა ნიჭმა, ორგანიზატორულმა საქმიანობამ და ჩაის კულტურისადმი სიყვარულმა საქართველოს მეჩაიეობას მსოფლიო მასშტაბით გაუთქვეს სახელი და იგი ჩაის მწარმოებელ კლასიკურ ქვეყნებს შორის მე-5 – მე-6 ადგილზე გაიყვანეს. მის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ქართველი მეცნიერებისა და წარმოების სპეციალისტების ყოველწლიური მივლინებები ჩაის მწარმოებელ კლასიკურ ქვეყნებში (ინდოეთი, ცეილონი, ჩინეთი, ვიეტნამი, იაპონია და სხვა). ქართველი სპეციალისტები გამოცდილების გაზიარების მიზნით მჭიდრო კონტაქტს ამყარებდნენ უცხოელ კოლეგებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებთან. ჩაის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების სფეროში ბევრი ქართული ტექნოლოგია დაინერგა ინდოეთის, ვიეტნამის და სხვა ქვეყნების მეჩაიეობაში. მაგალითად, ჩაის ქართული ჯიშები გაშენდა ირანის, თურქეთის, ვიეტნამის, მაროკოს მეჩაიეობის რეგიონებში. სადღეისოდ ფართო დაინტერესებას გამოხატავენ ეს ქვეყნები ჯიშ „კოლხიდას" მათ ქვეყნებში ფართოდ დანერგვის მიზნით. მეჩაიეთა ქართულმა სკოლამ ბევრი უცხოელი სპეციალისტი გაზარდა. ისინი ყოველწლიურად სტაჟირებას გადიოდნენ ჩაისა და

სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში და მეჩაიეობის მიმართულების სხვა ორგანიზაციებში.

ამრიგად, ისტორიულად მოკლე დროში შეიქმნა ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის შემსწავლელი სამამულო მეცნიერება. ამ მეცნიერებაზე დაყრდნობით ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მსხვილი საზოგადოებრივი და გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბებას, გადამამუშავებელი საწარმოების ორგანიზაციას, რომლებიც თავიანთი პროდუქტიულობით როდი ჩამოუვარდებოდნენ ჩაის მწარმოებელ მთელ რიგ კლასიკურ ქვეყნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მეჩაიეობის დარგს საქართველოში საუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი გზა განვლო ნახევრადკუსტარული წარმოებიდან თანამედროვე, მძლავრ ინდუსტრიულ მრეწველობამდე და საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ მსხვილ ჩაის მწარმოებელ ქვეყანად იქცა. ჩაის დარგის განვითარებას ბიძგი მისცა სანქტ-პეტერბურგში გამართულ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე, ასევე 1900 წელს პარიზის, ხოლო 1934 წელს – ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე ქართული ჩაის პროდუქციის მაღალმა შეფასებამ და ოქროს მედლის მიღებამ.

უკვე საუკუნეს გადაცილებულმა მეჩაიეობის დარგმა ქვეყანაში სხვადასხვა დროს შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების პირობებში გარკვეული ეტაპობრივი ცვლილებები განიცადა. მნიშვნელოვანია დავახასიათოთ დარგის განვითარების ცალკეული, ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული ეტაპები (იხ. სქემა 1). მეჩაიეობის განვითარების პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1847 წლიდან 1900 წლამდე, როდესაც დაიწყო მოსინჯვითი სამუშაოები საქართველოში ჩაის მცენარის ინტროდუქციისა და შავი ზღვისპირეთში (ჩაქვის მიდამოები) რუს მემამულეთა საუფლიწულო მამულებში მისი გაშენების თაობაზე.

მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1900-1925 წლამდე, როდესაც ჩაის კულტურის გაშენება ძირითადად კერძო მონოპოლიურ ხასიათს ატარებდა. კერძო მამულებში გაშენებული ჩაის ფართობების საერთო რაოდენობამ 13 ათას ჰექტარს მიაღწია.


მეჩაიეობის განვითარების ეტაპები
1847-1900 წწ.
ჩაის მცენარის ინტროდუქციისა
და ექსპერიმენტის ეტაპი
1900-1925 წწ.
ჩაის კულტურის ადაპტაციის
ეტაპი
1925-1940 წწ.
მეჩაიეობის ინტენსიური
განვითარების ეტაპი
1946-1970 წწ.
მეჩაიეობის სტაბილურობისა და
აღმავლობის ეტაპი
1970-1990 წწ.
მეჩაიეობის დიქტატორული მართვისა
და დეპრესიის საწყისი ეტაპი
1990 წლიდან დღემდე
მეჩაიეობის დეგრადაციის ეტაპი

აშენდა პირველი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები (სალიბაური, ჩაქვი, ზვანი, აცანა). ამ პერიოდს ჩაის მცენარის ადაპტაციის, ანუ შეგუების ეტაპი შეიძლება ეწოდოს.

მესამე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1925-1940 წლამდე, როდესაც შეიქმნა სააქციო საზოგადოება "საქართველოს ჩაი", ამ პერიოდში მოეწყო სუბტროპიკული რაიონების შესწავლა ტერიტორიული, გეობოტანიკური, კლიმატური და სხვა ნიშნების მიხედვით, შეიქმნა სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც დაევალა ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანისა და მზა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება, სათესლე მეურნეობათა ორგანიზაცია, საცდელი მეურნეობების მოწყობა, კადრების მომზადება და სხვა. ამ პერიოდში საქართველოში გაშენდა დაახლოებით 30 ათასი ჰექტარი ჩაის სამრეწველო პლანტაცია, აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 50 ჩაის პირველადი გადამამუშავებელი ფაბრიკა. ამ პერიოდში ქვეყანამ (ყოფილი საბჭოთა კავშირი) ჩაიზე და მის პროდუქციაზე მონოპოლია გამოაცხადა. პერიოდს შესაძლებელია მეჩაიეობის ინტენსიური განვითარების ეტაპი ეწოდოს.

მეოთხე ეტაპი წარმოდგენილია 1946-1970 წლებით, როდესაც საბოლოოდ ვითარდება მეჩაიეობის დარგის მეცნიერება, ჩაის ნედლეულის წარმოება და გადამამუშავებელი მრეწველობა. ყოველწლიურად ქვეყანა ამ დარგში სტაბილურ მაჩვენებლებს და მსოფლიო სტანდარტებს აღწევს. აღნიშნულ პერიოდს შეიძლება ეწოდოს მეჩაიეობის სტაბილურობისა და აღმავლობის ეტაპი. 1970 წლისათვის ქვეყანაში წარმოებულ იქნა 259 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, პლანტაციების საერთო ფართობმა 65 ათას ჰექტარს მიაღწია, ხოლო მოსავლიანობა 48,5 ცენტნერს შეადგენდა. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაიზე ვერ კმაყოფილდებოდა, რის გამოც ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ დიდი რაოდენობის მზა პროდუქცია, რაზედაც ვალუტის დიდი თანხები იხარჯებოდა. ასე მაგალითად, 1980-1989 წლების განმავლობაში საზღვარგარეთიდან შემოტანილი იქნა 1 101 241 ტონა მზა პროდუქცია, რაზედაც 1,9 მილიარდი მანეთი დაიხარჯა.

საკუთარი წარმოების ჩაით ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მაქსიმალური დაკმაყოფილებისა და ჩაის იმპორტზე გაწეული ხარჯების შემცირების მიზნით, 1970 წლიდან საქართველოში მეჩაიეობის დარგის დიქტატორული მართვის ეტაპი დაიწყო (მეხუთე ეტაპი – 1970-1990 წლები).

უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად უნდა გაზრდილიყო მზა პროდუქციის წარმოება, ამასთან, გათვალისწინებული იყო ახალი პლანტაციების გაშენებაც. კომუნისტური მართვის პერიოდში მკვეთრად იზრდებოდა ჩაის ფოთლის წარმოების ყოველწლიური გეგმები. 1970 წელთან შედარებით, ჩაის ფოთლის დამზადებამ 1980 წელს 502 ათასი ტონა შეადგინა, ე.ი. საჰექტარო მოსავლიანობა გაორმაგდა, 1985 წლისათვის კი, როგორც აღვნიშნეთ, ჩაის ფოთლის დამზადებამ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია და 582 ათასი ტონა შეადგინა; საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 10,2 ტონას მიაღწია. შედეგად, ქართული ჩაის ღირსება შეილახა. მკაცრი ექსპლუატაციის გამო პლანტაციების მდგომარეობა გაუარესდა, პროდუქციამ დაკარგა თავისი პირვანდელი სახე. მეჩაიეობაში დაისადგურა კორუფციამ.

მეექვსე ეტაპი იწყება 1990 წლიდან. ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო მეჩაიეობის დარგმა დაკარგა პროდუქციის გასაღების სტაბილური ბაზარი და ექსტრემალურ პირობებში აღმოჩნდა. ქვეყანას არ გააჩნია ფინანსური და მატერიალური სახსრები, რათა დარგი იხსნას სრული კატასტროფისაგან. პერიოდს შესაძლებელია ეწოდოს დარგის დეგრადაციისა და ქაოსის ეტაპი.

მიუხედავად მეჩაიეობის დარგში შექმნილი რთული ვითარებისა, საქართველოს სახელმწიფოებრიობამ საბაზრო ეკონომიკისა და ფასების ლიბერალიზაციის პირობებშიც კი, უნდა შეძლოს დარგის ეტაპობრივი რეაბილიტაცია და დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების რეალური გაუმჯობესება.

1.4. საქართველოში ჩაის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა: მიღწეული დონე და ნაკლოვანებები

გარდამავალი პერიოდის თავისებურებებისა და ახალ პირობებში ეროვნული მეურნეობის განვითარების გზაზე დაშვებული შეცდომების შედეგად წარმოშობილმა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური რეფორმების

გატარების აუცილებლობა განაპირობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ურთიერთობების პროცესის დაჩქარებას გულისხმობდა მატერიალური წარმოების სფეროში. ბუნებრივია, ეს პროცესი შეეხო მთლიანად აგროსამრეწველო სექტორს, მათ შორის ჩაის წარმოების დარგსაც.

მეჩაიეობაში ეკონომიკური რეფორმები ძირითადად 1994-1995 წლებში, ანუ ეროვნული მეურნეობის რეფორმების პირველ ეტაპზე განხორციელდა. შედეგად, მოხდა ჩაის ფაბრიკების აბსოლუტური უმრავლესობის განსახელმწიფოებრიობა. კერძოდ, 1994-1995 წლებში პრივატიზებულ იქნა 77 ჩაის ფაბრიკა და კომბინატი, მათ შორის 71 ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად, ერთი საწარმო პრივატიზებულ იქნა კონკურსის წესით, ხოლო ხუთი კი იჯარის ფორმით იქნა გამოსყიდული. შემდგომ ეტაპზე, მეჩაიეობაში განვითარებული სტაგნაციის გამო, შენელდა პრივატიზების ეკონომიკური მოტივაცია. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე დარგში ჩამოყალიბდა კერძო ფირმები: სს "ქართული ჩაი", შპს "ბაკო", სს "ქობულეთის ჩაი", სს "ზღვაია" და მრავალი სხვა, მათ შორის უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შპს "მარტინ-ბაუერ-თბილისი", რომელსაც დღეს ქართული ჩაის ბაზარზე 60%-ზე მეტი სეგმენტი უჭირავს.

ჩაის წარმოების ეკონომიკური მოტივაციის უქონლობის გამო, რეფორმების საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული საზოგადოებების უმეტესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, უმოქმედოა და უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა აქვთ.

მეჩაიეობაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სექტორალურმა კრიზისმა სისტემური ხასიათი შეიძინა და საქართველოში ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა 20-25 ათას ტონამდე, რითაც მან ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეექვსედან მეცამეტე ადგილზე გადაინაცვლა. შემცირდა პროდუქციის ექსპორტი და ერთეული პროდუქციის ფასი. დაიკარგა არამარტო საზღვარგარეთის ქვეყნების, არამედ ადგილობრივი ბაზარიც.

საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის ამოქმედების შედეგად, 1995-1999 წლებში შეიმჩნეოდა აგროსამრეწველო კომპლექსის, მათ შორის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის განვითარება (იხ. ცხრილი 1.4.1). სამწუხაროდ, წარმოების ერთგვარი ზრდა ჩაის წარმოებაში ძირითადად მიღწეული იყო ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე.

სხვადასხვა სახეობის ჩაის პროდუქციის მოხმარების
დინამიკა საქართველოში 1994-2005 წლებში
(ათასი ტონა)

ცხრილი 1.4.1

პროდუქციის დასახელება	წლები											
	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
ჩაის პირველადი გადამუშავება	13,4	8,0	8,9	9,2	10,0	12,9	4,8	4,7	4,5	4,4	3,3	2,5
შავი ბაიხის ჩაი	-	6,7	5,8	6,3	8,4	11,8	4,4	4,2	3,8	3,6	2,1	1,9
მწვანე ბაიხის ჩაი	-	1,3	3,1	3,0	1,6	1,1	0,4	0,3	0,7	0,8	1,2	0,6
ნატურალური ჩაი	4,5	4,2	3,7	7,8	4,8	4,5	3,0	3,8	3,1	4,1	4,3	4,2
მ.შ. შეფუთული (ყველა სახის შეფუთვა)	4,0	2,0	2,8	6,4	3,0	2,6	1,9	2,7	1,7	1,8	1,8	1,4
აგურა ჩაი	0,5	2,2	1,0	1,3	1,9	1,9	1,1	2,7	1,4	2,3	2,5	2,8
გრანულირებული ჩაი	-	-	-	0,1	0,9	0,6	0,5	0,7	0,8	0,3	0,2	0,2
ხსნადი ჩაი	-	-	-	-	-	-	0,04	0,06	0,06	0,01	0,02	0,01

[1]საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

მეჩაიეობაში სისტემური კრიზისის ჩამოყალიბება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, რომელთაგან აღსანიშნავია:

– სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევა და ქართული ჩაის რეალიზაციის ბაზრების დაკარგვა;

– მსოფლიოში მეჩაიეობის განვითარების ტენდენციების, პროდუქციაზე მოთხოვნილებისა და ფასების შესახებ საიმედო და სისტემატური ინფორმაციის უქონლობა;

– საბაზრო გარემოში წარმოების მართვის (მენეჯმენტის) უცოდინარობა;

– ჩაის ფაბრიკების ცალმხრივი პრივატიზება, პრივატიზებისას ნედლეულის მწარმოებლების ინტერესების გაუთვალისწინებლობა, ინტეგრირების ფორმების, კოოპერაციული საზოგადოებების ჩამოყალიბების სრული იგნორირება;

– ჩაის ფოთლის გადამუშავება ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილ ტექნოლოგიურ ხაზებზე, რომლითაც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება;

– ჩაის ფაბრიკების დიდი ენერგოტევადობა, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების უქონლობა, ენერგომატარებლების გაძვირება, მათი იმპორტის (ელექტროენერგია, მაზუთი და სხვა) აუცილებლობა;

– ჩაის ფაბრიკებისა და ჩაის პლანტაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის სრული მოშლა, მათზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მოთხოვნილების უქონლობის გამო;

– აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობის შედეგად ჩაის პლანტაციების გატყევება (20-25 ათასი ჰექტარი) და ექსპლუატაციისათვის ვარგისი ფართობების შემცირება (20-22 ათასი ჰექტარი), ნიადაგის გაუნოყიერებლობის გამო დუყის წარმოქმნის ინტენსივობის შემცირება და მისი ორგანოლეპტიკური მახასიათებლების გაუარესება;

– მეჩაიეობის რეგიონებში ნიადაგურ-კლიმატური პირობების, რელიეფის თავისებურების გათვალისწინებით, ჩაის სხვა კულტურებით მასობრივად ჩანაცვლების შეუძლებლობა (თხილისა და სხვა კულტურების პროდუქციის წარმოებით შესაძლებელია მხოლოდ პროცესის სიმწვავის ნაწილობრივ შესუსტება);

– ფასების დისპარიტეტი და მისი ზრდის ტენდენცია ჩაის მზა პროდუქციასა და მეჩაიეობაში გამოყენებულ სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე, რაც თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში, სხვა შემზღუდავი ან წამახალისებელი ღონისძიებების გაუტარებლობის გამო, ართულებს კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქციის გამოშვებას;

– სახელმწიფოს დავალებით თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ 1994-1995 წლებში გადატვირთული ჩაის პროდუქციის ღირებულების დიდი დაგვიანებით, ნაწილობრივ ნატურით ანაზღაურება;

– მეჩაიეობის დეგრადაცია ხელსაყრელი საკრედიტო რესურსების უქონლობის, საგირავნო ქონების არალიკვიდურობის, ჩაის ფაბრიკების ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე დავალიანებების, სასესხო ვალდებულებების, მათზე დარიცხული სანქციების გამო, ძველი, ინერციული აზროვნების შედეგად ყველა სახეობის ჩაის ფაბრიკის ხელაღებით პრივატიზება, სახელმწიფოს საკუთარებაში დარჩენილი აქციების ნულოვან აუქციონზე გაყიდვა, ეკონომიკური

მოტივაციის უქონლობის გამო, ამავე ჩაის ფაბრიკების აქციების ფასიანი ქაღალდების მეორედ ბაზარზე გამოტანის შეუძლებლობა, საინვესტიციო გარემოს გაუარესება.

მეჩაიეობაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი, სხვა თანაბარ პირობებში, წარმოების ეფექტიანი განვითარების საშუალებაა და არა მიზანი. საბაზრო გარემოს არარსებობის შემთხვევაში, წარმოების, პროდუქციის რეალიზაციის დივერსიფიკაცია, რაც გარდუვალად სდევს ეკონომიკურ რეფორმებს, უკუეფექტს იძლევა, რაც ნათლად გამოჩნდა ჩაის მაგალითზე.

მეჩაიეობაში განვითარებული სისტემური კრიზისი უწინარესად განპირობებულია ეროვნულ ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევი ისეთი საერთო მიზეზებით, როგორიცაა: ბაზრების დაკარგვა, სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევა, ახალ გარემოში სამეურნეო-საწარმოო და ფინანსური საქმიანობის უცოდინარობა, ტექნოლოგიური დანადგარების ფიზიკური მოძველება, მათი განახლებისათვის ფინანსური რესურსების უქონლობა, ლიბერალურ სავაჭრო გარემოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოუხერხებლობა და მრავალი სხვა. ამასთან, დარგის კრიზისი განპირობებულია მხოლოდ მეჩაიეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზებით, რაც გარდამავალ პერიოდში განვითარდა და რომლის აცილება, ჩვენი აზრით, შესაძლებელი იყო.

უპირველეს ყოვლისა, იგი შეეხება ჩაის ფაბრიკების დავალიანებებს ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე, რომელიც 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 14148.6 ათას ლარს შეადგენდა (ცხრილი 1.4.2), ხოლო 2003 წლის 1 იანვრისათვის 17 მილიონ ლარს გადააჭარბა. ვეთანხმებით პ. აპლაკოვის აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტს რომ არ გაეუქმებინა 1996 წლის 19 აპრილს მიღებული კანონი (№197-116) "დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" და "საგადასახადო სისტემების საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონებში დამატებების შეტანისა და ზოგიერთი დარგის საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე", რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული იყო ჩაის ფაბრიკებისგან ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე არსებული დავალიანებების ჩამოწერა, რომელიც მაშინ 3 მილიონ ლარს არ აღემატებოდა, დღეს ასეთი კატასტროფული სურათი არ გვექნებოდა. მთავარი ისაა, რომ დავალიანების მქონე 148 ჩაის ფაბრიკიდან უმეტესობა პრაქტიკულად გაჩერებული ან გაძარცვულია,

ხოლო დანარჩენებიდან ვალების ნაწილობრივ ამოღება მხოლოდ მათი ჯართად გაყიდვით თუ შეიძლება. ეს პროცესი დაწყებულია, რომელიც მიგვიყვანს იქამდე, რომ ტექნოლოგიურად გამართული ჩაის ფაბრიკებიც კი აღარ შეგვრჩება, როგორც ეს მოხდა ოზურგეთის რაიონის ნარუჯის ჩაის ფაბრიკის მაგალითზე, რომელიც 70-იან წლებში იყო აშენებული. ჩაის ფაბრიკების დავალიანებებს ფინანსთა სამინისტრო ითვლის ბიუჯეტის ნარჩენ შემოსავლებში. შეიძლება ითქვას, რომ დავალიანების ექვივალენტური თანხის ამოღება ვერასდროს ვერ მოხერხდება.

ჩაის ფაბრიკების დავალიანებები ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე
01.01.2001 წლის მდგომარეობით
(საურავების ჩათვლით, ათას ლარებში)

ცხრილი 1.4.2

რიგითი ნომერი	რაიონების. დასახელება	გადასახადების სახეები												
		დღგ	მოგება	აქციზი	საშემოსავლო	ქონების გადასახადი	საშეწარმეო საქმიანობა	წყლით სარგ. და ეკოლ.	მიწის (არასს. დანიშნ.)	სოციალური	დასაქმების და ჯანდაცვის	დსგზაო ფონდი	სხვადასხვა	სულ
1	Vანი	2.2	4.7	-	-	-	-	-	2.4	3.8	0.7	0.5	-	14.3
2	სამტრედია	115.5	17.5	-	-	25.7	6.5	-	5.8	229.3	35.0	-	4.1	439.4
3	თერჯოლა	2.2	-	-	-	0.7	0.2	-	2.9	-	-	-	1.2	7.2
4	ჭიათურა	99.6	20.2	91.0	-	3.9	-	-	5.6	26.7	4.3	0.7	-	25.2
5	ტყიბული	149.8	65.3	180.2	-	50.2	7.2	7.9	12.1	302.0	39.3	-	47,5	861.5
6	ჩოხატაური	12.7	9.0	-	-	84.0	1.2	-	8.2	67.4	3.2	9.7	-	195.4
7	ზუგდიდი	1533.1	199.2	-	-	331.3	24.6	18.4	142.7	1138.5	132.8	107.3	-	3627.9
8	აბაშა	4.4	-	-	-	0.5	-	1.4	5.5	0.9	-	-	-	12.7
9	წალენჯიხა	29.7	9.6	-	-	136.5	25.0	-	17.9	266.6	32.9	44.0	-	562.2
10	ჩხოროწყუ	197.1	34.9	-	-	52.6	15.8	50.1	-	0.8	2.8	-	24.0	378.1
11	ოზურგეთი	657.6	9.3	-	-	395.2	16.8	-	246.2	1393.9	161.0	304.2	-	3184.2
12	ლანჩხუთი	692.6	21.9	6.9	15.7	203.2	16.0	-	75.3	183.8	17.8	-	1005.6	2238.8
13	სენაკი	72.8	300.4	-	-	30.3	3.0	2.9	27.5	65.7	7.4	20.9	-	530.9
14	ხონი	66.1	10.0	-	17.7	32.0	0.6	0.6	18.3	150.6	25.9	12.7	-	334.5
15	ხობი	63.9	20.6	63.4	-	-	-	-	30.5	102.2	-	-	50.5	331.1
16	მარტვილი	37.3	42.	-	-	-	-	-	21.9	75.3	-	-	-	176.9

			4											
17	წყალტუბო	72.8	18.4	-	-	35.4	0.3	-	9.4	100.5	5.1	-	-	241.9
18	აჭარის ა/რ	193.3	87.5	137.4	10.4	38.6	-	4.0	40.5	224.9	14.5	8.5	-	759.6
	სულ	4002.7	870.9	478.9	1420.1	1420.1	117.3	85.3	672.7	6332.9	482.7	508.5	1132.9	14148.6

[1]ცხრილი შედგენილია საგადასახადო შემოსავლების დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

გარდამავალ პერიოდში მეჩაიეობაში ფინანსური კრიზისის წარმოშობის ძირითადი მიზეზი გახდა:

ჯერ ერთი, დარგს სრულად არ აუნაზღაურეს 1994-1995 წლებში სახელმწიფოს დავალებით თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის სანაცვლოდ გადატვირთული პროდუქციის ღირებულება, რის გამოც დავალიანებები წარმოიშვა მეჩაიეების, ჩაის ფაბრიკების, კერძო ფირმების, ბიუჯეტის, მომწოდებლების მიმართ; მეორე, დავალიანებები, რომელიც არსებობდა სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო-კომერციული გაერთიანება "საქჩაისუბტროპიკს", "საქსოფლნაყოფიერებას", "საქგაზს" და ქიმიურ ქარხანა "აზოტს" შორის, ურთიერთგაქვითული იქნა და დარჩენილი ვალი გადაფორმდა სკგ "საქჩაისუბტროპიკის" მიერ "საქსოფლნაყოფიერების" ვალად. შემდგომში ორივე ორგანიზაცია გაუქმებული იქნა. განკერძოებული "საქსოფლნაყოფიერების" ქონება ფაქტიურად არალიკვიდურია და დავალიანებები თურქმენეთში ჩაის გადამტვირთავი ფირმების მიმართ უიმედო გახდა; მესამე, მეჩაიეებისა და ჩაის ფაბრიკების მიმართ დავალიანებების სურსათით დაფარვისას დაშვებული იქნა მორიგი შეცდომა, როცა პროდუქტები გაუნაწილდა ყველა რაიონსა და ფაბრიკას, მათ შორის იმათაც, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ თურქმენეთში პროდუქციის გადატვირთვაში. დაუმსახურებლად მიღებული პროდუქციის ღირებულება დღემდე ამოუღებელია.

ჩვენი აზრით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილების მიღების დროს დაშვებული იქნა შეცდომები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დარგში ფინანსური კრიზისის წარმოშობას, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანებების დაგროვებას, მეჩაიეების მიერ შრომის ანაზღაურების მიუღებლობას, სახელმწიფოსადმი მეჩაიეთა და მეწარმეთა უნდობლობის სინდრომის ჩამოყალიბებას. რაც მთავარია, დღემდე გაუსტუმრებელია მილიონ ლარზე მეტი, ხოლო სს "საქაგროსერვისს" (ყოფილი სკგ "საქსოფლნაყოფიერება"), რომელსაც დაკისრებული აქვს მათი დაფარვა, ამის არავითარი საშუალება არ გააჩნია.

შეცდომა იყო სკგ "საქჩაისუბტროპიკის" ლიკვიდაცია და მისი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების კერძო სს "საქაგროსერვისზე" გადატანა, რომელსაც იმ დროისათვის ფაქტიურად არალიკვიდური ბალანსი ჰქონდა.

ჩვენი აზრით, ყველა ოპერაციის დროს დაშვებული შეცდომა წარმოიშვა იმ გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც საბაზრო გარემოში მოქმედ პრინციპებს პრაქტიკულად ეწინააღმდეგება. რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი, ყველა ამ დარღვევის ინიციატორი სახელმწიფო იყო და მან უნდა აანაზღაუროს ის დავალიანებები, რომლებიც თურქმენეთში ჩაის გადამტვირთავი ფირმების მიმართ არსებობს.

მეჩაიეობაში შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ განაპირობა საბაზრო ურთიერთობების განვითარების აუცილებლობა. მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის №336 განკარგულება "მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ", რომლითაც დამტკიცდა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა "ჩაი".

საქართველოში მეჩაიეობის განვითარების პრობლემები არ შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ზოგადი კანონებისა და კატეგორიების კონტექსტში. იგი განსაკუთრებულ, გამორჩეულ მიდგომას მოითხოვს მრავალი მიზეზის გამო:

მსოფლიო ბაზარზე ჩაის სარეალიზაციო ფასის მართალია ნელი, მაგრამ მაინც ზრდის ფონზე, ქართული ჩაის ფასი, ძირითადად უხარისხობისა და არაორგანიზებული გაყიდვის გამო, შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ერთი ტონა მსხვილად დაფასოებული შავი ბაიხის ჩაის ფასი 1996 წლის 1200 აშშ დოლარიდან, 2001 წლისათვის 450 აშშ დოლარამდე შემცირდა;

თხილის კულტურა, რომელიც ერთი შეხედვით ყველაზე ეფექტიანად ჩაენაცვლა ჩაის, მაინც პრობლემის ყველაზე ლოკალური გადაწყვეტა აღმოჩნდა, რადგან იგი ჩაის ბუჩქის ქვეშ დაკავებულ ყველა ნიადაგზე ვერ გაშენდება. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ორი მომენტი. პირველი: მსოფლიოში თხილის ფასის რეგულირებას ახდენდა თურქეთი, როგორც თხილის წარმოების სუბვენცირებით, ისე ბაზარზე პროდუქციის გატანის რეგულირებით. რამდენიმე წლის წინ თურქეთში განვითარებული კრიზისის გამო, როცა ქვეყანას სუბვენცირების საშუალება აღარ ჰქონდა, მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასი

სერიოზულად დაეცა, რამაც გავლენა იქონია ქართული თხილის ბიზნესზე. თუ 2000 წელს მისი ექსპორტიდან შემოვიდა 16 მილიონი აშშ დოლარი, 2001 წელს, თხილის მოსავლის ზრდის მიუხედავად, მან 7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მეორე: სულ ახლახანს ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანების წევრ ქვეყნებში თხილის წარმოების სუბვენციერების შესახებ, რაც მომავალში სერიოზულად შეზღუდავს ევროპაში ქართული თხილის ექსპორტს;

დასავლეთ საქართველოში მეჩაიეობა იყო ის დარგი, რომელმაც მოსახლეობა უკიდურესი სიდუხჭირიდან გამოიყვანა. დღეს წმინდა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩაის წარმოებაზე ღრმად დასპეციალებული რაიონების მოსახლეობა საუკუნის წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა იმ განსხვავებით, რომ გორაკებსა და ბორცვებზე, სადაც ამჟამად ჩაია გაშენებული, ძვირფასმერქნიანი ტყე იდგა, რომელიც საზღვარგარეთ გაჰქონდათ;

მეჩაიეობაში უაღრესად არახელსაყრელი საინვესტიციო გარემოა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერმანულ ფირმას შპს "მარტინ ბაუერს", რომელმაც მეჩაიეობაში სხვადასხვა ფორმით 30 მილიონზე მეტი გერმანული მარკა დააბანდა, და ამერიკულ კომპანიას "ენ-სი-ეიჩს", რომელმაც პორტფელური ინვესტიციები განახორციელა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე გადაყიდვის იმედით, სხვა უცხოური და ადგილობრივი ხელშესახები ინვესტიციები პრაქტიკულად არ განხორციელებულა და უახლოეს მომავალში არც არის მოსალოდნელი. ინვესტიციების შემოდინების ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იყო 1998-1999 წლები, როცა კომერციული ბანკებიც კი დაინტერესდნენ მეჩაიეობაში ინვესტიციების განხორციელებით, მაგრამ მან განვითარება ვერ ჰპოვა რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთა შორის აღსანიშნავია: ჯერ ერთი, 1999 წელს მეჩაიეობისადმი სახელმწიფო დახმარებების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ „მეჩაიეობის დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის №266 ბრძანებულების მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი 10 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებდა; მეორე, 1998 წელს სუბვენციების გაცემა მოხდა ისე, რომ ჩაის ხარისხის გაუმჯობესებაზე აქცენტი გაკეთებული არ ყოფილა; მესამე, რუსეთთან ურთიერთობის გაუარესობამ შეაფერხა ამ ქვეყანაში ჩაის ექსპორტი. არადა დღესაც იმ სახელმწიფოთა ათეულში შედის, სადაც ქართული ჩაი ყველაზე მეტი რაოდენობით იყიდება.

ზემოთ ჩამოთვლილიდან ნათლად ჩანს, რომ სერიოზული ღონისძიებების განხორციელების გარეშე მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირება შეუძლებელი

იქნება. ჩაის წარმოების ადაპტაცია ახალ სამეურნეო საქმიანობასთან ანუ საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობათა მექანიზმებთან, უნდა განხორციელდეს ქვეყნის განვითარების შიგა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს დარგის საბაზრო ეკონომიკის ადაპტაციის ძირითად პრიორიტეტებს საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში. ერთ-ერთი პრიორიტეტია: ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. აგროსამრეწველო კომპლექსში, მათ შორის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა დღევანდელი დაბალი დონე აისხნება რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით:

პირველი, ჯერ კიდევ არ შექმნილა ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემა ეკონომიკის მართვის სტრუქტურაში, რომელიც კოორდინირებას გაუკეთებს ინფორმაციის მოპოვებას ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის პოტენციური შესაძლებლობის, მათი ეტაპობრივი გამოყენების შესახებ. ოპტიმალური ინფორმაცია კი მართვის გადაწყვეტილების მიღების საფუძველია. საჭიროა ინფორმაციის არამხოლოდ მოპოვება, არამედ დამუშავება და მართვის პროცესში გამოყენება. აუცილებელია შეიქმნას არამარტო საიმედო საინფორმაციო ბანკი, არამედ მართვის სისტემაში მისი ჩამრთავი მექანიზმიც. ეს რა თქმა უნდა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს.

მეორე, აგროსამრეწველო კომპლექსში საერთოდ, კერძოდ ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში არ არსებობს კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემა. სხვადასხვა ფორმის (სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო) სასწავლებლის ფუნქციონირება ატარებს სტიქიურ ხასიათს. დაბალია სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კადრების მომზადება არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს. ამით რეალური საფრთხე ექმნება არამარტო დღევანდელ, არამედ მომავალი პერიოდის ეკონომიკასაც.

მესამე, ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში მომუშავე უცხოეთის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების გამოყენება რეალურ ეფექტს არ იძლევა იმის გამო, რომ ისინი ცუდად იცნობენ ქვეყნის ეკონომიკას, მისი ფუნქციონირების დღევანდელ პრინციპს, სტრუქტურებს, მეურნეობის გაძღოლის ჩვევებს, ტრადიციებს, ამიტომ მხოლოდ კლასიკური საბაზრო ურთიერთობის მოდელის სქემის პოზიციებიდან აფასებენ ჩაის წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებს, ანგარიშს არ უწევენ იმ ობიექტურ გარემოებას, რაც ახლავს ჩაის წარმოებაში

აშკარად გამოკვეთილ წინააღმდეგობებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, თანაფარდობას, საფუძვლებს.

მეოთხე, არ არის შექმნილი სათანადო სრულყოფილი ნორმატიული ბაზა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის სფეროში საგარეო ურთიერთობათა განვითარება-გაღრმავებისათვის, რაც არსებითად აფერხებს სასურველი კავშირების დამყარება-განვითარებას.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა დღევანდელი დონის შესწავლა, გამოკვლევა-ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ აუცილებელია რიგი ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის მიზნობრივ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სტაბილიზაცია. საშინაო ბაზრის განვითარებას უნდა მიეცეს მძლავრი იმპულსები, აუცილებელია მისი წონასწორობის აღდგენა, ასევე განვითარების ოპტლიმალურ მიმართულებათა განსაზღვრა.

აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი ორგანიზაციული პირობაა ჩამოყალიბდეს ქვეკომპლექსის მართვის ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურა, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დარგში შესაბამისი სამსახურების ქსელით.

ჩაის წარმოების განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკის კატეგორიებით აზროვნება, მსოფლიო ბაზარზე გასვლა, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. უნდა დავეუფლოთ მარკეტინგის ხელოვნებას, ბაზრის ფილოსოფიას, დავიცვათ ეროვნული ბაზარი უცხოური კომპანიების მიერ წარმოებული დაბალი ხარისხის ჩაით გაჯერებისაგან. ჩაის მსოფლიო ბაზარზე გასვლა თვითმიზანი კი არ არის, არამედ ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და საერთაშორისო ეკონომიკურ სტრუქტურაში მისი მომგებიანი ჩართვისა და ადაპტირების საშუალებაა.

ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში (მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსშიც) ფაქტიურად არ არსებობს საერთაშორისო მოთხოვნათა შესაფერისი მარკეტინგული და სარეკლამო-საინფორმაციო სამსახურები. მსოფლიო ბაზარზე ჩაის პროდუქციის გატანას და მის დამკვიდრებას სათანადო სარეკლამო საქმიანობა სჭირდება. მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს „ჩაირეკლამისა“ და მარკეტინგის შესაბამისი სამსახური.

ჩაის წარმოების სფეროში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ხელს შეუწყობს ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის მეცნიერულ-კვლევითი პოტენციალის საერთაშორისო სტრუქტურაში ჩართვა. საჭიროა სათანადო კავშირების დამყარება ჩაის მწარმოებელი ქვეყნების აგრარული მეცნიერებისა და პოლიტიკის აღიარებულ საერთაშორისო ცენტრებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკის ინტერესების სრული გათვალისწინებით.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნის გლობალური პროცესი, მისი პირველი შედეგები მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს. წარმოიშვა ბევრი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, მოხდა ადრინდელი და ახალი პრობლემების რთულ კვანძებად ფორმირება.

ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებზე დიდ გავლენას ახდენს არამარტო ეკონომიკური, არამედ არაეკონომიკური ფაქტორებიც. როდესაც ეკონომიკის ჩავარდნაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ორივე ფაქტორი. აქედან, განსაკუთრებით აღსანიშნავია გარე ეკონომიკური ფაქტორი, კერძოდ, საგარეო ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები და ა.შ., რომლებმაც მკვეთრად დასცეს ქვეყნის ეკონომიკა, მათ შორის ჩაის წარმოება, რომელიც საკმაოდ დიდი ხვედრითი წონით იყო წარმოდგენილი ეროვნული მეურნეობის დარგების სტრუქტურაში. დღეს საქართველოსათვის მთავარი კითხვა უკვე სხვანაირად ისმის: შესძლებს თუ არა საქართველო გარდაქმნების დროულად განხორციელებას, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის და ჩამორჩენილობის დაძლევას. არის თუ არა გამოსავალი?

საბაზრო ურთიერთობებმა თავისი სიცოცხლისუნარიანობა პრაქტიკულად დაამტკიცა. თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა პიროვნების პოლიტიკური თავისუფლება, მისი საკუთრების უფლების აუცილებლობის აღიარება და ხელშეუხებლობის გარანტიები, ძლიერი წამახალისებელი პირობების შექმნა ადამიანის შინაგანი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის. ასეთი პირობების შექმნა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია.

საბაზრო ეკონომიკის საფუძველი კერძო საკუთრებაა. ჩვენს პირობებში კერძო საკუთრების დამკვიდრება მიღწეული იქნა წარმოების ძირითადი საშუალებების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების საფუძველზე, რაც ჩვენთან არასწორი კურსით, ნაჩქარევად ჩატარდა. ახლა საჭიროა მისი სრულყოფა და გაუმჯობესება.

ქვეყანაში რეფორმის პირველი ეტაპის (1991-1996 წ.წ.) მთავარი ამოცანა იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობის გათვითცნობიერება და სოციალისტური სისტემიდან მისი ნგრევის გარეშე გამოსასვლელად პირობების მომზადება. რეფორმის მეორე ეტაპი (1997 წლიდან იწყება) უპირატესად ეკონომიკური რეფორმების ეტაპია, რომელმაც გარდამავალი პერიოდი მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებით უნდა დააგვირგვინოს. სამწუხაროდ, ჩვენ იგი სწორად ვერ წარვმართეთ და არც გვაქვს დამაკმაყოფილებელი შედეგებიც. შედეგად, ჩვენთან კერძო საკუთრება სრულად ვერ ამოქმედდა, ხოლო საზოგადოებრივი, სახელმწიფო სექტორი ჩაკვდა. ამიტომაც ვერ ვიყენებთ სრულად საბაზრო ეკონომიკის ზრდის ბერკეტებს (წარმოების ფაქტორებს): მიწას, კაპიტალს, შრომას, სამეწარმეო უნარს და შესაბამისად ხალხის ცხოვრების დონეც უკიდურესად დაბალია.

და მაინც, საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს შედეგს კერძო საკუთრების ჩამოყალიბება და, ასე თუ ისე, მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. მისი ძირითადი კომპონენტებია: კერძო მეწარმეობის ინსტიტუტის დამკვიდრება და მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, კერძო საწარმოთა რიცხვის ზრდა, საწარმოთა პრივატიზება, კერძო ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

რეფორმის დადებითი შედეგია ისიც, რომ ქვეყნის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში საფუძველი დაედო კერძო საკუთრების ჩამოყალიბებას. სწორედ აქ ფუნქციონირებს ასკ-ის საწარმოების 90%-ზე მეტი, დასაქმებულია 9-10 ათასი კაცი, ათვისებულია ძირითადი საწარმოო ფონდების 30%-ზე მეტი.

ჩაის წარმოების ადაპტაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ითვალისწინებს მისი განვითარების ბიზნესის ჩარჩოებში მოქცევას. ამიტომ მოცემული დარგის განვითარების სტრატეგიული პოზიცია უნდა შეფასდეს და განისაზღვროს მარკეტინგული მოდელის სახით, რომელშიც აკუმულირებული იქნება როგორც ბუნებრივ-ეკონომიკური საფუძველი, ასევე შესაბამისი მოტივაციები.

ჩაის წარმოების მარკეტინგული მოდელი უნდა დაეყრდნოს მის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: მომხმარებელთა მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება, ბაზრის სიტუაციებისა და საწარმოს რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება, საწარმოს გრძელვადიანი მომგებიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მარკეტინგული მოდელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველომ მეჩაიეობის განვითარებისათვის არსებული უნიკალური ნიადაგურ-კლიმატური პირობები თუ რაციონალურად არ გამოიყენა, უახლოეს წლებში მარკეტინგული მარცხი გარდაუვალი იქნება. ამ დარგის არსებული პოტენციური შესაძლებლობების გამოუყენებლობა განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს შექმნის შიგა რესპუბლიკური მარკეტინგული პოზიციებიდან, რაც დიდად ანგარიშგასაწევია მიკრორეგიონული სოციალური დაცვის თვალსაზრისით, რომლის უარყოფითი იმპულსებიც უკვე აშკარად შეიმჩნევა.

ჩაის წარმოების დარგი ჯერ კიდევ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ამიტომაც მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს ამ დარგის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სტრუქტურების ფორმირების საკითხი, ასევე მასში ადრე წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა. ჩაის პროდუქტების სამომხმარებლო ბაზრის ფორმირება ძირითადად დამოკიდებულია მასში შემავალი დარგების (მეჩაიეობა, ჩაის მრეწველობა) რეანიმაციაზე, რადგან სწორედ ეს დარგები უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი ჩაის პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ჩაის წარმოების აღორძინება-განვითარების დაჩქარებისათვის აუცილებელია:

– დაძლეულ იქნას განადგურება-დაკნინებამდე მიყვანილი ჩაის ქვეკომპლექსში შემავალი დარგების, მათ შორის, ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების დაკისრება ბაზრისა და მისი კანონებისადმი. მთავრობამ რეალურად უნდა აამოქმედოს ეროვნული მეურნეობის დაცვისა და მხარდაჭერის ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტები და მექანიზმები;

– ახალი პირობების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს და გადაისინჯოს უახლოეს და შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი, ყველა პარამეტრის მიხედვით ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი ჩაის წარმოების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა და პრიორიტეტული პროგრამები და მიმართულებები;

– ჩაის მწარმოებელი რეგიონების დონეზე უნდა მოეწყოს ეფექტიანი მარკეტინგული სამსახურები, რომლებიც შეისწავლიან საშინაო და საგარეო ბაზრების მოთხოვნებს და განსაზღვრავენ საწარმოების საქმიანობის მიმართულებებს, წესებს; წვრილ და საშუალო მეწარმეებსა და ბიზნესმენებს გაუწევენ შეღავათიან მარკეტინგულ მომსახურებას, მიაწვდიან მათ საჭირო ინფორმაციას.

1.5. ჩაის წარმოების საინვესტიციო გარემო

ნებისმიერი ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა აგროსასურსათო სფეროს საწარმოების განვითარებისათვის შესაბამისი მოცულობის ინვესტიციების მოზიდვა და დარგში საინვესტიციო საქმიანობის გაგრძელებაა.

ინვესტიციები, ესაა ეკონომიკის დარგებსა და სფეროებში ფულადი სახსრების გრძელვადიანი დაბანდება, გარკვეული სახის და ოდენობის სარგებლის (მოგების) მიღების მიზნით. ინვესტიციები გამოიყენება ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღებისათვის, ახალი სიმძლავრეების შექმნისა და გაფართოებისათვის. გარდა ამისა, ინვესტიციები მიიმართება ასევე ძირითადი საშუალებების გაფართოებით გამოწვეული საბრუნავი საშუალებების დანაკლისის შესავსებად და სხვა საჭიროებისათვის.

ჩაის წარმოებაში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველში ის ფაქტორები შედის, რომელთა გამოყენების და მართვის მექანიზმი ყველა ცალკე აღებულ საწარმოსა და ორგანიზაციაშია (ინვესტიციების სტრუქტურა, მიმართულება, პრიორიტეტულობა, კომპლექსურობა და ა. შ.), ხოლო მეორეში ის ფაქტორები ერთიანდება, რომლებიც მეურნეობათა ნება-სურვილის გარეშე მოქმედებს. ფაქტორთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება სესხზე სარგებლის პროცენტი, ინფლაცია-დეფლაციის არასასურველი დონე, ქვეყნის აგრარული პოლიტიკა საქონელმწარმოებლებთან მიმართებაში და სხვა ის პროცესები, რომელთა რეგულირება მხოლოდ ხელისუფლების მხრიდანაა შესაძლებელი.

განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს რიგი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას სოფლის მეურნეობაში. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად მიჩნეულია საგადასახადო შეღავათი მოგების გადასახადზე. ის ვრცელდება მოგების იმ ნაწილზე, რომელიც ჩადებულია საწარმოო თუ არასაწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებაში (ამორტიზაციის ანარიცხების სრული ათვისების პირობებში). ამ დროს მოგების გადასახადის ქვედა ზღვარი არ უნდა შემცირდეს 50 პროცენტზე მეტად.

ქვეყანაში კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელებას და ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას შესაბამისი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს

შექმნა ესაჭიროება. ინვესტიციური საქმიანობა განსაკუთრებით ეცემა მაშინ, როცა ქვეყანაში არაა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა (რადგან ამ პირობებში გრძელვადიანი დაბანდებები დიდ რისკთანაა დაკავშირებული), როცა არ არსებობს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ანუ ადგილი აქვს ეროვნული ვალუტის ინფლაციას, კორუფციას და სხვა არაკეთილსაიმედო პირობებს.

ათი წლის წინ მეჩაიეობაში განვითარებულმა კრიზისმა თანდათანობით სისტემური ხასიათი შეიძინა და აპოგეას 2001-2002 წლებში მიაღწია, როცა ქვეყანაში წარმოებული იქნა 5-6 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქცია. ეს პროდუქციის ის რაოდენობაა, რომელსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში მეჩაიეობის ერთი საშუალო რაიონი აწარმოებდა (ლანჩხუთის, მარტვილის).

ბოლო წლებში მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილმა სახსრებმა დარგში კვლავწარმოებადი ციკლის ფორმირება ვერ შეძლო და ეს არც იყო მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სეზონის წინ სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობისათვის გამოყოფილი მოკლევადიანი კრედიტების მოცულობა 220-250 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო კრედიტით სარგებლობის წლიური საპროცენტო განაკვეთი 1-1,5% იყო. ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების არაეფექტიანობა, მის სიმცირესთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ მისი გამოყენების წესი და გამანაწილებელი სუბიექტები რამდენჯერმე შეიცვალა. უფრო მეტიც, ბოლო წლებში მათი გამოყენება განახორციელეს არაპროფილურმა ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებმა.

ცხადია, ასეთ პირობებში არა თუ უცხოური, არამედ ადგილობრივი ინვესტიციების შემოდინება არ მიმდინარეობდა. სწრაფად გაიარა ეიფორიამ, რომელიც ჩაის ფაბრიკების პრივატიზებას ახლდა. გერმანული ფირმის „მარტინ ბაუერ თბილისის" ინვესტიციებს წმინდა პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რაც ფედერაციული გერმანიის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა კინკელმა საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით განახორციელა. მას შემდეგ, რაც „მარტინ ბაუერმა" საქართველოში პირველ წელსვე 2,6 მილიონი აშშ დოლარი იზარალა, მან რამდენჯერმე დააპირა საქართველოდან წასვლა და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თხოვნით გააგრძელა მუშაობა, გამოიყენა გერმანული მენეჯმენტიც, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ბოლოს საქართველოში შექმნა შპს

„მარტინ-ბაუერ თბილისი", რომელმაც უკვე დაბანდებული კაპიტალით განაგრძო საქმიანობა, გერმანიიდან დამატებითი ინვესტიციების მოწოდების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ წელს ჩაის მწარმოებელმა კომპანია „გეოპლანტმა" (ყოფილი „მარტინ ბაუერი) შეკვეთების 90%-ი უკვე შეასრულა, უცხოელ პარტნიორებს „ვან რიიესსა" და „პლანტ ექსტრაქტს" 500 ტონამდე ჩაი გაუგზავნა. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ მომავალ წელს, ამავე კომპანიებთან კონტრაქტების მოცულობა 20%-ით გაიზრდება. ახალი წლიდან გეოპლანტი თურქეთში გაყიდვების გაზრდასაც გეგმავს. მენეჯმენტის შეფასებით, თურქეთის ბაზარი რუსეთზე უფრო მიმზიდველია, თუმცა ამ მიმართულებით უფრო აქტიურ ექსპანსიას ხელს მკაცრი საბაჟო რეჟიმი უშლის, თურქეთში ჩაის იმპორტი 150%-ით იბეგრება, რაც ქართული ჩაის თვითღირებულებას ადგილზე ჩატანით 3 დოლარამდე ზრდის.

მეორე კომპანია, რომელმაც საქართველოში მხოლოდ პორტფელური ინვესტიციები განახორციელა, იყო ამერიკული კომპანია „ენ–სი–ეიჩი". კომპანიამ ჩაის ფაბრიკების აქციების შესყიდვა ქართველი შუამავლების მეშვეობით განახორციელა, რომლებმაც, როგორც ჩანს, ისევ ძველი აზროვნების გავლენით, რამდენიმე ჩაის ფაბრიკა შეისყიდეს ხობის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ზუგდიდის რაიონებში. კომპანია იმედოვნებდა აქციების მომგებიანად გადაყიდვას, რაც ცხადია ვერ შეძლო. უფრო მეტიც, კომპანიის კუთვნილი რამდენიმე ფაბრიკა, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების დაუფარაობის გამო, ჯართად გაიყიდა, მათ შორის ჩოხატაურის რაიონის ფინური მოდულის ქვეშ აშენებული საწარმო. იგივე ბედი გაიზიარეს ოზურგეთის რაიონის ნასაკირალისა და სხვა ჩაის ფაბრიკებმა.

მიუხედავად საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად ედო ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოლიტიკა, ქართულ ჩაის იმ წლებში მაინც ჰქონდა შენარჩუნებული გარკვეული საინვესტიციო მიზიდულობა, რასაც ადასტურებს ცალკეული უცხოური ფირმების ლტოლვა ქართულ მეჩაიეობაში კაპიტალის დაბანდებისადმი. როგორც ირკვევა, ამ მიზიდულობის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ფედერაციის და სხვა რესპუბლიკების ბაზარი ფაქტიურად აღმოჩნდა ქართული ჩაის გარეშე და საქართველოში საქმიანობის დაწყების მსურველი უკლებლივ ყველა ფირმა სწორედ ამ ბაზარზე შესვლას გეგმავდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია მოგვიანებით (1996წ) „ენ–სი–ეიჩის" მიერ საქართველოში მოწყობილი ექსპედიცია ქართული ჩაის პოტენციალის შესწავლის მიზნით და მათ მიერ გაკეთებული იმედის მომცემი დასკვნა. შეცდომა, რომელიც

ექსპერტებმა დაუშვეს, იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ ხელისუფლება, რომელიც ფლობს შესანიშნავ ჩაის პლანტაციებს (მაშინ ბევრი მათგანი გატყევებული არ იყო), დიდი და მცირე ჩაის ფაბრიკებს, გამოცდილ მუშახელსა და სპეციალისტებს, მეჩაიეობის საწარმოო ინდუსტრიას, სპეციალიზებულ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტებს, შესანიშნავ მეცნიერულ პოტენციალს, რაღაც ვირტუალური ეკონომიკური ეფექტიანობის მოლოდინით, პასუხისმგებლობას მოიხსნიდა დარგისა და რაც, მთავარია, მეჩაიეობის რეგიონებში მცხოვრები ნახევარი მილიონი მოსახლეობის მიმართ და დამანგრეველ პროცესებს თავის ნებაზე მიუშვებდა.

1995 წლის ბოლოს საქართველოში სპეციალისტების ჯგუფის თანხლებით ჩამოვიდა სინგაპურში რეგისტრირებული ინდური ფირმის „ჯი–ეი–აი”-ს ჯგუფი. სხვათაშორის ფირმის პრეზიდენტი ბატონი ჩომარია შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს და ესაუბრა ფირმის ვიზიტის მიზნების შესახებ, რაც პრეზიდენტის მიერ მოწონებული იქნება.

ფირმის სპეციალისტებმა, ქართული მეჩაიეობის ღრმა გამოკვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ თუ არ განხორციელდება რიგი საკანონმდებლო ხელშემწყობი ღონისძიებები, ქართული ჩაი რუსეთისა და დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდება. ამავე აზრს იზიარებდა ფირმა „მარტინ–ბაუერ თბილისიც”. ლომის წილი შეღავათების დაწესების აუცილებლობის დასაბუთებაში გაიღო მაშინდელი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო–კომერციულმა გაერთიანებამ „საქჩაისუბტროპიკმა”.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინიციატივით და დასახელებული ორგანიზაციების მეცადინეობით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ” და „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონებში დამატებების შეტანისა და ზოგიერთი დარგის საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული 1996 წლის 19 აპრილის (№197-116). უფრო დეტალურად კანონი ითვალისწინებდა მეჩაიეობის დარგისათვის საჭირო საწარმოო დანიშნულების ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების ტარა და შესაფუთი მასალების იმპორტის გათავისუფლებას საბაჟო და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან; საქართველოდან დსთ-ს სივრცეში ექსპორტირებულ ჩაიზე,

შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად, ნულოვანი რეჟიმის დაწესებას, ჩაის ფაბრიკებისა და ჩაის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გათავისუფლებას ბიუჯეტისა და სხვა არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების წინაშე დავალიანებებისაგან და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი სანქციებისაგან. ამასთან, ფირმებს სამი წლით განევადათ შრომის ანაზღაურების ფონდის ანარიცხების გადასახადები, მომდევნო სამ წელიწადში მათი თანაბარ ნაწილებად დაფარვის პირობებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა დადებითი რეაქცია გამოიწვია როგორც ქართული, ისე უცხოური ფირმების მხრიდან. „ჯი-ეი-აიმ", შეიმუშავა საქართველოში საქმიანობის ფართო პროგრამა, ქართული მეჩაიეობით დაინტერესება გამოხატა ცნობილმა ინდურმა ფირმამ „ტატა-თიმ", ჩაის რეალიზატორმა ჰოლანდიურმა კომპანიებმა და სხვა. ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ 1996 წელი გამხდარიყო გარდატეხის წელი დამოუკიდებელი საქართველოს მეჩაიეობაში. სამწუხაროდ კანონის მიღებიდან ორი თვის თავზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ზეწოლით, იმ მოტივით, რომ დაუშვებელია შედავათების სექტორალური გატარება, კანონი პარლამენტის მიერ გაუქმებული იქნა. ეს არსებულ სინამდვილეს იმდენად ეწინააღმდეგებოდა, რომ უცხოურმა ფირმებმა ჩათვალეს რაღაც დროებით ღონისძიებად, შეცდომად და ყოველდღიურად ელოდებოდნენ მის გამოსწორებას. მიუხედავად მომხდარისა, „ჯი-ეი-აიმ" წარმომადგენლობაც კი გახსნა საქართველოში და ელოდებოდა სამართლიანობის აღდგენას. თუ რა შედეგი მოიტანა აღნიშნული კანონის გაუქმებამ, ამის შესახებ საქართველოს მეჩაიეობაში შექმნილი მდგომარეობა მეტყველებს, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. სსფ რეკომენდაციას გვაძლევს, რომ შედავათები კი არ დავაწესოთ, არამედ დარგს ბიუჯეტიდან დავეხმაროთ. იმ ბიუჯეტიდან, რომელსაც ამის შესაძლებლობა არ გააჩნია. თუ დარგის გადარჩენა გვინდა, ერთი, ან მეორე გზით უნდა ვიაროთ, მესამე გზა არ არსებობს. დღეს არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაში ჩვენ შედავათების შემოღების მომხრე ვართ.

მეჩაიეობა თავის დროზე ყველაზე ორგანიზებული დარგი იყო. მას უდიდესი ტრადიციები გააჩნია, რომლის აღდგენა შესაძლებელია. მით უფრო, რომ დარგი მყისიერ რეაგირებას ახდენს სახელმწიფოს თუ კერძო ინვესტორის მხრიდან ფინანსურ ინექციაზე.

1997-1998 წლებში სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხებით, აგრეთვე, შპს „მარტინ ბაუერ თბილისის" ინვესტიციებით

მოხერხდა 1996 წელთან შედარებით ჩაის წარმოების ორჯერ გაზრდა. 1996-2001 წლებში სახელმწიფომ მეჩაიეობაში ჩადო 8,5 მილიონი ლარი, რამაც უზრუნველყო ქვეყანაში 68 მილიონი აშშ დოლარის შემოტანა. დარგის სუბსიდირება მომგებიანი აღმოჩნდა, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 1998 წელს მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 3 მილიონი ლარიდან პირდაპირ ბიუჯეტში ჩაირიცხა 900 ათასი ლარი, ხოლო მოგების, დღგ-ს, საშემოსავლო გადასახადისა და სხვათა სახით – 830 ათასი ლარი. 2001 წელს გამოყოფილმა სუბსიდიამ უზრუნველყო ძველ ბაზრებზე დაბრუნება, პროდუქციის გაყიდვის გეოგრაფიის გაფართოება. ქართული ჩაი შევიდა აშშ-სა და ინდოეთში. 1997-1998 წლების შედეგები იმდენად იმედის მომცემი იყო, რომ კერძო კომპანიებმა, მათ შორის კომერციულმა ბანკებმა, სერიოზული ნაბიჯები გადადგეს მეჩაიეობის ინვესტირებისათვის. თუ არა პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება რუსეთის ფედერაციასთან, სადაც ძირითადად იყიდება ქართული ჩაი, დღეს გაცილებით უკეთესი საინვესტიციო გარემო იქნებოდა.

მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუარესების ძირითადი მიზეზებია:

- ჩაის ფაბრიკების უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა. მათი დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების, მომწოდებლის, მეჩაიეების მიმართ 17.2 ათას ლარს შეადგენს (2002 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით);
- ინვესტორებისათვის შეღავათიანი პირობების გაუქმება;
- დარგის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა;
- ჩამორჩენილ ტექნოლოგიურ გარემოში წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითღირებულება, მისი არაკონკურენტუნარიანობა, ქართული ჩაისადმი დაბალხარისხიანი პროდუქციის იმიჯის დამკვიდრება;
- ჩაის კონტრაბანდის მაღალი დონე, ფალსიფიცირებული პროდუქციის მოზღვავება;
- გადასახადების სიმრავლე და მაღალი განაკვეთები;
- საკუთარი ბაზრის დაკარგვა, პროდუქციის გაყიდვის გარანტიის უქონლობა;
- მეჩაიეობის რეგიონებიდან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაცია, რის გამოც აუცილებელი გახდება ჩაის წარმოების იაპონურ

მეთოდზე გადასვლა (მექანიზაციის დონის მკვეთრად ამაღლება), რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული;

- დარგის ენერგოტევადობა, ენერგომატარებლების მაღალი ფასი;
- ჩაის პლანტაციებისა და ჩაის ფაბრიკების მოსამზადებელი და საექსპლუატაციო ხარჯებისა და ქართულ ჩაიზე საბაზრო ფასების გათვალისწინებით პირველ ორ წელს ჩაის წარმოების ზარალიანობა;
- მეჩაიეობის, როგორც ღრმა ეკონომიკურ კრიზისში მყოფი დარგის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის ადრე მიღებული კანონის გაუქმება და სხვა.

რაც მთავარია, მთლიანად საქართველოში, ბიზნესმენების უსაფრთხოების, რაიონების შიგნით უხარისხო საკომუნიკაციო კავშირებისა და სხვა ცნობილი მიზეზების გამო, საინვესტიციო გარემო უაღრესად პრობლემურია. ამიტომ რომელიმე დარგისათვის საინვესტიციო გარემოს ფორმირების საკითხების განხილვა საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილად, თითქმის შეუძლებელია. მით უფრო, როცა ასეთ სიტუაციაში აუქმებ შენს მიერვე დაკანონებულ სექტორალურ შეღავათებს, უცხოელმა ინვესტორმა მხოლოდ ის შეიძლება იფიქროს, რომ ქართველებს მოცემული დარგის აღორძინება არ უნდათ.

შექმნილ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როცა 1997-2004 წლებში მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა თანხები, რის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი"–თ დარგის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იყო 2004 წელს – 11.1, 2005 წელს – 8.2, ხოლო 2006 წელს – 2.2 მილიონი ლარის გამოყოფა.

მეჩაიეობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული ინვესტიციების გარეშე დარგის აღდგენა შეუძლებელია, ხოლო იმისათვის, რომ წახალისდეს მეჩაიეობაში მისი შემოდინება, არაორდინალური გადაწყვეტილებებია მისაღები, რომლის მიზანი იქნება დარგში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების შემოდინებისათვის ეკონომიკური მოტივაციის შექმნა, ისეთი სამეწარმეო გარემოს ფორმირება, რომლის შემდეგ დარგს შეეძლება ჩვეულებრივ საბაზრო რეჟიმში ფუნქციონირება. ამდენად, დარგის რეაბილიტაციისათვის მისაღებ ხელშემწყობ გადაწყვეტილებებს ექნება დროებითი ხასიათი, ხოლო ზოგიერთ მათგანს არა მხოლოდ სეგმენტალური, არამედ საერთო მნიშვნელობა.

მეჩაიეობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელია:

- ინვესტორისათვის ხელშეწყობის მიზნით ინვესტიციების შესახებ ძველი კანონით გათვალისწინებული შეღავათების აღდგენა;
- კანონის მიღება „საქართველოში მეჩაიეობის რეაბილიტაციისა და საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შესახებ".
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე ჩაის ფაბრიკების დავალიანებების რესტრუქტურიზება, უიმედო ვალების მქონე ფაბრიკების მიმართ სასამართლოში გაკოტრების შესახებ საქმის გახსნის, პერსპექტიული ფაბრიკების დავალიანების გადავადების, ცალკეულ შემთხვევებში მათი ჩამოწერის მიზნით;
- ჩაის ფაბრიკების, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების მიერ მიწოდებული პროდუქციის დასაბეგრი ზღვრის 1 მლნ ლარამდე გაზრდა და დაბეგვრის განაკვეთის 2-3 პროცენტამდე შემცირება;
- პერსპექტიული ჩაის ფაბრიკების მიწის გადასახადისაგან დროებით გათავისუფლება;
- მოლაპარაკების გამართვა იაპონიის ჩაის ტექნიკის მწარმოებელ ფირმებთან შეკეთებული ტექნიკის უფასოდ გადმოცემის შესახებ იმ პირობით, რომ ტექნიკის ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯებს ქართული ფირმები გაიღებენ (ასეთი პრაქტიკა არსებობს);
- მეჩაიეობის დარგის ტექნოლოგიური დანადგარების ტარა–შესაფუთი მასალების, ნედლეულის იმპორტის დამატებული ღირებულებისა და საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება;
- ხუთი წლის მანძილზე ამოძირკვული ფართობების გათავისუფლება მიწის (საიჯარო ქირის) გადასახადისაგან იმ პირობით, რომ მოიჯარის მიერ გაწეული იქნება ხარჯები ნიადაგის გაკულტურების, ჩაის სხვა კულტურით ჩანაცვლებისათვის.
- ჩაის პლანტაციებში გაადგილებული, ტექნოლოგიურად სრულად აღჭურვილი მიკროფაბრიკების, აგრეთვე, ამავე ტიპის ახლად აშენებული ფაბრიკების 3 წლით გათავისუფლება ყოველგვარი გადასახადისაგან;
- ჩაის ფაბრიკების ქონების ნაწილის კონსერვაციის გამარტივებული წესის შემოღება;

- სახელმწიფო გარანტიების სისტემის აღდგენა მეჩაიეობაში გამოსაყენებელი უცხოური კრედიტებისადმი;
- ჩაის ფაბრიკების, მეჩაიეების, კერძო ფირმების მიმართ თურქმენეთში გადატვირთული ჩაის ღირებულების აუნაზღაურებლობით, აგრეთვე, პროდუქტებით მისი დაფარვისას წარმოშობილი ვალების შესახებ საკითხის მომზადება და განხილვა მთავრობის სხდომაზე;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეჩაიეობის სუბსიდირების პროგრამის გაგრძელება, მისი მოცულობის გაზრდა ტენდერში გამარჯვებული ფირმების მიერ მოგებული თანხის ბიუჯეტისათვის რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნების პირობით;
- სახელმწიფო რესურსებიდან ჩაის ფაბრიკების დაკრედიტება ე.წ. წერტილოვანი მეთოდის გამოყენებით (უკეთესთა შორის უკეთესი). დაკრედიტების წყაროდ იაპონიის მთავრობასთან შეთანხმებით, პროექტის საქართველოსათვის სურსათით დახმარება – 2KR-ის საპარტნიორო ფონდის ანგარიშზე აკუმულირებული თანხის ნაწილის გამოყენება;
- გაიმართოს მოლაპარაკებები დონორ ქვეყნებთან მეჩაიეობის ინსტიტუციონალური მოწყობის პროექტის შესამუშავებლად, ჩაის ფაბრიკების დაკრედიტების, უცხოური პროექტის „სურსათი შრომისათვის, მეჩაიეობის რეგიონებში განახლების შესახებ".

თავი 2. . ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი საქართველოში

2.1. ჩაის წარმოების ეფექტიანობის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები და პრაქტიკა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები მუდამ აქტუალურია და ფართო მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს. საქართველოში მის მეცნიერულ შესწავლას მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტებმა; ი. ჯაშმა, პ. ჟღენტმა, ვ. ბურკაძემ, ვ. პაპუნიძემ, ო. ვაშაკიძემ, ა. კიკნაველიძემ, ნ. ქარქაშაძემ, ჰ. გიორგაძემ, ო. საღარეიშვილმა, რ. ანდღულაძემ, პ. კოღუაშვილმა, თ. კუნჭულიამ და სხვებმა, რომელთა გამოკვლევების საფუძველზე არსებობს საქართველოს მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობის განვითარების პერსპექტივების ამსახველი ეკონომიკური ანალიზის ფართო სპექტრი, დარგობრივი თუ რეგიონალური კუთხით.

არანაკლებ აღსანიშნავია ცნობილი რუსი მკვლევარების მეცნიერული არგუმენტაციები და გამოთქმული მოსაზრებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის და მისი განმსაზღვრელი მაჩვენებლების შესახებ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ვ. ობოლინსკის, ი. ბუზდალოვის, ე. ეფიმოვის, გ. კანევის, გ. კოტოვის, ვ. დობრინინის მეთოდოლოგიური თვალთახედვა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა მეცნიერულ შესწავლასა და ანალიზზე.

მათი ნაშრომების გაცნობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კონკრეტული საკითხების ორიგინალური შესწავლის და ანალიზის აუცილებლობაში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების რაც შეიძლება რაციონალური და მაღალეფექტიანი გამოყენების მიზნით.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა კომპლექსური კატეგორიაა, რომელიც მთლიანობაში ასახავს წარმოების მთლიანი უწყვეტი ციკლის საბოლოო სასარგებლო შედეგებს, ე.ი. წარმოების საბოლოო ეფექტი მხოლოდ ცალკეულ ეფექტთა ერთობლიობის ფონზე იქმნება, რომლებიც კონკრეტულ საწარმოო პროცესში ინტენსიური ტექნოლოგიების ფონზე მიღწეული სასარგებლო ეკონომიკური შედეგებია. მაგალითად, სასუქების ოპტიმალური გამოყენების

შედეგად მიღებული ეფექტი დამატებით მოსავალში გამოიხატება, უახლოესი ტექნიკის – ნაკლებ მწარმოებლური შრომის გამოთავისუფლებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში და ა.შ. მაგრამ ყოველი ასეთი ეფექტი მხოლოდ ცალკეული ღონისძიებების გამოყენების სარგებლიანობაზე მიუთითებს. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალმხრივი მოქმედების კომპლექსური კატეგორიის და მისი საბოლოო სასარგებლო შედეგის დეტალური ანალიზი, მხოლოდ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებით შეიძლება.

ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა საზრიანად გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ განხორციელებული ღონისძიებანი რამდენად ხელს უწყობენ ფართობის ერთეულზე პროდუქციის წარმოების გადიდებას, ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას და პროდუქციის ერთეულზე შრომის და წარმოების საშუალებების დანახარჯთა შემცირებას. (იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო წარმოება).

გარდა აღნიშნულისა, სწორად შერჩეულ მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებას დიდი მეთოდოლოგიური ხასიათის მნიშვნელობა აქვს, წარმოების ეფექტიანობის სიღრმისეული შესწავლის, კომპლექსური საწარმოო-ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკური მონაცემების სრულად გამოყენების, კონკრეტული კვლევის ობიექტებისათვის მიღწევის გზაზე, ორიგინალური დასკვნების შემუშავების საქმეში. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა მრავალმხრივი კლასიფიკაცია ნატურალურ, ფულად, საერთო და ნაწილობრივი ფორმის პარამეტრებად, წარმოადგენს ისეთ საწარმოო-ანალიტიკურ პრიზმას, სადაც დეტალურად აისახება საწარმოო პოტენციალის მატერიალური, შრომითი და ფინანსური სახსრების დაბანდება-გამოყენების დონე.

როგორც პრაქტიკა გვასწავლის, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური შეფასებისათვის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ყველა ის მაჩვენებელი, რომელთა ერთობლივი გამოყენება სრულად წარმოაჩენს წარმოების ეკონომიკური ზრდის განვითარებად პროცესს და მის განმაპიროებებელ ფაქტორებს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია წლიური ეკონომიკური ეფექტი, წარმოების მოცულობა, ნორმატიული წმინდა პროდუქტი, მოგება, სასაქონლო პროდუქცია; ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები (შრომის ნაყოფიერების ზრდა, მუშაკთა რაოდენობის აბსოლუტური ეკონომია, საწარმოო-სამეურნეო პერიოდის რაოდენობრიობის შეფარდებითი ეკონომია, შრომის ანაზღაურების ფონდის ეკონომია); პროდუქციის

თვითღირებულების შემცირება, მატერიალური დანახარჯების ეკონომია საერთოდ და დანახარჯთა სახეების მიხედვით ფონდუკუგების ცვალებადობა, საწარმოო ფონდების შეფარდებითი ეკონომია, საერთო ეფექტიანობის კოეფიციენტი, რენტაბელობა, კაპიტალური დაბანდებათა გამოსყიდვის ვადა.

სოფლის მეურნეობის ისეთ სპეციფიკურ დარგში, როგორიც მეჩაიეობაა, წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას, პირველ რიგში მისი წარმოების სპეციფიკა განსაზღვრავს, აგრეთვე, მეტად მნიშვნელოვანია მის მიმართ მიწათმოქმედების შერჩევის ფონი, წარმოების ინტენსიფიკაციის დონე და საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფის ფაქტორი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზრის კონიუნქტურის შესწავლისას, აუცილებელია განხორციელდეს სისტემატიური სტატისტიკური დაკვირვება ყოველ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზე, რომელთა ალბათობა და დინამიკა ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის ცვლილებას.

ჩაის პროდუქციის წარმოების სიუხვის რეგულატორად უნდა გადავაქციოთ საბაზრო მოთხოვნა, პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, რაც დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა გამოვავლინოთ არაერთი, არამედ მაჩვენებელთა მთელი სისტემა, რომელთაგან ძირითადად მიგვაჩნია შემდეგი: საერთო პროდუქცია, შემოსავალი, რენტაბელობის დონე, მოგება, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულება.

წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას პრაქტიკული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ იგი წარმოების შედეგებსა და დანახარჯებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის სახით წარმოგვიდგება. მისი ზრდა გვიჩვენებს ნაკლები ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების პირობებში მაღალი შედეგების მიღებას. მისი ამაღლება შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის მოცულობის უცვლელობის დროსაც, თუ შემცირდება წარმოების ხარჯები ან გაუმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული ვ.ა. დობრინინს, რომელიც აღნიშნავს: „ეკონომიკური ეფექტიანობა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, წარმოადგენს კვლავწარმოებით კატეგორიას, რომელიც ასახავს ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დამყარებულ წარმოებით ურთიერთობებს, რომელშიც მშრომელთა ურთიერდახმარებითი დამოკიდებულება

წარმოგვიდგება მათი ეკონომიკური ინტერესების გამოხატულებად და განაპირობებს საზოგადოების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას“. [3.11]

ეკონომიკურ ლიტერატურაში, ისევე, როგორც წარმოების ეფექტიანობის და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსის განსაზღვრაში, ასევე შესაბამისად მათი კრიტერიუმების შესახებ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. დისკუსიის საკითხები მოიცავს იმას, თუ რაში მდგომარეობს კრიტერიუმების შინაარსი, შესაძლებელია თუ არა მათი გაიგივება ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად განმაზოგადებელ მაჩვენებელთან, რაშია მათ შორის განსხვავება და ა.შ. კრიტერიუმი ეს არის ამა თუ იმ ღონისძიების საზომი, დაკავშირებული რესურსების გამოყენებასთან და სამომხმარებლო ღირებულებათა წარმოებასთან.

ვ. დობრინინის აზრით, დღეისათვის წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმად აღიარებულია საზოგადოების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებთა დაკმაყოფილების, ადამიანის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების ხარისხი, ხოლო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმმა უნდა გვიჩვენოს წარმოების ფაქტორების გამოყენების, მიმდინარე დანახარჯების ეფექტიანობის რაოდენობრივ–ხარისხობრივი ასპექტები. [3.10].

ჩვენი აზრით, ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმს მოგება წარმოადგენს. ვინაიდან ყოველი მეწარმის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა, რაც უფრო მეტ შემოსავალს იღებს მეურნეობა, მით უფრო მაღალი იქნება მისი ეფექტიანობა.

ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად კრიტერიუმთან ერთად გამოიყენება ასევე კერძო ან ლოკალური კრიტერიუმები. საბოლოო ჯამში, ყველა ლოკალური კრიტერიუმი უნდა შეესაბამებოდეს ძირითადს და ხელს უწყობდეს წარმოების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია., თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში ისეთი ეკონომიკური კატეგორიის სწორად განსაზღვრასა და დახასიათებას, როგორიცაა წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

თანამედროვე ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის მეჩაიეობის განვითარების მთავარ პრობლემას სწორედ მისი ეკონომიკური ეფექტიანობის განუხრელი ამაღლება წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საბოლოო შედეგის პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეჩაიეობისათვის. აქ, როგორც წესი, მოსავალს

იღებენ წელიწადში რამოდენიმეჯერ, ხოლო მის მისაღებად სამუშაოები პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ამ სამუშაოების ხარისხისა და მისი შესრულების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს საბოლოო შედეგი, ე. ი. მოსავალი. ასეთ შემთხვევაში, საბოლოო ეკონომიური ეფექტი დამოკიდებულია, როგორც წარმოების ყველა ფაქტორთა რაციონალურ გამოყენებაზე, ასევე სისტემატიურ ეკონომიაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე; რაც უფრო მეტი იწარმოება და შემოდის პროდუქცია ბაზარზე და რაც უფრო იაფია, მით უფრო მაღალია შემოსავალი, მით უფრო მეტი სამეურნეო სახსრები შეიძლება გამოვყოთ წარმოების გაფართოებისა და მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისათვის.

კ. მაკკონელის განმარტებით, ეფექტიანობის ამაღლება ნიშნავს ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური პროდუქციის მიღებას, ხოლო პირიქით დიდი დანახარჯებით ეფექტიანობის შემცირებას.

ჩაის წარმოების ეფექტიანობის შეფასებისათვის უმჯობესია გამოვიყენოთ ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლები. მეჩაიეობაში მთავარ მიზანს წარმოადგენს მაღალი მოსავლიანობის მიღწევა. ამისათვის საჭიროა გაიზარდოს მოთხოვნილების მიხედვით პროდუქციის წარმოება და მიწა ეფექტურად იქნეს გამოყენებული.

ამრიგად, ეფექტიანობის ამაღლება ნიშნავს, დახარჯული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების, ასევე მიწის ფონდების ერთეულზე წარმოების მოცულობის გადიდებას.

ეროვნულ-სამეურნეო თვალსაზრისით, ეფექტიანობის ამაღლებაში იგულისხმება ოპტიმალური შედეგების მიღწევა წარმოებაში დახარჯულ თითოეულ ლარზე ანუ ცოცხალი და განივთებული შრომის უმცირესი დანახარჯებით საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აუცილებელი პროდუქციით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ეფექტიანობა რთული ეკონომიკური კატეგორიაა. ის გვიჩვენებს წარმოებაში საწარმოო ფაქტორების გამოყენებიდან მიღებულ საბოლოო შედეგს. ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოებაზე მოქმედი თითოეული ფაქტორის ობიექტური ეკონომიკური შეფასების გარეშე. რადგან საბოლოო შედეგზე მოქმედებს უამრავი საწარმოო და არასაწარმოო ფაქტორი, ერთი რომელიმე ძირითადი კრიტერიუმის შერჩევა და მის საფუძველზე ჩაის წარმოების

ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სრული წარმოდგენის შექმნა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მიუღებელია.

შეიძლება განვასხვაოთ ჩაის წარმოების ეფექტიანობის შემდეგი სახეები: საწარმოო-ტექნოლოგიური, საწარმოო-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიურ-ეკონომიკური.

–საწარმოო-ტექნოლოგიური ეფექტიანობა გვიხასიათებს წარმოების პროცესში საწარმოო ფაქტორების გამოყენების ხარისხს ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა მიწათუკუგება, ფონდუკუგება, შრომატევადობა, მასალატევადობა და სხვა.

–საწარმოო-ეკონომიკური ეფექტიანობა – ესაა საწარმოო-ტექნოლოგიური ეფექტიანობისა და ეკონომიკური მექანიზმის ერთობლივი ზემოქმედების შედეგი. მას ანგარიშობენ პროდუქციის თვითღირებულებით, საერთო და წმინდა შემოსავლით, რენტაბელობით და სხვა ღირებულებითი მაჩვენებლებით.

–სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა ასახავს ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ხარისხს და გვიხასიათებს წარმოების ეფექტიანობას მთლიანად. მისი მაჩვენებლებია მოგების ნორმა, მოხმარების ფონდი ერთ მუშაკზე, რენტაბელობის დონე და ა. შ.

–ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა გვიხასიათებს ჩაის წარმოების პროცესის ერთობლივ შედეგიანობას გარემო ბუნებაზე ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგების გათვალისწინებით. მასში, შრომით და მატერიალურ დანახარჯებთან ერთად (რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციასთან ან პრევენციასთან), აისახება ჩაის პროდუქციის დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით.

სოციალური ეფექტიანობა მჟღავნდება მუშა ძალის კვლავწარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნაში. ის განისაზღვრება არა მხოლოდ ეკონომიკური პოზიციიდან, არამედ სოციალური შედეგის გათვალისწინებითაც (ანუ შრომის ანაზღაურების რეალური დონის, შრომისა და დასვენების პირობების, სოფლად სოციალურ-კულტურული მომსახურების დონის და სხვა შედეგების გათვალისწინებით).

საბოლოო ანგარიშით, ჩაის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები ორ ძირითად ჯგუფში ერთიანდება. პირველში ჩართულია ის ფაქტორები, რომელთა რეგულირება შესაძლებელია საწარმოს მიერ. ესაა

წარმოების სპეციალიზაცია, მოსავლიანობა, შრომის ორგანიზაცია, თვითღირებულება და ა.შ.

მეორე ჯგუფის ფაქტორებია ფასწარმოქმნა, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო განაკვეთები, კრედიტი და მისი საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციური პროცესები, აგრარული სამართლებრივი გარემო და ა. შ., რომელთა რეგულირება (შემცირება, გადიდება ან გაუქმება) საწარმოზე არაა დამოკიდებული. ეს ფაქტორები პრაქტიკულად ქმნის ეკონომიკურ მექანიზმს, ანუ ამ ჯგუფის ფაქტორები დღეისათვის ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ფორმირებაში.

ჩაის წარმოების ეფექტიანობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ყველა ის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც საბოლოო ანგარიშით, წარმოების ეკონომიკურ შედეგში აისახება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოსაყოფია მიწის ნაყოფიერება, საშუალო წლიური ტემპერატურა, ნიადაგის ტენიანობა და სხვა ბუნებრივი პირობები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას განასხვავებენ ეკონომიკურ ეფექტს და ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ მაჩვენებლებს შორის განსხვავება ისაა, რომ ეკონომიკური ეფექტი გამოხატავს მიღებული შედეგის აბსოლიტურ მნიშვნელობას მასზე გაწეული დანახარჯების მიუხედავად, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა მოითხოვს მიღებული შედეგისა და მასზე გაწეული ხარჯების შეპირისპირებას.

ეკონომიკური ეფექტი ტექნოლოგიური ციკლის ცალკე აღებული რომელიმე ღონისძიების შედეგია. მაგალითად, მინერალური სასუქის გამოყენების ეფექტი გამოიხატება მოსავლის მატებაში ფართობის ერთეულზე, მაგრამ იგი არ იძლევა პასუხს კითხვაზე – როგორია სასუქის გამოყენების მომგებიანობა, ანუ მისი ანაზღაურების (ამონაგების) ხარისხი. ამდენად, მარტო ეკონომიკური ეფექტით ვერ ვიმსჯელებთ ამა თუ იმ აგროღონისძიებების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე. აღნიშნულის პასუხს მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა იძლევა. ამდენად, ცხადია, რომ საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას უფრო მეტ მნიშვნელობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ.

ჩაის წარმოების დარგის ეფექტიანობა დამოკიდებულია საწარმოო რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე. ამიტომ, საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლად იღებენ საერთო

პროდუქციის, წმინდა პროდუქციის (საერთო შემოსავალი) და წმინდა შემოსავლების ოდენობას დახარჯული წარმოების სხვადასხვა ფაქტორების ერთეულზე (იგულისხმება მიწა, კაპიტალი და შრომითი რესურსები).

ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განზოგადებული მაჩვენებლები შედგება ცალკეული აგროტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სხვა საწარმოო ფაქტორების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობისაგან. ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია გაითვალოს არამარტო ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის საერთო (ზოგადი) მაჩვენებლები, არამედ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობაც. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებები, როგორიცაა სასუქების გამოყენება, ინტენსიური რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი ჯიშების დანერგვა წარმოებაში და ა. შ. ამასთან, სხვადასხვა აგროტექნიკურ ღონისძიებას, როგორც წესი, მოსავლიანობის ამაღლება და ხარისხის გაუმჯობესება უნდა ახლდეს, ასე მაგალითად, ჩაის წარმოებაში ახალი ინტენსიური და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიის დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად განმსაზღვრელ მაჩვენებლად მიჩნეულია ჩაის კულტურის მოსავლიანობის ამაღლება და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება წინა წლებთან ან ბაზისურ ვარიანტთან შედარებით.

ჩაის წარმოების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც დამოკიდებულია საწარმოს კოლექტივის საქმიანობასთან, მრავალი სხვა კი წარმოების ტექნოლოგიასთან, ორგანიზაციასთან, მართვასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვასთან.

ყველა შემთხვევაში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მიმართულებით, ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი განმსაზღვრელი მოგების მოცულობაა, რომელიც მიიღება პროდუქციის რეალიზაციიდან. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება წარმოადგენს სხვაობას პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა (დღგ-ს გამოკლებით) და მასზე გაწეულ დანახარჯებს შორის.

საწარმოს მოგებაზე არსებით გავლენას ახდენს პროდუქციის სარეალიზაციო ფასები, რაც თავის მხრივ, ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე და, ამდენად, დამოკიდებულია პროდუქციის რეალიზაციის არხებსა და მეთოდებზე. სარეალიზაციო ფასზე გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხი და სხვა მრავალი

ფაქტორი, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ყველა შემთხვევაში, ჩაის წარმოების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება ერთ-ერთი რომელიმე კონკრეტული ფაქტორის ხარჯზე პრაქტიკულად შეუძლებელია. საწარმოო, ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებათა მხოლოდ ერთიან კომპლექსში განხორციელება არის ერთადერთი გარანტი წარმოების მომგებიანად წარმართვისა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის თანმიმდევრული ამაღლებისა.

საწარმოო-ტექნიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომლებიც განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნებისმიერ ქვეყანაში, არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოსაყოფია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, ცვლის პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯებისა და მასზე არსებული ფასების თანაფარდობას, ამაღლებს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დონეს.

ჩაის წარმოების მართვისა და ორგანიზაციის სფეროებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა არსებითად ამაღლებს წარმოების ფაქტორების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და უზრუნველყოფს საწარმოო რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არსი ჩაის წარმოებაში, უპირველეს ყოვლისა, წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაში გამოიხატება. ამდენად, ჩაის წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ესაა წარმოების დაჩქარებული განვითარების და მისი ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი ფაქტორი.

ჩაის წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეფუძნება ამ დარგში მოქმედი ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების მოქმედებას. იგი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც დაკავშირებულია ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანასთან, მოსავლის აღებასთან, შენახვასთან, ტრანსპორტირებასა და მომხმარებლებისთვის მიწოდებასთან. აქედან გამომდინარე, მიწისა და წარმოების სხვა ფაქტორების ეფექტური გამოყენება არსებითად დამოკიდებულია მეცნიერულად დასაბუთებული მეურნეობის გაძღოლის სისტემების, მაღალმწარმოებლური ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უშუალო გავლენას ახდენს ჩაის წარმოების განვითარების ყველა მხარეზე (ტექნიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული). მიწათმოქმედებაში ის ვლინდება ნიადაგის დამამუშავებელი მაღალმწარმოებლური მანქანა-იარაღების, მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისგან დაცვის ქიმიურ-ბიოლოგიური საშუალებების, მელიორაციული ღონისძიებების, მაღალმოსავლიანი და დაავადებათა გამძლე მცენარეთა ჯიშების და მათი მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებაში.

ჩაის წარმოებაში დანერგილ ნებისმიერ აგროტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სხვა საწარმოო თუ არასაწარმოო ხასიათის ღონისძიებებს ეკონომიკური შეფასების ძირითადი კრიტერიუმი გააჩნია. ასეთად მიჩნეულია წმინდა პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რაც ნიშნავს იმას, რომ რაც მეტი წმინდა პროდუქცია იწარმოება ერთ მუშაკზე გაანგარიშებით დარგის მასშტაბით, მით მეტია წარმოების ძირითადი ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) ეკონომიკური ეფექტიანობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ ეფექტიანობას აფასებენ რიგი ნატურალური (მოსავლიანობა, პროდუქტიულობა და ა. შ.) და ღირებულებითი მაჩვენებლებით, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ეკუთვნის შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის თვითღირებულებას, ფონდუკუგებას და წარმოების რენტაბელობას.

ცნობილია, რომ ჩაის პროდუქციის წარმოების გადიდება ფართობის ერთეულზე შესაძლებელია მხოლოდ მიწის რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების საფუძველზე, ეს უკანასკნელი კი წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის ხარჯზე მიიღწევა.

ფართო გაგებით, წარმოების ინტენსიფიკაცია არ ნიშნავს მხოლოდ დამატებით დაბანდებებს ფართობზე, ის სხვა მრავალ მიმართულებასაც მოიცავს, რომელთა შორის გამოსაყოფია წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა, შრომის ორგანიზაციის დახვეწა და ა. შ. არც თუ იშვიათად ამ ღონისძიებებს უფრო მეტი ეფექტის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე დამატებით დაბანდებებს უშუალოდ წარმოებაში (მეტი ტექნიკის, სასუქის და სხვა საშუალებების შეძენა).

წარმოების ტექნოლოგიურ-ორგანიზაციულ დახვეწაში იგულისხმება ჩაის კულტურის მიმართ აგროტექნიკური, ბიოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების კომპლექსური შემუშავება ზონალური პირობების გათვალისწინებით.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მეჩაიეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს გადამწყვეტ პრობლემას, რადგანაც გაფართოებული კვლავწარმოების მაღალი ტემპების შემდგომი უზრუნველყოფა და სხვა ამოცანების გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად გამოიყენება საზოგადოების შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

2.2 ჩაის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები

ბაზრის დაკარგვის და სხვა უარყოფითი მოვლენების გამო, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა, საბაზრო გარემოს ფორმირების პროცესი აგროსასურსათო სექტორში ძნელად მიმდინარეობს და იგი დარგების მიხედვით განსხვავებულია: მევენახეობა-მეღვინეობაში, მეხილეობასა და კონსერვის წარმოებაში, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახურულ ბაზარზე იყვნენ ორიენტირებული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მეჩაიეობაში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთის მეჩაიეობაა და აქედან გამომდინარე, თვით პროდუქციის წარმოების თავისებურებების გამო უჭირს კონკურენტურ გარემოში ფუნქციონირება. ასეც რომ არ იყოს, თუ დარგს კარგი სასტარტო საბაზრო გარემო არ გააჩნია, (ბაზარი, ცოდნა, საბანკო, სადაზღვევო, საგადასახადო სისტემა, საინოვაციო გარემო და სხვა) მოუმზადებელი რეფორმა მხოლოდ უარყოფით შედეგს გამოიღებს.

ჩაის წარმოების დარგში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და შეიძლება ითქვას, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მეჩაიეობის რეგიონში ცხოვრობს 500 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთა ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო მეჩაიეობა იყო და იგი ახლო მომავალში ასეთად უნდა იქცეს.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მეჩაიეობაში, ისე როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობაში, შექმნილი საერთო მდგომარეობა უნდა შეფასდეს ცალსახად: როგორც გლობალური კრიზისი, რომელიც ყოველმხრივ ღრმავდება, მძაფრდება და დღითიდღე იღებს სოციალური

დაძაბულობის ნიშანთვისებებს. კრიზისის ყოვლისმომცველი პროცესი, როგორც წესი, მრავალი მიმართულებით და არასწორხაზოვნად ვითარდება და სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში განსხვავებული პარამეტრებით ვლინდება, თუმცა ყველგან აშკარად ჩანს მოსალოდნელი კატასტროფის სიმპტომები. მეჩაიეობის დეპრესიის გამომწვევი მთავარი მიზეზი ეკონომიკის საერთო კრიზისია, ხოლო კრიზისის გაღრმავების მთავარი მაჩვენებლებია: პროდუქციის წარმოების ტემპების კატასტროფული დაცემა, ინფლაცია, დევალვაცია, მეჩაიეობის, როგორც დარგის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმების მოშლა, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის დატაცება-განიავება, საფინანსო, ტექნოლოგიური დისციპლინის სრული იგნორირება, არასწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, თანამედროვე ეტაპის ეკონომიკური თავისებურებების უგულებელყოფა, მართვის სახელმწიფო სტრუქტურების ფუნდამენტური მოშლა და სხვა.

როგორია კრიზისის ეკონომიკური პარამეტრები, როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობაში, ისე მეჩაიეობაში. 2006 წელს 2005 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა 3,5%-ით, ხოლო 1996 წელთან შედარებით 19.1%-ით. 1996 – 2006 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტში მიმდინარე ფასებით (პროცენტულად) ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 2.21)

სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა
მთლიან შიდა პროდუქტში 1996-2006 წლებში[1]

ცხრილი 2.2.1

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
მთლიანი შიდა პროდუქტი	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
სოფლის მეურნეობა	30.4	26.1	24.5	23.8	20.0	20.4	18.6	18.4	15.7	14,8	11,3

′ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

1990 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ჩაის პროდუქციის წარმოება. ასე მაგალითად, 2006 წელს 1996 წელთან შედარებით ჩაის წარმოების ტემპები შემცირდა 66%-ით. აღნიშნულ წლებში ჩაის პროდუქციის ღირებულების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში ასე გამოიყურება. (იხ. ცხრილი 2.2.2)

ჩაის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში (პროცენტულად)′

ცხრილი 2.2.2

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
ჩაი	1.7	1.6	1.8	1.5	1.1	0.6	0.5	0.5	0.4	0,4	0,3

′ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას ალტერნატივა არ გააჩნია. მეჩაიეობა, ისე როგორც აგროსამრეწველო კომპლექსი საბაზრო ურთიერთობების რთულ სისტემაში უნდა ჩაერთოს. ზემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს რიგი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ჩაის წარმოების დარგში საბაზრო პრინციპების დამკვიდრებას. ესენია: მოქმედი წარმოების დაბალი ეფექტიანობა, მენეჯმენტის სისტემის არასრულყოფილება, ბაზრის კონიუქტურის არასაკმარისი ცოდნა და გასაღების ბაზრის პრობლემა, მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა, ჩამორჩენილი ტექნოლოგია, საბრუნავი საშუალებების შევსების საკუთარი წყაროს შეზღუდვის პირობებში მწირი საკრედიტო ბაზრის არსებობა, ენერგორესურსების დეფიციტი და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპის დამკვიდრება მოითხოვს მეჩაიეობის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების სწორად განსაზღვრას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩაის კულტურის წარმოება უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე ეფექტური წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებს.

ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების ორგანიზაცია. იმისათვის, რომ ბაზარზე შენარჩუნებული იქნას კონკურენტუნარიანობა, აუცილებელია შემუშავდეს მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების სტრატეგია. მთავარია ბაზრის საქონლით გაჯერების დროულად შესწავლა და წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვა. ვინაიდან საბაზრო მოთხოვნა ინდივიდუალური მოთხოვნებით იქმნება, ბაზარზე მოთხოვნის რაოდენობა დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალურ მყიდველთა მოთხოვნის რაოდენობას. ამგვარად, ჩაის პროდუქციის ბაზარზე მოთხოვნის რაოდენობა დამოკიდებულია არამხოლოდ პროდუქციის ფასზე, არამედ მყიდველთა შემოსავლებზე, გემოვნებაზე, აგრეთვე, ამ პროდუქციასთან დაკავშირებული პროდუქციის ფასებზე (ჩაის პროდუქციის ურთიერთშემცველი პროდუქტები, ანუ სუბსტიტუტებია ყავა და კაკაო, რომელთა ფასების ზრდა იწვევს ჩაიზე მოთხოვნის ზრდას და პირიქით) და მყიდველთა რაოდენობაზეც. რაც შეეხება ბაზრის მეორე მხარეს, გამყიდველთა ქცევას, საბაზრო მიწოდების რაოდენობა დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალური გამყიდველების მიერ მიწოდებულ რაოდენობას: პროდუქციის ფასზე, ჩაის წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების ფასებზე, ტექნოლოგიასა და მოლოდინზე. ამის გარდა, საბაზრო მოწოდების რაოდენობა დამოკიდებულია გამყიდველთა რაოდენობაზე. მყიდველებისა და გამყიდველების ქცევას ბაზრები ბუნებრივად მიჰყავს წონასწორობისაკენ. წონასწორობის ფასი განსაზღვრავს რა რაოდენობის შეძენას არჩევენ მყიდველები და რა რაოდენობის წარმოებას არჩევენ გამყიდველები.

ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან პირობას სწორედ ფასისა და ფასწარმოქმნის მექანიზმის სრულყოფა წარმოადგენს. ჩვენი აზრით, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე ე.წ. არამონოპოლიზებულ სექტორში (რომელშიც შედის სასოფლო სამეურნეო საწარმოებიც) წარმოებულ პროდუქტებზე ფასები უნდა დარეგულირდეს მხოლოდ ძირითად სახეებზე (მარცვალი, რძე), ხოლო დანარჩენ პროდუქციაზე მათ შორის მრავალწლიან ნარგავების (შესაბამისად ჩაის) პროდუქციაზე უნდა იყოს თავისუფალი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ჩაის პროდუქციაზე ფასი დადგინდეს სახელშეკრულებო წესით და საერთოდ, ფასწარმოქმნის საბაზრო

მექანიზმი ისე უნდა იქნას გამოყენებული, რომ მან სტიმული მისცეს მიჩაიეობის შემდგომ განვითარებას.

საბაზრო პირობებში ჩაის წარმოების განვითარებაზე გავლენას ახდენენ, როგორც გარეგანი (სახელმწიფო მხარდაჭერა-დოტაციებით, საფასო, საგადასახადო, საკრედიტო პოლიტიკით; არასაბიუჯეტო მხარდაჭერით სხვადასხვა სტრუქტურების მიერ), ისე შინაგანი (წარმოების სტურუქტურის გარდაქმნა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, დანახარჯების ეკონომია) ფაქტორები. თუმცა, ჩაის წარმოების ეკონომიკური მდგრადობის ძირითად შემადგენელ ელემენტებად მიჩნეულია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვა, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის დონეები, ტექნოლოგიები, მოგების მოცულობა, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და მათი დენადობის შემცირება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანსკნელნი ურთიერთმჭიდრო კავშირში არიან და ერთმანეთსაც განსაზღვრავენ. კერძოდ, წარმოების ტექნოლოგია დაკავშირებულია არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორთან – მუშაკთა კვალიფიკაციასა და რაოდენობასთან. პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის ძირითადი მიზანია მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება ნაკლები დანახარჯებით. ტექნოლოგიების რაციონალურ გამოყენებას კი მუშაკთა რაოდენობა და კვალიფიკაცია განსაზღვრავს. წარმოების მაღალი ორგანიზაციის დონე ნიშნავს იმ ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებიც განსაზღვრავენ არსებული რესურსული პოტენციალის ყველა ელემენტის რაციონალურად, მაღალეფექტურად გამოყენებას. წარმოების პროცესის განხორციელება აუცილებლად ინტენსიური გზით უნდა მოხდეს და აქცენტი აღებული იქნას ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე, ბაზარზე დიდი მოთხოვნაა, ანუ საჭიროა წარმოების რესურსული და კომერციული პოტენციალის მაქსიმალური უკუგებით გამოყენების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩაის წარმოების ეფექტიანი განვითარება წარმოადგენს ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, მიმართულს სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისა და საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისათვის. მეჩაიეობის დარგის ეკონომიკური მდგრადობის განსაზღვრა მრავალი ფაქტორით ხდება, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ წარმოებაზე და რომელთა გარეშე ეს პროცესი ვერ სრულდება. ეს არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ინტელექტუალურ-შრომითი პოტენციალი, წარმოების ტექნოლოგიები, მატერიალური სტიმულირება, შრომის რაციონალური ორგანიზაცია და მართვის

სრულყოფილი ხერხები. რა თქმა უნდა, არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც არაპირდაპირ მოქმედებენ და მათ მიეკუთვნება საბაზრო ურთიერთობების, კოოპერირების, ინტეგრაციისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეები.

საბაზრო პირობებში ჩაის წარმოების განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია შიგა ბაზრის დაუცველობა კონტრაბანდული პროდუქციის შემოღწევისაგან, რომლის წილი დღესდღეობით ძალიან დიდია. ამას ადასტურებს, თუნდაც, ქვეყანაში იმპორტირებული ჩაის დეკლარილებული რაოდენობრივი მაჩვენებლები. 2000-2007 წლებში საქართველოში დაფიქსირებულია სულ 14641,2 ტონა ჩაის პროდუქციის იმპორტი, ანუ საშუალოდ ერთ წელზე გაანგარიშებით – 2091,6 ტონა, მაშინ როცა ადგილობრივი ბაზრის მოცულობა სულ მცირე 3-4 ათას ტონას შეადგენს. საანალიზო პერიოდში ყველაზე მეტი პროდუქცია შემოტანილია 2000 და 2007 წლებში, შესაბამისად – 9638,5 და 803,0 ტონა. აშკარაა, რომ ძლიერდება ადგილობრივი ბაზრის დაკარგვის ტენდეცია. უმთავრესი, რაც უნდა გაკეთდეს მის დასაბრუნებლად, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებაა.

საქართველოში ჩაის ბაზრის ანალიზის მიხედვით, ძირითადად თბილისისა და სხვა ქალაქების სავაჭრო სისტემაში 95%–ზე მეტი უცხოური წარმოების (უმეტესწილად დაბალი ხარისხის) ჩაი იყიდება და მხოლოდ 4-5%–ია ადგილობრივი წარმოების ჩაი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით (პრესა, ექსპერტული მონაცემები), საქართველოს ბაზარზე ამ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იყიდება 50 მლნ ლარზე მეტი ღირებულების, დაახლოებით 3500–4000 ტონა სხვადასხვა სახეობის ჩაი, აქედან, 75–80% ერთჯერად პაკეტებშია დაფასოებული. მწვანე ჩაის ხვედრითი წონა მთლიან გაყიდვებში თითქმის 30%–ია, ანუ 1000–1200 ტონამდეა.

საქართველოს ბაზარზე ჩაის ძირითადი მომწოდებლები არიან: დიდი ბრიტანეთის კომპანიები „რისტონი", „ახმადჩაი", „ტვინინგსი", ამერიკული კომპანია „ლიპტონი", ჩინურ-რუსული კომპანიები - „გრენფელდი", იაპონური - „სენჩა", ცეილონის - „დილმახი" და სხვა (ამ კომპანიების უდიდესი ნაწილი ჩაის ტრადიციულად მწარმოებელი ქვეყნებიდან–ჩინეთიდან და ინდოეთიდან არ არიან). 1 კგ ჩაის ფასი, დაახლოებით 20–დან 60–მდე დოლარის ფარგლებში მერყეობს. შედარებით უკეთესი ხარისხის მწვანე ჩაის 1 კგ-ზე გადაანგარიშებით, 35–40 დოლარზე ნაკლებად არ იყიდება.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართული ჩაის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ქართული პროდუქციისთვის პრაქტიკულად დაკარგულია. საქართველოში ძირითადად მარტივი ტექნოლოგიით ოჯახებში წარმოებული და შეფუთული პროდუქცია იყიდება. ცალკეული ფირმის, მათ შორის შპს "მარტინ ბაუერ თბილისის" მცდელობა, გამოეშვა ერთჯერადი დაფასოების ჩაი, მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, სს "ყაზბეგი" და სხვები აგრძელებენ მცირე მოცულობით ერთჯერადი დაფასოების ჩაის გამოშვებას. ისინი ძირითადად პროდუქციის ხარისხის გამო მომხმარებლებში დიდი მოწონებით ვერ სარგებლობენ. ამიტომ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება და სახელმწიფო დახმარებების მხოლოდ ამ მიზნით გამოყენება მეჩაიეობის განვითარების ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს.

ჩაის პროდუქციის ეფექტიანად წარმოებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მეჩაიეობის ძლიერი და სუსტი მხარეები საქართველოში.

ქართული მეჩაიეობის ძლიერ მხარეებად მიჩნეულ იქნა:

1. დასავლეთ საქართველოს კლიმატური და ნიადაგური პირობები, სადაც მეჩაიეობაა განვითარებული, ყოველმხრივ აკმაყოფილებს პროდუქციის სამრეწველო წარმოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სუპტროპიკულ ზონაში შეადგენს 4200-4700^{0}c, ნაცვლად სამრეწველო მეჩაიეობისათვის საკმარისი 3500-4000^{0}c–ის, პლანტაციები გაშენებულია ვაკე და გორაკბორცვიან ეწერ, წითელმიწა, ყვითელმიწა და ტყის ყომრალ ნიადაგებზე. მობილური საკრეფი მანქანების გამოყენება შესაძლებელია მთელი ფართობის 20%-ზე, ხოლო მცირე მექანიზაციისა-ყველგან;

2. ჩაის პლანტაციების 70-80% გაშენებულიφ ინდოჩინური ჯიშებით, 12-15% - კიმინით, ხოლო 4 - 5%-ადგილობრივი ჯიშებით -"კოლხიდა" და "ბახტაძე";

3. საქართველოს ჩაის გეოგრაფიული გაადგილების გათვალისწინებით შესაძლებელია ყველა სახეობისა და ხარისხის ჩაის წარმოება. სტანდარტული ნედლეულისაგან დამზადებული შავი ჩაი ნაზი არომატითა და შერბილებული სიმწკლარტით გამოირჩევა, ხოლო ქართული მწვანე ბაიხის ჩაი კონკურენციას უწევს ნებისმიერი ქვეყნის ანალოგიურ პროდუქციას;

4. მეჩაიეობა წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროს, ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებას. საქართველოში ჩაის პლანტაციებს, განსხვავებით სხვა

ქვეყნებისაგან, სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად შხამქიმიკატებით დამუშავება არ სჭირდება;

5. ჩაის პირველადი და მეორადი ფაბრიკები მთლიანად პრივატიზებულია, ხოლო ჩაის წარმოების პროცესი – დივერსიფიცირებული. ფართოა ქართული ჩაის ექსპორტის მოსალოდნელი გეოგრაფია. მაღალი ხარისხის ნედლეულისაგან წარმოებულ პროდუქციაზე (შპს "ცუცხვათი", შპს "საქართველოს თაიგული" და სხვა) განუსაზღვრელი მოთხოვნილებაა;

6. ადგილი აქვს ინვესტირებას ტექნოლოგიებში, რაც მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების გარანტიას იძლევა. ახალი ტექნოლოგიური დანადგარების დამზადება ადგილზე შეიძლება, რაც არ გამორიცხავს უცხოური ანალოგების შემოტანას. შემორჩენილია ჩაის დაფასოების სიმძლავრეები, რაც შემოსავლების გაზრდის საშულებას ქმნის.

ქართული მეჩაიეობისათვის დამახასიათებელია სუსტი მხარეებიც:

1. ჩაის პლანტაციების მკაცრი ექსპლუატაციის გამო, შემცირდა ბუჩქების ბიოლოგიური აქტიურობა. პროცესის ინტენსიფიკაცია გამოიწვია ბოლო ათწლეულში აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობამ. სადრენაჟო სისტემების მოშლის გამო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა დაბლობში გაშენებულ პლანტაციებში. საკრეფი აგრეგატების სასხლავით შეცვლის, ხელით კრეფისას ნამგლით, დანით, ბამბუკის გამოყენებამ გამოიწვია გასული წლების ღეროების 40-50% დაზიანება, რომლის მძინარე კვირტებიდან ახალი ვეგეტაცია უნდა განვითარებულიყო. ასეთი კრეფის გამო ადგილი აქვს წლის მანძილზე ბუჩქის 2-3-ჯერად შპალერულ გასხვლას;

2. საქართველოში ზღვის დონიდან 100 მეტრამდე გაშენებული პლანტაციების ხვედრითი წონა 41%-ია (ოზურგეთის, ქობულეთის, ლამჩხუთის, ხობის, ზუგდიდის, გალის რაიონებში), 100-იდან 400 მეტრამდე – 45%, 400 მეტრაზე მაღლა – 14%. მაშინ, როცა საქართველოში ჩაის გაშენების საუკეთესო ზონად მიჩნეულია აჭარა-გურიისა და სამეგრელო - აფხაზეთის რეგიონებისათვის ზღვის დონიდან 600 მეტრი, იმერეთისათვის 800 მეტრი;

3. ჩაის ფოთლის კრეფის დაბალი კულტურა, რომელიც საქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაინერგა, ნორმალური მზა პროდუქციის მიღების საშულებას არ იძლევა. დაბალია მისი გასაყიდი ფასი. იგი პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს ვერ ანაზღაურებს. ხარისხიანი ნედლეულის კრეფის ტრადიციების აღდგენისათვის აუცილებელია, როგორც საკანონმდებლო ბაზის

შექმნა, ასევე მენეჯმენტისა და სტიმულირების ეფექტიანი საშუალებების ამოქმედება;

4. კვლავ შენარჩუნებულია კონფლიქტი ჩაის ფაბრიკებსა და მეჩიეებს, განსაკუთრებით – კოლმეურნეობების სამართალმემკვიდრეებს – კოოპერატივებს შორის;

5. მეჩაიეობის სექტორში უმძიმესი ფინანსური მდგომარეობაა. არ არსებობს როგორც ნედლეულის, ასევე მისი გადამუშავებისა და გაყიდვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ფინანსური მხარდაჭერის ინსტიტუტები, რადგან მეჩაიეობა არ არის მიმზიდველი არც კომერციული ბანკებისა და არც უცხოელი ინვესტორებისათვის;

6. ჩაის მზა პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირების, მისი ხარისხის გაუარესების გამო დაიკარგა პროდუქციის რეალიზაციის ტრადიციული ბაზრები, გაუარესდა დარგის ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნიკური მდგომარეობა, თითქმის არცერთ ფაბრიკაში ნედლეული არ მუშავდება ორთოდოქსალური ტექნოლოგიის გამოყენებით, არსად დანერგილი არ არის CTC-ის ხაზი, რომლის გამოყენებით მსოფლიოში ჩაის პროდუქციის 80%, ხოლო ინდოეთში – 90% იწარმოება;

7. განადგურებულია პლანტაციების დიდი ნაწილი, მოშლილია მაღალხარისხოვანი ჯიშების – „ბახტაძის", „კოლხიდას" სანერგე მეურნეობები, მათ შორის – ვეგეტატიური მეთოდის გამრავლების;

8. პრივატიზებული ჩაის პლანტაციები დანაწევრებულია, ხოლო არაპრივატიზებული – მიტოვებული და გატყევებულია;

9. მოშლილია ჩაის პროდუქციით ვაჭრობა, იგი მონოპოლიზებულია ძირითადად არაპროფესიონალი და მარკეტინგის უცოდინარი ფიზიკური პირებისა და ფირმების მიერ;

10. აღსადგენია დარგის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, რაც ჩაის ინდუსტრიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ამდენად, ძველი ტექნოლოგიების სიჭარბის, ძირითადად უხარისხო პროდუქციის წარმოების, ფინანსური დავალიანების, საკრედიტო რესურსების უქონლობის, საბაზრო გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირების უცოდინარობის, პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების დაკარგვის, კოოპერაციული კავშირების მოშლის, აგრეთვე, ყოფილ საკავშირო ბაზარზე ძირითადად მსხვილად დაფასოებული ჩაის მიწოდების პრაქტიკის, ენერგეტიკული რესურსების გაძვირების

გამო, ქართული ჩაის პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა.

მდგომარეობა დაამძიმა დარგის მართვის სტრუქტურების მოშლამ, რაც ძირითადად საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომლის თანახმადაც არჩეული იქნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლიბერალური კურსი (სახელმწიფოს ჩაურევლობა საწარმოთა საქმიანობაში). აღნიშნულმა კურსმა დამანგრეველი გავლენა იქონია საქართველოში მეჩაიეობის განვითარებაზე. 2006 წელს 1990 წელთან შედარებით ჩაის მზა პროდუქციის წარმოება 97,4%-ით შემცირდა. (იხ. ცხრილი 2.2.3)

საქართველოში ჩაის მზა პროდუქციის წარმოება

1990-2006 წლებში. (ათასი ტონა)′

ცხრილი 2.2.3.

1990	1992	1994	1996	1998	2000	2002	2004	2006
125,8	40,9	15,5	9,5	10,0	4,8	4,5	3,3	2,5

′ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

მეჩაიეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის აუცილებელია: ცივილიზებული საბაზრო ინფრასტრუქტურების ფორმირების დაჩქარება; აგრარული საბაზრო ურთიერთობათა რეგულირების სამართლებლივი ბაზის შექმნა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკური დახმარების მწყობრი სისტემის შემუშავება და რეალიზაცია.

ჩვენი აზრით, ჩაის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია დარგის სახელმწიფოებრივი რეგულირება. ამასთან, გარდამავალ პერიოდში მკვეთრად უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს როლი, ის უნდა გახდეს ბაზრის შუამავალი, მარეგულირებელი. უფრო მეტიც, მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი, როცა მეურნეობრივი წინააღმდეგობები უმნიშვნელოა, ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს აქტიურად ჩარევის ისეთი ბერკეტები როგორიცაა: სადაზღვევო სისტემა, რაციონალური მონოპოლიზმი, სოციალური და

საწარმოო ინფრასტრუქტურა, ენერგოუზრუნველყოფა, ფინანსური მხარდაჭერა, შეღავათიანი გადასახადები და სხვა.

მეჩაიეობის ეფექტიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამოქმედდეს სახელმწიფო რეგულირების შემდეგი პრინციპები:

- აგრარული პროტექციონიზმისა, როგორც შიდა-ეკონომიკური და ასევე საგარეო-ეკონომიკური ასპექტებით;
- სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის მიზნობრივი და გარანტირებული მხარდაჭერის;
- რეგულირების მექანიზმების ურთიერთშევსების;
- ეკონომიკური და სოციალური მიზნების შეთანაწყობის;
- პროგრამულ-მიზნობრივი უზრუნველყოფის.

2.3. საქართველოში ჩაის წარმოების ეფექტიანობის დინამიკა და მიღწეული დონე

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში მეჩაიეობის განვითარების მთავარ პრობლემას, პროდუქციის წარმოების მოცულობასთან ერთად, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის განუხრელი ამაღლება წარმოადგენს. ამ უკანასკნელზე უდიდეს გავლენას ახდენს ჩაის წარმოების დარგში არსებული საბაზრო მოთხოვნა, პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ნიშნავს დანახარჯებისა და რესურსების (შრომითი, მატერიალური და ფინანსური) ყოველ ერთეულზე პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას. შედეგად, წარმოების ეფექტიანი გაძღოლა უზრუნველყოფს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლებას.

ჩაის წარმოების ეფექტიანობის შეფასება ძნელია ერთი რომელიმე ძირითადი მაჩვენებლით, ამიტომ უმჯობესია გამოვიყენოთ ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელი კომპლექსი (ნატურალური, ღირებულებითი).

ჩაის კულტურის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამოსავალ ნატურალურ მაჩვენებელს მოსავლიანობა უნდა მივაკუთვნოთ, რომლის ზრდის

ფაქტორიც შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების შემოსავლიანობის ზრდის საიმედო და მაღალეფექტური საშუალებაა. მოსავლიანობა მთლიანი მოსავლის სიდიდეს განაპირობებს, მასში აისახება ყოველგვარი ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედება. თითოეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს წარმოების ინტენსიურობისა და ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია მიწათმოქმედების სისტემასთან, მიწის ნაყოფიერებასთან და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენება-დანერგვასთან.

ჩაის წარმოების განვითარების ისტორიაში საქართველოში ჩაის ფოთლის დამზადებამ სარეკორდო მაჩვენებელს 1985 წელს მიაღწია და 582 ათასი ტონა შეადგინა, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ კი – 10,2 ტონა. 1980-2006 წლებში მოსავლიანობის ანალიზისას (იხ. ცხრილი 2.3.1) ნათლად ჩანს, რომ 1990 წლიდან მცირდება როგორც ჩაის პლანტაციების ფართობები, ასევე მოსავალი და მოსავლიანობა. ყველაზე დაბალი მოსავალი 2006 წელს დაფიქსირდა და 6,6 ათასი ტონა შეადგინა.

ჩაის პლანტაციების ფართობების, მოსავლისა და მოსავლიანობის დინამიკა 1980-2006 წლებში

ცხრილი 2.3.1

წლები	ჩაის პლანტაცია, ათასი ჰა	მოსავლიანობა, ც/ჰა	მოსავალი, ათასი ტ
1980	66,8	90,0	501,8
1985	65,9	101,0	581,7
1990	68,0	90,0	501,7
1992	68,0	41,6	212,3
1994	67,7	17,6	60,7
1996	67,7	10,4	34,0
1998	59,7	17,0	47,2
2000	-	-	24,0
2002	-	-	24,0
2004	-	-	20,0
2005			22,8
2006			6,6

[1]საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები

დაბალმოსავლიანი ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, რომელიც ინტენსიური აგროტექნიკის, მექანიზაციის, ქიმიზაციის, პროგრესული ტექნოლოგიების, შრომის ნორმირება-ანაზღაურების უფრო რაციონალური ხერხების დანერგვის გზით, საბოლოოდ მიმართულია მზარდი საწარმოო დანახარჯების ეკონომიისა და წარმოების საერთო კულტურის ამაღლებისაკენ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოო-ფინანსური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებლად გამოდის რენტაბელობა, რომელიც წარმოების ნებისმიერ დონეზე განისაზღვრება შემოსავლის ანუ მოგების ოდენობით. მოგება კი წარმოადგენს სხვაობას სასაქონლო პროდუქციის სარეალიზაციო ფასსა და პროდუქციის თვითღირებულებას შორის და უშუალოდ განსაზღვრავს რენტაბელობის დონეს, რადგან რაც უფრო მეტია წმინდა შემოსავალი საწარმოს საბოლოო ფინანსურ შედეგებში, მით უფრო რენტაბელურია იგი. რენტაბელობის დონე, რომელიც განისაზღვრება წმინდა შემოსავლის შეფარდებით საწარმოო დანახარჯებთან პროცენტებში, მიუთითებს საწარმოო დანახარჯების ყოველი ფულადი ერთეულის ამოგების ეფექტიანობის დონეს.

რენტაბელობის მაჩვენებელი საშუალებას იძლევა სწორად შეფასდეს შედარებითი უპირატესობის პრინციპის საფუძველზე, კონკრეტული წარმოებისათვის უფრო მომგებიანი დარგები, კულტურები, ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების საშუალებები.

წარმოების რენტაბელობა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სწორად ორგანიზების შედეგად მიიღწევა, როდესაც რაციონალურად, მაღალეფექტიანად ხდება მატერიალურ-ტექნიკური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენება. წარმოების რენტაბელობის დონის მაჩვენებელი, ამავე დროს, გვევლინება, როგორც ყოველგვარი შეუსაბამობისა და არაექვივალენტურობის რეგულატორი პროდუქციის სრულ თვითღირებულებასა და სასაქონლო პროდუქციაზე დაწესებულ სარეალიზაციო ფასს შორის.

რენტაბელობის დონის ამაღლება, რომელსაც განაპირობებს ხარისხიანი პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდა, წარმოადგენს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციისა და მშრომელთა მატერიალური მოთხოვნების ოპტიმალურად დაკმაყოფილების მიზნით შიდასამეურნეო დაგროვების წყაროს.

განვიხილოთ ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის საბოლოო შედეგობრივი მაჩვენებელი, რენტაბელობა 1988-2004 წწ. საქართველოში (იხ. ცხრილი 2.3.2). ამ საკითხის განხილვისას წარმოების რენტაბელობის გაანგარიშებისათვის გამოყენებული გვაქვს პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება და სასაქონლო პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ სტიმულატორს, წარმოების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

ჩაის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა საქართველოში
1988-2004 წწ.

ცხრილი 2.3.2

	1988	1990	1996	2000	2004
1 კგ პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, ლ/კგ	7,10	7,20	0,83	0,85	0,86
1 კგ პროდუქციის თვითღირებულება, ლარი	4,06	4,15	2,01	2,21	2,32
მოგება, ლარი	3,04	3,05	-1,18	-1,36	-1,46
რენტაბელობის დონე, %	74,9	73,5	-58,7	-61,5	-62,9

[1]სკგ "საქჩაისუბტროპიკის" და ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

ჩაის წარმოების ეფექტიანობის საბოლოო შედეგობრივი მაჩვენებლები – წმინდა შემოსავალი და რენტაბელობის დონე მრავალი განმსაზღვრელი ფაქტორის მოქმედებაზეა დამოკიდებული, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია: მოსავლიანობის ზრდის ფაქტორი, შრომის ნაყოფიერების დონე და პროდუქციის თვითღირებულება.

შრომის ნაყოფიერების ფაქტორის გავლენა შრომატევადობით გამორჩეული ჩაის კულტურის ეფექტიან წარმოებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დროისა და დანახარჯების ეკონომიით შესაძლებელია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

ჩაის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმთავრეს რეზერვს უნდა მივაკუთვნოთ მოსავლიანობის ზრდა, რომელიც მიწის, შრომითი რესურსებისა და ინტენსიურ აგროტექნოლოგიათა მაღალეფექტიანი გამოყენების განმსაზღვრელ ფაქტორებს უკავშირდება.

რაც უფრო მაღალია მოსავლიანობა და დაბალი პროდუქციის თვითღირებულება, მით უფრო მაღლდება წმინდა შემოსავალი როგორც 1 ჰა-ზე, ისე 1 ლარ დანახარჯზე და შესაბამისად რენტაბელობის დონე. მოსავლიანობის ზრდის ფაქტორი მაღალეფექტიანია მხოლოდ უცვლელი ან შემცირებისაკენ მიმართული შრომითი დანახარჯების პირობებში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური ზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს წმინდა შემოსავალს საწარმოო დანახარჯთა ყოველ ფულად ერთეულზე და შესაბამისად რენტაბელობის დონეს, რასაც დღემდე ადგილი აქვს ჩაის წარმოებაში, არსებული რეალობიდან გამომდინარე.

როგორც აღვნიშნეთ, ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის პროცესში პროდუქციის თვითღირებულება, როგორც სინთეზური მაჩვენებელი, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს წარმოების საბოლოო ფინანსურ მაჩვენებლებს – მოგებასა და რენტაბელობას, მიზანმიმართულ შემცირებას უნდა დაექვემდებაროს. ჩაის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი პირობაა მეურნეობის გაძღოლის ორგანიზაციულ-ეკონომიკური დონის ამაღლება, შრომის რესურსების სრული გამოყენება და შრომითი დანახარჯების შემცირება პროდუქციის ერთეულზე, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და კადრების მომზადების ამაღლების ხარჯზე.

მეჩაიეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, პროდუქციის თვითღირებულების თითოეული შემადგენელი ელემენტის მიხედვით დანახარჯების ეკონომიას (ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა მატერიალურ ხარჯებს უკავია – 50-60%; შრომის ანაზღაურების ხარჯები – 7-10%-ია), სასუქების წარმოების გაიაფებას, ამორტიზაციის ანარიცხების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით, სარეველა მცენარეებისაგან და მავნებლებისაგან გამოწვეული დანაკარგების ლიკვიდაციას, არაპირდაპირი ხარჯების შემცირებას და სხვ.

ჩაის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ნედლეულის ხარჯვის კოეფიციენტი, რაც მნიშვნელოვანია იმითაც,

რომ ჩაის პროდუქციის თვითღირებულებაში 90-92%-ს ნედლეულის ღირებულება შეადგენს.

მეჩაიეობაში რენტაბელობის გადიდების რეალური საფუძველია ჩაის ნედლეულის წარმოების დანახარჯთა შემცირება, შრომის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გადიდება, ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და ჩაის პლანტაციების მოვლა-ექსპლუატაციის აგროწესების თანმიმდევრული გატარება.

ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების დონის უფრო სწრაფად ზრდა, წარმოების მოცულობისა და წარმოების ფონდშეიარაღების ზრდის ტემპთან, რადგან მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდება საწარმოო დანახარჯების მაქსიმალური ეკონომიის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც, მიუხედავად ოპტიმალური სარეალიზაციო ფასების გავლენით წარმოების შემოსავლიანობის ზრდისა, აფერხებს რენტაბელობის დონის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ ჩაის წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლების საქმეში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას. ანალიზის საგანს შეადგენს, როგორც წარმოების ძირითადი ფონდების უზრუნველყოფისა და აღჭურვის, ასევე მათი გამოყენების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები.

წარმოების ფონდუზრუნველყოფას ანგარიშობენ ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების შეფარდებით ჩაის პლანტაციის ფართობთან, ხოლო შრომის ფონდშეიარაღების მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის აღნიშნული ფორმულის მნიშვნელში სავარგულის ნაცვლად საწარმოში (მეურნეობაში) დასაქმებული მუშაკების საშუალო წლიური რიცხოვნებაა. ანალოგიურად გაიანგარიშება ენერგოუზრუნველყოფის და ენერგოშეიარაღების მაჩვენებლები.

ძირითად საშუალებათა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლად დღეისათვის მიჩნეულია ფონდუკუგების და ფონდტევადობის მაჩვენებლები. პირველი შეიძლება განისაზღვროს როგორც საერთო პროდუქციის, ასევე საერთო და წმინდა შემოსავლის შეფარდებით ძირითადი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებასთან, ხოლო ფონდტევადობის

მაჩვენებელი ფონდუკუგების შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის ძირითადი საშუალებები მოდის წარმოებული საერთო პროდუქციის ერთეულზე. მისი გაანგარიშება შეიძლება საერთო და წმინდა შემოსავლის მიხედვითაც, თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე მაჩვენებელი ხასიათდება ნაკლოვანებით, რადგან გაანგარიშებაში მონაწილეობს მხოლოდ ძირითადი საშუალებები (ამორტიზაცია, საწვავი და სხვა მატერიალური დანახარჯები გაანგარიშებაში არ მონაწილეობს).

ძირითადი საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დახასიათებისათვის გამოიყენება ასევე ფონდების გამოსყიდვის ვადის მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება ძირითადი საწარმოო ფონდების შეფარდებით მოგების წლიურ ჯამთან. ამავე მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადია მოგების ნორმის მაჩვენებელი. ის წარმოადგენს მოგების შეფარდებას საწარმოო ფონდების (ძირითადი და საბრუნავი) საშუალო წლიურ ღირებულებასთან.

ჩაის წარმოების ტექნოლოგიური და საწარმოო ციკლის უწყვეტობის მიზნით, ძირითად საშუალებებთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა საბრუნავ საშუალებებს ენიჭება. ჩაის პროდუქციის წარმოებაზე საბრუნავი საშუალებები სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. ზოგიერთი მათგანი წარმოების პროცესის პირდაპირ ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება, ზოგი კი წარმოების პროცესზე არაპირდაპირ, ანუ ირიბად მოქმედებს. პირველს მიეკუთვნება ისეთი საბრუნავი საშუალებები, როგორიცაა მინერალური სასუქები, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისგან დაცვის ქიმიური საშუალებები და ა. შ., ხოლო მეორე ჯგუფს – ისეთი საბრუნავი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი საშუალებების ფუნქციონირებას და მათ უწყვეტ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნას. ასეთებს განეკუთვნება საწვავ-საცხები მასალები, მარაგნაწილები რემონტისთვის, ინსტრუმენტები და ა. შ.

ჩაის წარმოების როგორც ძირითადი, ასევე საბრუნავი საშუალებების ეფექტურობის განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს რენტაბელობა, ანუ მოგების ნორმა. იგი გვიჩვენებს, თუ რა ოდენობის მოგებას ღებულობს მეურნეობა ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ერთეულზე გაანგარიშებით

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად გზას საბრუნავი საშუალებების რაციონალური გამოყენების ხარჯზე პროდუქციის მასალატევადობის შემცირება წარმოადგენს. საბრუნავი საშუალებების მაღალი ხარისხი და დაბალი თვითღირებულება

საშუალებას იძლევა საწარმოო პროცესი შესრულდეს შედარებით ნაკლები ფულად-მატერიალური დანახარჯების პირობებში, რაც, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში აისახება.

საბრუნავი საშუალებების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ასევე ძირითად საშუალებებთან მათი სწორი თანაფარდობის განსაზღვრა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძირითადი საშუალებების მიმართ საბრუნავი საშუალებების როგორც უკმარისობა, ასევე სიჭარბე ნეგატიურად აისახება ჩაის წარმოების საბოლოო შედეგებზე.

ცხრილში 2.3.3 ნაჩვენებია ჩაის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები. (საანალიზო პერიოდად აღებული იქნა 1980-1990 და 1999-2006 წლები).

ჩაის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები

1980-2006 წწ.

ცხრილი 2.3.3

	ზომის ერთ.	1980	1985	1987	1989	ზო-მის ერთ.	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ჩაის პროდუქციის ღირებულება	მლნ მან	1345,6	1585,4	1535,4	1507,4	ათ. ლარი	28169,5	17218,0	11963,6	9422,5	10257,9	10003,3	9195,2	6216,2
მომუშავეთა საშუალო წლიური რაოდენობა	ათასი კაცი	125,7	115,7	107,9	103,1	კაცი	7498	3519	2184	1928	1378	1356	1513	704
ძირითადი ფონდების ღირებულება	მლნ მან	1295,7	1505,9	1517,4	1531,4	ათასი ლარი	34021,2	25804,7	17072,8	14271,2	9123,8	9283,8	9704,7	3833,2
ფონდუკუგება	მან	1,03	1,05	1,01	0,98	ლარი	0,83	0,66	0,70	0,66	1,12	1,08	0,95	1,62
ფონდტევადობა	მან	0,96	0,94	0,98	1,01	ლარი	1,20	1,52	1,43	1,52	0,89	0,93	1,05	0,61
შრომის ნაყოფიერება	ათასი მან	10,7	13,7	14,2	14,6	ათასი ლარი	3,76	4,89	5,48	4,88	7,44	7,38	6,78	8,83
შრომის ფონდშეიარა-ღება	ათასი მან	10,3	13,0	14,1	14,9	ათასი ლარი	4,5	7,3	7,8	7,4	6,6	6,8	6,4	5,4

[1]საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

აღნიშნული ცხრილი მეტად შთამბეჭდავ ინფორმაციას იძლევა. კერძოდ, 1985-1989 წლებში 1,5 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების ჩაის პროდუქცია იწარმოებოდა, რაც, იმ დროს მანეთისა და აშშ დოლარის ურთიერთგაცვლის კურსს თუ გავითვალისწინებთ, თანამედროვე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მეჩაიეობის დარგში საწარმოო ფონდების ღირებულება, რომელიც აღნიშნულ წლებში ასევე 1,5 მილიარდ მანეთზე მეტია. საინტერესოა შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები, რომელიც 1 სამუშაო დღეზე 1985-1989 წლებში 13,7-14,6 მანეთამდე მერყეობდა. ამ შემთხვევაშიც, თუ გავითვალისწინებთ მანეთის კურსს აშშ დოლართან მიმართებაში, ვნახავთ, რომ ერთ სამუშაო დღეზე ამ პერიოდში მაჩაიეობის დარგში ყოველდღე 20 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია იქმნებოდა. ზემოთ გაანალიზებულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 1980-იანი წლებისათვის მეჩაიეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგად იქცა. ეს კი განაპირობა იმან, რომ ჩაის პროდუქციაზე საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების უდიდესი ნაწილი სწორედ ქართული ჩაის ხარჯზე კმაყოფილდებოდა.

ამ პერიოდში დარგს ემსახურებოდა 150 პირველადი და 22 მეორადი გადამწონი ფაბრიკა, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ საკმაოდ მაღალი დონის ტექნიკური დანადგარებითა და დამფასოებელი ხაზებით. დასაქმებული იყო 170-180 ათასი ადამიანი, რომელთა ოჯახების ცხოვრების დონე მჭიდროდ უკავშირდებოდა დარგის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საქართველოში მიმდინარე სისტემურმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკის ყველა დარგზე მოახდინა გავლენა, განსაკუთრებით კი მეჩაიეობაზე. 1992 წელს მეჩაიეობის წილი სოფლის მეურნეობაში თითქმის 6-ჯერ შემცირდა, რადგან ამ დროს დაიშალა სსრ კავშირი და მეჩაიეობამ დაკარგა გასაღების ტრადიციული ბაზრები.

როგორც ცხრილიდან 2.3.3 ჩანს, საანალიზო 1999-2002 წლებში ჩაის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები გარკვეული მერყეობით ხასიათდებოდა, თუმცა 2003-2006 წლებში შეიმჩნევა ზრდაც. შრომის ნაყოფიერებამ 1999 წლის 3,76 ლარიდან 2006 წელს 8,83 ლარი შეადგინა, ფონდუკუგებამ კი შესაბამისად – 0,83 ლარიდან 1,62 ლარი. საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფონდუკუგების ზრდა სამეურნეო განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

– შრომის ნაყოფიერების დონე უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ზრდის ტემპს, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოების მოცულობის ოპტიმალური ზრდა ცოცხალი სამუშაო ძალის მინიმალური დაკავების პირობებში;

– შრომის ნაყოფიერების ზრდა უნდა მოხდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მისი ფონდშეიარაღება, რადგან ეს პირობა სამუშაო ძალის გამოთავისუფლების ხარჯზე ახდენს არამხოლოდ ცოცხალი, არამედ განივთებული შრომის ნაყოფიერების ამაღლებას;

– მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეკონომიის ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ზრდის ტემპს, რაც საწარმოო რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველია.

2.4. ჩაის წარმოების მდგომარეობის ანალიზი ფერმერულ მეურნეობებში

სოციალისტური წყობის შვიდი ათეული წლის მანძილზე, საქართველოს სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანწილად იქნა რესტრუქტურირებული 1920 წლამდე პერიოდთან შედარებით. იგი გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი წამყვანი რეგიონი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის დონით. ამ პერიოდის მანძილზე წარმოება გაიზარდა ათჯერ და მეტად. წლიური ზრდის 10 პროცენტიანი მაჩვენებელი საერთო იყო 1980-იანი წლების დასაწყისსა და შუა პერიოდში. მიუხედავად მთელი რიგი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ზიანისა, საბჭოთა ხანის დასასრულს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსპორტმა 70 პროცენტით გადააჭარბა იმპორტს. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში რესპუბლიკაში 711 კოლექტიური, 468 სახელმწიფო მეურნეობა და 229 შიდა-სამეურნეო საწარმო ფუნქციონირებდა. მათ ხელმძღვანელობას უწევდა 69 რეგიონული აგროსამრეწველო კავშირი. დაახლოებით 700 ათასი ადამიანი, ანუ მთელი სამუშაო ძალის 25% სოფლის მეურნეობის სექტორში იყო დასაქმებული.

გარდამავალი პერიოდი, ანუ ბოლო თხუთმეტი წელი არც ისეთი სახარბიელო შედეგებით გამოირჩეოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისათვის მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე. ესენია:

- უკიდურესი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა;
- მთელი რიგი ფორმალური კავშირების მოშლა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან;
- სახელმწიფო სუბსიდიებისა და კრედიტების გაუქმება;
- სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობის პირობების გაუარესება (წარმოების საშუალებათა გაძვირება, სტაბილური ან დაღმავალი ფასები პროდუქციაზე);
- ყოფილი კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ან საწარმოების ნგრევა და დაშლა-დანაწევრება მცირე ნაკვეთებად და მეურნეობებად;
- მეურნეობრიობის სტიქიური მართვა და თვითუზრუნველყოფაზე ორიენტაცია;
- საკრედიტო, მარკეტინგული, საკონსოლიდაციო და გადამამუშავებელი ან წარმოების საშუალებათა მიწოდების სტაბილური დაწესებულებების არარსებობა;
- დაფინანსების დეფიციტიდან გამომდინარე, მოძველებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა და კვლევის სრულად პარალიზებული სისტემა;
- ბაზრების, მენეჯმენტის და ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციების გავრცელების შეზღუდული შესაძლებლობები.

ამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ფართომასშტაბიანი, ცენტრალურად მართული, სრულად ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო სისტემის ტრანსფორმირება დანაწევრებულ, იზოლირებულ მცირე ზომის ნატურალურ მეურნეობად. რეალურად, სასოფლო-სამეურნეო წარმოება დაღმასვლას განიცდიდა 2000 წლის ჩათვლით. კრიზისის მასშტაბების საილუსტრაციოდ მხოლოდ 1996 წლიდან 2000 წლამდე სექტორის 30 პროცენტიან კლებას დავასახელებთ. 2000 წელი გარკვეულ შემობრუნების წლად იქცა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. დაღმასვლა შენელდა, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით სახეზეა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების სტაბილური ზრდა სოფლის მეურნეობისათვის არასახარბიელო 2004 წლის მიუხედავად. თუმცა, მთლიანობაში, გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობა ძველის მხოლოდ აჩრდილად იქცა.

ერთ-ერთი პირველი შედეგი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, სასოფლო-სამეურნეო მიწების გლეხებისათვის მასიური გადაცემა იყო. სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა დაიწყო 1992 წელს „საპრივატიზაციო ფონდის”

შექმნასთან ერთად, რომელიც დაახლოებით 763 ათას ჰექტარს შეადგენდა, ანუ მთლიანად საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 25 პროცენტს. ამ ფონდებიდან დაახლოებით 1,25 ჰექტარი მიწა ყოველგვარი საფასურის გარეშე დაურიგდათ სოფლებსა და პატარა ქალაქებში მცხოვრებ საოჯახო მეურნეობებს (შინამეურნეობებს და არა ინდივიდუალურ პირებს), ხოლო 5 ჰექტრამდე საძოვრები იმ ოჯახებს, რომლებიც მეცხოველეობას მისდევენ მთიან რაიონებში. სულ ჯამში 437 ათასი ჰექტარი ყოველწლიურად კულტივირებული მიწა იქნა პრივატიზებული მეურნე ოჯახებზე; ასევე, 181 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები და სხვა მრავალწლოვანი კულტურების ნათესები; 42 ათასი ჰექტარი შეადგენდა სათიბებს, ხოლო 84 ათასი ჰექტარი კი – საძოვრებს. ზემოთჩამოთვლილი წარმოადგენს მთლიანად მიწების 62 პროცენტს და, შესაბამისად, სათიბებისა და საძოვრების 4-5 პროცენტს.

სასოფლო-სამეურნეო მიწების დანარჩენი ნაწილი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. მართალია საოჯახო მეურნეობებს თეორიულად ჰქონდათ უფლება იჯარით აეღოთ მიწები, რომლებიც სახელმწიფო განაწილების გარეშე დარჩა, მაგრამ რეალურად მათზე ხელი მხოლოდ ყოფილი კოლმეურნეობებისა და სოფლის საკრებულოების (საბჭოების) თავკაცებს მიუწვდებოდა, ან მათ, ვისაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდა.

რეალურად პრივატიზაციის პროცესის საწყისი ეტაპი არ იყო დაფუძნებული სტაბილურ საკანონმდებლო ბაზაზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 1993 წელს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა ბრძანებულება №503, რომლითაც შემოღებულ იქნა მიღების აქტის/სერთიფიკატის ფორმა. დღეს სწორედ ეს ფორმა არის მიჩნეული ძირითად იურიდიულ დოკუმენტად, რომელიც ადასტურებს შინამეურნეობის საკუთრების უფლებას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე. ამ ბრძანებულების იურიდიული ძალა უფრო განმტკიცდა 1996 წელს, როდესაც პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". ამ კანონის თანახმად, საქართველოში მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი.

პრივატიზაციის თავდაპირველი ინიციატივის ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, არსებული მიწების სრული რეზერვი საკუთრების უფლებით არ გადაეცა კერძო სექტორს. მთავრობის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული მიწების სრულ პრივატიზაციას

ითვალისწინებდა, 2005 წელს მიღებულ იქნა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის ძირითადი მიზანია დაწყებული საპრივატიზაციო პროცესის დასრულება. მეორე ეტაპის დასასრულისთვის, დარჩენილი 464 ათასი ჰექტარიც კერძო საკუთრებაში გადავა. აქედან, 299 ათასი ჰექტარი დღეისათვის იჯარითაა გაცემული ფერმერებზე, ხოლო დანარჩენი 165 ათასი ჰექტარი არც იჯარითაა გაცემული და არც მუშავდება. როგორც ჩანს, კიდევ წლებია საჭირო ამ ღონისძიებების ბოლომდე მისაყვანად.

ცხრილში 2.4.1. მოცემულია საქართველოში არსებული ფერმერული მეურნეობების რაოდენობა სიდიდის მიხედვით პრივატიზაციის პირველი ეტაპის შემდგომ. ეს მონაცემები სიდიდისა და ფართობების შესახებ ეხება როგორც საკუთრებაში არსებულ, ისე იჯარით გაცემულ მიწებს. იმ დაშვებით, რომ ყველა ფერმერი გამოისყიდის მის მიერ იჯარით აღებულ მიწას, ეს ცხრილი შესაბამისად გამოხატავს ფერმერული მეურნეობების სიდიდესა და საერთო ფართობს პრივატიზაციის მეორე ეტაპის დასასრულისათვის, სანამ გაიყიდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები, რომელიც ამჟამად არ არის იჯარით გაცემული.

ფერმერული მეურნეობები:

ჯამური ფართობები და რაოდენობა ფართობის მიხედვით

ცხრილი 2.4.1

მეურნეობის ფართობი (ჰა)	რაოდენობა*	სულ ჰექტრებში
ნაკლები 0,006	36,024	2,000
0,06-0,09	33,781	3,000
0,10-0,19	67,358	10,000
0,20-0,49	148,105	52,000
0,50-0,99	214,600	161,000
1,00-1,99	175,840	264,000
2,00-2,99	24,318	61,000
3,00-3,99	10,133	36,000
4,00-4,99	4,363	20,000
5,00-9,99	6,469	49,000
10,00-19,99	2,671	27,000

20,00-49,99	1,207	43,000
50,0-99,99	485	37,000
100-199,99	325	49,000
200-499,99	250	88,000
500,00 მეტი	92	56,000
სულ	726,021	958,000

*2005 სასოფლო-სამეურნეო აღწერა, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

2005 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, დაახლოებით 656 ათასამდე კომერციული და მცირე გლეხური მეურნეობა საქართველოში ამუშავებს დაახლოებით 953 ათას ჰექტარს, ანუ ერთ მეურნეობაზე მოდის 1.5 ჰექტარი.

თუკი 4 ჰექტარს გამოვიყენებთ პირობით გამყოფ ერთეულად, მაშინ მივიღებთ, რომ საქართველოში არსებობს სულ 16 ათასამდე ფერმერული მეურნეობა, რომლებსაც შეიძლება კომერციული მეურნეობა ეწოდოს. ეს ქვეყანაში არსებული მეურნეობების 2.5 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. აღნიშნული მეურნეობები ამუშავებენ და აწარმოებენ პროდუქციას სავარაუდოდ 369 ათას ჰექტარზე, რაც ქვეყანაში მთლიანად დამუშავებული მიწების თითქმის 40 პროცენტს შეადგენს. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული პროცენტული გამოსახულება შესაძლოა გაიზარდოს პრივატიზაციის მეორე ეტაპის დასასრულისათვის, რამდენადაც იჯარისაგან თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე ხელი, ალბათ, ისევ მსხვილ ფერმერებს მიუწვდებათ, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით ტექნიკისა და კრედიტების ხელმისაწვდომობის მხრივ.

რეტროსპექტივაში შეიძლება პარალელების გავლება საქართველოში დამოუკიდებლობის დღიდან მიმდინარე მოვლენებსა და იმ მოვლენებს შორის, რომელიც ახსოვს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას, განსხვავება დროის ხანგრძლივობაშია. აშშ ვითარდებოდა უმეტესწილად დამოუკიდებელი ფერმერული მეურნეობების სისტემის ბაზაზე, რომლებსაც გვერდში ედგა მცირე მოვაჭრეები და კომერსანტები. ეს იყო უპირობო მოდელი, რომელსაც იყენებდნენ მთელი რიგი განვითარების სააგენტოები, როგორც პოსტ-საბჭოთა სოფლის მეურნეობის რესტრუქტურიზაციის ოპტიმალურ მოდელს.

გარკვეულწილად, აღნიშნული მიდგომა ზუსტად შეესატყვისება საქართველოს სიტუაციას. მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ნიადაგი მაღალნაყოფიერია და კლიმატიც ხელს უწყობს ბოსტნეულის, ხილის, თხილისა და მარცვლეული

კულტურების მოყვანას, რაც საარსებო საკვებს შეადგენს. მცირე ზომის სამეურნეო ნაკვეთების სტრუქტურა ვერ შეძლებს სოფლად მოსახლეობის სათანადოდ გამოკვებას, როგორც ეს უკრაინისა და რუსეთის სტეპების მსგავს რეგიონებშია, სადაც ძირითადად ექსტენსიური კულტურების მოყვანას მისდევენ.

1920-იან და 1930-იან წლებში ამერიკული ფერმერული შინამეურნეობების სისტემის საერთო კრახმა მიიყვანა აშშ სახელმწიფოში პირველი ეროვნული სტრატეგიული კომერციული ფერმერული მეურნეობების განვითარების პოლიტიკის ინიციატივასთან. ამ ძალისხმევის ქვაკუთხედს შეადგენდა კომპლექსური საერთო-ეროვნული ფერმერული კოოპერატივების საკრედიტო პროგრამის შემუშავება. სახელმწიფო სექტორში მომუშავე პერსონალით დაკომპლექტდა ეროვნული საკრედიტო ქსელი და მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები ხელმისაწვდომი გახდა მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთით სამეურნეო სექტორისათვის სესხების გაცემის სპეციფიური პრობლემების მოსაგვარებლად. ფერმერების მიერ თავიანთ მიწებზე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით შემუშავდა ნიადაგის რესურსების დაცვის ეროვნული პროგრამა. წლების მანძილზე ამ პროგრამის ფინანსური დახმარებით მოხერხდა ნიადაგის მჟავიანობის შემცირება და გამოფიტული ნაყოფიერების აღდგენა კირისა და შერჩეული სასუქების პირდაპირი სუბსიდირების მეშვეობით. ასევე მოხდა საველე დრენაჟის სისტემის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა. სოფლის ელექტრიფიკაციის პროგრამის მეშვეობით მოხერხდა სუბსიდირებული ელექტროენერგიის მიწოდება ფერმერებისათვის სოფლებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო წყალსაცავი დამბების მშენებლობა, რამაც ფერმერული მეურნეობები იაფი სარწყავი წყლით მოამარაგა. სხვა ადგილებში ჩატარდა დრენაჟი დამბების, არხებისა და წყალსაქაჩი სადგურების მეშვეობით, რაც მდიდარ სასოფლო-სამეურნეო მიწებს ემსახურებოდა.

ეს ღონისძიებები საქართველოში აღიარებულ იქნა, ან ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც, ან მათი ნაწილის განხორციელება საქართველოს დიდ სარგებლობას მოუტანს. მართალია, საქართველოს სამეურნეო სექტორს ჯერ არ მიუღწევია იმ მდგომარეობისათვის, რაც აშშ-ში 1930-იან წლებში იყო, მაგრამ სახელმწიფომ ჯერ კიდევ უნდა გამოიჩინოს სერიოზული ინიციატივა კომპლექსური ზომების გასატარებლად სექტორის პრობლემების გადასაჭრელად.

სადღეისოდ საქართველოში სოფლის მეურნეობის კულტურების საშუალო მოსავლიანობა სამჯერ უფრო ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც მოწინავე

წარმოების საშუალებებისა და აგროტექნიკის პრაქტიკის გამოყენების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. დიდია დანაკარგები მოსავლის აღების შემდეგაც, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პროდუქციის ხარისხს და, შესაბამისად, ფასსაც. შედეგად, მწარმოებელს უჭირს პროდუქციის რეალიზაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობას მხოლოდ ხელსაყრელ ფასად შეძენილი საუკეთესო ხარისხის წარმოების საშუალებები წარმატებას ვერ მოუტანს. დიდი მნიშვნელოვა აქვს იმის ცოდნასაც, თუ რომელი საშუალებები, რა პირობებში და როგორ უნდა იქნას გამოყენებული. მნიშვნელოვანია პოტენციური ბაზრების შესწავლა, მოთხოვნისა და მიწოდების პარამეტრებისა და სავარაუდო ფასების ცოდნაც.

სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველო ჯერ კიდევ ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს. ნიშანდობლივია, რომ ყველა იმ ქვეყანაში, რომელთა განვითარება თავიდანვე ბაზარზე იყო ორიენტირებული, სწორედ სახელმწიფომ შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი ფერმერთათვის საბაზო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდების საქმეში, განსაკუთრებით განვითარების ადრეულ სტადიაზე, როდესაც ფერმერული მეურნეობები სუსტი და მცირე ზომის იყო. დროთა განმავლობაში, კერძო სექტორის გაძლიერებასა და განსხვილებასთან ერთად გაიზარდა ფერმერთა ცოდნა, გამყარდა მათი ფინანსური მდგომარეობა და ექსტენციის ფუნქცია ეტაპობრივად თავად კერძო სექტორმა იტვირთა. რომ არა სახელმწიფოს მხარდაჭერა ამ პროცესების საწყის ეტაპზე, ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად მეტი დრო დასჭირდებოდა, რაც ბაზარზე არსებული მრავალი შესაძლებლობის დროულ და ეფექტიან რეალიზაციას შეუშლიდა ხელს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სფეროში კვლევების, განათლებისა და ექსტენციის სფერომ რთული გზა განვლო. სამწუხაროდ, პროგრესი არც ისე შთამბეჭდავია იმის გათვალისწინებით, თუ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო და რეალურად რა გაკეთდა. ამ სისტემების მოწყობა, ორგანიზაცია და მოქმედების სტილი სრულად იყო მორგებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტიპსა და ხასიათზე ყოფილ საბჭოთა ეკონომიკაში. ამ პერიოდში სექტორი ძირითადად სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისაგან შედგებოდა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მასშტაბით ნიადაგურ-კლიმატური, ტექნოლოგიური და სტრატეგიული თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელ პროდუქციას აწარმოებდა. ცხადია, ეს სისტემა სრულიად შეუსაბამო იყო როგორც საბაზრო ეკონომიკასთან, ასევე საქართველოს

ინდივიდუალურ მოთხოვნებთან. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სისტემის სტრუქტურა მთლიანად შეიცვალა. დიდი მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ნაცვლად იგი მცირე შინამეურნეობებზე გახდა ორიენტირებული. სამწუხაროდ, ფერმერული სექტორის ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, საქართველოს აგროსისტემამ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა.

მსოფლიოში არსებული გამოცდილება წვრილი მეურნეობების სწრაფი ზრდის ხელშესაწყობად აუცილებელ წინაპირობებს გვკარნახობს. ესენია: ახალი ტექნოლოგიები, მომგებიანი ბაზრები, სეზონური დაფინანსება წარმოების საშუალებების შესაძენად, გარანტირებული და თანასწორი ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, და დამხმარე ინფრასტრუქტურა – ძირითადად სრული სასურსათო ჯაჭვი, საჭიროა ცოდნა და საინფორმაციო არხების არსებობა, რათა ფერმერებამდე მიტანილ იქნას ინფორმაცია არსებული შესაძლებლობებისა და ალტერნატივების შესახებ. წვრილ ფერმერებს ასეთი სახის საბაზისო ინფორმაცია და რჩევა დაბალ ფასად ან სულაც უფასოდ უნდა მიეწოდებოდეთ. თუ მწარმოებელს არა აქვს საკმარისი ფული სათანადო წარმოების საშუალებების შესაძენად, ცხადია, ის ვერც ინფორმაციისა და რჩევის მისაღებად გადაიხდის თანხას, თუნდაც ეს რჩევა მისთვის უაღრესად ფასეული იყოს. ამდენად, მცირე გამონაკლისების გარდა, რომელიც ძირითადად მსხვილ ფერმერებსა და მაღალი საბაზრო ღირებულების კულტურების მწარმოებლებს მოიცავს, საქართველოში ამ ეტაპზე ფასიანი ექსტენციის სისტემა სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება. აქვე გასათვალისწინებელია ფერმერთა ტრადიციულად კონსერვატორული ბუნებაც, რის გამოც მათ უჭირთ ახალ ტექნოლოგიებსა თუ მეთოდებზე გადართვა მაშინაც კი, როდესაც ამ მეთოდების სარგებლიანობის შესახებ საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულები. ასე რომ ფერმერთა დასარწმუნებლად ხშირად ყველა შესაძლო საშუალებების – სადემონსტრაციო მასალების, პირადი კონტაქტებისა და წამახალისებელი ფაქტორების – ეფექტური კომბინაციის გამოყენებაა საჭირო.

არსებული პოლიტიკური და ფისკალური მდგომარეობიდან გამომდინარე, და ფერმერთა დიდი რაოდენობისა და მათი მწირი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, არარეალურია ისეთ ექსტენციის სისტემაზე ფიქრი, რომელიც ყველა ფერმერთან ინდივიდუალურად იმუშავებს. სანაცვლოდ, უნდა განვითარდეს ნაკლებად რესურს-ინტენსიური, ერთიანი სახელმწიფო ექსტენციის მოდელი,

რომელსაც საბოლოოდ ადგილობრივი მმართველობა, ფერმერები და ბიზნესმენები დააფინანსებენ.

ყველა ქვეყნის ფერმერთათვის საბაზრო სტრუქტურასა და მარკეტინგის პროცესებში გარკვევა, იქნება ეს შიდა თუ საერთაშორისო ბაზარი, დღემდე ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად რჩება. როგორც წესი, ფერმერმა იცის, როგორ აწარმოოს პროდუქცია, მაგრამ ხშირად მას ბაზარზე პროდუქციის ყველაზე სარფიანად განთავსების ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება აკლია. თანამედროვე მსოფლიოში ეს პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად წვრილი ფერმერების დონეზე იგრძნობა და სულ უფრო მწვავდება, რადგან კონკურენცია სულ უფრო გლობალური ხდება, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრებზე.

ფერმერები რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად ხშირად ერთიანდებიან, ქმნიან კოოპერატივებსა და ასოციაციებს, ან პროფესიონალი მენეჯერისა და მარკეტოლოგის მომსახურებას მიმართავენ. ისინი პროდუქციას დასაფასოებლად და გადასამუშავებლად მარკეტინგის გამოცდილ სპეციალისტებს გადასცემენ, თუმცა, როგორც წესი, ინარჩუნებენ პროდუქციაზე საკუთრების უფლებას. ფერმერები სულ უფრო და უფრო ხშირად ცდილობენ თავიანთი პროდუქციის ღია ბაზარზე რეალიზებას ხელშეკრულების საფუძველზე და იმ ოდენობის შემოსავლის მიღებას, რაც მათი საქმიანობის მომგებიანობას უზრუნველყოფს.

ქართველმა ფერმერმა რომ შეძლოს პროდუქციის გაზრდილი მოცულობის რეალიზაცია მომგებიან ფასში, უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები. ეს წინაპირობები მოიცავს შემდეგს: უკვე ათვისებულ ბაზარზე უნდა გაიზარდოს მოთხოვნა შესაბამის პროდუქციაზე; წარმოებული პროდუქციისათვის გამოინახოს ახალი ბაზრები; შენარჩუნდეს და გაიზარდოს ტრადიციულ ბაზრებზე დამკვიდრებული წილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება ახალი პროდუქტები, რომელთა საქართველოში წარმოებაც სავსებით შესაძლებელია. ამასთან, უნდა გაიზარდოს საქართველოს კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებთანაც საქართველოს რეალიზაციის საზიარო ბაზრები აქვს. ბაზრების გაფართოება-ათვისება კი მოითხოვს შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ქონას, ორგანიზებასა და ინიციატივებს, რაც ბევრი ქართველი ფერმერისა და მეწარმისათვის გარკვეული ხელშეწყობის გარეშე მიუწვდომელია.

საქართველოში მიმდინარე სისტემურმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა ქვეყნის მაკროეკონომიკური სისტემის დესტაბილიზაციასა და წარმოების მოცულობის შემცირებაში, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შექმნა ქვეყნის მატერიალური წარმოების ისეთ დარგებში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობა, სათბობ-ენერგეტიკა, მსუბუქი მრეწველობა. რაც შეეხება აგროსამრეწველო კომპლექსს, განსაკუთრებით მის ქვედარგს – სოფლის მეურნეობას, იგი, როგორც აღვნიშნეთ, დაქვეითების შედარებით დაბალი ტემპებით ხასიათდება, მაგრამ მაინც საგრძნობლად შემცირდა ჩაის წარმოება, ხილის ნარგავებისა და მათი პროდუქციის წარმოება. ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ვითარებამ ასევე კრიზისული სიტუაცია შექმნა მატერიალური წარმოების სხვა დარგებშიც.

მეჩაიეობაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. მიწის რეფორმისა და ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების არასწორი პრვატიზების გამო, ჩაის წარმოების ქვეკომპლექსი დაკნინდა და დაქუცმაცდა.

პრივატიზაციის პროცესი ჩაის პლანტაციებსაც შეეხო. 2000 წლის მდგომარეობით, პრივატიზებული ჩაის პლანტაციების საერთო რაოდენობამ 12316 ჰა შეადგინა (იხ. ცხრილი 2.4.2).

საქართველოში ჩაის პლანტაციების პრივატიზება
2000 წლის მდგომარეობით

ცხრილი 2.4.2

რეგიონის დასახელება	ჩაის ფართობი, ჰა	მათ შორის:	
		პრივატიზებული	დარჩენილია სახელმწიფო საკუთრებაში
საქართველო – სულ	54861	12316	42545
აჭარის არ	6157	794	5363
იმერეთი	4492	370	4122
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15670	2415	13255
გურია	12526	7887	4639
აფხაზეთის არ	16016	850	15166

[1]საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში ჩაის ფართობების 22,4% პრივატიზებულია. ყველაზე მეტი ხვედრითი წონა (64%) გურიის რეგიონზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ჩაის ფართობების პრივატიზების პროცენტი სხვა მრავალწლიან ნარგავებთან შედარებით დაბალია. მაგალითად, ვენახების ფართობების 64,2% არის პრივატიზებული, ბაღებისა – 72,2%, ციტრუსებისა – 58,8%.

მიუხედავად დარგში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა, არ არსებობს ჩაის პლანტაციების საკუთრებაში გადაცემის ან იჯარით აღების მოტივაცია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხობა, რომლებმაც პრივატიზაციის შედეგად კერძო მფლობელობაში მიიღეს ჩაის ნაკვეთები ტერიტორიულად დაშორებულ ადგილებზე, რაც ართულებს ნაკვეთების დამუშავების, მოვლის, ექსპლუატაციისა და დაცვის საკითხებს. სინამდვილეში, ასეთი ნაკვეთების უმრავლესობაც (განსაკუთრებით გურია – სამეგრელოს რეგიონებში) წლების მანძილზე გატყევებული, მოუვლელი და დაღუპვის პირამდე მისულია. აღნიშნულის შედეგია ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა რეგიონში არაა შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მიწის რენტის საბიუჯეტო შემოსავლები.

მიწის პრივატიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგა-ნიზაციის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად შეიცვალა მეწარმე სუბიექტებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტრუქტურა. პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები ოჯახური მეურნეობები გახდნენ

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ჩაის წარმოების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორედ ფერმერული მეურნეობების ეფექტიან საქმიანობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხურ (ფერმერულ) და საოჯახო მეურნეობებს არ გააჩნიათ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება და საჭირო ცოდნა, რაც, რა თქმა უნდა, აფერხებს ჩაის პროდუქციის წარმოების ზრდას, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2006 წელს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის 68% სწორედ საოჯახო მეურნეობებმა აწარმოეს, განსხვავებით 1986-1990 და 1991-1995 წლებისა, როცა ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად 7 და 18%-ს შეადგენდა (იხ. ცხრილი 2.4.3).

ჩაის მთლიანი მოსავალი საქართველოში
(ათას ტონობით)[1]

ცხრილი 2.4.3

წლები		ყველა კატეგორიის მეურნეობაში		საოჯახო მეურნეობებში		სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში	
		აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%
1986-1990	აბს.	522,4	100	36,3	7	486,1	93
	%%	100	–	100	–	100	–
1991-1995	აბს.	176,7	100	32,4	18	144,3	82
	%%	34	–	89	–	30	–
1995	აბს.	38,5	100	18,3	48	20,2	52
	%%	7	–	50	–	4	–
2000	აბს.	24,0	100	8,1	34	15,9	66
	%%	5	–	22	–	3	–
2001	აბს.	23,0	100	21,5	93	1,5	7
	%%	4	–	59	–	0,3	–
2002	აბს.	24,0	100	17,9	75	6,1	25
	%%	5	–	49	–	1	–
2003	აბს.	25,5	100	19,3	76	6,2	24
	%%	5	–	53	–	1	–
2004	აბს.	20,0	100	12,8	64	7,2	36
	%%	4	–	35	–	1	–
2005	აბს.	22,8	100	19,8	87	3,0	13
	%%	4	–	55	–	0,6	–
2006	აბს.	6,6	100	4,5	68	2,1	32
	%%	1	–	12	–	0,4	–

[1] დამუშავებულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე.

ამჟამად მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთ პრიორიტეტულად მიგვაჩნია მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება. ჩვენი აზრით, მცირე სიდიდის ფერმერებს იჯარით უნდა გადაეცეს 2-3 ჰა ჩაის პლანტაცია, ხოლო საშუალო სიდიდის ფერმერებს – 3-5 ჰა ჩაის პლანტაცია.

თანამედროვე ფერმერული მეურნეობები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პირველი – ფერმერები, რომლებსაც გააჩნიათ მეურნეობა კერძო საკუთრების პრინციპზე; მეორე – ფერმერები, რომლებსაც აღებული აქვთ არენდით მიწის ნაკვეთი ჩაის პლანტაციით და მესამე – შერეული ტიპის ფერმერები. თავის

მხრივ, ჩამოთვლილი ჯგუფები ქმნიან შესაფერის პირობებს ეკონომიკური სექტორის გასაჯანსაღებლად.

საქართველოში ჩაის წარმოების რეაბილიტაციის საქმეში, ბოლო წლების გამოცდილებიდან შეიძლება გაბედულად ითქვას ის, რომ დიდი როლის შესრულება შეუძლია ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობებს. დღევანდელ პირობებში ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების უპირატებოსანი შემდეგში გამოიხატება:

–ფერმერს (ოჯახს) უხდება ჩაის ფოთლის, როგორც მოვლა–მოყვანა, ასევე მისი გადამუშავება. გამომდინარე აქედან, იგი დაინტერესებულია აწარმოოს მაღალი ხარისხის პროდუქცია. ამისათვის ის ყოველთვის მოკრეფს მაღალი ხარისხის ფოთოლს და მას გადაამუშავებს ტექნოლოგიური რეჟიმების სრული დაცვით;

–ფერმერი (ოჯახი) სამრეწველო გადამუშავებასთან შედარებით ფოთოლს ამუშავებს კუსტარულად, ნაკლები ენერგორესურსების დანახარჯებით, რაც მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე გაცემული ხარჯებით გაცილებით დაბალი იქნება. ეს თავისთავად მას გაუზრდის მოგებას;

–ფერმერულ (ოჯახურ) პირობებში ჩაის წარმოებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. საკმარისია მოვიყვანოთ ჩინეთის მაგალითი, სადაც დღესაც აქ წარმოებული პროდუქციის 85–90% მოდის ფერმერული მეურნეობებზე;

სხვადასხვა ფორმით ფერმერული მეურნეობები მეჩაიეობაში ეფექტურად მოქმედებს ინდოეთში, ჩინეთში, შრილანკასა და სხვა ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში. საზღვარგარეთის ჩაის გადამამუშავებელი ქვეყნების გამოცდილებით, ასეთი მეურნეობების საქმიანობა შეიძლება წარიმართოს ორ გზით: პირველი – ფერმერები აწარმოებენ ჩაის ნახევარფაბრიკატს და საბოლოო გადამუშავებისათვის აბარებენ მას სპეციალიზირებულ გადამწონ ფაბრიკებს და მეორე – ფერმერები მათ მიერ წარმოებულ ნახევარფაბრიკატს თვითონ მიიყვანენ (დახარისხებითა და კუპაჟით) საფაბრიკო სტანდარტამდე.

საქართველოს დაბრუნება ჩაის მწარმოებელი ქვეყნების რიგში შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი ნედლეულის დამზადებითა და თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე მოწყობილი ჩაის ფაბრიკებში მისი დამუშავებით. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ მინი ჩაის ფაბრიკები, რომლებიც იმუშავებენ მეჩაიეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში. მეჩაიე-ფერმერი უნდა გახდეს მწარმოებელიც და მისი გადამამუშავებელიც, მით უმეტეს, რომ საქართველოში უკვე შექმნილია

მცირეგაბარიტიანი ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობები მოკრეფილი ნედლეულის გადასამუშავებლად, როგორიცაა: ჩაის საგრეხი მანქანა – როლერი, ფოთლის დამხარისხებელი, ჩაის საშრობი და ნახევარფაბრიკატების დამხარისხებელი მანქანები. ყველა ამ დანადგარს შეუძლია ერთ სამუშაო დღეში 400-500 კგ. ნედლეულის გადამუშავება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბანკო სტრუქტურები თავს არიდებენ სოფლის მეურნეობაში, როგორც მაღალი რისკის ზონაში კაპიტალის დაბანდებას. ქართველ ფერმერებს აკლიათ ფინანსური მართვის უნარ–ჩვევები, უჭირთ საბუღალტრო და ფინანსური ანგარიშებისა და ბიუჯეტის შედგენა. ბანკები კი სესხს მხოლოდ ამ ინფორმაციის შეფასების საფუძველზე იძლევიან. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სახელმწიფომ პროტექციონისტული პოლიტიკა გაატაროს მეჩაიეობის დარგის მიმართ; დაეხმაროს მეჩაიეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებს ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის, ტექნიკის, სასუქების და შხამქიმიკატების შესაძენად საჭირო გრძელვადიანი და შეღავათიანი სესხის აღებაში.

შესაბამისმა სამსახურებმა უნდა მოახდინონ ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების ლიცენზირება და პროფილის მიხედვით მუშაობის უფლება მისცენ იმ საწარმოებს, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ჩაის გადაამუშავებს უახლესი ტექნოლოგიით და საშუალება ექნებათ გამოუშვან საერთაშორისო სტანდარტის დონის მაღალი ხარისხის პროდუქცია.

2003 წლის ოქტომბერში ქართული ჩაის მწარმოებელ ფერმერთა ერთიანი სურვილით შეიქმნა ჩაის ხელით დამამზადებელ ფერმერთა ასოციაცია „კავკასიური ჩაი". ასოციაციის ძირითადი მიზანი საექსპორტო პოტენციალის გამოყენებით ქართული ჩაის წარმოების განვითარების ხელშეწყობაა. ამასთან, ასოციაციის საქმიანობა ქართულ ბაზარზე მაღალხარისხიანი პროდუქციის შემოტანასაც ითვალისწინებს. ასოციაციაში გაწევრიანებულია იმერეთის, გურიის, სამეგრელოს რეგიონების თხუთმეტამდე რაიონის 420 ფერმერი. მათთვის, ყოფილი საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიიდან, პერსონალურად გამოიყო ჩაის პლანტაციები, რომლებსაც თავად მოუარეს. აქ მოკრეფილი ჩაის გადამუშავება კი ხელით ხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვენ გვჭირდება ძლიერი გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, რომელთა მთავარი დანიშნულება ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი ჩაის პროდუქციის მიწოდება იქნება.

თავი 3. ჩაის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები

3.1. ჩაის წარმოების მართვის სრულყოფის ღონისძიებები

კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ახალი საკუთრებითი ურთიერთობების ფორმირება, აგრარული და მიწის რეფორმების გატარება ობიექტურად მოითხოვს მართვის მთელ სისტემაში ძირეულ ცვლილებებს, ე.ი. ორგანიზაციული სტრუქტურის, მმართველობითი აპარატის ფუნქციების, წარმოების პროგნოზირებისა და დაგეგმვის, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების სისტემის, საკადრო პოლიტიკის, ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების მოყვანას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა შეუძლებელია საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის (ასკ) მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის თვისებრივად ახალ, განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე. აგროსამრეწველო კომპლექსის ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას საფუძვლად უნდა დაედოს უკანასკნელ პერიოდში წარმოებაში მომხდარი ცვლილებები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ ასკ–ის განვითარებაზე გავლენას ახდენს კომპლექსის ყველა სფეროს საქმიანობის კოორდინაცია, დარგებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა და ინტერესთა შეთანაწყობა.

ასეთი პრინციპით აგებული ასკ–ის, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჩაის წარმოების ქვეკომპლექსი, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მისი სფეროებისა და დარგების საბაზრო ურთიერთობებზე თანმიმდევრულ და კომპლექსურ გადასვლას. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ცენტრალური ორგანოა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის მთავარ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს აგრარულ-სამრეწველო სტრუქტურების მოდერნიზაცია და განვითარება, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და სხვა სახეობის საწარმოთა ფორმირება, ახალი მიწების ათვისება, მიწის ნაყოფიერების გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და სხვა სტრატეგიული და ტაქტიკური მიმართულებების შემუშავება.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების, მათ შორის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რითაც გათვალისწინებული იქნება გარდამავალი

პერიოდის თავისებურებები და მომავლის მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების ინტეგრაციის რეალური მატერიალური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური საფუძველი. ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის პირობებში ეს გულისხმობს მეჩაიობისა და ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიურად, ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დაკავშირებული სისტემების შექმნას ასკ–ის სტრუქტურაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის სფეროების დაახლოება. ამ თვალსაზრისით, აუცილებლად მიგვაჩნია ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის მართვის სტრუქტურაში მეცნიერული უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევა ჩაის, სუბსტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ასეთი სამსახურის ფორმირება ჩაის წარმოების განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლის რეალურ პერსპექტივებს შექმნის.

ჩაის წარმოების ქვეკომპლესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ქმედითუნარიანი, თუ მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურას საფუძვლად დაედება შემდეგი პრინციპების გამოყენება: 1. სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა; 2. სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია; 3. მოტივაცია; 4. სამეურნეო საქმიანობის საბოლოო მიზანზე – მოგებაზე ორიენტაცია; 5. პროგნოზირება (დაბალანსებული განვითარება); 6. სამეურნეო საქმიანობის რეგულირება; 7. ტერიტორიული და დარგობრივი მართვის მექანიზმების შეთანაწყობა.

ჩაის ნედლეულის წარმოების საფუძველი უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნები. საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებისა და წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის ნედლეულის წარმოებაა შესაძლებელი ქვეყანაში და მოცემულ ჩაის მწარმოებელ რეგიონში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, გამოავლენს დარგებისა და ქვედარგების გონივრული შეთანაწყობის გზებს და ფორმებს, შექმნის წარმოების წესის მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს და სხვ.

ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლია ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურაში აუცილებელია ჩაის ფოთლის სტანდარტული და

არასტანდარტული ნედლეულის სახეობებად კლასიფიკაცია. ამით განისაზღვრება ჩაის ფოთლის გამოყენების კონკრეტული მიმართულებები, ამუშავდება პროდუქციაზე ფასწარმოქმნის რეალური მექანიზმი, შეიქმნება მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების პირობები, რაც მთავარია, ამოქმედდება მართვის მნიშვნელოვანი ფუნქცია – მოტივაცია და სხვა.

ჩაის ნედლეულის გადამუშავებაში ორი რგოლი გამოიყოფა: ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავება და მზა ნაწარმის გამოშვება (დაფასოებული ჩაის წარმოება). პირველი ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივი ბაზრის, ხოლო მეორე - როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრისათვის. ეკონომიკური მართვის სტრუქტურაში ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავებას უნდა აერთიანებდეს ისეთი სტრუქტურული ელემენტი, როგორიცაა სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანას ესაჭიროება არა ყოველგვარი, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული და გათვლილი კონცეფციები და პროგრამები. ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს ტრადიციული მეურნეობის მსოფლიო გამოცდილებასთან შერწყმის პროცესი. ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობის სინთეზი, მათ შორის წინააღმდეგობათა გამოვლენა და პრობლემათა გადაჭრის გზების დასაბუთება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში ეკონომიკური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება ასკ–ში შემავალი ქვედარგთაშორისი კავშირების სრულყოფის ბაზაზეა მოსალოდნელი. მაშასადამე, სამეცნიერო ბაზის სრულყოფა და მისი წარმოების ფაქტორად გადაქცევა სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კვლევა-ძიებითაა შესაძლებელი. ასეთ პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა იქნება ორგანიზაციის ის მოქნილი სისტემა, რომელიც შეავსებს ვაკუუმს მეცნიერსა და მეწარმეს შორის, გამოიწვევს თვისებრივ ცვლილებებს მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში, ტექნოლოგიურ პროცესებში, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, მეურნეობრიობის გაძღოლის სისტემაში, მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებაში და სხვ.

ახალ ეკონომიკურ სისტემაში ჩაის წარმოების მართვის ეკონომიკური მექანიზმი შეუძლებელია ფუნქციონირებდეს საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების გარეშე. ჩაის ნედლეულის წარმოების, გადამუშავებისა და პროდუქციის რეალიზაციის დაკრედიტებასა და დაფინანსებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს

კომერციულმა ბანკებმა და სოფლის რეგისტრირებულმა საკრედიტო კოოპერატივებმა – საკრედიტო კავშირებმა, მიკროსაკრედიტო ორგანიზაციებმა.

მართვის ეკონომიკურ მექანიზმში სამეურნეო გარიგებების სტრუქტურის საშუალებით პარტნიორული ურთიერთობები მყარდება მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის. მიმწოდებლებს სამეურნეო გარიგებები შეუძლიათ განახორციელონ როგორც მოსახლეობასთან, ასევე საწარმოებთან (ადგილობრივ და ერთობლივ საწარმოებთან, მუნიციპალურ ორგანიზაციებთან). სამეურნეო გარიგებებით პარტნიორთა თანამშრომლობა შესაძლებელია წარმოების, საქონელმიმოქცევის, რეალიზაციის, ფინანსურ ურთიერთობათა სფეროში.

წარმოების მიზანშეწონილობასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს გამოავლენს რეალიზაცია. ამ ფუნქციას იგი ასრულებს როგორც საშინაო, ასევე საგარეო ბაზრებზე, ასევე ბირჟებზე. დღეს საშინაო ბაზარზე მიზანშეწონილია სეგმენტაცია მოხდეს არამარტო გეოგრაფიული ნიშნის, არამედ მოსახლეობის შემოსავლებისა და საქმიანობის სახეობების მიხედვითაც.

საბაზრო ურთიერთობათა ეკონომიკურმა მექანიზმმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს პირობებში ჩაის წარმოების ქვეკომპლექსი არამარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ ბიოტექნიკური სისტემაცაა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების დამოუკიდებელი დარგი. ჩაის წარმოება არის სისტემა, რომელსაც აქვს ამ სისტემის უმნიშვნელოვანესი ნიშნები: მთლიანობა, იერარქიულობა, ავტონომიურობა, დინამიზმი, აგრეთვე, ქცევის ხასიათის ალბათობა, რაც დამოკიდებულია ადამიანთა საქმიანობასა და გარემოს პირობების ზემოქმედებაზე.

მიმდინარე ეტაპზე ხდება ჩაის წარმოების ქვეკომპლექსში მთელი არსებული პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება, მისი უკუგების შედარებით ამაღლება, რაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მართვის ყველა დონის ორგანოს საქმიანობაზე, ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით მათ შემდგომ სრულყოფაზე. მაგრამ, მოქმედ ეკონომიკურ მექანიზმს გააჩნია ისეთი ნაკლოვანებები, როგორიცაა: სახელმწიფოს როლის სრული უგულებელყოფა ჩაის წარმოების რეგულირებაში, მისი არასაკმარისი ზემოქმედება აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის ქვეკომპლექსში შემავალ დარგთა შორის, მეჩაიეობის სექტორში გარდაქმნის განხორციელების დროს ეტაპობრიობის არარსებობა, ჩაის მწარმოებელ რეგიონებში სოციალური ფაქტორების შეუფასებლობა.

ქვეყნის დონეზე აგროსამრეწველო სექტორის მართვის (მათ შორის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის) ოპტიმალური სტრუქტურების შექმნა ყოველთვის იწვევდა წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს და მიდგომას. ამის გამო, უკანასკნელ წლებში მართვის ორგანოები არაერთხელ იქნა რეორგანიზებული, მაგრამ მისი მეცნიერულად დასაბუთებული ფორმა დღემდე არ არის შემოთავაზებული.

ჩვენი აზრით, საბაზრო სისტემის პირობებში, ეკონომიკურმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს მეურნეობრიობის ყველა ფორმის განვითარებისათვის მეტ-ნაკლები ზომით თანასწორი ეკონომიკური პირობების შექმნა, გადამამუშავებელი და მომსახურების საწარმოების პრივატიზაციის პროგრამის განხორციელების დროს სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების უფლებათა პრიორიტეტულობა, ნედლეულის დამამზადებელ საწარმოთა რეფორმირება და სახელმწიფოებრივი რეგულირების ჩართვა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

აშშ, გერმანიის და სხვა ქვეყნების მართვის ანალოგიური ტიპის შესაბამისად საქმიანობა უნდა წარიმართოს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების მიხედვით, რომლებიც მუშავდება სამინისტროს მიერ და მტკიცდება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

სახელმწიფოებრივ დონეზე სოფლის მეურნეობის მართვის (მათ შორის ჩაის წარმოების) ორგანოების ფუნქცია უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც შეუძლებელია რეალიზებულ იქნეს რაიონულ და საწარმოო რგოლებში. იგულისხმება ასკ-ის განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა, საწარმოების, პირველადი მომსახურების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, სერვისული, საბითუმო ვაჭრობის, საკრედიტო და საწარმოო კოოპერაციის, მარკეტინგის, საკონსულტაციო საქმიანობისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტების სტრატეგიის შემუშავება, განხორციელება და განვითარების კოორდინაცია საქონელმწარმოებლების ინტერესების შესაბამისად.

სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალობაზე იცვლება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი დაქვემდებარების ორგანიზაციებისა და სამსახურების ფუნქციები. მიზანი, რომლისკენაც ეს სტრუქტურები მიისწრფვიან არის სამეურნეო ფუნქციებისგან გათავისუფლება, მეურნე სუბიექტების მიერ დამოუკიდებლად მათი განხორციელების ხარისხის ამაღლების კვალობაზე. განვლილმა წლებმა დაგვანახეს, რომ აგროსასურსათო სექტორის სხვადასხვა სეგმენტში ეკონომიკური სუბიექტების დამოუკიდებლად ფუნქციონირების პირობები განსხვავებულია და იგი

ძირითადად დამოკიდებულია მოცემულ სეგმენტში საბაზრო გარემოს ფორმირების ხარისხისაგან. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება ფუნქციების წყება, რომელსაც ყოველთვის სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ დაქირავებული კერძო სტრუქტურა განახორციელებს. ესენია: პოლიტიკა, რეგულირება და კონტროლი.

რაც უფრო დაბალია დარგში საბაზრო პირობების განვითარების დონე, მით უფრო დიდია მართვის ისეთი რგოლის არსებობის აუცილებლობა, რომელიც სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელებას სამეურნეო ფუნქციებსაც შეუთავსებს.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის განვლილმა წლებმა ისიც დაადასტურეს, რომ დარგში დივერსიფიცირების ხარისხი ვერ ხსნის ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოს არსებობის აუცილებლობას. უფრო მეტიც, თუ დამოუკიდებლად ფუნქციონირების ყველა პირობა ჩამოყალიბებული არ არის, შესაძლებელია უარყოფითი შედეგიც მივიღოთ, განსაკუთრებით ჩვენს სინამდვილეში, როცა საბაზრო გარემოში ფუნქციონირება უხდებათ სხვადასხვა სამართლებრივი და ორგანიზაციული სტატუსის მქონე მეურნე სუბიექტებს, რომლებიც უაღრესად ცენტრალიზებული სისტემიდან მოდიან და ახალ გარემოში ფუნქციონირების არავითარი გამოცდილება არ გააჩნიათ.

საქართველოს მეჩაიეობაში შექმნილი მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სტრუქტურის შექმნის აუცილებლობას, რომელსაც პოლიტიკასა და რეგულირებასთან ერთად ექნება სამეურნეო ფუნქციაც. დღეს არსებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან აღნიშნული ფუნქციების განხორციელება ყველაზე მეტად შეუძლია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.

აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ყველაზე მეტად შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპს, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს აგროსასურსათო სექტორის ცალკეული სეგმენტების მაგალითზე.

რეგულირების ასეთი რგოლის შექმნით შესაძლებელი გახდება ფინანსური რესურსების მოძიება დარგში პოლიტიკის განსახორციელებლად, რომლის გატარება, როგორც ამას მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, სხვანაირად შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნდა იყოს მეჩაიეობის დეპარტამენტი „საქართველოს ჩაი", რომელიც მოქმედი კანონმდებლობიდან

გამომდინარე, ჩამოყალიბდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. დეპარტამენტის თავჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, დანიშნავს სოფლის მეურნეობის მინისტრი. დეპარტამენტის საქმიანობას გააკონტროლებს სამინისტრო. ახალი ორგანოს სტრუქტურა უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ვაზისა და ღვინის რეგულირების დეპარტამენტ „სამტრესტის" მსგავსი.

სამინისტროს სისტემაში ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის შექმნა მრავალი მიზეზითაა განპირობებული, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

სოფლის მეურნეობის სამინისტროში სახელმწიფო-კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკის" ლიკვიდაციის შემდეგ (1997 წელი) არ არსებობს არა თუ მეჩაიეობის დარგის რაიმე სამსახური, არამედ სპეციალისტიც კი;

მეჩაიეობის პრობლემების გადაწყვეტა (მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს ფინანსური დახმარებები დარგის რებილიტაციისათვის) მინდობილი აქვს არაპროფილურ (ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების) სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებაში არსებულ საინვესტიციო სტრუქტურებს. რაც მთავარია არსებობს ამ მანკიერი პრაქტიკის გაგრძელების რეალური შესაძლებლობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებიდან ლობირების გამო;

დარგში საბაზრო გარემო იმდენად სუსტადაა ფორმირებული, რომ მეურნე სუბიექტებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ფუნქციონირება;

დარგში საბაზრო გარემოს ჩამოყალიბება ცენტრალიზებული მართვის რღვევის პირობებში ხდება, როცა დაგროვილი არ არის სათანადო ცოდნა, გამოცდილება, შესაქმნელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გადასაწყვეტია ყველაზე რთული ამოცანა-მოსაძიებელია ბაზრები;

დარგში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და შეიძლება ითქვას, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მეჩაიეობის რეგიონში ცხოვრობს 500 ათასზე მეტი ადამიანი, რომელთა ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო მეჩაიეობა იყო და იგი ახლო მომავალში ასეთად უნდა იქცეს.

რამდენადაც კანონის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა შესაძლებელია მასზე სახელმწიფო ქონების მართვაში გადაცემის გზით, შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი სქემის გამოყენება: სახელმწიფო ბიუჯეტის

წინაშე დავალიანებების მქონე ფაბრიკების ქონება (აქციები, წილი, პაი), არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით, დავალიანების ტოლი ოდენობით გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, დეპარტამენტ 'საქართველოს ჩაის". ამ შემთხვევაში საწარმოების დავალიანება ბიუჯეტის წინაშე შემცირდება დაბრუნებული ქონების ტოლი ოდენობით, რადგან იგი გახდება სახელმწიფოს (საჯარო სამართლის იურიდიული პირის) საკუთრება.

ახალი სტრუქტურის ძირითადი ფუნქციები ასე წარმოგვიდგენია:

აღრიცხვა-ანგარიშგება, ანალიზი, პროგნოზირება

მმართველობისა და თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით ჩაის პლანტაციების ინვენტარიზაცია, ტიპიურ ნიადაგზე გაშენების, ასაკის, ექსპლუატაციისათვის (ხელით და მანქანებით კრეფა) ვარგისიანობის, გასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებების, თუ ჩამოწერის დადგენის მიზნით;

ჩაის ფაბრიკების ტექნიკური ინვენტარიზაცია მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებისათვის ტექნოლოგიური ხაზების შესაბამისობის, გადაიარაღების მიზანშეწონილობისა და რეალიზებადი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების დასადგენად;

ღონისძიებების განხორციელება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების დასანერგად;

მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარების სისტემატური ანალიზი, წარმოებაზე მოქმედი ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გამოვლენის მიზნით;

ჩაის ფაბრიკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და წინადადებების შემუშავება მისი გაუმჯობესების მიზნით, მეჩაიეობის სეგმენტში მოქმედი საგადასახადო სისტემის ანალიზი, წინადადებების შემუშავება მისი სრულყოფისათვის და ლობირება მთავრობასა და პარლამენტში;

მსოფლიო მეჩაიეობაში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე საქართველოში ჩაის წარმოების სტრატეგიისა და ტაქტიკის და მათი განხორციელების ეკონომიკურ-ორგანიზაციული სქემების შემუშავება. მეჩაიეობაში არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის ხელშეწყობა და მათთან თანამშრომლობა.

ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება

ანასეულის ჩაის, სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებასთან ერთად ჩაის აგროტექნიკასა და

გადამუშავებაში მეცნიერებისა ტექნიკის მსოფლიო მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მათი წარმოებაში დანერგვის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სქემების შემუშავება;

ჩაის ახალი ჯიშების, ნერგების გამოყვანის, გაშენების, მოვლა-მოყვანის, ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების და პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მუდმივი განახლება;

მცირე საწარმოებში მაღალხარისხოვანი ჩაის საწარმოებლად ახალი ტექნოლოგიების გავრცელება სოფლად ალტერნატიული სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით;

მექანიზებული წესით ჩაის პლანტაციების მოვლის, ფოთლის კრეფის ტექნოლოგიების შერჩევა, მანქანა იარაღების წარმოებაზე მოთხოვნის გაანგარიშება, მანქანათმშენებლობის საწარმოებში მათი გამოშვების ხელშეწყობა;

პროდუქციის შეფუთვის (ერთჯერად პაკეტებში, მცირე განწონვის ყუთებში) პროგრესული ტექნოლოგიების შემოტანა და მათი კორპორატიული გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ხელშეწყობა;

კონტაქტების აღდგენა იაპონიის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების მეჩაიეობის ტექნიკის მწარმოებელ ფირმებთან ჯერ შეკეთებული ტექნიკის, ხოლო შემდეგ, ახალი მანქანა-იარაღების შემოტანის მიზნით.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

წარმოების ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ორგანიზებულად შესასყიდად ფინანსური რესურსების მობილიზება, ზენორმატიული ნაშთების ურთიერთხელსაყრელი პირობებით გადანაწილება. პროგრესული ტექნოლოგიების შეძენა და დამონსტრირება, ტექნოლოგიური დანადგარების იმპორტისათვის დაწესებული შეღავათების გამოყენება.

მარკეტინგული საქმიანობა, საინფორმაციო უზრუნველყოფა

ადგილობრივ ბაზრებზე და საზღვარგარეთის ბირჟებზე პროდუქციაზე მოთხოვნილების პერმანენტული შესწავლა (პროდუქციის ხარისხი, შეფუთვა, მიწოდება, ფასი და მისი პროგნოზირება). ძველ ბაზრებზე მიმდინარე პროცესების ანალიზი, ახალი ბაზრების მოძიება და მათში შესვლის პირობების შესწავლა;

ევროგაერთიანების, აგრეთვე, სხვა ქვეყნებთან პრეფერენციათა განზოგადოებული სისტემის გამოყენების შესახებ წინადადებების მომზადება და მისი ლობირება. პროდუქციის ექსპორტ-იმპორტისას ვმოს-ს მოთხოვნების დაცვა,

ორგანიზაციის დირექტორატის წინაშე ჩაის საბაჟო ტარიფების გაზრდის შესახებ წინადადებების დაყენება;

სამსახურის აღჭურვა კომპიუტერული, გასამრავლებელი ტექნიკით, ფაქსით, ინტერნეტის მომსახურებით. მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ადგილებზე და იქედან მონაცემების მიღება ნედლეულის დამზადების, მზა პროდუქციის გამოშვების, რაალიზაციის შესახებ, იგივე ინფორმაციის მიწოდება სამინისტროსათვის. ინფორმაციის მიღება მეჩაიეობის გამოფენების შესახებ და მათში მონაწილეობა. საქართველოში ანალოგიური გამოფენების ორგანიზება შესაბამის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად.

ფინანსები და ინვესტიციები, კადრების მომზადება

პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ფულად-მატერიალური დანახარჯების ანალიზი, პროდუქციის თვითღირებულების, მისი სტრუქტურის დადგენა, მოგების ნორმის შესახებ რეკომენდაციის მიცემა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით;

ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურების დონისა და სტრუქტურის ანალიზი მისი გაზრდის მიზნით. დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის ახალი სისტემის გამოყენებაზე რეკომენდაციების შემუშავება;

ბიზნეს-წინადადებების და ბიზნეს გეგმების შედგენა და მათი მიწოდება ქართული და უცხოური ფირმების, ბიზნესის წარმომადგენლებისადმი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;

მეჩაიეობაში უცხოეთის და ქართული ბანკების კრედიტების მოზიდვა, მიკროდაფინანსების სისტემის გამოყენება, წინადადებების მომზადება მეჩაიეობის განვითარების სპეციალიზებული ფონდის შექმნისა და მისი დაფინანსების წყაროების შესახებ;

დარგის მართვის სტრუქტურის რეორგანიზაციის, სტრატეგიის შემუშავება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბაზაზე მეჩაიეობის ფინანსური ჰოლდინგის ჩამოყალიბების მიზნით;

სპეციალისტების სწავლების, გადამზადების, დასაქმების მწყობრი სისტემის შექმნა კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურების შემოღების საფუძველზე.

კანონშემოქმედებითი საქმიანობა

„ჩაის შესახებ"კანონპროექტის ახალი ვარიანტის მომზადება, რომლის პროტოტიპად გამოყენებული იქნება კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ";

ახალი კანონით დაპარტამენტ „საქართველოს ჩაის” ნება უნდა დაერთოს:

პროდუქციის წარმოების სერთიფიკატის გაცემის, რისთვისაც უნდა შეიქნას თანამედროვე ლაბორატორია ან ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენებული იქნას ანასეულის ჩაის, სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ლაბორატორია;

სანერგეების სერთიფიცირების;

საწარმოების ლიცენზირების;

ნერგის, ფოთლის, მზა პროდუქციის სტანდარტების შემუშავების;

ტექნოლოგიის დარღვევით ფოთლის კრეფის, გადამუშავების აკრძალვის და სხვა;

ნორმატიული და ქვენორმატიული აქტების მომზადების და მათი დადგენილი წესით დამტკიცების;

კანონშემოქმედებითი ინიციატივის.

მარეგულირებელი ორგანოს სტრუქტურა

პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რომლითაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი დეპარტამენტი „საქართველოს ჩაი” აღნიშნული უნდა იქნას, რომ ყველა სახელმწიფო ღონისძიებას, მათ შორის მეჩაიეობის და მეციტრუსეობის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს, ახორციელებს აღნიშნული ორგანიზაცია, რომელსაც თანხის მცირე ნაწილი გამოეყოფა გაწეული მომსახურებისათვის. სტრუქტურის შენახვის ძირითადი წყარო იქნება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების გარკვეული პროცენტი, აგრეთვე, კანონით ნებადართული სხვა მომსახურების ღირებულება. დასაშვები იქნება სხვადასხვა შემოწირულობებისა და დახმარებების მიღება.

დეპარტამენტის ორგანიზაციული სტრუქტურა საწყის ეტაპზე ასე გვესახება:

დეპარტამენტის თავმჯდომარე – 1

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე – 2

ბუღალტერია – 2

საფინანსო-ეკონომიკური სამსახური – 2

ტექნოლოგიების სამსახური – 3

საზღვარგარეთთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური–3

იურისტი – 1

კანცელარია – 2

სულ 15 საშტატო ერთეული.

დეპარტამენტთან იქმნება საზოგადოებრივი საბჭო დეპარტამენტის სპეციალისტების, კერძო სტრუქტურების წარმომადგენლების, მეცნიერების მონაწილეობით. საბჭოს უხელმძღვანელებს მისი წევრებიდან არჩეული პირი.

ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დროს აქტუალურია პროგნოზირებისა და დაგეგმვისადმი ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინდიკატური დაგეგმვის როლი მკვეთრად იზრდება, მნიშვნელოვნად იცვლება მისი არსი, მიზნები და ფუნქციები.

ასკ-ის მართვა სახელმწიფოებრივ დონეზე, საბაზრო ურთიერთობის პირობებში, უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი ნორმატივების გამოყენების საფუძველზე: საგადასახადო განაკვეთი, საპროცენტო განაკვეთი კრედიტზე, ცენტრალიზებული ინვესტიციების ლიმიტები, დოტაციები, კომპენსაციები და ა.შ.

აგროსამრეწველო კომპლექსის, მათ შორის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის მართვა ხორციელდება სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მეშვეობით, როგორიცაა: საკუთარი სახსრები, ბანკის კრედიტები და ასიგნებანი ბიუჯეტიდან. ამასთან, სასურველია ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებს გამოეყოთ შეღავათიანი კრედიტები, ხოლო ასიგნებანი ბიუჯეტიდან მიმართულ იქნეს ძირითადად სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად და ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესებისათვის.

აუცილებელია შეიქმნას საკონსულტაციო სამსახურები, რომლის ორგანიზაციული მოდელიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ მაქსიმალური და სწრაფი ეფექტიანობა მინიმალური დანახარჯებით. ამასთან, ასეთი სამსახურების დაფინანსება უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან. ფასიან მომსახურებაზე გადასვლა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მწარმოებლები, მ. შ. უწინარესად ფერმერები ეკონომიკურად მომძლავრდებიან და ფსიქოლოგიურადაც მზად იქნებიან გადაიხადონ გარკვეული გადასახადი საკონსულტაციო მომსახურებისათვის. ამ პროცესს გარკვეული დრო და გამოცდილება სჭირდება, რასაც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს. ამ მოდელის კერძო საკონსულტაციო სამსახურები ფართოდაა მსოფლიოში გავრცელებული, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში მისი ფორმირება არ დაწყებულა კერძო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფორმით, ის ყალიბდებოდა, უწინარესად–სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის პირობებში.

ამრიგად, სახელმწიფოს დიდი როლი აკისრია აღნიშნული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბებაში, დაფინანსებასა და

ფუნქციონირებაში, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყანაში აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების, მათ შორის ჩაის წარმოების ქვეკომპლექსის განვითარებისათვის.

3.2. ჩაის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის გზები

თითქმის ყველა ქვეყანაში ჩაის წარმოების დარგის რეგულირების ფუნქციას მთლიანად ან ნაწილობრივ სახელმწიფო ასრულებს. მისი უშუალო ჩარევითა და ხელშეწყობით ხდება კერძო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მეჩაიეობის პრობლემების გადაწყვეტა, პროდუქციის ადგილზე მოხმარებისა და ექსპორტის ხელშეწყობა (წარმოების სუბსიდირებით, საგადასახადო შეღავათებით, ბაზრის დაცვის მექანიზმების გამოყენებით და სხვა). ჩაის წარმოების ბევრ კლასიკურ ქვეყანაში დარგის განვითარებას კურირებს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, თვით პრემიერ-მინისტრის მოადგილის ჩათვლით (ინდოეთი).

მეჩაიეობის განვითარების პრობლემები საქართველოშიც ყოველთვის სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში იდგა და შესაბამის მმართველ სტრუქტურებს ძლიერი მარეგულირებელი ფუნქციები ჰქონდა (სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი", „ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი", „ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველო", „ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო კომიტეტი", სახელმწიფო კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკი").

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან ზომებს ღებულობდა მეჩაიეობაში მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად. დარგის განვითარებაზე სახელმწიფო ზრუნვა 1993 წლიდან იწყება, როცა მიღებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე დადგენილება ჩაის წარმოების განვითარების სხვადასხვა საკითხებზე. 1995 წელს, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მოსამზადებლად ეროვნულ ბანკს დაევალა 5 ტრილიონი კუპონის მოკლევადიანი კრედიტის გამოყოფა.

მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ჩაის ფაბრიკებისათვის ნებართვის მიცემა პროდუქციის საბაზრო ფასში გაყიდვის შესახებ. 1995 წლამდე ჩაის ფაბრიკებს უფლება არ ჰქონდათ გაეყიდათ პროდუქცია მისი წარმოების თვითღირებულებაზე დაბლა, რადგან საგადასახადო სამსახური გადასახადის დარიცხვის ქვედა ზღვრად

პროდუქციის თვითღირებულებას მიიჩნევდა. შემდეგი ნაბიჯი იყო ჩაის აქციზისაგან გათავისუფლება (1995 წლის 20 თებერვლის №93 გადაწყვეტილება). მანამდე იგი ალკოჰოლიან სასმელებთან და თამბაქოსთან ერთად აქციზურ პროდუქციად ითვლებოდა. აქციზის გაუქმების შედეგად გაიაფდა პროდუქცია და ამაღლდა მისი კონკურენტუნარიანობა.

1994-1995 წლებში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ რამდენიმე ბრძანებულება და დადგენილება იქნა მიღებული თურქმენეთში ჩაის ორგანიზებულად გადატვირთვის თაობაზე. თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის ვალის დასაფარავად კლირინგის წესით ქართული ჩაის მიწოდებას ახორციელებდა სოფლის მურნეობის და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო-კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბ-ტროპიკი", ხოლო მიწოდებული ჩაის ღირებულება საქართველოში უნდა აენაზღაურებინა სახელმწიფო ორგანიზაციას – დეპარტამენტ „საქგაზს", რომელსაც, თავის მხრივ, ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მიეღო. იმის გამო, რომ „საქგაზმა" ვერ მოახერხა თურქმენეთში გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება, ჩაის ფაბრიკებს წარმოეშვათ დავალიანებები ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების წინაშე (ამ საკითხებს გარკვეულწილად პირველ თავშიც შევეხეთ).

მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა იმან, რომ სახელმწიფო კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკის" სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1998 წლის 30 იანვრის №257 ბრძანებით სკგ „საქჩაისუბტროპიკის" სალიკვიდაციო კომისიამ შეწყვიტა მუშაობა და ბრძანების მეხუთე პუნქტით „თურქმენეთში 1994-1995 წლებში გაგზავნილი ჩაის პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 ივლისის №267 განკარგულების მეორე მუხლის, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1997 წლის 9 ივლისის №2-244 ბრძანების მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისად სკგ „საქჩაისუბტროპიკის" დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები გადაეცა სს "საქაგროსერვისს" (ყოფილი სკგ "საქსოფლნაყოფიერება"), რომელიც ამ დროისათვის განკერძოებული იყო და ფაქტიურად არალიკვიდური ბალანსი ჰქონდა.

საგარეო ვალში ჩაის მიწოდების პრაქტიკა, რომელიც თურქმენეთთან განხორციელდა და მიუხედავად იმისა, რომ მარცხით დამთავრდა, საინტერესო თემაა იმ თვალსაზრისით, რომ საგარეო ვალები ჩვენ სხვა სახელმწიფოებთანაც

გვაქვს. “მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 მარტის №336 განკარგულების მესამე პუნქტით ფინანსთა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, საგარეო საქმეთა სამინისტროებს დაევალათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად წინადადების მომზადება ჩაის პროდუქციით კრედიტორი ქვეყნებისადმი საქართველოს საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით საქართველოში სპეციალური ფირმაც კი შეიქმნა, იმ განსხვავებით, რომ მას უფლება მიეცა ვალის დასაფარავად ჩაისთან ერთად სხვა პროდუქციის გამოყენების. სამწუხაროდ, ეს საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა მეჩაიეობაში კრიზისის ჩამოყალიბების საწინააღმდეგოდ, რომელიც ძირითადად სამი მიმართულებით ხორციელდებოდა: ეკონომიკურ-ფინანსური – ჩაიზე აქციზის გაუქმება, პროდუქციაზე თავისუფალი ფასწარმოქმნის დაშვება, გადასახადების გადავადება, სახელმწიფო დაკვეთით პროდუქციის გადატვირთვა და გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება და ტექნოლოგიური-მეჩაიეობის რეგიონებისათვის სასუქების გამოყოფა, ენერგო-მატარებლებით (მაზუთი, ელექტროენერგია) ჩაის ფაბრიკების უზრუნველყოფა.

ყოველივე ეს ნაკარნახევი იყო მხოლოდ დარგის გადარჩენის სურვილით, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ძველი, ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით ხდებოდა, რამაც ბაზრების დაკარგვის, ჩაის პროდუქციაზე ფასების დისპარიტეტის პირობებში მდგომარეობის ხსნა ვერ შეძლო.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ხელისუფლებამ შეცვალა მეჩაიეობის დარგისადმი დახმარების სტრატეგია და იგი ნატურის ნაცვლად ფულადი დახმარებებით ჩაანაცვლა.

„მეჩაიეობის დარგის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის ფინანსური დახმარების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 10 აპრილის №177 ბრძანებულებით პრეზიდენტის ფონდიდან სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გამოეყო 1 მლნ ლარი ფინანსური დახმარების სახით, რომელიც იმავე წელს სამინისტრომ სააქციო საზოგადოება „ქართულ ჩაის” გადასცა. ბრძანებულებით აღნიშნული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება 1999 წლის 1

აპრილისათვის იყო გათვალისწინებული. ამდენად, ეს იყო პირველი, ორწლიანი უპროცენტო სესხი, რომელიც მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის იქნა გამოყოფილი. იმ დროისათვის მეჩაიეობაში იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ თანხის განაწილებამ პოლიტიკური დატვირთვა მიიღო. იგი სააქციო საზოგადოების მიერ ჩაის ფაბრიკებზე განაწილდა ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც ფაბრიკებისათვის ძირითადად მაზუთისა და სასუქების შესყიდვას ითვალისწინებდა და რომლის ღირებულება მათ უნდა დაებრუნებინათ პროდუქციით ან ფულადი ფორმით. გასათვალისწინებელია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ თანხა დაგვიანებით იქნა გამოყოფილი. გამოყოფილი თანხით, მართალია, ჩაის პროდუქცია წარმოებული იქნა, მაგრამ თანხა არ დაბრუნდა, რადგან ჩაის ფაბრიკებმა დაარღვიეს სახელშეკრულებო პირობები. თანხის დიდი ნაწილი დღემდე ამოუღებელია, იგი ბიუჯეტს არ დაბრუნებია და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განვადებულ იქნა 2004 წლის 31 დეკემბრამდე. შედეგად, თანხის განაწილებისას დაშვებული შეცდომების მიუხედავად, მან მაინც შეასრულა გარკვეული ფუნქცია და დარგის გამოცოცხლება გამოიწვია. ამჟამად ს.ს. „საქართველოს ჩაი" გაკოტრების რეჟიმში იმყოფება.

„მეჩაიეობის დარგის გადარჩენისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის №266 ბრძანებულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 3,0 მილიონი ლარი, დაბრუნების გარეშე, 22,4 ათას ჰა ჩაის პლანტაციაში აგროტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო 2 მლნ ლარი საკრედიტო რესურსი 1997 წელს აშშ-დან შემოტანილი ხორბლის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან, წლიური 15%-იანი განაკვეთით. შედეგად, 48,2 ათასი ტონა ფოთოლი მოიკრიფა, ხოლო 1999 წელს – 60,0 ათასი ტონა. აღნიშნულ წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული იყო 10,0 მლნ ლარის, ხოლო 2000 წლისათვის – 12-15 მლნ ლარის გამოყოფა, რაც არ შესრულებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წელს თანხის გამოუყოფლობამ სერიოზულად შეაფერხა ჩაის წარმოების განვითარება და შესამჩნევი ეფექტი არ მოგვცა 1,5 მლნ ლარმა, რომელიც ამ წელს დაგვიანებით იქნა გაცემული სესხის სახით.

1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება "მეჩაიეობის აღორძინების სახელმწიფო პროგრამის (2000-2003 წლის პერიოდისათვის) შესახებ", რომელიც 2000 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4,0 მლნ ლარის გამოყოფას

ითვალისწინებდა, ხოლო მთლიანად პროგრამის ღირებულება 40,0 მლნ ლარს შეადგენდა.

ბოლო წლებში შეიცვალა როგორც თანხის გამოყენების დანიშნულება, ისე მისი გამანაწილებელი სუბიექტები. 2001-2002 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები (3,0 მლნ ლარი თითოეულ წელს) "ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის №205 ბრძანებულებით ჩაის ექსპორტის წასახალისებლად იქნა გამოყენებული. თანხის განაწილება ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელდა ტენდერის საფუძველზე. გამარჯვებულ კომპანიას თითოეულ კილოგრამ გადატვირთულ პროდუქციაზე, რომლის მყიდველის მიერ განაღდებას ადასტურებდა საქართველოს ეროვნული ბანკი, ეძლეოდა 40 თეთრი. ამით ხელოვნურად ხდებოდა მეწარმის მიერ გაწეული ხარჯების შემცირება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. 2001 წელს აღნიშნული პროგრამით 7,8 ათას ტონაზე მეტი ჩაი გადაიტვირთა, გაფართოვდა მისი გეოგრაფია, ქართულმა ჩაიმ შეაღწია ინდოეთში, ინდონეზიაში და მეჩაიეობის სხვა კლასიკურ ქვეყნებში, აშშ-ში.

ამ ფორმით თანხის განაწილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რომელთაგან მთავარი იყო ის, რომ ვმო-ში გაწევრიანებისას საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ იგი არ მოახდენს ექსპორტის სუბსიდირებას. მეორე არგუმენტი გახლდათ ის, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა ჩაის პლანტაციების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. ამ არგუმენტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ თუ პროგრამა მუდმივად იმუშავებს, მეწარმეები იძულებული გახდებიან იზრუნონ პლანტაციების აღდგენაზეც, სხვა შემთხვევაში ნედლეული არ ექნებათ.

დღესდღეობით, როცა გარკვეული პერიოდი გავიდა პროგრამის განხორციელებიდან, შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა, რადგან თანხა იმდენად მცირე იყო, რომ პროგრამით გათვალისწინებული მოცულობების უზრუნველყოფა ნედლეულით (დაახლოებით 23 ათასი ტონა) ჩაის პლანტაციების გაუმჯობესების სამუშაოების გარეშეც გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, ისევ ჰქონდა ადგილი წინა პროექტების მსგავსად თანხის დაგვიანებით გაცემას. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულებს 700 ათასი ლარი 2004

წელს აუნაზღაურეს. შედეგად, 2002 და 2003 წელს მოკრეფილი ფოთლის მოცულობამ შესაბამისად 24,0 და 25,0 ათასი ტონა შეადგინა.

ზემოთ დასახელებული ფინანსური დახმარებების პარალელურად "საქართველოს პრეზიდენტის საინვესტიციო პროგრამით მეჩაიეობის დარგის პრიორიტეტული განვითარების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 აპრილის №134 ბრძანებულებით ინვესტიციების მხარდაჭერის, ერონული მეურნეობის ძირითადი დარგებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეანიმაციის მიზნით შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის საინვესტიციო პროგრამა, რომლის უპირველეს პრიორიტეტად ჩაითვალა სოფლის მეურნეობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ინვესტიციები მეჩაიეობის დარგის განვითარებისათვის 5,0 მილიონი ლარის ოდენობით, რისთვისაც გამოყენებული იქნა იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ნოტების ურთიერთგაცვლის საფუძველზე იაპონიის მიერ გამოყოფილი არასაპროექტო რესურსის სოფლის მეურნეობის ნაწილი.

პროგრამა განახორციელა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ. ეს არ იყო პირდაპირი ფულადი დახმარება. აქ ტენდერის საფუძველზე შეიძლებოდა დანადგარ-მოწყობილობების, სასუქების, მაზუთის შეძენა, რომელსაც შემოიტანდა იაპონიის მთავრობის მიერ დაქირავებული აგენტი. სასუქების, მაზუთის, დანადგარ-მოწყობილობების შემოტანა იმდენად გააჭიანურა, რომ გაწეულმა ხარჯებმა პრაქტიკულად შედეგი ვერ გამოიღო. შეძენილი საქონლის ღირებულება უკან იყო დასაბრუნებელი, რაც ბევრ ფირმას დღემდე არ გაუკეთებია.

ყოველივე ზემოთ გაანალიზებულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1997-2003 წლებში სახელმწიფოს მიერ ჩაის წარმოების აღდგენისა და რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი სუბვენციებიდან ყველაზე ეფექტიანად გამოყენებული იქნა 1998 წელს გამოყოფილი 3,0 მლნ ლარი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის გაწეული ხარჯები სრულიად არაეფექტიანი იყო, რადგან განხორციელებული დახმარებებით შესაძლებელი გახდა დარგის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ სერიოზულად ვიფიქროთ ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელებაზე.

2004 წელს მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის 3,5 მლნ ლარი გამოიყო, საიდანაც დაახლოებით 3,0 მლნ ლარი მოხმარდა ჩაის პლანტაციების

რეაბილიტაციას, რომლის ფართობმა 6,0 ათასი ჰა შეადგინა. აქედან 2,1 ათას ჰა-ზე ჩატარდა მძიმე და ნახევრადმძიმე, ხოლო 3,9 ათას ჰა-ზე – შპალერული გასხვლის სამუშაოები. მთელ ფართობზე შეტანილი იქნა რთული სასუქი 500 კგ-ს ოდენობით, რომელიც ძირითადად ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქებისაგან შედგებოდა (აზოტიანი სასუქის რაოდენობა 10% იყო).

3,5 მლნ ლარიდან 500 ათასი ლარი მოხმარდა მცირე (ოჯახურ) და საშუალო წარმადობის ჩაის ფაბრიკების მომზადებას. სულ შეძენილი იქნა 16 მიკროფაბრიკა, რომლის ტექნოლოგია მხოლოდ მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებაზეა ორიენტირებული. ტენდერის პირობებით დამზადდა 20 ტონა იოდიზირებული ჩაი, რაზედაც 22 ათასი ლარი დაიხარჯა. ტენდერი ჩაატარა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ, რომლის დროსაც პირველად მოხერხდა პლანტაციების რეაბილიტირება და მისი დაკავშირება მაღალი ხარისხის ჩაის მწარმოებელ ფაბრიკებთან.

ჩაის წარმოებაში აღნიშნული მიმართულების არჩევა ნიშნავს ქართული მეჩაიეობის გაძღოლის იაპონურ გზაზე გადაყვანას, რაც ენერგომატარებლის დეფიციტის, ჩაის გადამუშავების ძველი ტექნოლოგიების არსებობისა და ხარისხიანი ჩაის წარმოების აუცილებლობის პირობებში გამართლებულ ნაბიჯად მიგვაჩნია. ინსტიტუციურად იგი შეიძლება იყოს ოჯახური, კოოპერაციული, ხელშეკრულებით ვერტიკალურად ინტეგრირებული, ხოლო სტრუქტურულად მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი საწარმო. სწორედ ასეთი ფორმის საწარმოები გაუწევენ კონკურენციას მსხვილ ჩაის ფაბრიკებს, რომელთაც მხოლოდ დაბალი და, უკეთეს შემთხვევაში, საშუალო ხარისხის ჩაის წარმოება შეუძლიათ მესამედად დატვირთული საწარმოო სიმძლავრეების პირობებში.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიღებული თანხებით (2001 წლის ჩათვლით) ჩაის მწარმოებელმა ფირმებმა სახელმწიფო ბიუჯეტს 18,5 მლნ. ლარზე მეტი დაუბრუნეს, პირდაპირი და ირიბი გადასახადების სახით გურიის, სამეგრელოს, იმერეთის მხარის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების ბიუჯეტებში მრეწველობიდან მიღებული შემოსავლების 80% ჩაის ფირმების წილად მოდიოდა. 1996 წლიდან გაიყიდა 72 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია. სავალუტო შემოსავლების სახით ქვეყანამ 68 მლნ. აშშ დოლარზე მეტი მიიღო. შიდა ეროვნულ პროდუქტში ჩაის მოცულობა თუ 0,2-0,5%-ს შეადგენს, ქვეყნის ექსპორტის მოცულობაში მისი წილი 5,5-7,8%-მდეა. ამ მაჩვენებლით მეჩაიეობას ეროვნულ ეკონომიკაში ანალოგი არ ჰყავს განსაკუთრებით აღსანიშნავია ის

გარემოება, რომ ჩაის ექსპორტმა დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე. რაც მთავარია, შესაძლებელი გახდა ასეულობით ადამიანის დასაქმება და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 11 ივნისის მონაცემებით ჩაის გადამუშავებაზე სულ დამტკიცებულია 2 417 მლნ ლარის იაფი სესხი 6 კომპანიაზე (იხ. ცხრილი 3.2.1)

რეგიონი/რაიონი	**კომპანია**	**„იაფი სესხი”**	
იმერეთი, ტყიბული	ტყიბულის ჩაი, შპს ექსპორტი	350,000	ტყიბულის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგიური გადაიარაღება და ქარხნის რეკონსტრუქცია
ოზურგეთის რაიონი სოფელი ლიხაური	„ზაზა მამეშვილი” ექსპორტი	107,000	საწარმოო შენობის შეკეთება, ჩაის საგრეხი, საღნობი და დასაფასოებელი დანადგარის შეძენა, 100-გრ-იანიკოლოფების ბეჭდვა (100 000 ცალი). წარმადობა: 7,4 ტონა პროდუქციის წარმოება, (5 ტონა საექსპორტოდ ჩეხეთის რესპუბლიკისათვის, 2,4 ტონა ადგილობრივი ბაზრისათვის). 2009 წლისათვის დაგეგმილია წარმოების 2,5-ჯერ გაზრდა.
ოზურგეთის რაიონი სოფ. ცხემლისხიდი	ზინა გუჯაბიძე სოფლის მეურნეობა	60,000	ნედლეულის მიღება და ჩაის აღორძინება. წარმადობა: 400-550 ტონა უმაღლესი შავი და მწვანე ჩაი ერთჯერად პაკეტებში (დანადგარი აქვს)
ოზურგეთის რაიონი	„ორი ნანა” შპს ექსპორტი	130,000	ჩაის დამფასოებელი მანქანის შეძენა, დამხარისხებელი საამქროს ტექნიკური გადაიარაღება – 60 000 ლარი. წარმადობა – 20 ტონა მაღალი ხარისხის დაფასოებული შავი და მწვანე ჩაი, ერთჯერად პაკეტებში, იოდიზირებული ჩაი.
ოზურგეთი სამეგრელო იმერეთი	შპს „გეოპლანტი” ექსპორტი	1,270,000	პირველადი ფაბრიკების სრული ტექნოლოგიური გადაიარაღება, თანამედროვე ინდური ტექნოლოგიებით. საპლანტაციო სამუშაოების სრული მექანიზაცია და შესაბამისი მოწყობილობების შეძენა. იაპონური და იტალიური ჩაის დამფასოებელი მანქანების შეძენა. წარმადობა: საექსპორტო პროდუქცია დაუფასოებელი, წელიწადში 1100 (1 699 000 ლარი) და დაფასოებული, როგორც საექსპორტო, ასევე შიდა ბაზრისათვის – წელიწადში 250 ტონა (4 368 750 ლარი)
აჭარა ქ. ქობულეთი 9 აპრილის 49	შპს „იაგო"	500,000	მწვანე ჩაის ექსპორტი
ჩაის გადამუშავებაზე დამტკიცებული სულ		2,417,000	

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება და სახელმწიფო დახმარებების ხოლოდ ამ მიმართულებით გამოყენება მეჩაიეობის განვითარების ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს.

3.3. ჩაის წარმოების სანედლეულო ბაზის განვითარების მიმართულებები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თაოსნობით, მეჩაიეობის რეგიონების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტთა უშუალო მონაწილეობით, შემუშავებულ იქნა საქართველოში მეჩაიეობის რეაბილიტაციის სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომელშიც ასახულია ჩაის წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები.

მეჩაიეობის და ჩაის პროდუქტების წარმოების განვითარების განმსაზღვრელი ტენდენციები ეყრდნობა, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

– საქართველოს მოსახლეობის შიგა მოთხოვნილების უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციაზე;

– კონკურენტუნარიანი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობათა ღონისძიებების დამუშავება;

– საერთაშორისო ბაზარზე მაღალხარისხოვანი საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის გაზრდა;

– ტრადიციული საექსპორტო ბაზრების დაბრუნებისათვის აქტიური სამარკეტინგო პოლიტიკის გატარება;

– საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების გაუმჯობესება.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ჩაის წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა ეფუძნება სუბტროპიკული ზონის ჩაის წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისათვის ეკოლოგიური და ბიოლოგიური რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ქვეყნის ეკონომიკისა და მისი პოტენციალის შემდგომი გაძლიერების მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს.

ჩაის წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები ითვალისწინებს მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოების სანედლეულო ბაზის ოპტიმალური რაოდენობის შენარჩუნებასა და განვითარებას, უპირატესობა ენიჭება მაღალპროდუქტიული ჩაის ჯიშებს, ასევე ჩაის გადამუშავების მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩაის წარმოების განვითარების ძირითად მიმართულებებად უნდა ჩაითვალოს:

– ჩაის პლანტაციების ყოვლისმომცველი პასპორტიზაციის საფუძველზე, ბიოლოგიურად მობერებული პლანტაციების ამოძირკვა (ყოველწლიურად საერთო ფართობის 2%);

– დაბალმოსავლიანი, ბიოლოგიურად მობერებული პლანტაციების ჯიშობრივი განახლების გეგმაზომიერი განხორციელება (1-1,5% საერთო ფართობიდან);

– არსებული პლანტაციების პროდუქტიულობის ამაღლება აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსის ჩატარებით;

– მაღალხარისხოვანი, კონკურეტუნარიანი ჩაის პროდუქციის წარმოება (შავი და მწვანე ბაიხის ჩაი, მწვანე აგურა ჩაი, შავი ფილა ჩაი, ნატურალური კონცენტრატები, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები);

– ჩაის წარმოების განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების დანერგვის საფუძველზე.

ჩაის წარმოების ძირითადი მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, მოსავლიანობის გადიდებისა და ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია სამუშაოთა კომპლექსის შესრულება. მათგან, პირველ ეტაპზე ჩასატარებელ ღონისძიებებს მიეკუთვნება:

– ჩაის პლანტაციების შპალერული გასხვლის ორგანიზაცია;

– მეცნიერულად დასაბუთებული ნიადაგის ნაყოფიერების სისტემებით რეგლამენტირებული ღონისძიებათა განხორციელება;

– ჩაის მცენარის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა კომპლექსის გატარება;

მეორე ეტაპის სამუშაოებიდან უმნიშვნელოვანესია:

– ჩაის პლანტაციების ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლის ორგანიზაცია;

– ამორტიზებული და დაბალმოსავლიანი პლანტაციების ამოძირკვა და ახლის გაშენება;

– ჩაის მოვლა-მოყვანისა და საკრეფ მანქანათა სისტემების სრულყოფა და დანერგვის ორგანიზაცია.

ამორტიზებული, დაბალმოსვლიანი ჩაის პლანტაციები, რომელთა მოსავლიანობის აღდგენა ვერ ხერხდება აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით, ექვემდებარება ამოძირკვას და განახლებას. პლანტაციების განახლება უნდა მოხდეს მაღალხარისხოვანი და მაღალმოსავლიანი სელექციური ჯიშებითა და კლონებით.

ჩაის პლანტაციების მძიმე, ნახევრადმძიმე გასხვლისა და ამოძირკვის შემოთავაზებულ გეგმა – პროგნოზს საფუძვლად დაედო ჩაის პლანტაციების ამჟამინდელი მდგომარეობა (ნახევრად მძიმე გასხვლა 5%, მძიმე გასხვლა 2,5%, ამოძირკვა და ახლის გაშენება 1-2% ყოველწლიურად). (იხ. ცხრილი 3.3.1).

საქართველოში ჩაის პლანტაციის ფართობი და მისი საექსპულატაციოდ მოსამზადებელი სამუშაოების პროგნოზული გეგმა
(2004-2008 წწ.)

ცხრილი 3.3.1

მეჩაიეობის რეგიონების დასახელება.	ჩაის პლანტაცია სულ ჰა	მათ შორის ჩამოსა-წერია ჰა	პერსპექტიული პლანტაცია სულ ჰა	ყოველწლიური სპეციალური აგროღონისძიებები, ჰა			სამრეწველო ფოთოლ-საკრეფი პლანტაციები 2008 წლისათვის ჰა
				მძიმე გასხვლა 2,5%	ნახევრა დმძიმე გასხვლა 5,0%	ამოძირკ-ვა ახლის გაშენება 1%	
აჭარის არ	5518,0	1674,0	3844,0	96,1	192,2	38,4	3421,2
აფხაზეთის არ	10000,0	1000,0	9000,0	225,0	450,0	90,0	8010,0
სამეგრელოს რეგიონი	15974,0	1838,0	14136,0	353,4	706,8	141,4	12581,0
გურიის რეგიონი	11132,0	1853,0	9279,0	232,0	464,0	92,8	8258,3
იმერეთის რეგიონი	4672,0	1522,0	3150,0	75,0	150,0	31,5	2819,9
სულ საქართველოში	47296,0	7887,0	39409,0	981,5	1963,0	394,1	35090,4

[1]ცხრილი შედგენილია სახელმწიფო პროგრამა "ჩაი"-ს მიხედვით

ცხრილში მოყვანილი პარამეტრები არგუმენტირებულია ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის რეკომენდაციების საფუძველზე. პროგნოზული სიდიდეებიდან გამომდინარე, 2008 წლისათვის, საქართველოში სამრეწველო ფოთოლსაკრეფი პლანტაციების მთლიანი რაოდენობა 35090,4 ჰა-ს მიაღწევს. შემოთავაზებული პროგნოზებით, განსაზღვრული ნედლეულის დამზადებისა და მზა პროდუქციის მოცულობის სიდიდე ასახავს ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას, პლანტაციების გასხვლისა და ამოძირკვის სამუშაოების შესრულებას და მაღალპროდუქტიული ჩაის ჯიშებით ახალი პლანტაციების გაშენების რეალურად მისაღწევ შესაძლებლობას.

მესამე ეტაპის სამუშაოების შესრულებამ უნდა უზრუნველყოს ჩაის წარმოების სრული ინდუსტრიალიზაციის განხორციელება. აღნიშნული ეტაპის

სამუშაოებიდან მნიშვნელოვანია: ჩაის მოვლა-მოყვანის, კრეფის, ტრანსპორტირების ინდუსტრიული ტექნოლოგიისათვის საჭირო მანქანათა სისტემების დამზადებისა და დანერგვის ორგანიზაცია; ნიადაგის განოყიერებისათვის საკვები ნივთიერებების წარმოებისა და მათი ჩაის პლანტაციებში დოზირებული შეტანის უზრუნველყოფა; მცენარის მავნებლებისა და დაავადების მიმართ საბრძოლველად ბიოლოგიური მეთოდების, აგრეთვე პესტიციდების და მათი ჩაის პლანტაციებში დოზირებულად შეტანის ინდუსტრიის შექმნა.

სუბტროპიკული ზონის ნიადაგების დაბალი ნაყოფიერება და ჩაის მცენარის მიერ საკვები ელემენტებისადმი მაღალი მოთხოვნილება განაპირობებს სასუქების გამოყენების დიდ გავლენას ჩაის პლანტაციების პროდუქტიულობასა და ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მიმდინარე ეტაპზე, დარგში შექმნილი სიტუაციის გამო, აუცილებელია მიტოვებული ჩაის პლანტაციების სრული აგროქიმიური გამოკვლევა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება. ამ მიზნით აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურების (ნიადაგის ნაყოფიერების და აგროქიმიური სამსახურის ანასეულის ცენტრი) მობილიზაცია საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში, სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში გაშენებული პლანტაციების ნიადაგებში ძირითადი საკვები ელემენტების დასადგენად და მინერალური სასუქების ნორმატიული მოცულობის გაანგარიშება პლანტაციების განოყიერების სისტემის ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად – ადგილობრივი მინერალური სასუქების მაქსიმალურად გამოყენების ფონზე.

ჩაის პლანტაციების განოყიერების სისტემას ფუნდამენტალური შრომები მიუძღვნა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების აგროქიმიის განყოფილებამ, სხვა კვლევითმა და სასწავლო ორგანიზაციებმა, რომელთა კვლევის შედეგების, აგრეთვე, მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით, დამუშავებულია და მეცნიერულად დასაბუთებული, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების წესები ჩაის პლანტაციების ხნოვანების, მოსავლიანობისა და ნიადაგობრივი პირობების შესაბამისად.

სასუქების ეფექტიანობის გადიდება დამოკიდებულია მიწათმოქმედების კულტურის საერთო დონეზე. თუ განოყიერებამ კარგი შედეგი არ მოგვცა, ეს აგროტექნიკის წესების დარღვევით შესრულებული სამუშაოების, ან საერთოდ, აგროტექნიკის უგულებელყოფის ბრალია.

ჩაის მცენარე მინერალური სასუქების, უპირველესად კი აზოტის, დიდად მომთხოვნია. დადგენილია, რომ ჩაის პლანტაციების მინერალური სასუქებით განოყიერების შედეგად მიღებული ეფექტის დაახლოებით 80 პროცენტი სწორედ აზოტზე მოდის, ამიტომაც მის გამოყენებას დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ.

აზოტიანი სასუქები მაღალეფექტურია ეწეროვან ნიადაგებზე გაშენებულ პლანტაციებში, სადაც საკონტროლოსთან შედარებით მოსავლიანობა 5-6–ჯერ გაიზარდა. ნ. დგებუაძის მონაცემებით, ეწეროვან ნიადაგებში, სადაც ჩაის მოსავლიანობა ჰექტარზე 8-9 ათას კგ-მდე აღწევს, საკმარისია 300-500 კგ წმინდა აზოტის შეტანა. უფრო დიდი დოზები აღნიშნული ნიადაგის პირობებში ეფექტს არ იძლევა. წითელმიწა ნიადაგებზე, ვ. ცანავას მიხედვით, ჩაის მაღალ და მყარ მოსავალს იძლევა 250-300 კგ/ჰა აზოტი.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ გოგირდმჟავა ამონიუმის სისტემატურად შეტანა ნიადაგის ძლიერ გამჟავიანებას იწვევს. ამის გამო იგი ასუსტებს ნიტრიფიკაციის პროცესს. ჩაისათვის ოპტიმალური რეაქციის შენარჩუნების მიზნით მიზანშეწონილია აზოტიანი სასუქების ნიტრატული და ამონიაკური ფორმების მონაცვლეობით შეტანა.

სრულასაკოვანი ჩაის პლანტაციებისათვის აზოტიანი სასუქების დოზები მოსავლიანობის, ხოლო ახალგაზრდა პლანტაციებში კი ხნოვანობის მიხედვით იცვლება. რაც უფრო უხვმოსავლიანია ჩაის პლანტაცია, მით უფრო მეტ აზოტს მოითხოვს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოსავლიანი პლანტაცია უფრო მძლავრია, მას ასიმილაციის მაღალი უნარი აქვს და მეტ მწვანე მასასაც იძლევა, ე. ი. ასეთი პლანტაციიდან მეტი მწვანე ფოთოლი გადის.

აზოტოვანი სასუქების ფორმებიდან დაბალი მჟავიანობის ნიადაგებში (PH – 3.8 ზევით) ყველაზე საუკეთესო ფორმად ამონიუმის გვარჯილა (მასში აზოტის რაოდენობა აღწევს 33-34 პროცენტს) ითვლება, ხოლო ძლიერ მჟავე ნიადაგებში (PH – 3.8 ქვემოთ) მიზანშეწონილია შარდოვანას გამოყენება. რაც შეეხება ფოსფოროვანი სასუქების ფორმებს, ძლიერ მჟავე ნიადაგებზე ეფექტურია ფოსფორიტის ფქვილი, ხოლო ნაკლებ მჟავე ნიადაგებზე – სუპერფოსფატი.

საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე, როგორც მოსავლიანობის ზრდისათვის, ისე ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობისათვის, კალიუმითა და ფოსფორით ღარიბ ნიადაგებზე სასურველია მათი გაზრდილი დოზით გამოყენება, რაც უფრო სწრაფად და მთლიანად იქნება ნიადაგები უზრუნველყოფილი აღნიშნული საკვები

ელემენტებით, მით უფრო დაჩქარდება მიტოვებული ჩაის პლანტაციების ქვეშ არსებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება.

რაც შეეხება ორგანულ სასუქებს, იგი ყველაზე სრულყოფილია და შეიცავს მცენარისათვის საჭირო ყველა საკვებ ელემენტს მაკრო–აზოტს, ფოსფორს, კალიუმს და მიკროელემენტებს. ორგანული სასუქები ადვილად არ ირეცხება, ისინი ნიადაგს ეროზიისაგან იცავენ, არეგულირებენ თბურ და კვების რეჟიმს ნიადაგში. ამიტომ მათ ჩაის მოსავლიანობის ამაღლებაში დიდი როლი ეკისრება, განსაკუთრებით ფერდობებზე გაშენებული პლანტაციებისათვის, სადაც ნიადაგური ეროზიის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორგანულ სასუქებს მძიმე ნიადგები მოჰყავს კულტურულ მდგომარეობაში.

ორგანული სასუქებიდან ჩაის პლანტაციებში იყენებენ ნაკელს, ტორფ-კომპოსტებს, წარმოების ორგანულ ნარჩენებსა და მწვანე სასუქებს. მათი შეტანა საჭიროა ყველა ასაკის პლანტაციებში, მაგრამ იმის გამო, რომ ეს სასუქები მცირე რაოდენობითაა, პირველ რიგში შეაქვთ ფერდობებზე გაშენებულ იმ პლანტაციებში, სადაც ნიადაგი ჩამორეცხილია, ოღონდ წინასწარ აუცილებელია ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბლობების მძიმე თიხნარ ნიადაგებზე გაშენებული პლანტაციებისა და მძიმედ გასხლული ჩაის ნაკვეთების ორგანული სასუქებით განოყიერებას.

ნაკელი მნიშვნელოვნად ადიდებს ჩაის ფოთლის მოსავლიანობას, განსაკუთრებით მინერალური სასუქების ფონზე. იგი, როგორც პირდაპირი, ისე ხანგრძლივი შემდეგქმედებით ხასიათდება. ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების მონაცემებით, ნაკელის შემდეგქმედება გამოიხატება ჩაის ფოთლის მოსავლიანობის საშუალოდ 21 პროცენტამდე ზრდაში (ცხრილი 3.3.2).

ნაკელის გავლენა ჩაის ფოთლის მოსავლიანობაზე (ანასეული)
(მ. ბზიავას მიხედვით)

ცხრილი 3.3.2

ვარიანტები	პირდაპირი მოქმედება, 2 წლის საშუალო მოსავალი		შემდეგქმედება, 11 წლის საშუალო მოსავალი		პირდაპირი და შემდეგქმედება, 13 წლის საშუალო მოსავალი	
	კგ/ჰა	%	კგ/ჰა	%	კგ/ჰა	%
უსასუქო	1348	78	1590	51	1552	53

აზოტი, ფოსფორი და კალიუმი (NPK)	1939	100	3117	100	2905	100
კალიუმი და ნაკელი	1885	108	3760	121	3471	119

ჩაის მეურნეობებში შედარებით ფართოთ იყენებენ ტორფიან სასუქებს. ტორფის საბადოები გვხვდება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის შემდეგ რაიონებში: ქობულეთი, ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი და სხვა. ა. მენაღარიშვილის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ჩაის რაიონების ტორფი შეიცავს საერთო აზოტს 1,7–დან 2,5 პროცენტამდე.

ჩაის პლანტაციებში ორგანული სასუქების გამოყენების მაღალ ეფექტიანობაზე მიგვითითებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები (ცხრილი 3.3.3)

სასუქების გავლენა ჩაის ფოთლის მოსავლიანობაზე

ცხრილი 3.3.3

სასუქების ფორმები	კგ/ჰა	%
უსასუქო	2859,6	71,7
მინერალური ფოსფორი და კალიუმი (ფონი)	3983,0	100,0
მინერალური ფოსფორი, კალიუმი და აზოტი	5839,8	146,6
მინერალური ფოსფორი, კალიუმი და ნაკელი 40 ტ/ჰა	5240,8	126,5
მინერალური ფოსფორი, კალიუმი და ტორფ-ფოსფორიტის კომპოსტი 40 ტ/ჰა	4658,4	116,8

ჩაის პლანტაციების გასანოყიერებლად იყენებენ, აგრეთვე, წარმოების სხვადასხვა ანარჩენს. კერძოდ: ა) კოფეინის ქარხნის ანარჩენებს, ჩაის ნასხლავის შერჩეული ყლორტებიდან კოფეინის გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ორგანულ მასას. იგი შეიცავს 3,47 პროცენტ აზოტს, 1,03 პროცენტ ფოსფორს. ბ) ტუნგის ნაყოფისაგან ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი ორგანული ნივთიერებებით მდიდარი მასა შეიცავს 0,85 პროცენტ აზოტს.

სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციებში ორგანული სასუქები შეაქვთ 4 წელიწადში ერთხელ, რადგან მათი შემდეგქმედება ხანგრძლივია. ჰექტარზე შეტანილი უნდა იქნეს 50 ტონა ნაკელი ან 80-100 ტონა ტორფ-კომპოსტი. ზემოთ აღნიშნული ორგანული ნარჩენებიც ჰექტარზე 80-100 ტონის რაოდენობით შეაქვთ. ორგანული სასუქების ეს რაოდენობა გაანგარიშებულია 70-75 პროცენტი ტენიანობის პირობებში. მათი პლანტაციებში შეტანა უკავშირდება ნიადაგის საზამთრო დამუშავების პერიოდს და ისინი ფოსფორიან და კალიუმიან

სასუქებთან ერთად შეაქვთ. პლანტაციებში ორგანული სასუქები სასურველია მძიმე გასხვლამდე ერთი წლით ადრე შევიტანოთ. ორგანული სასუქები ყველა შემთხვევაში მწკრივთაშორისებში მთელ ფართობზე თანაბრად უნდა მოვაბნიოთ და მაშინვე ჩავხნათ.

ნიადაგის განოყიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აგროტექნიკურ ხერხს სიდერაცია (მწვანე სასუქები) წარმოადგენს. იგი გულისხმობს პარკოსანი მცენარეების თესვას პლანტაციის მწკრივთაშორისებში და მათი მწვანე მასის ჩახვნას, ისინი ფესვებზე განლაგებული კოჟრის ბაქტერიებით ითვისებენ ჰაერის აზოტს და ხდიან მას მცენარისათვის მისაწვდომს. სიდერატების როლი აზოტის დაგროვებით როდი ამოიწურება. იგი ნიადაგს ამდიდრებს, აგრეთვე, ფოსფორით, კალიუმით, ორგანული ნივთიერებებით, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, ხელს უწყობს მცენარის ფესვთა სისტემის განვითარებას, ფართობს იცავს გადარეცხვისაგან და ადიდებს მცენარეთა ყინვაგამძლეობას.

ჩაის პლანტაციებში მწვანე სასუქების გამოყენება ხანგრძლივი მოქმედებით ხასიათდება, პირდაპირი მოქმედება, ე. ი. პირველი წლის ეფექტიანობა კი, ბევრად ნაკლებია (ცხრილი 3.3.4).

სიდერატებთან ერთად ჩაის პლანტაციაში გამოიყენება მულჩი. იგი ნიადაგის ტენს იცავს აორთქლებისაგან, ინარჩუნებს ტემპერატურას, ანელებს მზის პირდაპირ ზემოქმედებას. მულჩად იყენებენ მწვანე ორგანულ მასას, ტორფს, შავ პოლიეთილენის აფსკს, სასიდერატო მასას, მულჩქაღალდს და სხვა. ტორფითა და მწვანე ორგანული მასით დამულჩვისას ნიადაგის ნახევარმეტრიან ფენაში 6-10 პროცენტზე მეტი ტენია, ვიდრე იმავე სისქის დაუმულჩავ ნიადაგში. მულჩის გამოყენება დადებითად მოქმედებს ჩაის მცენარის ზრდა განვითარებასა და მოსავლიანობაზე, ეფექტი რამდენიმე წელიწადს გრძელდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სასუქების დოზების სწორ და რაციონალურ განსაზღვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ბევრი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არარენტაბელურიც გახდეს

აღნიშნული საშიშროების წინაშე დგას მეჩაიეობის დარგიც. სასუქებზე მაღალი საბაზრო ფასების გამო გლეხური და ფერმერული მეურნეობები თავს იკავებენ ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების სრულყოფილი დოზებით შეტანაზე. რაც შეეხება ფოსფოროვან და კალიუმიან სასუქებს, ისინი უკანასკნელი 8-10 წლის განმავლობაში პლანტაციებში არც შეტანილა.

მწვანე სასუქების სხვადასხვა დოზების გავლენა
ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე
(მ. ბზიავას მიხედვით %)

ცხრილი 3.3.4

ვარიანტები	პირდაპირი მოქმედება		შემდეგი მოქმედება 10 წლის საშუალო	
	გ/ჰა	%	კგ/ჰა	%
საკონტროლო	1962	76	888	31
მინერალური აზოტი და მინერალური ფოსფორი (ფონი)	2565	100	2870	100
მინერალური აზოტი, მინერალური ფოსფორი+5 ტონა მწვანე სასუქი	2546	99	3119	109
მინერალური აზოტი, მინერალური ფოსფორი+10 ტონა მწვანე სასუქი	2794	109	3205	112
მინერალური აზოტი, მინერალური ფოსფორი+20 ტონა მწვანე სასუქი	2875	112	3315	116
მინერალური აზოტი, მინერალური ფოსფორი+40 ტონა მწვანე სასუქი	2313	99	3295	115

დღეს, როდესაც ქვეყანაში როგორც ადგილობრივი წარმოების (აზოტი), ისე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ მინერალურ სასუქებს საკმაოდ მაღალი ფასი გააჩნიათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი წარმოების სასუქებს, სასუქების შემცველ თიხებს, ორგანულ სასუქებს, ტორფ-ნაკელიან კომპოსტებს, სიდერატებს და ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებისათვის ცეოლიტებს.

საბედნიეროდ საქართველოში ფიქსირებულია სხვადასხვა საკვები ელემენტების შემცველი საბადოები. ძირითადად, სასუქების სახით გამოყენებას პოულობს ქუთაისთან ახლოს სოფელ გოდოგანში არსებული ფოსფორიტების საბადო, რომლის ქიმიური შემადგენლობა მსგავსია მსოფლიოში გავრცელებული საბადოებისა, ქუთაისის ფოსფორიტების ფქვილი თავისი ეფექტით არ ჩამორჩება სტანდარტულ ფოსფორიტების ფქვილს. საჭიროა უახლოეს პერსპექტივაში მოეწყოს აღნიშნული საბადოს ფართო სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნილების ადგილობრივი წარმოების შედარებით იაფი ფოსფორიტის ფქვილით დაკმაყოფილება.

საქართველოში ფოსფორიტების გარდა მოიპოვება აგრომადნეულთა და ქიმიური მრეწველობის ანარჩენების დიდი მარაგი, მაგალითად ცემენტის მტვერი კალიუმის წყაროა, გლუკონატი – ფოსფორს და კალიუმს ერთდროულად შეიცავს, მაგნიუმის წყაროა სერპენტინიტი, ხოლო მარგანეცის შლამი მანგანუმის შემცველი სასუქია.

სადღეისოდ გურიის რეგიონში მოქმედი კომერციული ფირმა „აი-ია" მომხმარებელს სთავაზობს ქართული ეროვნული ბუნებრივი ხანგრძლივი მოქმედების ორგანო-მინერალურ კომპლექსურ სასუქებს, რომლის რეცეპტურა შემუშავებულია ქართველი მეცნიერების მრავალწლიანი მეცნიერული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე და რეკომენდირებულია ფერმერულ მეურნეობებში გამოსაყენებლად. შემადგენლობა: ტორფი-მალთაყვის საბადო; ცეოლიტი-ტყვარჩელის საბადო; კალიუმი-კასპის საბადო; ასკანიტი-მთისპირის საბადო. რეცეპტურა მზადდება მომხმარებელთა დაკვეთით და იგი იცვლება კულტურათა აგროტექნიკის შესაბამისად, კონკრეტული ნაკვეთის ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის მიხედვით.

ამდენად, საქართველოში არსებული ორგანული სასუქების ბუნებრივი რესურსების საწარმოო მასშტაბებით ამოქმედება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითახად მიგვაჩნია, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროცესს და რენტაბელურს გახდის მეჩაიეობის დარგს.

მეჩაიეობის განვითარებისა და ნედლეულის თვითღირებულების შემცირების ერთ–ერთი აუცილებელი პირობაა ჩაის მოვლა–მოყვანისა და მისი კრეფის შრომატევად სამუშაოთა პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება.

ჩაის პლანტაციებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციაზე ზრუნვა მეჩაიეობის განვითარების პირველსავე წლებიდან დაიწყო. პირველი რიგის ამოცანად დაისახა ახალი ფართობების ასათვისებელი მანქანა–იარაღების შერჩევა. ამ პერიოდში გამოიცადა მრავალი მანქანა და იარაღი, როგორც ტყეებისა და ბუჩქნარებისაგან გასაწმენდად, ისე ნიადაგის დასამუშავებლად ადგილობრივი პირობებისა და აგროტექნიკის მოთხოვნის შესაბამისად. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეიქმნა მანქანათა სისტემა ახალი ფართობების ათვისების ძირითადი სამუშაო პროცესებისათვის.

1930-1940 წლებიდან ფართოდ გაიშალა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ჩაის ბუჩქის გასხვლისა და მწვანე ფოთლის კრეფის მექანიზაციის

მიმართულებით. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჩაის კულტურის მოვლა–მოყვანისა და ექსპლუატაციის შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის საკითხების მაღალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტაში უდაოდ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანათმშენის" საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს და სხვა დაწესებულებების სამეცნიერო კოლექტივებს, ცალკეულ კონსტრუქტორებს, სპეციალისტებს. საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: პ. სკორინი, კ. ამირეჯიბი, შ. კერესელიძე, ნ. კოსტავა, ი. ქადეიშვილი, რ. მახარობლიძე, ნ. გაბუნია, მ. კვირკველია, მ. აფხაზავა და მრავალი სხვა.

ჩაის ფოთლის მობილური საკრეფი მანქანები „საქართველო", „ჩა–900", ხელის მოტორიზირებული საკრეფი აპარატი „ანასეული-2" საქართველოს მეცნიერ-კონსტრუქტორთა ინტელექტუალური შემოქმედების უდიდეს მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მეჩაიეობაში მექანიზაციის დონე 20-25 პროცენტს შეადგენდა, მათ შორის ჩაის პლანტაციებში მობილური ტექნიკა გამოყენებული იყო 8-10 ათას, ხოლო ჩაის სასხლავი და საკრეფი აპარატები - 14 ათას ჰექტარზე (მ. ფხაზავა 1980)

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი" პერსპექტივაში ითვალისწინებს მეჩაიეობაში მექანიზაციის დონის 60–70 პროცენტამდე ამაღლებას. აღნიშნული საჭიროება განპირობებულია რიგი მოტივების გამო: პირველ რიგში აღსანიშნავია ჩაის ფოთლის კრეფის შემჭიდროებულ ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულება კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად და მეორე – სოფლად განვითარებული მიგრაციული პროცესების ფონზე მუშახელით უზრუნველყოფის არასაკმარისი დონე.

ხელი უნდა შეეწყოს მექანიზაციის საშუალებების სარემონტო კერძო სერვისული სამსახურების შექმნის და ახალი ტექნიკის წარმოების განახლების საქმეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ენერგო და ლითონტევადობის ტექნიკის წარმოებას, პლანტაციების ბიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით ფოთლის შერჩევით, დიფერენცირებულ კრეფას ან უხეში ფოთლის აღების აღმკვეთი მექანიზმებით აღჭურვილი მანქანებისა და აპარატების

შექმნას, კრეფის ჯერადობის მაქსიმალურად გაზრდას, როგორც ხელით, ასევე მანქანებით კრეფისას.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი”-ის მიხედვით, დიდკონტურიან, ვაკე /0 და 8 გრადუსამდე დაქანების/ და ზოგიერთ ფერდობებზე /8-დან 20 გრადუსამდე დაქანების/ გაშენებულ ნაკვეთებში უპირატესობა კვლავ მობილურ, დიდმწარმოებლური ტექნიკის გამოყენებას ექნება. ასეთი მანქანების გამოყენება შესაძლებელია 10-12 ათას ჰექტარზე. მცირეკონტურიან, აგრეთვე, დიდი დახრილობის ფერდობებზე გაშენებულ პლანტაციებში კი უმჯობესია მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენება. პლანტაციების გაშენების თავისებურებებიდან გამომდინარე, ხელის აპარატების გამოყენება შესაძლებელია 16 ათას ჰექტარზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ აღდგენას ექვემდებარება 11 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ასევე ჩაის პლანტაციებში ყოველწლიურად საჭიროა სპეციალური ღონისძიებების ჩატარება (ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა) საჭიროა დამზადდეს 50 ცალი ადაპტური ჩაის სასხლავ-დამქუცმაცებელი; აღნიშნული ტექნიკის ბაზაზე შეიქმნას სერვისული ქვედანაყოფი (ქვედანაყოფები), რომლის მეშვეობითაც ჩატარდება ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოები, შემდგომ წლებში კი ჩაის მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლის ოპერაციები და სხვა.

მეჩაიეობის სარეაბილიტაციო ტექნოლოგიურ პროცესთა ციკლში ყველაზე რთული და შრომატევადი გაველურებული პლანტაციების მძიმე და ნახევრად-მძიმე გასხვლების სამუშაოების შესრულებაა.

ჯერ კიდევ 1960-70 წლებში ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პ. სკორინის, ნ. კიბალნიკოვის, ბ. კარანაძის (1985) ავტორობით დამუშავდა კონსტრუქცია და დამზადდა ჩაის ბუჩქის მძიმედ სასხლავი და ერთდროულად მოჭრილი მასის დასაქუცმაცებელი აპარატი, რომელიც მონტაჟდებოდა T-16MMЧ თვითმავალ ხაზზე. ხელით შესრულებულ გასხვლებთან შედარებით აღნიშნული აპარატის უპირატესობა ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ბუჩქის ანასხლავი მასა ქუცმაცდებოდა მცირე ნაწილაკებად და რჩებოდა ჩაის პლანტაციის რიგთაშორისებში, რომელიც მცენარისათვის საუკეთესო ორგანულ მულჩს და საკვები ელემენტების წყაროს წარმოადგენდა.

სარეაბილიტაციოდ განკუთვნილ მიტოვებულ ჩაის პლანტაციებში, სადაც ბუჩქების სიმაღლე 2-2,5 მეტრამდე აღწევს და დასარევლიანების ხარისხი საკმაოდ

მაღალია, მძიმედ და ნახევრადმძიმე გასხვლების მობილური მექანიზმებით შესრულება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, სადღეისოდ აკადემიკოს რ. მახარობლიძის ხელმძღვანელობით შექმნილია იგივე პრინციპებზე მომუშავე მობილური აგრეგატი, რომელიც შესაძლებელია წარმატებით იქნეს გამოყენებული ამ დანიშნულებით. აპარატი გამოიცადა ოზურგეთის (ლაითურის მეურნეობა, ანსეულის ექსპერიმენტული მეურნეობა) და წყალტუბოს (საქუსლიას მასივი) ჩაის პლანტაციებში. აგრეგატი დამონტაჟებულია ბელორუსის ტიპის (МТЗ-80) გამწევ ტრაქტორზე და შეუძლია იმოძრაოს 1,5-2,0 მეტრი სიმაღლის გადაზრდილ ჩაის პლანტაციებში. მუშაობის პროცესში როტაციული ტიპის მჭრელი აპარატი ბუჩქების 25-30 სმ სიმაღლეზე გადაჭრასთან ერთად ახდენს ნასხლავი მასის მთლიან დაქუცმაცებას და რიგთაშორისებში დატოვებას. გროტექნიკური თვალსაზრისით მჭრელ აპარატს აქვს გარკვეული ხარვეზები, რომელიც ძირითადად გასხლული ღერო–ტოტების გახლეჩვა-დაჟეჟვაში გამოიხატება, მაგრამ მიუხედავად ამისა აგრეგატის მაღალმწარმოებლური მაჩვენებლების გამო მისი ფართოდ დანერგვა წარმოებაში აუცილებლობას წარმოადგენს. აღნიშნული აგრეგატით მიტოვებული ჩაის პლანტაციების გასხვლა ფორმირება შესაძლებელია 4-5 ათას ჰექტარზე განხორციელდეს, რაც შრომითი დანახარჯების დიდ ეკონომიას მოგვცემს.

მიზნობრივი პროგრამა „ჩაი” ითვალისწინებს ყოველწლიურად 1–2% ბიოლოგიურად მობერებული, ამორტიზირებული ჩაის პლანტაციების განახლებას მაღალმოსავლიანი ჩაის სელექციური ჯიშებითა და კლონებით. ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეცნიერ-მკვლევართა მიერ შემუშავებულია ამორტიზირებული დაბალმოსავლიანი ჩაის პლანტაციების ხელახლა გაშენების ტექნოლოგია (ვ. სანიკიძე 1966, მ. აფხაზავა, დ. ვარდუკაძე 1980). დამუშავებულია მანქანათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს: ჩაის ბუჩქების მძიმედ გასხვლასა და მის ერთდროულად დაქუცმაცებას, ნიადაგის ღრმა მოხვნის, დადისკვის, სასუქების შეტანის, რგვისწინა ნიადაგის დამუშავების სამუშაიტა მექანიზირებული წესით შესრულებას. სათანადო ტექნიკური აღჭურვილობისა და მაღალპროდუქტიული ჩაის ჯიშების სათესლე-სარგავი მასალით უხრუნველყოფის ფონზე ყოველწლიურად საქართველოში შესაძლებელია 350-400 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება. რაც შეეხება ფოთლის კრეფის მექანიზაციის

გაუმჯობესებას, იგი ძირითადად მიმართული უნდა იქნეს ნედლეულის თვითღირებულების შემცირებისა და მზა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის პარამეტრების სრულყოფისაკენ.

ამრიგად, მეჩაიეობის რეაბილიტაციის პროცესში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლების ღონისძიებები ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს ერთის მხრივ, დღემდე მეჩაიეობის დარგში მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკულად აპრობირებულ რეკომენდაციებს და მეორეს მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს, რომელიც მთლიანად დარგს გააჩნია ფასების ლიბერალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აქვს თუ არა ქვეყანას რეალური შესაძლებლობა მეჩაიეობის დარგი უზრუნველყოს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით, მანქანა-დანადგარებით, მობილური და მცირე მექანიზაციის საშუალებებით?

ინფორმაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყოფილ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ტექნიკა ქვეყნის ეკონომიკური ნგრევისა და განადგურების მსხვერპლი გახდა. დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ერთეული ეგზემპლარები კერძო მფლობელთა საკუთრებაში. რა თქმა უნდა, მათი იმედით ქვეყანაში მეჩაიეობის რეაბილიტაციაზე ფიქრი უაზრობა იქნებოდა. თუმცა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი” 2004-2008 წლებში ითვალისწინებს სათანადო სუბსიდიების გამოყოფას მეჩაიეობისათვის აუცილებელი ტექნიკისა და ტექნიკური საშუალებების შესაძენად. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მეჩაიეობის დარგში არსებულ კერძო მეურნეობებს პირველ ეტაპზე არ ექნებათ ტექნიკის შესაძენი შესაძლებლობა, ამიტომ ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა რეგიონების მიხედვით შექმნილიყო სპეციალური მექანიზირებული ბრიგადები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე მოემსახურებიან ჩაის მწარმოებელ ფერმერებს, სახელმწიფო მეურნეობებსა და კერძო ორგანიზაციებს. პერსპექტივაში კი გაჩნდება რეალური შესაძლებლობა, თითოეულმა მეწარმემ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე იზრუნოს მექანიზაციის საშუალებების შეძენაზე და თვითონ გადაწყვიტოს დარგის რენტაბელობის ბედი.

მეცნიერი და პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ, ჩაის პლანტაციების ბიოლოგიური მდგომარეობის, ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების, ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის, ჩაის პლანტაციების გარკვეული ნაწილის სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით ჩანაცვლების შესაძლებლობის, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის

დონის გათვალისწინებით, ქვეყანაში შესანარჩუნებელ ჩაის პლანტაციების ოპტიმალურ ფართობად მიჩნეულია 39,4 ათასი ჰექტარი (აფხაზეთის ჩათვლით, მის გარეშე 30,3 ათასი ჰექტარი), რომელშიც გათვალისწინებულია ბოლო მონაცემებით სახეზე არსებული 47,3 ათასი ჰექტარიდან (აფხაზეთის ჩათვლით) 7,9 ათას ჰექტრამდე ამორტიზებული, უპერსპექტივო და გატყევებული ჩაის პლანტაციების ამოძირკვა და 11,0 ათას ჰექტრამდე ეკალბარდებით დაფარული და წლების მანძილზე გამოუყენებელი პლანტაციების აღდგენა.

ჩაის პლანტაციების მაქსიმალური პროდუქტიულობის შენარჩუნების, მათი ბიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია პლანტაციების გაახალგაზრდავებისა და განახლების ღონისძიებეთა სისტემატური, გეგმაზომიერი განხორციელება, რომელსაც მიზნობრივი პროგრამა „ჩაი" არ ითვალისწინებს იმდენად, რამდენადაც 7,9 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია დაექვემდებარა ჩამოწერას და 11,0 ათასი ჰექტარი აღდგენას, რომლებიც განხორციელდება მოიჯარეების მიერ, 5 წლით მიწაზე საიჯარო გადასახადისაგან მათი განთავისუფლების პირობით.

შენარჩუნებული პლანტაციების მოვლა–პატრონობისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისთვის რეალური პატრონის მიჩენას, სანედლეულო ბაზისა და ჩაის ფაბრიკების მაქსიმალურად ინტეგრირებას, პლანტაციების ინდუსტრიული განვითარების გათვალისწინებით, ჩაის ჯიშური შემადგენლობის თანმიმდევრულად გაუმჯობესებას.

შესანარჩუნებელი ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკების კონკრეტული ნუსხა უნდა განისაზღვროს ცალკეული რაიონების მიხედვით ჩაის ფაბრიკების ოპტიმალური სიმძლავრეების დადგენის, მათი ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვის დონის და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობაში ყოფნის მდგომარეობის ატესტირების, მათი ფინანსური და სამართლებრივ-საკუთრებითი მაჩვენებლების ინვენტარიზაციის, სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრის, სანედლეულო ბაზასთან მაქსიმალურად მიახლოების გათვალისწინებით. ფაბრიკების ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოდერნიზაციისას გათვალისწინებული უნდა იქნას სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე პროდუქციის ასორტიმენტში ცვლილებები. სიცოცხლისუნარიან ფაბრიკებს უნდა ჩამოეწეროთ დავალიანებები ბიუჯეტის და სპეციალური სახელმწიფო ფონდების მიმართ, ან

განხორციელდეს მათი რესტრუქტურიზაცია. უიმედო ფაბრიკების მიმართ ამოქმედდეს კანონი გაკოტრების შესახებ.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ (27.03.2003წ. №336), ზემოთ მოტანილი ღონისძიებების გატარების საფუძველზე, 2004-2008 წლების განმავლობაში, ითვალისწინებს ჩაის ნედლეულისა და ჩაის პროდუქციის გაზრდის, მოსახლეობის დასაქმების, ჩაის პლანტაციების თანდათანობით აღდგენა-რეაბილიტაციის კარდინალური საკითხების ეტაპობრივ გადაწყვეტას. პროგრამის სრული განხოციელების შედეგად, ქვეყანაში შენარჩუნებული იქნება 39 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია; საფუძველი ჩაეყრება 160 ათასი ტონა ნედლეულის დამზადებას და 40 ათასი ტონა მზა პროდუქციის წარმოებას. წარმოებული პროდუქციის 95% საექსპორტოდაა გათვალისწინებული. მიღებული შემოსავალი სავარაუდოდ 80 მლნ ლარს გადააჭარბებს. პროგნოზით, 5 წლის განმავლობაში მეჩაიეობის დარგი სახელმწიფო ბიუჯეტში 20 მლნ ლარს შეიტანს, თუმცა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ყოველივე რეალობას მოკლებულია.

პროგრამის საერთო ღირებულება, პლანტაციების აღდგენის, ნედლეულისა და მზა პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის პარამეტრების განსახორციელებლად, 5 წლის განმავლობაში 236,3 მლნ ლარს მიაღწევს. აღნიშნული ხარჯებიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს პლანტაციების აღდგენის და მათი ბიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე, ფაბრიკების ტექნოლოგიური გადახალისების და პირველ წლებში მოსალოდნელი ზარალის დასაფარი ხარჯები, რომელიც 21,3 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის: 2004 წელს – 11 მლნ ლარს, 2005 წელს – 8,1 მლნ ლარს და 2006 წელს – 2,2 მლნ ლარს. დანარჩენი ხარჯების დაფარვა გათვალისწინებულია საკუთარი შემოსავლებითა და მოკლევადიანი კრედიტებით. (იხ. ცხრილი 3.3.5)

ჩაის წარმოება-რეალიზაციის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

ცხრილი 3.3.5

დასახელება	მაჩვენებლები
1. ფოთოლსაკრეფი პლანტაციების საერთო ფართობი	39.0 ათასი ჰა
2. ხარისხოვანი ნედლეულის წარმოება 2008 წლისათვის	161.0 ათასი ტონა

3. მზა პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი 2008 წლისათვის	40.0 ათასი ტონა
4. რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი	80.0 მლნ ლარი
5. სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხა	20.8 მლნ ლარი
6. პროგრამი საერთო ღირებულება 2004-2008 წწ.	236.3 მლნ ლარი
7.აღნიშნული ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. მათ შორის: ა) 2004 წელს ბ) 2005 წელს გ) 2006 წელს	21.3 მლნ ლარი 11.0 მლნ ლარი 8,0 მლნ ლარი 2,2 მლნ ლარი
8. ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებულია საკუთარი შემოსავლებითა და მოკლევადიანი კრედიტებით	215.0 მლნ ლარი

[1]პროგნოზი შედგენილია სახელმწიფო პროგრამა "ჩაი"-ს მიხედვით

პროგრამის სრული განხორციელების შედეგად დარგში დასაქმდება 100 ათასზე მეტი ადამიანი, მკვეთრად გაუმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, შენარჩუნებული იქნება ეკოლოგიური წონასწორობა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს სამეცნიერო პოტენციალის სრულ მობილიზაციას და მეცნიერების სფეროში არსებული ჩაის წარემოებისა და გადამუშავების პროგრესულ ღონისძიებათა დაჩქარებულ რეალიზაციას.

3.4. ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა

ამჟამად სამამულო მეჩაიეობის რეაბილიტაციის ერთ–ერთ ძირითად პირობად ჩაის გამარტივებული ტექნოლოგიის შემუშავება, მომხმარებლისათვის მისაღები ახალი სახით პროდუქციის შექმნა და ჩაის პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება მიგვაჩნია.

ჩაის წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია შავი ჩაის წარმოების ორი ტექნოლოგია: კლასიკური (ორთოდოქსალური) და ე.წ. **CTC-**ის ტექნოლოგია.

შავი ჩაის კლასიკური ტექნოლოგია შემუშავდა ჩაის ჩინური კუსტარული ტექნოლოგიის საფუძველზე მას შემდეგ, როცა შეიქმნა ჩაის საგრეხი მანქანა-როლერი და უწყვეტი ქმედების ჩაის საშრობი ღუმელი. ეს მოხდა მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში. იგი დაინერგა მსოფლიოს ყველა მოწინავე ჩაის მწარმოებელ ქვეყანაში და უზრუნველყო ჩაის ფართო მასშტაბით წარმოება. მის გაუმჯობესებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ინგლისის, ჰოლანდიის, რუსეთის, საქართველოს, ჩინეთის, ინდოეთის, ცეილონის (შრილანკას) და სხვა ქვეყნების ჩაის მკვლევარებს.

ჩაის მკვლევარები ცდილობენ ჩაის ორთოდოქსალური ტექნოლოგიის გამარტივებას და გასული საუკუნის შუა წლებში მიაღწიეს შედეგსაც, შეიქმნა ე. წ. CTC-ის ტექნოლოგია. (CTC)[1]-ის მანქანა წარმოადგენს სხვადასხვა სიჩქარით მოძრავ ორ ლილვს, რომელთა ზედაპირი დაღარულია. ერთის სიჩქარე (60-70 ბრ/წ) ნელია და მეორეს (600-700 ბრ/წ) 10-ჯერ უფრო სწრაფი. მათ შორის გატარებული ჩაის ფოთოლი განიცდის ინტენსიურ დაქუცმაცებას, გამომუშავებული პროდუქცია წვრილია, 60-70% იმდენად წვრილი, რომ მათი მოხმარება მხოლოდ ქაღალდის პაკეტში შეფუთული შეიძლება. CTC-ის ტოქნოლოგიის ფართო განვითარება და ერთჯერად პაკეტებში შეფუთული ჩაის ფართო განვითარება ურთიერთდამოკიდებულებაშია.

ჩაისაგან მსოფლიოში 60-ზე მეტი დასახელების პროდუქცია მზადდება, შესაბამისად, საჭიროა სხვადასხვა ნედლეულის აღება და მათი გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის გავლა, რომლის ავტორიტეტს, ღირებულებას განსაზღვრავს ჩაის ძირითადი ქიმიური შემადგენლობა: წყალი და მშრალი ნივთიერებები. წყლის შემცველობა ფოთლის მასის 76–78 პროცენტს შეადგენს, დანარჩენი კი მშრალი ნივთიერებაა, რომელიც ორი სახეობისაა–ხსნადი და უხსნადი.

ჩაის ფოთოლი და მზა პროდუქცია შედგება მრავალი ნივთიერებებისა და ნივთიერებათა ჯგუფისაგან (ცხრილი 3.4.1). მშრალი ნივთიერებები 40–50 პროცენტი ექსტრაქტულია, 20–22 პროცენტი ცილოვანი და 20–26 პროცენტი კი მთრიმლავი,

---

1 CTC-ის სახელწოდება წარმოდგება მათი ასოების მიხედვით: C-crushing-დაქუცმაცება; T-trearing-დახლეჩა; C-curing-შეგრეხა.

დანარჩენს უმნიშვნელო ადგილი უკავიათ, მაგრამ დიდ როლს ასრულებენ ჩაის ბიოლოგიურ და ხარისხობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში. ჩაის ფოთოლში არსებული ყველა სასარგებლო თვისება მისი გადამუშავების ტექნოლოგიაში ვლინდება.

ჩაის ფოთლის და მზა პროდუქციის ქიმიური შემადგენლობა
(მშრალ წონაზე გადაანგარიშებით)

ცხრილი 3.4.1

ნივთიერება	ნედლეული		შავი ჩაი	
	%	გრ.	%	გრ.
მშრალი ნივთიერებანი	24	24	23,25	23,25
ხ ს ნ ა დ ი	45	10,8	35,28	8,75-8,83
დაუჟანგავი პოლოფენოლები	20,25	4,8-6,0	2-3	0,5-0,7
თეაფლავინი	–	–	1-2	0,2-0,7
თეარუბიგინი	–	–	12–15	2,8-3,5
გლუკოზიდები	2,5	0,6	2,0	0,5
ცილები	10-12	2,4-3	10	2,3
კოფეინი	3-3,5	0,7-0,8	2-2,5	0,5-0,6
ამინომჟავები	2,0	0,5	2,0	0,5
შაქრები	2-3	0,5-0,7	1,0	0,2
პექტინი	2,5-3	0,6-0,7	2-2,5	0,5-0,6
მინერალური ნივთიერებანი	2-2,5	0,6-0,7	1,0	0,6-0,7
სხვა ნივთიერებანი	1,0	0,2	1,0	0,2
უ ხ ს ნ ა დ ი	55	3,2	55	14-14,5
ცილები	20-22	4,8-5,8	20-22	4,5-5,1
ცელულოზა და ჰემიცელულოზა	16-18	3,84-4,32	16-18	3,72-4,16
მინერალური ნივთიერებანი	2-3	0,5-0,7	3-4	0,7-0,9
ქლოროფილი	0,6-0,8	1,5-2,0	0,6-0,8	1,0-2,0
ფისები	2-3	0,5-0,7	2-3	0,7-0,9
პექტინი	10	2,4	10	2,3

მრეწველობა ძირითადად ამზადებს სხვადასხვა ფერის და ფორმის ჩაის. მთავარი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ამუშავებენ მოკრეფილ ფოთოლს. გადამუშავების ტექნოლოგიით მზა ჩაის ნაწარმი ოთხ ძირითად ტიპად არის დაყოფილი – შავი, მწვანე, წითელი და ყვითელი (აგრეთვე, თეთრი). აქ საქმე არ არის ხმელი ჩაის გარეგნობაში ან მის ნაყენში, არამედ ბიოქიმიურ პროცესებში, რომელიც მიმდინარეობს ფოთოლში სხვადასხვა ტექნოლოგიების შემთხვევაში, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ ქიმიურ შემადგენლობას და შესაბამისად ჩაის ყოველი ტიპის გემოს და არომატს.

შავი ჩაის წარმოებისას მოკრეფილი ფოთოლი გადის გადამუშავების ისეთ სტადიებს როგორიცაა: ღნობა, გრეხა, ფერმენტაცია და შრობა. მწვანე ჩაის წარმოებისათვის საჭიროა მხოლოდ ორი სტადია–გრეხა და შრობა. წითელ, აგრეთვე, ყვითელ და თეთრ ჩაის შეიძლება ვუწოდოთ შუალედური შავსა და მწვანეს შორის. ისინიც გადიან ფერმენტაციას მხოლოდ ნაწილობრივად და ამიტომ მათ უწოდებენ ნახევრადფერმენტირებულს.

რაც შეეხება ჩაის სახესხვაობებს ფორმის მიხედვით, ასე მაგალითად, შავი და მწვანე შეიძლება იყოს ფხვნილი, გრანულირებული, პაკეტირებული, ექსტრაგირებული, წნეხილი.

საყოველთაოდ ცნობილია ფხვნილი ჩაი, მათ კიდევ ბაიხის ჩაის უწოდებენ, რომელიც წარმოიშვა ჩინური სიტყვა „ბაი ხოა” – დან, რაც ნიშნავს, „თეთრი წამწამი”. შავი, მწვანე, ყვითელი და ოოლონგი (წითელი) მიიღება ჩაის ხარისხოვანი ფოთლიდან, ხოლო დანარჩენი მოუხეშო, უხეში და დახარისხების დროს დარჩენილი ფხვნილისგან.

ჩაის ტექნოლოგიისა და ბიოქიმიის შესასწავლად დიდი სამუშაო ჩაატარეს აკადემიკოსებმა ა. ოპარინმა, ა. კურსანოვმა, პროფესორებმა ა. ბოკუჩავამ, კ. ჯმუხაძემ, ს. მანსკაიამ, ი. ხოჭოლავამ, ზ. ძნალაძემ, ლ. ლაზიშვილმა და სხვებმა.

მზა ჩაის თვისობრივი მაჩვენებლები დამოკიდებულია მცენარის ჯიშზე, ნედლეულის ხარისხზე, გარემოს ეკოლოგიურ ფაქტორებზე, მოვლა–მოყვანისა და გადამუშავების ტექნოლოგიური ნორმების დაცვაზე.

ნატურალური ჩაის პროდუქცია მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: პირველადი და მეორადი. პირველადი გადამუშავების ჩაი ფაბრიკული ანუ დაუფასოებელი ჩაია, ხოლო მეორადი გადამუშვების ჩაი კი–სავაჭრო ანუ დაფასოებული. ჩაის ფაბრიკული ხარისხები მიიღება პირველად ჩაის ფაბრიკებში მწვანე ჩაის ფოთლის გადამუშავებით. სავაჭრო ხარისხები კი

გადამწონ ფაბრიკებში ერთ ტიპის ჩაის კუპაჟის და შემდგომში სამომხმარებლო ტარაში დაფასოების გზით. მეორადი გადამუშავების ჩაის მიეკუთვნება, აგრეთვე, წნეხილი ჩაი, ჩაის თხევადი და მშრალი კონცენტრტები და მატონიზებული სასმელები, რომლებიც ჩაის თხევადი კონცენტრატების ბაზაზე მზადდება.

მეორადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკებისათვის ნედლეულს წარმოადგენს ჩაის ფაბრიკული ხარისხები (ჩაის გადამწონი ფაბრიკებისათვის), შავი და მწვანე ბაიხის ჩაის შედარებით დაბალი ხარისხები და მეორადი რესურსები, ასევე განასხლავი მასალა (ჩაის კონცენტრატების, საღებავების და წნეხილი ჩაის წარმოების კომბინატებისთვის).

გადასამუშავებელი ნედლეულის სინაზის და გადამუშავების ტექნოლოგიის მიხედვით პირველადი გადამუშავების ჩაი იყოფა ორ ჯგუფად: ბაიხაოს და ლაო-ჩად. ლაო-ჩა მიიღება შემოდგომაზე და გაზაფხულზე მოკრეფილი უხეში ჩაის ფოთლის სპეციალური გადამუშავების გზით. ლაო-ჩა თავის მხრივ წარმოადგენს ნედლეულს მწვანე აგურა ჩაისათვის. ბაიხაო ჩაი წარმოადგენს ჩაის პროდუქციის ძირითად სახეს.

გამოყენებული ნედლეულის და გადამუშავების ტექნოლოგიის მიხედვით მსოფლიოს ბაზარზე ჩაის პროდუქცია იყოფა 3 ჯგუფად: ბხნევადი, დაწნეხილი და ხსნადი. ბხნევადს მიეკუთვნება ბაიხაო ჩაი, დაწნეხილს – მწვანე აგურა და შავი ფილა ჩაი და სხვა, ხსნადს – ჩაის კონცენტრატები.

პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკები ტიპური მსხვილი საწარმოებია, საქართველოში სპეციალიზირებულ ფაბრიკებში მუშავდება შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი. დანერგილია, აგრეთვე, შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოების მეთოდი ერთიდაიგივე დანადგარებზე. ფოთლის კრეფის სეზონის დასაწყისში–მაისში და სეზონის ბოლოს–სექტემბერში ამზადებენ მწვანე ჩაის, ხოლო შუა სეზონზე, როცა ტანინო–კატექინური კომპლექსის შემცველობა მაღალია–შავ ჩაის.

რაც შეეხება მწვანე ბაიხის ჩაის, იგი ძვირფასი საგემოვნო პროდუქტია. თავისი არომატული და გემური თვისებებით ის მკვეთრად განსხვავდება შავი ჩაისაგან. ნედლეულს მწვანე ჩაისთვის, ისევე როგორც შავი ჩაისთვის, წარმოადგენს ნაზი დუყები. მწვანე ბაიხის ჩაი ქიმიური შემადგენლობით ახლოს დგას მწვანე ფოთოლთან. ტექნოლოგიური პროცესების დასაწყისშივე წარმოებს ნედლეულის თბური დამუშავება დამჟანგველი ფერმენტების ინაქტიკაციის მიზნით, რის გამოც ჟანგვა–აღდგენითი პროცესები შეწყვეტილია, თუმცა ტექნოლოგიური

პროცესების დროს ადგილი აქვს თბოქიმიურ გარდაქმნებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნაერთები, რომლების განსაზღვრავენ მწვანე ჩაის გემოს, არომატს და ფერს. მწვანე ჩაიში თითქმის მთლიანად (90 პროცენტამდე) შენარჩუნებულია ყველა კატექინები და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (მათ შორის ვიტამინი C), ამიტომ ბიოლოგიური თვალსაზრისით მწვანე ჩაი შედარებით ძვირფასი პროდუქტია, ვიდრე შავი ჩაი.

ნედლეულს მწვანე ჩაისთვის მოეთხოვება დამატებითი პირობები, როგორიცაა მისი შედარებითი სინაზე, ფოთოლი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადამუშავდეს, მექანიკური დაზიანების გარეშე. ყურადსაღებია, აგრეთვე,, რომ უკეთესი ხარისხის მწვანე ჩაის მიღება, აზოტოვანი სასუქების გამოყენების დროს, განპირობებულია ფოთოლში მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობის შემცირებით და ცილოვანი ნივთიერებების რაოდენობის გაზრდით, ასევე უკეთესი ხარისხის გამოდის მწვანე ჩაი შავთან შედარებით წვიმიან ამინდში მოკრეფილი ფოთლიდან.

ამჟამად ჩვენში მიღებულია მწვანე ჩაის წარმოების შემდეგი ტექნოლოგიური სქემა: ფოთლის ფიქსაცია, შრობა, დაყოვნება, გრეხა და შრობა.

მწვანე აგურა ჩაის დამზადება შედგება ორი დამოუკიდებელი ტექნოლოგიისაგან: ლაო-ჩას წარმოება და აგურების დაწნეხა. ლაო ჩას ამზადებენ პირველად ჩაის ფაბრიკებში, აგურა ჩაის წარმოება კი ხდება სპეციალურ ჩაის საწნეხ ფაბრიკებში.

ლაო-ჩა წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს მწვანე აგურა ჩაისთვის. მწვანე აგურა ჩაი განსხვავდება სხვა სახის ჩაისაგან როგორც ნედლეულის სახით, ისე მისი გადამუშავების თავისებურებით. ლაო-ჩა ჩინური სიტყვაა და ნიშნავს ძველ ფოთოლს. მის დასამზადებლად იყენებენ ხარისხოვანი ჩაის წარმოებისათვის გამოუსადეგარ ძველ, მობერებულ ფოთლებს. მზადდება ორი სახის ლაო-ჩა: საპირე და შიგა მასალა. საპირე მასალა შედარებით ნაზია, მზადდება შემოდგომაზე, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის დასრულების შემდეგ იკრიფება ორ-სამ ფოთლიანი დუყები, რომლებიც არ იყო მოკრეფილი დროულად და გაუხეშდნენ. ის არ უნდა შეიცავდეს უხეშ ყავისფერ ღეროებს. ღაც უფრო ნაზია საპირე მასალა, მით მაღალია მისი ხარისხი. შიგა მასალა იკრიფება გვიან შემოდგომაზე, შეიძლება შეიცავდეს უხეშ დუყებს მწვანე და ყავისფერ ღეროებს არაუმატეს 5-6 სმ სიგრძით, აქედან ფოთლის მასა უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს, ღეროები კი 30 პროცენტს. შიგა მასალად შეიძლება გამოვიყენოთ, აგრეთვე, ადრე გაზაფხულზე გასხვლის შედეგად მიღებული მასა.

ლაო-ჩასათვის გამოყენებული ნედლეული შეიცავს ყველა იმ ძვირფას ნივთიერებას, რომელსაც საერთოდ შეიცავს ნაზი ფოთოლი, მაგრამ მათი პროცენტული შემცველობა შედარებით დაბალია, რადგანაც გაუხეშებასთან ერთად ფოთოლში მცირდება ექსტრაქტული ნივთიერებების რაოდენობა და დიდდება ცელულოზას, ლიგნინის და უხსნადი პექტინის რაოდენობა, რომლებიც ფოთოლს ანიჭებენ მწარე, მერქნის გემოს და ბალახის სუნს (ცხრილი 3.4.2), ამიტომ ნედლეულს უტარდება საკმაოდ მკაცრი ტექნოლოგიური დამუშავება.

ლაო-ჩას წარმოების კლასიკური ტექნოლოგია ხასიათდება მეტად ხანგრძლივი ციკლით (15-20 დღე). ის შედგება 6 ოპერაციისგან: მოხალვა, დაზვინვა, გრეხა, შეშრობა, დუღილი და შრობა. შემდეგში შემუშავებული იქნა ლაო-ჩას დამზადების ახალი რაციონალური ტექნოლოგია და გადამუშავების ციკლი შემცირდა 10-12 საათამდე. ამჟამად გადამუშავება მოიცავს მოხალვას ცხელი გრეხით, თერმულ დამუშავებას 70-75^{0}C-ზე 6–12 საათის განმავლობაში და შრობას.

ლაო-ჩას ნედლეულის ქიმიური შემადგენლობა
პროფ. ლ. ლაზიშვილის მონაცემებით

ცხრილი 3.4.2

ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა	% მშრალ მასაზე გადაანგარიშებით	
	ფ ო თ ო ლ ი	ღ ე რ ო
ექსტრაქტული ნივთიერებანი	31,7	19,1
ტანინო-კატექინური კომპლექსი	11,7	5,9
კატექინები მგ/გ	41,0	3,1
კოფეინი	0,6	0,3
თავისუფალი ამინომჟავები	0,7	0,5
ცილოვანი ნივთიერებანი	15,4	7,8
პექტინოვანი ნივთიერებანი	5,6	6,0
მათ შორის:		
ხსნადი პექტინი	0,6	1,0
პროტო-პექტინი	5,0	5,0

ნახშირწყლები	1,9	1,4
მონოსაქარიდები	9,1	4,7
ცელულოზა	8,0	29,7
ლიგნინი	15,9	22,9

პროფ. ლ. ლაზიშვილის მიერ ჩატარებული ცდების საფუძველზე დადგინდა, რომ ტემპერატურის ამაღლებით 80–125^{0}C-მდე თერმული დამუშავების ხანგრძლივობა მცირდება 80 წუთამდე. შექმნილი იქნა ლაო ჩას წარმოების ნაკადური ხაზი, სადაც ტექნოლოგიური სქემა შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან: მასალის წინასწარი დაჭრა, მოხალვა ორშნეკიან აპარატში, თერმული დამუშავება და შრობა.

შავი და მწვანე ჩაის ყველაზე წვრილი ნაწილებისაგან შემდგარ პროდუქციას ჩვეულებრივი სახით იშვიათად იყენებენ. ამ გარემოებას ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: ერთი, რომ ეს პროდუქცია დაბალი ხარისხისაა და მომხმარებელი მას ნაკლებად ეტანება და მეორე, ასეთი სახით მზა პროდუქცია ცუდად ინახება. საქმე ისაა, რომ ჩაის სხვა პროდუქციისაგან განსხვავებით ახასიათებს ყველაზე დიდი შეხების ზედაპირი და სწრაფად შთანთქავს ტენს, რის გამოც მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები მკვეთრად ეცემა.

ამის თავიდან აცილება ადვილად შეიძლება, თუ მომხმარებელს ჩაის მივაწოდებთ დაწნეხილი ფილების სახით, რომელსაც უკვე ფილა ჩაი ეწოდება. იგი ადვილი გადასატანია შორეულ მანძილზე და სარეწაო–სამონადირეო მეურნეობის, გეოლოგიური პარტიების და სხვა სამსახურებისათვის შეუცვლელი პროდუქტია.

ფილა ჩაის წარმოება, რაც მდგომარეობს შავი და მწვანე წვრილი ჩაის დაწნეხაში, შეიძლება ცხელი და ცივი გზით. ცხელი გზით ფილა ჩაის წარმოება გულისხმობს დაწნეხის წინ მასალის დაორთქვლას, რაც უზრუნველყოფს მკვრივი ფილის მიღებას, ამასთან ყურადსაღებია, რომ ამ დროს პროდუქციის ხარისხი რამდენადმე ეცემა. მის მიზეზი ისაა, რომ ფილა ჩაისათვის საჭირო ნედლეული პირველადი ფაბრიკების მზა პროდუქციაა, რომელშიც ყველა საჭირო გარდაქმნები ოპტიმალურ დონემდეა მიღწეული. დაორთქვლის შედეგად ფილა ჩაის შემდგომი თერმოქიმიური გარდაქმნები აქვეითებს ხარისხს. ამიტომაცაა, რომ ლაო ჩაის ცხელი გზით იშვიათად ამუშავებენ.

ჩაის კონცენტრატები, ანუ ე. წ. ხსნადი ჩაი ქიმიური და ფიზიოლოგიური თვალსაზრისით სრულფასოვანი პროდუქტია, წარმოადგენს თხევად პროდუქტს, ან მშრალ ექსტრაქტს. ჩაის კონცენტრატები მთლიანად იხსნებიან წყალში, არ საჭიროებენ წინასწარ გამოხარშვას, ფართოდ გამოიყენებიან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ჩაის კონცენტრატები შეიძლება მივიღოთ ჩაის ფოთლიდან, ან კიდევ მზა პროდუქტიდან და ნარჩენებისგან. მშრალი ჩაის კონცენტრატების ტექნოლოგია დამუშავებული იქნა ა. ბახტაძის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მიერ. მწვანე ხსნადი ჩაის დამზადება ხორციელდება ორ სტადიად. პირველი სტადია მოიცავს ფოთლის მოხალვას, ცხელ გრეხას, დაქუცმაცებას, შრობას, ხოლო მეორე–ექსტრაქციას, ფილტრაციას და გაფრქვევით შრობას. შავი ხსნადი ჩაის დამზადება მოიცავს ღნობას, გრეხას ჭრით, შრობას და თერმულ დამუშავებას.

ნახევარფაბრიკატს უტარდება კუპაჟი, ექსტრაქცია ცხელი წყლით, გაფილტვრა, კონცენტრაცია და შრობა ფხვნილის მიღებამდე გაფრქვევით ან სუბლიმაციური შრობით. გაფრქვევით შრობის დროს შემავალი ჰაერის ტემპერატურა 75^0 C-ია. გამომავალის კი -85^0 C. ჩაის თხევადი კონცენტრატი შეიძლება გამოვიყენოთ უალკოჰოლო მატონიზებელი სასმელების წარმოებაში.

ჩაის სასმელების ფართოდ გავრცელების შესაბამისად შემუშავდა ცივ წყალში ხსნადი ჩაის ტექნოლოგია. აღსანიშნავია ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ზ. ძნელაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევები თხევადი ჩაის კონცენტრატისა და მის საფუძველზე ჩაის სასმელების წარმოებაზე.

თხევადი ჩაის კონცენტრატების ბაზაზე, მრავალი სახის უალკოჰოლო გაზირებული სასმელი შეიქმნა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სასმელმა „ბახმარო". საწარმოო პირობებში ამუშავებდნენ, აგრეთვე, სასმელებს „კოლხური", „სენაკი", „ტეხურა" და სხვა, ბევრ მათგანზე გაცემული იქნა საავტორო მოწმობა.

ხსნადი ჩაის წარმოებას ფართო მასშტაბები ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვს, სადაც საზღვარგარეთიდან შეტანილი მზა ჩაიდან ღებულობენ მათთვის სასურველ პროდუქტს (Кофе и Чаи в России №3 (14)б 2000).

ამ ბოლო დროს ფართო ხასიათს ღებულობს ე. წ. მომხმარებლისათვის მზა ჩაი „RTD Tea", რომელიც შეფუთულია მინის, თუნუქის და სხვა ტარაში. მას დიდი

მასშტაბებით ამუშავებენ და მოიხმარენ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში: აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. აშშ-ში 1999 წელს მოხმარებული 96 ათასი ტონიდან 80% მოხმარებულ იქნა ცივად, ჩაის სასმელის სახით (Кофе и Чаи в России №3 (14)б 2000 ст 10-11). აღსანიშნავია ის, რომ ჩაის წარმოებისა და რეალიზაციის სტაბილურობის საერთო ფონზე ადგილი აქვს ჩაის სასმელების ზრდას, განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელი ჩაის („ოოლონგი") სასმელების ზრდის ტენდენცია. RTD (ready-to-drink) მწვანე ჩაისთან ერთად იზრდება წითელი ჩაის წარმოება და მოხმარება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია (Кофе и Чаи в России №2 (31), 2003).

ჩაის ყველა ცნობილი სახე, მათი ტექნოლოგიური გადამუშავების მიხედვით, იყოფა სამ ჯგუფად: ფხვიერი, დაწნეხილი და ხსნადი. ფხვიერს მიეკუთვნება ბაიხის ჩაის ყველა სახე (შავი, მწვანე, ყვითელი, წითელი), დაწნეხილს – შავი და მწვანე ფილა ჩაი და მწვანე აგარა, ხსნადს – მშრალი და თხევადი ჩაის კონცენტრატები. ეს ძირითადი სახეები არომატული და საგემოვნო თვისებებით ძალიან დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ბევრს ჰგონია, რომ ისინი იწარმოება სხვადასხვა სახის ნედლეულისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მათი ხარისხობრივი სხვაობა გამოწვეულია ჩაის ფოთლის გადამუშავების სხვადასხვა მეთოდებით.

მსოფლიოს მოსახლეობაში ყველაზე პოპულარულია შავი და მწვანე ჩაი, ამასთან ერთად, შავი ჩაის მოხმარება შესამჩნევად სჭარბობს მწვანე ჩაისას.

ბიოქიმიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩაის მცენარის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია სინთეზირება მოახდინოს ჩაის ახალგაზრდა ფოთლებში ისეთი ნივთიერებებისა, როგორიცაა კატექინები, კოფეინი და ეთერზეთები. ჩაის ფოთლისა და მზა პროდუქციის ქიმიური შემადგენლობა მეტად რთულია. მათში ისეთი ქიმიური კომპონენტებია, რომლებიც გავლენას ახდენს ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე: ტანინი, კოფეინი, თეობრომინი და თეოფილინი, კატექინები, ეთერზეთები, ნახშირწყლები, ფერმენტები, ვიტამინები, ორგანული მჟავები, ცილები, ამინომჟავები, პექტინები, პიგმენტები, მინერალური ნივთიერებები.

წითელი და ყვითელი ჩაი (ოოლონგი) იკავებს შუალედურ მდგომარეობას შავ და მწვანე ჩაის შორის, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყვითელი ჩაი უფრო ახლოსაა მწვანესთან, ხოლო წითელი – შავ ჩაისთან. ყვითელი ჩაი ითვლება სასიამოვნო გამამხნევებელ სასმელად, აქვს შედარებით მსუბუქი გემო და უფრო

ძლიერი არომატიც, ვიდრე მწვანე ჩაის. ჩაის ეს სახე ხასიათდება კატექინების, ვიტამინებისა და ექსტრაქტული ნივთიერებების მაღალი შემცველობით, ამიტომ ფიზიოლოგიური კუთხით ის უფრო ძვირფასია, ვიდრე შავი ჩაი. ყვითელი ჩაის ძირითადი მწარმოებელი და მომხმარებელი ჩინეთია, სადაც ჩაის ეს სახე, მწვანესთან ერთად, სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით.

წითელი ჩაი ქმნის წითელ-ქარვისფერ ნაყენს, რომელიც ხასიათდება საუკეთესო არომატითა და ძალიან სასიამოვნო მწკლარტე გემოთი. მის არომატში შერწყმულია მწვანე და შავი ჩაის არომატიც. ზოგიერთ შემთხვევაში მას იყენებენ კუპაჟირებისას შავ ჩაისთან, ამ უკანასკნელის საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს მოსახლეობისათვის ნაკლებად ცნობილია ყვითელი და წითელი ჩაი. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული) ტარდებოდა დიდი სამუშაოები ყვითელი და წითელი ჩაის წარმოების ტექნოლოგიის შესაქმნელად (ვ. ფრუიძე). მიუხედავად ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიაში მიღწეული წარმატებებისა, ჩვენმა ჩაის მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო ყვითელი და წითელი ჩაის წარმოების აწყობა და მისი გამოშვება.

ჩინური მეთოდი ყვითელი და წითელი ჩაის წარმოებისა წარმოადგენს მეტად რთულ პროცესს, რომლის დროსაც მინიმალური ცდომილება ტექნოლოგიური ნორმებიდან არ იძლევა აღნიშნული პროდუქციის მიღების საშუალებას.

პატ. გ ცანავა მიზანშეწონილად თვლის შემუშავდეს გამარტივებული ტექნოლოგიური რეგლამენტები ყვითელი და წითელი ჩაის წარმოებისა, პირველ რიგში, თუნდაც ფერმერული მეურნეობებისათვის. ყვითელი ჩაის წარმოების ტექნოლოგიას ითვალისწინებს, მწვანე ფოთლის გადამუშავების შემდეგი სქემის მიხედვით: ნედლეულის ღნობა უნდა მოხდეს დარჩენილი ტენის 62-65%-მდე, მომღნარი მასის ფიქსაცია (გაორთქვლა ან მოხალვა), შემდეგ ტარდება ორჯერადი გრეხა 40-40 წუთის განმავლობაში ღია ტიპის როლერებში, ყვითელი ჩაის შრობა უნდა ჩატარდეს 86-95 ტემპერატურის პირობებში, დარჩენილი ტენის 5-7%-მდე და ნახევარფაბრიკატის თერმული დაყოვნება 2-5 საათის განმავლობაში.

წითელი ჩაის გადამუშავებისას ასეთ სქემას გვთავაზოს: ღნობა დარჩენილი ტენის 63-65%-მდე, პირველი გრეხა 20-30 წუთის განმავლობაში, ფერმენტაცია 2-3 საათის მანძილზე, ფიქსაცია (მოხალვა), მოხალვის შემდგომ გრეხა 40-50 წუთით.

შემდგომი პროცესია შრობა, რომელიც ტარდება შავი ჩაის წარმოების ანალოგიურად.

ზოგიერთი სპეცალისტის (ა. ბეშიძე) აზრით, ყვითელი და წითელი ჩაი, რადგან ისინი ითვლება შუალედურ პროდუქტად, შესაძლებელია მივიღოთ მწვანე და შავი ჩაის კუპაჟირებით. კუპაჟი ხორციელდება შესარჩევი კომპონენტებისა და წითელი და ყვითელი ჩაის ეტალონების ცოდნის საფუძველზე, დიაგონალური შერევის წესის გამოყენებით.

ყვითელი და წითელი ჩაის წარმოების ტექნოლოგიური რეგლამენტების გამოკვლევა და მისი დანერგვა წარმოებაში შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მიმართულებად მზა პროდუქციის ასორტიმენტის გასამდიდრებლად.

ძვირფასი საგემოვნო, სამკურნალო და პროფილაქტიკურ-დიეტური თვისებების გამო ჩაი საერთაშორისოდ აღიარებული სასმელი და მსოფლიო მრეწველობის, ვაჭრობის და მოხმარების საგანია. მას სიამოვნებით მიირთმევენ მდიდრებიც და ღარიბებიც.

ჩაის სმა მიღებულია საზოგადოებრივ წვეულებებზე და საერთაშორისო შეხვედრებზე. იგი გამოიყენება სიცივეში და პაპანაქება სიცხეშიც, ლაშქრობებსა და ექსპედიციებში. შეტანილია შეიარაღებული ძალების, სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების დღიურ ულუფაში, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება.

ჩინელები სასურველ სტუმარს მაცოცხლებელ სითხეს ხელით მიართმევდნენ, ხოლო სტუმარი ორივე ხელით ფეხზე ამდგარი იღებდა მას.

უცხოელთა ოფიციალური მიღებისას ჩაიზე მიპატიჟება მიღების დამთავრებას ნიშნავდა, თუ მოხელე ფინჯანს მოუთმენლად შეეხებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ საუბარი ძალზე გაჭიანურდა და დამთავრების დრო დადგა. თუ სტუმარი პირველი მოსვამდა ჩაის, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მას წასვლის სურვილი აქვს და გასაცილებელ სამზადისს იჭერდნენ.

ინგლისში ჩაის სახლები გადაიქცა საქმიანი ინფორმაციის, სავაჭრო შეთანხმებათა გაფორმების, აუქციონების, კრედიტორთა კრებების და სხვა ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების ადგილად.

მაღალხარისხოვანი, არომატული ჩაის მოსამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის პროდუქციის შენახვისა და მისი დაყენების წესების ცოდნას. მაღალხარისხოვანი ჩაი არადამაკმაყოფილებელი შეფუთვისა და არასწორი შენახვის პირობებში შეიძლება გაფუჭდეს. შენახვისა და ტრანსპორტირების დროს

ჩაი არ უნდა დანესტიანდეს (როგორც წესი, წვრილი ჩაი სწრაფად იძენს ტენს). ჩაის გადამწონი ფაბრიკების, სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში უნდა დავიცვათ 65-70 პროცენტი ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, მზა პროდუქციის შენახვის ვადა – 10 თვე.

ჩაი, როგორც ჰიგროსკოპული პროდუქტი ადვილად იძენს გარეშე სუნს, ამიტომ ის უნდა ინახებოდეს განცალკევებით სხვა სუნის მქონე პროდუქტებისაგან, თავდახურულ ფაიფურის ან მინის ჭურჭელში.

სასურველია დავიცვათ მწვანე ელიტური ჩაის დაყენების შემდეგი წესები, რომ ჩაი იყოს გემრიელი და მაქსიმალურად სასარგებლო: ავიღოთ ფაიფურის ან მინის სუფთა ჩაიდანი, იგი კარგად გავათბოთ მდუღარე წყლით და გავაშროთ; ყოველ 4-5 გრ ჩაიზე დავასხათ 200 მლ სუფთა მდუღარე წყალი, არაუმეტეს 90^0C. ჯერ დავასხათ ნახევარი ჩაიდანი და დავაყენოთ 5-7 წუთი, შემდეგ დავამატოთ ცხელი წყალი, თან ვურიოთ, დავიცადოთ სანამ ფოთლები დაილექება და შემდეგ ჩაიდნის 2/3 დავასხათ ჭიქებში; ჩაიდანში დარჩენილ ნაყენს დავუმატოთ წყალი და დავაყენოთ ისევ 5-7 წუთის განმავლობაში. მეორედ დაყენებული ჩაი, პირველთან შედარებით, უფრო გემრიელია, ხოლო მწვანე ელიტური ჩაის დაყენება 3-ჯერაც შეიძლება. ჩაის უბრალოდ ცხელი წყლით დაყენებისას, C ვიტამინის 83% დაიკარგება; თერმოსში ჩაის დიდი ხნით შენახვა იწვევს ვიტამინების უარყოფით ურთიერთქმედებას, შედეგად, ჩაი კარგავს არომატს, ფერს და გემოს; დიეტოლოგთა რეკომენდაციით, დღეში მწვანე ჩაი 1-1,2 ლიტრი, ანუ 6-8 ჭიქა უნდა მიირთვათ.

შეიძლება გამოვყოთ მწვანე ჩაის ცნობილი ღირსებები და მისი სამკურნალო – პროფილაქტიკური თვისებები:

- მწვანე ჩაიში 300-მდე სასარგებლო ნივთიერებაა. მათ შორისაა ვიტამინები: A1, B2, P, C, K, PP და სხვა, რომლებიც ამაგრებენ სისხლძარღვებს, აფერხებენ ქოლესტერინის დალექვას არტერიების კედლებზე. მწვანე ჩაის რეგულარული მიღება არეგულირებს წნევას, ხელს უწყობს ინფარქტის, ინსულტის, ათეროსკლეროზის თავიდან აცილებას;
- მწვანე ჩაი ამხნევებს ადამიანს, ხსნის დაღლილობას და თავის ტკივილს, კურნავს გაციებას, სასუნთქ ორგანოებს, ანადგურებს სხვადასხვა ინფექციის მატარებელ ბაქტერიებს, სპობს დიზენტერიის ჩხირებს;

- მწვანე ჩაი არეგულირებს წონას, ახდენს კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, თირკმლების „ბიოქიმიურ" წმენდას, კანის ფორების გაფართოებას, ორგანიზმიდან ოფლის, შლაკის, მარილის გამოდენას;
- მწვანე ჩაის აბაზანა ან 15-20 წუთს ნახარში ჩაის ფოთლების კომპრესი, კანს ანიჭებს სასიამოვნო იერს, ხსნის დაჟეჟილობას და ტკივილს, სპობს კანის სიმშრალეს;

  მწვანე ჩაი აახალგაზრდავებს ადამიანს;
- გამხმარი მწვანე ჩაის ღეჭვა კარგი საშუალებაა ორსულობით გამოწვეული გულისრევის დროს;
- მწვანე ჩაი ააქტიურებს აზროვნებას, ინარჩუნებს თავის ტვინის სიჯანსაღეს, დადებითად მოქმედებს კბილებზე და ამაგრებს ღრძილებს;
- იაპონელი მეცნიერების მტკიცებით, მწვანე ჩაის მოყვარული ადამიანები ნაკლებად განიცდიან ონკოლოგიურ დაავადებებს, გაცილებით ადვილად იტანენ რადიაქტიულ ზემოქმედებას და მათ შორის სიკვდილიანობის კოეფიციენტი დაბალია.

  ტყუილად კი არ ამბობენ, *ჩაი - ეს არის აფთიაქი ჭიქაში.*

აკად. ქ. ბახტაძე აღნიშნავდა: „რამდენადაც ახლო გავეცნობით ჩაის მცენარეს, რამდენადაც უფრო ღრმა იქნება ჩვენი ცოდნა მისი ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ, მით უფრო ადვილად ვისწავლით, როგორ წარვმართოთ მუშაობა უხვი და მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის მისაღებად". [2.18]

ქართული ჩაი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მაღალი ორგანოლეპტიკური თვისებებით, სპეციფიკური ნაზი საამო სურნელებით, გემოთი, არომატით, ვიტამინების, კოფეინისა და ექსტრაქტულ ნივთიერებათა სრულყოფილი შემცველობით. მან არაერთხელ დაიმსახურა ყურადღება საზღვარგარეთის ქვეყნებში, დიდია მასზე მოთხოვნილება ქვეყნის შიგნითაც.

ჩაის ფოთლის ტექნოლოგიური ღირსება, მისი მაღალი ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია მცენარის ჯიშურ თვისებებზე, კრეფის წესებზე, ნედლეულში ნაზი ფრაქციის ხვედრით წილზე, მისი მოვლა-მოყვანის, შენახვის, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და მოხმარების ოპტიმალურ მეთოდებზე. ამ მხრივ მსოფლიო მეჩაიეობაში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. უცილებელია ამ მიღწევების რეალიზაცია ადგილის კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის უგულველყოფის შედეგია უკანასკნელ ათწლეულებში ქართული ჩაის ხარისხისა და ავტორიტეტის დაცემა, ბოლო პერიოდში კი მეჩაიეობის, როგორც საქართველოს ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის დარგის იგნორირება.

ჩვენს ქვეყანაში მეჩაიეობა ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განვითარდა. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ჩაის მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებანი, განსაკუთრებით აღნიშნული პერიოდის ბოლო ხანებში რაოდენობრივი მაჩვენებლების გატარებას ეწირებოდა ხარისხი. ეს იყო გამოწვეული ამოცანით–ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის მოთხოვნილების ქართული ჩაის პროდუქციით დაკმაყოფილებით.

70-80–იან წლებში საქართველოში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების აღჭურვა ხდებოდა ჩაის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლის ინტერესიდან გამომდინარე და ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მჭრელ–დამქუცმაცებელ მანქანებსა და მაღალი წარმადობის საღნობ და საშრობ დანადგარებზე, რომელთა წარმადობის ზრდაც მათი ზომებისა და მოცულობითი პარამეტრების გაზრდის ხარჯზე ხდებოდა.

შედეგად, პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკების დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა არ იძლევა კონკურენტუნარიანი და მაღალი სამომხმარებლო ღირსების მქონე პროდუქციის მიღების შესაძლებლობას. კლასიკური, ე. წ. ორთოდოქსული ტექნოლოგიით ფოთლოვანი ჩაის გამომუშავება შეუძლებელი ხდება შემდეგი მიზეზების გამო:

– საწარმოთა 50 პროცენტზე მეტში დამონტაჟებული მაღალი წარმადობის საგრეხი მანქანები (როლერები) ძირითადად გათვალისწინებულია უხეში ნედლეულისათვის და ტექნიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლების შეცვლის გარეშე დუყის მორფოლოგიური დაყოფის კრიტერიუმს მნიშვნელოვნად ამცირებს, რაც საბოლოო ჯამში აქვეითებს წარმოების ეფექტურობას;

– ფაბრიკების უმეტესი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოგრეხილი ფოთლის კლასიფიკაციას ცალკეული ფრაქციების მიხედვით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მანქანათმშენებლობის მიერ შემოთავაზებული დამხარისხებელი მანქანების უმეტესობას ან კონსტრუქციული წუნი აქვს და მალე გამოდის მწყობრიდან, ან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას;

– უგულვებელყოფილია შავი ბაიხის ჩაის წარმოებისათვის აუცილებელი ფერმენტაციის პროცესი. მოგრეხილი ფოთოლი ფერმენტირდება გადამტან

ტრანსპორტიორებზე დაყოვნებით, რაც საკმარისია მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებისათვის;

– დარგის მანქანა-დანადგარების ნახევარზე მეტი, რომ არაფერი ვთქვათ მათ მორალურ ცვეთაზე, ფიზიკურად მოძველებულია. საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, არსებული პრობლემების გადასაწყვეტად უნდა მოხდეს პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკების მანქანა-დანადგარების ეტაპობრივად განახლება.

ჩაის ფოთლის გადამუშავებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის პირველი რიგის ამოცანებს განეკუთვნება:

- ღნობის პროცესის სრულყოფილად ჩატარების უზრუნველსაყოფად საღნობი აგრეგატების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მოყვანა და ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა. ღნობის პროცესის ოპტიმალური მართვა და რეგულირება;

- მაღალი წარმადობის როლერებში მცირე კონსტრუქციული ცვლილებების შეტანითა და ფოთლის ოპტიმალური (და არა მაქსიმალური) რაოდენობის მიწოდებით გრეხის ინტენსივობის გაზრდა და სასურველი სახის პროდუქციის მიღება;

- მოგრეხილი და დაქუცმაცებული ჩაის სასურველ ფრაქციებად დაყოფისა და გრეხვის მექანიზებული პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად ჩაის ფაბრიკების აღჭურვა სრულყოფილი დამხარისხებელი მანქანებით;

- ფერმენტაციის პროცესის სრულყოფილად ჩატარება, მისი დაწყებისა და დამთავრების ოპტიმალური მომენტების დაფიქსირებით, ფერმენტაციის პროცესიდან ხვეტია ტრანსპორტიორის ამოღება. ასევე, მასის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ფერმენტაციის პროცესზე შავი ლითონებისაგან დამზადებული ნაწილების უარყოფითი გავლენის გამორიცხვისათვის მათი შეცვლა ხისა და პლასტმასის ნაწილებით;

- ჩაის ხმობის პროცესში სახმობი მანქანის ჰერმეტულობის და თბოიზოლაციის დაცვა, ჰაერის მიწოდებისა და ცირკულაციის რეგულირება, საწვავის (მაზუთის) დეფიციტის პირობებში, ფერმენტირებული ჩაის დაყოვნების თავიდან აცილების მიზნით ფაბრიკების თითო ელექტროკალორიფერიანი სახმობი ღუმელებით აღჭურვა.

დარგის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის შესაბამისად, მეორე ეტაპზე (2006-2008 წ.წ.) განსახორციელებელ ღონისძიებებს განეკუთვნება:

- უწყვეტი ქმედების საფერმენტაციო დანადგარების ათვისება, რომლებიც უზრუნველყოფენ მასის დაზიანებისა და დანაკარგების თავიდან აცილებას, რეჟიმებისა და ფერმენტაციის პროცესის მექანიზებულად ჩატარებას პარამეტრების დაცვით;

- ფაბრიკების სრულყოფილი კონსტრუქციის ჩაის სახმობი ღუმელებით აღჭურვა, მათ შორის ვიბრო და პნევმოპრინციპზე მომუშავე ღუმელების დანერგვა, ძვირადღირებული იმპორტული საწვავის ნაცვლად ქვანახშირის გამოყენების თანდათანობით დანერგვა;

- მაღალი სამომხმარებლო ღირსების ჩაის გამომუშავებისა და მის სასურველ კონდიციამდე დაყვანის მიზნით, ჩაის ნახევარფაბრიკატის დასახარისხებლად ახალი ტიპის მანქანების პნევმო, ელექტრო და მაგნიტური სეპარატორების ათვისება.

კონკურენტუნარიანი ქართული ჩაის გამომუშავებისათვის აუცილებელია დაუყონებლივ იქნეს დაწყებული სამუშაოები დარგის ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამაღლებისათვის, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- თანამედროვე ფიზიკურ-მექანიკური, ბიოტექნოლოგიური მეთოდების და ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენებით ენერგოდამზოგავი, უნარჩენო ტექნოლოგიის დამუშავება და სამრეწველო ათვისება, არსებულ სიმძლავრეთა ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების მსოფლიო სტანდარტების დონემდე აყვანა;

- პროდუქციის ტრადიციული სახეების პარალელურად ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების – მაღალექსტრაქტული ჩაის კონცენტრატების, საღებავების, მატონიზებელი სასმელების წარმოების ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და ათვისება;

- უშუალოდ ჩაის მწვანე ფოთლიდან მშრალი კონცენტრატების, ხსნადი ჩაის მიღების ტექნოლოგიების სრულყოფა და საწარმოო სიმძლავრეების შექმნა, ჩაის ექსტრაქტის კონცენტრირების, გაწმენდისა და შრობის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;

- ადგილობრივი არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით ჩაისმაგვარი პროდუქტების წარმოების მოცულობის გაფართოება არომატიზებული და ვიტამინიზებული პროდუქციის წარმოების გზით, ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით;

- ტექნიკური პროცესების პროგრამულად მართვის მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული ჩაის გადამამუშვებელი საწარმოების შექმნა;

- გაგრძელდეს მუშაობა წვრილი შავი ჩაის წარმოების უწყვეტი–ნაკადური (სიტისის) „სტს" ტექნოლოგიური ხაზების საქართველოში დასანერგად ინდოეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებული წინადადების (ინდოეთის მთავრობის 1996 წლის 24 აპრილის წერილი №1605 სს/ეე 196) განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსათვის სესხად 5 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას;

- დარგისათვის ზედმეტი საწარმოო ფართობის სხვა დანიშნულებით (მსუბუქი მრეწველობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ფართო მოხმარების საგნების წარმოება და სხვა) გამოყენება, პერსპექტივაში კი ჩაის პლანტაციების მიმდებარე ტერიტორიებზე სანედლეულო ბაზის შესაბამისი სიმძლავრის მცირე საწარმოთა მშენებლობა.

3.5. ჩაის წარმოების რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებები

მეჩაიეობის და ჩაის წარმოების განვითარების შესახებ უკანასკნელ პერიოდში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ჩაის დარგში მომუშავე მეცნიერებს, პრაქტიკოსებს, მეწარმეებსა და მეჩაიეობაში დასაქმებულ მოსახლეობას მიაჩნია, რომ დარგი უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამას აქვს, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური დატვირთვაც.

მეჩაიეობის რეაბილიტაცია რომ შესაძლებელია, ამის შესახებ თავიანთ მოსაზრებებს გვთავაზობს აკადემიკოსები ლ. ლაზიშვილი და რ. მახარობლიძე. მათი მონაცემებით, ამჟამად დაფასოებული ჩაი, მოსკოვის ბაზრებზე ერთ კილოგრამზე გაანგარიშებით, 5-დან 30-50 დოლარამდე ფასობს. ქართული ჩაი, დაფასოებული, ერთი კილოგრამი 3-5 დოლარად რომ გავყიდოთ, დიდ მოგებას მივიღებთ. მხოლოდ საჭიროა კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, რომლის მისაღწევად საჭიროდ მიაჩნიათ პრობლემების გადაწყვეტისადმი ახლებური მიდგომა და გვთავაზობენ შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1. ჩაის წარმოებაში ამჟამად დამკვიდრებული წესის დაგმობა-აღკვეთა. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო პერიოდში ჩაის წარმოებაში დამკვიდრებული წესი, რომლითაც ჩაის უხეში ყლორტების დამზადება და მისგან დაბალი

ხარისხის პროდუქციის წარმოება ხდებოდა, დღესაც აგრძელებს მოქმედებას, მაგრამ ამჟამად ჩაის ბაზარზე არსებული კონკურენციის გამო მას მყიდველი არ ჰყავს. ესაა მთავარი დამაბრკოლებელი ბარიერი, რომელიც წინ ეღობება სამამულო მეჩაიეობის აღდგენა-განვითარებას, ქვეყნის ღარიბი ბიუჯეტის იმედით სამამულო მეჩაიეობის აღდგენა-განვითარება კი ფუჭი ოცნებაა.

2. შავი ჩაის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების დაკონკრეტება. ჩვენს კლიმატურ პირობებში მოყვანილი ჩაის დუყი საუკეთესო ნედლეულს არ წარმოადგენს შავი ჩაისათვის. ჩვენთან, უკიდურეს ჩრდილოეთის (ჩ.მ. 42-43 გრადუსი) სუბტროპიკულ სარტყელში, გავრცელება ჩინური (სუბტროპიკული) სახესხვაობის მცენარეებმა (Thea sinensis) მოიპოვეს, რომელთა დუყები ინდურისას (Tea assamica), საგრძნობლად ჩამორჩება ფენოლური ნაერთების, მათ შორის კატექინებისა და ჩაის ხარისხის განმსაზღვრელი სხვა ნივთიერებების შემცველობით. ჩაის კატექინების დაჟანგვის პროდუქტებია ჩაის ნაყენის ფერს, გემოს რომ განაპირობებს. რაც უფრო ნაკლებია ეს ნაერთები ჩაიში, მით უფრო დაბალხარისხოვანია იგი.

ცნობილია, რომ მაშინაც კი, როცა ჩვენში გამომუშავებული პროდუქციის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ამისათვის 2-3 ფოთლიანი დუყები იკრიფებოდა, ქართული ჩაის ქვეყნის (საბჭოთა კავშირის) გადამწონ ფაბრიკებში, კუპაჟირებისას ნარევში ინდური ჩაი ემატებოდა (ჩაის წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში გადამწონ ფაბრიკებში სხვადასხვა ქვეყნის ჩაის შერევა დასაშვებია). ჩვენში, ნედლეულის ხარისხის გაუარესებასთან ერთად, გადამწონ ფაბრიკებში ჩაის დაფასოების რეცეპტურაში ინდური ჩაის ხვერითი წონა იზრდებოდა.

ასე, რომ ჩვენ საუკეთესო, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი რომ მოვკრიფოთ, ჩაის საზღვარგარეთიდან შემოტანილი მაღალხარისხოვანი პროდუქციით გაკეთილშობილობის გარეშე ფონს ვერ გავალთ. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩაის ბაზარზე ამჟამად არსებული კონკურენცია, რომელიც ართულებს ასეთი ღონისძიების განხორციელებას. ასე, რომ შავი ბაიხის ჩაის გამოსამუშავებლად, თუ გვინდა პროდუქცია ექსპორტზე გავიდეს, საჭიროა, მეტად ნაზი ნედლეული ვაწარმოოთ. აქ ჩვენ გამოსავალს ვხედავთ ჩაის ქართველი მკვლევარების ივანე ხოჭოლავას და კონსტანტინე ჯმუხაძის მიერ შემუშავებულ ჩაის კომბინირებული ტექნოლოგიის განხორციელებაში ვხედავთ. ეს ტექნოლოგია ითვალისწინებს შავი ჩაისათვის საუკეთესო ნედლეულის გამოყენებას, კერძოდ,

სეზონის შუა პერიოდში, ივლისსა და აგვისტოში, როცა ჩაის დუყში ფენოლური ნაერთების მაქსიმალური შემცველობაა. სეზონის დასაწყისში და ბოლო პერიოდში, როცა დუყში მათი რაოდენობა ნაკლებია, ნედლეულიდან გამომუშავდება მწვანე ჩაი. აქ შეიძლება მოვიშველიოთ, აგრეთვე, მოკრეფილი ნედლეულის დახარისხა იმგვარად, რომ მოკრეფილი მასიდან გამოიყოს ნაზი დუყები და მისგან გამოშავებული იქნეს შავი ჩაი. ამასთანავე, შავი ჩაის გამოსამუშავებლად გამოყენებულ იქნეს მაღალი ღირსების „კოლხიდა“-ს, „კიმინი“-ს, „ქართული № 1“ სელექციური ჯიშის ჩაი.

3. პრიორიტეტის მინიჭება მწვანე ჩაის წარმოებისათვის. ჩვენს კლიმატურ პირობებში მოყვანილი ნედლეული საუკეთესო თუ არ არის შავი ჩაისათვის, სამაგიეროდ, იგი საუკეთესოა მწვანე ჩაისათვის. საქმე ისაა, რომ მწვანე ჩაის გამომუშავებისას საჭირო არ არის ჩაის ფოთოლში არსებული ნაერთების, მათ შორის კატექინების გარდაქმნები, მათი შემცველობა თითქმის უცვლელი რჩება მზა პროდუქციაში. კატექინები კი ხასიათდებიან ძლიერ მწკლარტე გემოთი, ამიტომ რაც მეტია მათი რაოდენობა პროდუქციაში, მას მეტი გადიდებული სიმწკლარტე გააჩნია და ზოგჯერ ასეთი პროდუქტი მოხმარებისათვის უსიამოვნოც კია. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, იაპონიაში) ჩაის ფოთლის მოკრეფის წინ, რამდენიმე დღის განმავლობაში ჩაის ბუჩქებს ხელოვნურად ჩრდილავენ კიდეც, რომ ჩაის დუყებში კატექინების სინთეზი შეაფერხონ.

ტროპიკულ ქვეყნებში მწვანე ჩაის თითქმის არ აწარმოებენ, მას მხოლოდ ჩინეთის ჩრდილოეთ რეგიონებში ამზადებენ.

მწვანე ჩაის წარმოების კლასიკური ქვეყანა იაპონიაა. სწორედ იაპონია, ჩვენს შემდეგ ყველაზე უფრო ჩრდილოეთის ქვეყანაა ჩაის მწარმოებელ ქვეყანათა შორის, რომელიც მხოლოდ მწვანე ჩაის ამზადებს და მოიხმარს. იქ მოყვანილი ნედლეული თავისი ქიმიური შედგენილობით ჩვენის მსგავსია და ესეც მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენც მწვანე ჩაის წარმოებას უნდა მივანიჭოთ პრიორიტეტი.

ცნობილია, რომ ქართული მწვანე ჩაი, რომლის გამომუშავება ათვისებული იქნა 1937 წელს, გამოირჩევა მაღალი გემური თვისებებით. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა შუა აზიის ქვეყნებში. მას ამჯობინებდნენ ჩინურ მწვანე ჩაის, რომლის მოხმარებას იქ საუკუნეების ისტორია ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში წარმოებული მთლიანი ჩაის პროდუქციის თითქმის მესამედი ამ ქვეყნებს მიეწოდებოდა. ქართული მწვანე ჩაი მოიწონეს მწვანე ჩაის მოხმარების მეორე კლასიკურ ქვეყნაში – მაროკოშიც.

ისმის კითხვა, ჩვენთან რატომ თავიდანვე არ მიენიჭა უპირატესობა მწვანე ჩაის წარმოებას? იმიტომ, რომ საქართველოში ჩაი რუსი ხალხისათვის გაშენდა, რუსები კი შავ ჩაის მოიხმარენ.

მეჩაიეობის მესვეურებმა იცოდნენ, რომ საქართველოში ადგილობრივი პოპულაციის ჩაის ნედლეული საუკეთესო არ არის შავი ჩაისათვის. ამიტომ, იყო რომ მაშინ დიდი მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები დაიწყო სელექციაში მაღალ ხარისხოვანი ჩაის ჯიშების გამოვლენა-გამოყვანისათვის; აგროტექნიკაში მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსამუშავებლად და სხვა. მაგრამ ქვეყანაში (საბჭოთა კავშირში) ვითარება იცვლებოდა, 70-იან წლებში საჭირო გახდა ჩაიზე მოსახლეობის დაკმაყოფილება. ამან გამოიწვია პროდუქციის ხარისხის თანდათან უგულებელყოფა. დავამკვიდრეთ მეტად უვარგისი პროდუქციის წარმოების პრაქტიკა, რომელსაც მყიდველი არ ჰყავდა.

დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში შავ ჩაისთან ერთად ნამდვილად შეგვიძლია ვაწარმოოთ კონკურენტუანარიანი მწვანე ჩაი.

4. ექსპორტის საგანი მხოლოდ დაფასოებული ჩაის პროდუქცია უნდა იყოს. ჩაის წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში დაკანონებული წესი - დაუფასოებელი პროდუქცია მიეწოდებოდეს ბაზარს ამჟამად მიუღებელია, რადგან დაუფასოებელი ჩაი აუქციონებზე იაფია. ინდოეთის, ცეილონის და სხვა ქვეყნების მაღალხარისხოვან დაუფასოებელ ჩაის, ერთ კილოგრამს 1-3 დოლარად ყიდულობენ გადამწონი ფაბრიკები. ამ ფონზე, რაგინდ ხარისხიანი იყოს ჩვენი დაუფასოებელი ჩაი და ისიც ტომრებში, ერთ კილოგრამს ერთ დოლარადაც ვერ გავყიდით და ასეთ პირობებში საქართველოში მეჩაიეობა ვერ იარსებებს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს წესი ჩვენთან მოქმედებდა და საკმაოდ წარმატებითაც. რადგან ჩვენი ერთი კილოგრამი დაუფასოებელი ჩაის გასაყიდი ფასი საშუალოდ 5 მანეთი იყო. დიდ მოგებას ნახულობდა არამარტო მეჩაიეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა, არამედ იგი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების საიმედო წყაროც იყო.

სამამულო მეჩაიეობის რეაბილიტაცია ამჟამად მხოლოდ დაფასოებული მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებითაა შესაძლებელი.

ინდოეთში, შრი-ლანკაზე და სხვა ჩაის მწარმოებელი ქვეყნების აუქციონებზე 1-3 დოლარად (ერთი კილოგრამი) შეძენილ ჩაის ინგლისში, რუსეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში დაფასოებული სახით 20-50 დოლარად და უფრო მეტადაც ჰყიდიან.

ჩვენ დაფასოებული ჩაი ბითუმად 3-4 დოლარად რომ გავყიდოთ, რაც სავსებით შესაძლებელია, მეჩაიეობა მომგებიანი იქნება.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ტრასეკას პროექტი, აბრეშუმის გზა, ნავსადგურები, რომლებიც გამოიყენება ნავთობისა და ბამბის გადასაზიდად, ტვირთების გატარება შუა აზიაში და ა.შ. ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ჩაის რეალიზაციის დასამკვიდრებლად მსოფლიო ბაზარზე.

რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში, შუა აზიის სახელმწიფოებში დაფასოებული ჩაის შეტანისათვის საბაჟო გადასახადის მინიმუმს ვიხდით მაშინ, როცა სხვა ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში პროდუქციის ღირებულების 20 პროცენტს იხდიან, ესეც შედავათია.

საჭიროდ მიგვაჩნია არსებული ჩაის პირველადი გადამუშავების და გადამწონი ფაბრიკების ნაცვლად ალტერნატიული ჩაის ფაბრიკის ბაზაზე, რომელშიც ნედლი ჩაის ფოთოლი გადამუშავდება დაფასოებული, მათ შორის ერთჯერადი მოხმარების პაკეტების პროდუქციის სახით, ამით რეგიონების ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული.

5. ჩაი ნედლეულის წარმოებისა და მისი გადამუშავების ერთ საწარმოო ერთეულად ჩამოყალიბება. ჩაის ფაბრიკა ეფექტურად რომ მოქმედებდეს, საჭიროა ჩაის პლანტაციასაც ფლობდეს. ამის დასტურია ის, რომ ჩაის წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ ორივე წესში – ჩინურსა და ინგლისურში (ინდური), მიუხედავად იმისა, რომ პირველი კუსტარულია, ერთი პრინციპი მოქმედებს - ნედლეულის მწარმოებელი და გადამამუშავებელიც ერთი და იგივე პიროვნებაა. აქ ნედლეული, როგორც წესი, ყიდვა-გაყიდვის საგანი არ არის.

ჩვენში ახლო წარსულში შეიქმნა ჩაის წარმოების მესამე, ახალი წესი, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა რაც შეიძლება მეტი ნედლეულის წარმოებაა და ამ მიზნით ერთმანეთისაგან გამიჯნული ნედლეულის მწარმოებელი და გადამამუშავებელი დაპირისპირებულიც კი აღმოჩნდნენ. ამას კი მოჰყვა ის, რომ დაიკარგა საერთო მიზანი – იყოს საბოლოო პროდუქტი მაღალხარისხოვანი, კონკურენტუნარიანი და რომ მისი რეალიზაციის შედეგად მოგებას იღებდეს ჩაის მკრეფავიც და ფაბრიკის მუშაკიც.

საბაზრო ეკონომიკის გზით მაღალი ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ დარგის მოქცევა ერთი პატრონის ხელში უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. ალბათ, უნდა ამოქმედდეს კანონი, რომლითაც ჩაის ფაბრიკას მხოლოდ მაშინ უნდა მიეცეს საქმიანობის უფლება, თუ

იგი ჩაის პლანტაციას ფლობს, ან ჩაის პლანტაციის მეპატრონე სრულუფლებიან მესაკუთრედ იქნება აღიარებული, თუ მას ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი საწარმო გააჩნია.

6. ჩაის ფოთლის ოჯახურ კუსტარულ პირობებში გადამუშავების შესაძლებლობა. ჩვენთან ფართო მასშტაბები მიიღო ოჯახებში ჩაის ფოთლის გადამუშავებამ და პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციამ. ამას რეალური საფუძვლები აქვს. ჯერ ერთი ის, რომ გლეხობას მიწის ნაკვეთებზე, მართალია, მცირე, მაგრამ ჯერ კიდევ გააჩნია ჩაის ნარგავები, არსებობს, აგრეთვე, მცირეკონტურიანი ჩაის პლანტაციები. არაფერს ვამბობთ უპატრონოდ მიტოვებულ ეკალ-ბარდებით დაფარულ ჩაის პლანტაციებზე.

ამის ბაზაზეც სავსებით შესაძლებელია ჩაის გადამამუშავებელ მცირე საწარმოთა ამოქმედება. ამ შემთხვევაში გამომუშავდება მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რადგან გლეხი, (ფერმერი) ჩაის ნაზ ფოთლებს მოკრეფს, უხეშ ყლორტებს ოჯახურ-კუსტარულ პირობებში იგი ვერც გადაამუშავებს.

ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება ჩაის წვრილ პლანტაციათა მეპატრონეებისათვის (გლეხების, ფერმერებისათვის) მცირე გაბარიტიანი, მოსახერხებელი ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი მოწყობილობანი. საჭიროა ისეთი მანქანების შექმნაც, რომელთა მოძრაობაში მოყვანა ხელით, ან კიდევ მზის, ქარისა და წყლის ენერგიის გამოყენებით იქნება შესაძლებელი.

ჩვენ ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ გლეხი (ფერმერი) მის მიერ გამომუშავებულ პროდუქციას თვითონვე გაუკეთებს რეალიზაციას, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია ნახევარფაბრიკატის სახით შეიძინოს ჩაის ფაბრიკამ, მისცეს მას სასაქონლო სახე და დაფასოებული გაყიდოს.

7. ერთობლივი საერთაშორისო ჩაის საწარმოს შექმნა. ამჟამად ჩაის წარმოების მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებულ დაუფასოებელი ჩაის რეალიზაციის აუქციონურ წესს მოშლა ემუქრება. ამის მაგალითი უკვე არსებობს. 311 წლის არსებობის შემდეგ, 1999 წელს გაუქმდა ლონდონის ცნობილი ჩაის აუქციონი. აუქციონური სისტემა მართლაც მოძველდა. იქ გროშებად შეძენილ ჩაის, ჩაის გადამწონი ფაბრიკები დაფასოებული სახით საკმაოდ ძვირად ჰყიდიან. ჩაის მკრეფავები და ჩაის ფაბრიკის მუშები ექსპლუატაციის მსხვერპლნი არიან.

ამასთან დაკავშირებით, რუსეთში უკვე ეძებენ უფრო მოსახერხებელ და მისაღებ ფორმას ჩაის მწარმოებელი ქვეყნების პირველად ფაბრიკებში

დაუფასოებელი პროდუქციის შესასყიდად. მოსკოვური ჟურნალი „Кофе и чаи в России“ (№27, 2002წ.) იუწყება, რომ უკვე შეიქმნა რუსეთ-ჩინეთის და რუსეთ-ვიეტნამის ერთობლივი ჩაის საწარმოები. ასეთ საწარმოთა შექმნა უზრუნველყოფს იმას, რომ ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკიდან დაუფასოებელი ჩაი მიეწოდება უშუალოდ გადამწონ ჩაის ფაბრიკას, გამოირიცხება მრავალრიცხოვანი შუამავლები, რაც ხელს შეუწყობს საბოლოო პროდუქციის გაიაფებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რუს და შუა აზიელ ყოფილ პარტნიორებთან შევქმნათ ერთობლივი საერთაშორისო საწარმოები, არამარტო დაუფასოებელი ჩაის მიწოდებაზე, არამედ ძირითადად ადგილზე დაფასოებული პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაზე.

8. ჩაის ფოთლის კრეფის მოწესრიგება. სამამულო მეჩაიეობის აღდგენის ერთ-ერთი ძირითადი პირობა არის ჩაის ფოთლის კრეფის მოწესრიგება. ამჯერად პრიორიტეტს ვანიჭებთ რა მწვანე ჩაის, მისთვის ნედლეულის წარმოებაში ვუშვებთ მექანიკური კრეფის შესაძლებლობას და რეკომენდაციას ვაძლევთ გამოყენებული იქნეს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, გამომგონებელ ანზორ ჩიქოვანის კონსტრუქციის მაკრატელი, მაგრამ ამგვარ მაკრატელს ვერ გამოიყენებ, თუ ბუჩქები სპეციალური გასხვლით არ მომზადდა. ამისათვის, მეჩაიეობის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული წესის მიხედვით, ჩაის ყოველწლიური გასხვლის შედეგად ჩაის ბუჩქების ზედაპირს ეძლევა ოვალური ან ბრტყელი ფორმა (ჰორიზონტალური).

ჩვენთან მიღებულია ჩაის ბუჩქის ფორმების ოვალური ფორმა, რადგან ამ შემთხვევაში ბუჩქის ზედაპირის ფართი 10-15 პროცენტით მეტია და შესაბამისად, მოსავლიანობაც მაღალია. გასხვლის ეს ფორმა დარჩა ძალაში ჩვენში მანქანური კრეფის შემოღების შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ ოვალური ფორმის შემთხვევაში საკრეფი მანქანის მუშა კვანძები უფრო ძნელი დასამზადებილია და მისი ექსპლუატაციაც უფრო რთულია, ვიდრე სიბრტყეზე მომუშავე მანქანისა. ჩაის მწარმოებელ ძირითად ქვეყნებში კი მიღებულია ჩაის ბუჩქების ბრტყლად გასხვლა.

ჩვენ ვთვლით, რომ თანამედროვე პირობებში ჩაის ფოთლის მექანიკური კრეფა მოიპოვებს უპირატესობას. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩაის ბუჩქების ბრტყლად გასხვლის შემოღება.

9. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის განხორციელება. დღეს საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების უმეტესობა მიგდებულია, ეკალბარდებითაა დაფარული. მხოლოდ 10-15 პროცენტია ექსპულატაციაში.

ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში არსებული 64,5 ათასი ჰა ჩაის პლანტაციიდან (აფხაზეთის გამოკლებით) ექსპლუატაციისათვის უვარგიასი 18,9 ათასი ჰა. აქედან, შესაძლოა აღდგეს 11 ათასი ჰა.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს ჩაის ბუჩქის მძიმე გასხვლისა და ნასხლავის დამქუცმაცებელი მანქანა, რომელმაც წარმატებით გაიარა გამოცდა.

სწორედ ეს მანქანაა, მიგდებული, ეკალ-ბარდებით დაფარული ჩაის პლან-ტაციების რეაბილიტაციას რომ უზრუნველყოფს. ამასთანავე, გათვალისწინებულია დაქუცმაცებული მასის ადგილზე დატოვება, რითაც ნიადაგი გამდიდრდება აზოტის, ფოსფორის, კალიუმის და სხვა მაკრო და მიკროელემენტებით, აგრეთვე, ბიომასით.

10. ჩაის კომპლექსური ტექნოლოგიის შესახებ. ჩაის დუყი უნიკალური თვისებების ნედლეულია, რომელიც შეიცავს მეტად სასარგებლო ნივთიერებებს. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით მშრალი მასის 15-20 პროცენტს, ბიოფლავონოიდებს (კატექინებს)–სულ ცოტა ხნის წინათ ვიტამინ P–ს აქტუალურობას რომ მიაწერდნენ მხოლოდ. ახლა უკვე ცნობილია, რომ მათ ანტიოქსიდანტური თვისებები გააჩნია. ისინი, გარდა იმისა, რომ ელასტიურობას მატებენ ადამიანის სისხლის კაპილარებს, ხელს უწყობს ვიტამინ C–ს შეთვისებას და აქვს უნარი შებოჭოს ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი რადიონუკლიდები (მაგალითად, „სტრონციუმ–90”) და გამოდევნოს ორგანიზმიდან, შეუძლია, აგრეთვე, შეაფერხოს თავის ტვინის უჯრედების დაზიანება, ინსულტს რომ მოსდევს თან. ამასთანავე, მისი მოქმედების ეფექტი 100–ჯერ აღემატება ანალოგიურ ანტიოქსიდანტს, ამ მიზნით რომ გამოიყენება.

ასეთი თვისებებით დაჯილდოებული ეს ნივთიერებები ჩაის ფოთლის გადამუშავების შედეგად ზოგიერთი სახის ჩაის პროდუქციაში (ხსნადი ჩაი, შავი ჩაი) საგრძნობლად მცირდება, ზოგჯერ კვალის სახითაა. ერთადერთი მწვანე ჩაის პროდუქტია, კატექინები საგრძნობი რაოდენობით რომ არის შენარჩუნებული, მაგრამ ამჟამად გამოყენებული ნედლეულიდან მიღებულ პროდუქციაში მათი შემცველობა მეტად მცირეა. უნდა აღინიშნოს, რომ ახლა ფეხს იკიდებს ცივი ჩაის წარმოება, რომელიც თხევადი სახით არის ხმარებაში. მას ჩაის კონცენტრატებისა და მზა ხმელი ჩაიდან ამზადებენ. ეს უკანასკნელი მეტად მოუხერხებელია ამ სახის პროდუქციის გამოსამუშავებლად. ამასთანავე,

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ აღნიშნული ჩაის პროდუქტები მეტად ენერგოტევადია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბათუმის აგრარული ბიო-ტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტში ჩატარდა გამოკვლევები ჩაის კომპლექსური ტექნოლოგიის შესამუშავებლად. ეს ტექნოლოგია ჩვეულებრივ, როგორც მწვანე, ისე შავი ჩაის გამომუშავებისას ითვალისწინებს თანმხლები პროდუქტის-თხევადი ჩაის მიღებას. იგი მიიღება რა უშუალოდ ნედლი ჩაის დუყებიდან. გააჩნია კატექინების გადიდებული შემცველობა - 100მლ შეიცავს 1000-1500 მგ ნივთიერებებს. მის ბაზაზე დამზადებული ცივი ჩაის ერთ ჭიქაში ვიტამინ P-ს დღიური ნორმაა. ამასთანავე, თხევადი ჩაის ბაზაზე ცივი ჩაის წარმოება მეტად მომგებიანია: 1 ტონა თხევადი ჩაიდან გამომუშავდება 15-20 ათასი ლიტრი ცივი ჩაი.

ჩაის კომპლექსური ტექნოლოგიის განხორციელება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. იგი შეიძლება პირველად ჩაის ფაბრიკაში განხორციელდეს ზოგიერთი დამატებითი დანადგარის დამონტაჟებით, ჩაის ფოთლის უჯრედის წვენის გამოყოფისა და მისი დამუშავებისათვის საჭირო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ჩვენი მოსაზრებების საფუძველზე მნიშვნელოვანია ღონისძიებების გატარება ჩაის წარმოების მომგებიანობის, ექსპორტის ზრდისა და სტაბილურობის ამაღლების მიზნით იმ მიწებზე, რომლებზეც ჩაის წარმოება ეკონომიკურად მიზანშეწონილია, ხოლო იქ, სადაც წარმოება ეკონომიკურად გაუმართლებელია, მიწების კონვერტაციისა და ჩაის ამოძირკვის ღონისძიებების გატარება. ეს ღონისძიებები შემდეგია:

- ჩაის სექტორში თანმიმდევრული და კომპლექსური პროგრამის განხორციელება:
- დაბალხარისხიანი ჩაის წარმოების მოცულობის ზრდის ნაცვლად აქცენტის გადატანა ჩაისა და ჩაის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებასა და საბაზრო ნიშის სრულყოფაზე;
- სუბსიდირების, სხვა არამდგრადი და არაეფექტიანი დახმარების (მათ შორის სოციალური) პროგრამების გაუქმება, რომელიც დაბალი ღირებულების ჩაის მოცულობის ზრდის ხელშეწყობას ისახავს მიზნად;
- ჩაის განვითარების ფონდის შექმნა, რომელსაც მენეჯმენტს გაუწევს საბანკო სექტორი. ფონდის დახმარების მიზნობრივი მიმღებები იქნება ის საწარმოები, რომლებსაც ექნებათ საკუთარი პირველადი წარმოება, ან კავშირი პირველად წარმოებასთან, და თავიანთი საქმიანობა გამყარებული ექნებათ თანმიმდევრული

ბიზნეს-გეგმებით, საკუთრებისა და მართვის რაციონალური სტრუქტურებითა და საიმედო ენერგომომარაგების წყაროებით;

- ჩაის ფართობების ინვენტარიზაცია და მის საფუძველზე პერსპექტიული გეგმის შემუშავება იმ ფართობებისათვის, რომელზეც მიზანშეწონილი იქნება ჩაის კულტურის მოყვანა, ფართობებისათვის, რომელზეც შესაძლებელია ალტერნატიული კულტურების გაშენება, და ფართობებისათვის, სადაც ჩაის კულტურას პერსპექტივა არა აქვს;
- ჩაის ალტერნატიული კულტურების შესაძლებლობების კვლევა ცალკეულ რეგიონებში;
- პარტნიორთა წრის გაფართოება და ჩაის ფაბრიკებისთვის საკრედიტო ხაზების პროგრამების შემუშვება;
- ადგილობრივი ჩაის ბაზრის გათავისუფლება გაყალბებული და კონტრაბანდის სახით იმპორტირებული პროდუქტებისაგან, რათა წარმოდგენილი სტანდარტები გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი ჩაისა და ჩაის პროდუქტებზე.

საქართველოში ჩაის დარგის რეაბილიტაციის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი ვექტორი მიმართული უნდა იყოს მეჩაიე გლეხთა სტიმულირების პირობების გაუმჯობესებისაკენ, რათა დიდი რაოდენობის არაკონდიციური ჩაის ფოთლის კრეფიდან გადავიდნენ მაღალი ხარისხის ახალგაზრდა ყლორტების კრეფაზე და კრეფის ჯერადობის ოპტიმიზაციაზე, რაც ხარისხიანი ნედლეულის დამზადების უწყვეტობას უზრუნველყოფს მთელი სეზონის განმავლობაში.

საქართველოს ჩაის დარგის აღორძინების აქტუალურ პრობლემად მიგვაჩნია მაღალხარისხოვანი ჯიშური ჩაის პროდუქციის გამომუშავება, რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევს ჯერ შიგა და შემდეგ საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარზე მსოფლიოში განთქმულ ჩაის.

ამ პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ გასულ საუკუნეში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე გამოყვანილია, აგრეთვე, უცხოეთიდან შემოტანილია ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული უნიკალური ტექნოლოგიური პოტენციალის და მდიდარი ქიმიური შემადგენლობის ნედლეულის მომცემი ჩაის მცენარის ჯიშები (მ.შ. ტრიპლოიდური ჩაი), რომელთა ვეგეტაციის ხანგრძლივობა ნაცვლად 150 დღისა წელიწადში 240 დღემდეა. ახალი ჯიშები ყინვაგამძლეობით, უხვმოსავლიანობით ხასიათდება და, რაც მთავარია, ხსენებული ნედლეულის ბიოქიმიური შემადგენლობა და გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი აღემატება კონკურენტების

მახასიათებლებს, ისინი საშუალოდ ჰექტარზე 2-3 ფოთლიანი ნაზი დუყების 5-6 ტონიან მოსავალს იძლევიან წელიწადში, ანუ 1,5 ტონა უმაღლესი ხარისხის დასაფასოებელ ჩაის. 1 კგ დასაფასოებელი ჩაის მინიმალური გასაყიდი ფასი პროფესიულ ბაზარზე 3 აშშ დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 ჰექტარიდან შესაძლებელია მიღებული იქნას 4500 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. თუ ამ პროდუქტის დაფასოებას ადგილზე უზრუნველვყოფთ (ამჟამად საქართველოში წელიწადში 10,0 ათას ტონამდე ჩაის დაფასოების სიმძლავრეებია), მაშინ 1 კგ დაფასოებული ჩაის პროდუქციის მინიმალური გასაყიდი ფასი 10 აშშ დოლარამდე გაიზრდება და ერთი ჰექტარიდან მიღებული პროდუქციის ღირებულება 15000 აშშ დოლარი იქნება. 20%-იანი რენტაბელობის პირობებში მოგება 3000 აშშ დოლარს მიაღწევს. ვფიქრობთ, სოფლის მეურნეობის ბევრ სხვა კულტურას არ გააჩნია ასეთი პოტენციალი.

დღეს არსებული პერსპექტიული პლანტაციების აღდგენის პარალელურად საჭიროა დაიწყოს საქართველოში გამოყვანილი დიდი ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე სელექციური ფორმების "ბახტაძე", "კოლხიდა" და შემოტანილი ძვირფასი ჯიშების "კიმინი", "შან-ტან-ვე" და სხვა, ჩაის პლანტაციების გაშენება, ხარისხიანი ნედლეულის მოვლა-მოყვანის კულტურის და ტრადიციების აღდგენა. ამ სფეროში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მცირე მექანიზაციის იაპონური (ფირმა "კავასაკი" და სხვა) საშუალებების დანერგვა.

პირველ ეტაპზე "LTP"-ს ტექნოლოგიის გამოყენებით ერთჯერადი ხმარების პარკუჭებში დასაფასოებელი ქართული მაღალტექნოლოგიური შავი და მწვანე ჩაის გამომუშავება, იოდთან, ასკილთან და სხვა სამკურნალო აქტივობის მცენარეულ ნედლეულთან დაკუპაჟება, ადამიანის გამამხნევებელი სასმელებისა და გამაჯანსაღებელი "ჩაის ბალზამების" წარმოება (რომლებიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის "ჰოლისტიკური" კონცეფციის მოთხოვნებს) და შიგა სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდება. ხოლო მაღალი ხარისხის ნედლეულის დამზადებაში სტაბილურობის მიღწევის შემდეგ გადამუშავების იმპორტული, მაღალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ეტაპობრივი დანერგვა, კლასიკური "ორანჟპეკოს", "სენ-ჩას", "განპაუდერის", "დრაკონის", "ულუჩას" და სხვა ელიტური სახის პროდუქციის გამომუშავება და შიდა ბაზრის გაჯერება, ვინაიდან ქართული ელიტური ჩაის შიდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვებით დაიწყება ქართული ჩაის პრესტიჟის აღდგენა და საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარზე

წარმატებული გასვლა. მთავარია ბაზარს შევთავაზოთ მაღალხარისხოვანი პროდუქცია. 2007 წელს გატარებული პოლიტიკის წყალობით, ბაზარზე კვლავ ბრუნდება ქართული ჩაი. წარმატებით იყიდება ქართველ მეწარმეთა მიერ შექმნილი ახალი სახეობის ჩაი: „შავი მარგალიტი“, „ელ-გრეი“, „დილა მშვიდობისა“, „მწვანე ჩაი–საამო“ და „მთის ზურმუხტი“. გამოშვებულ იქნა, აგრეთვე, იოდიზებული ჩაი, რომელზეც მომხმარებელთა დიდი მოთხოვნაა. ზემოთ ჩამოთვლილი ჩაის 1 კგ საშუალო ფასი 10 დოლარის ფარგლებშია, რაც ჩაის ბაზარზე იწვევს გარკვეულ დაინტერესებას ინვესტორთა მხრიდან. „ქართული ჩაის კომპანია”, რომელიც ქართულ იოდიზირებულ შავ ჩაი „ტონუსს” აწარმოებს ბაზარზე ახალი ბრენდით გამოსვლას გეგმავს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები აზრბაიჯანელ და სომეხ ბიზნესმენებთან 50 ტონა ჩაის წარმოების დაკვეთაზე, თუმცა მომავალში მათი მხრიდან არც ინვესტიციების ჩადება გამოირიცხება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შპს „თერნალის ჩაის” მიკროფაბრიკა, რომელმაც გეზი საუკეთესო ხარისხის, ძვირადღირებული ელიტარული ჩაის მცირე ოდენობით წარმოებისაკენ აიღო. მიმდინარე წელს მიკროფაბრიკას შესწევს უნარი აწარმოოს არანაკლებ 3,5-4 ტ. მწვანე ელიტარული ჩაი, რაც საქართველოს დღევანდელ სავაჭრო ქსელში არსებული ჩაის ფასების ქვედა ზღვრის დონეზე გადაანგარიშებით 140 ათასი ლარის ღირებულებისაა. მეორე წელს წარმოება გაიზრდება 5 ტონამდე, ხოლო მესამე წელს-7 ტონამდე, ანუ წარმოების მოცულობა გაორმაგდება და 280–300 ათას ლარს გადააჭარბებს. შპს „თერნალი ჩაი”–ს მიერ საერთაშორისო ორგანიზაცია AGVANTAGE და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის”–ს მხარდაჭერით, მოკლე დროში მიღწეულმა ასეთმა მცირე წარმატებამაც კი უკვე გამოიწვია ზოგიერთი ქართველი და უცხოელი ინვესტორების ამ საქმიანობით დაინტერესება. ისინი თვალყურს ადევნებენ ჩაის ბიზნესში მიმდინარე პროცესებს. ექსპერტების დასკვნები ადასტურებს, რომ წყალტუბოს ჩაის ხარისხი დიდად უკეთესია, ვიდრე მათი უცხოური ანალოგები და მას თამამად შეუძლია იყოს კონკურენტუნარიანი როგორც საქართველოს შიგა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ქართული ჩაის, განსაკუთრებით კი ქართული მწვანე ელიტარული ჩაის საკუთარი ქვეყნის ბაზარზე დამკვიდრება, ჩაის მოხმარების კულტურისა და ტრადიციის სრულყოფა - პოპულარიზაცია, უპირველესად, ჩვენი მეცნიერების, მეჩაიე ბიზნესმენებისა და მედიის უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს.

გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ბიზნესმენთა დაინტერესების მიზნით. ს.ს. „ქართული ჩაის წარმოება“ ამუშავებს ბიზნეს-გეგმას ზუგდიდისა და ოზურგეთის რაიონებში მოდერნიზებული, ინდოეთის ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი საწარმოების შექმნისათვის. (ინდური კომპანია GEM-ის საწარმოო ხაზის დაახლოებითი ფასი 175000 დოლარია). წინასწარი გაანგარიშებით, ერთი საწარმოსათვის საჭირო საწარმოო ხაზი, სამუშაოების ჩაბარების ღირებულების ჩათვლით, 179 ათას დოლარს შეადგენს. აღნიშნული ხაზი უზრუნველყოფს მსოფლიო სტანდარტის პროდუქციის გამოშვებას. ინდოეთის ტექნოლოგია, ფაქტობრივად, ლიდერია ჩაის წარმოებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ხაზი მოიხმარს 3-ჯერ ნაკლებ მაზუთს და სხვა ენერგომატარებლებს, ვიდრე დღეს საქართველოში მოქმედი ტექნოლოგიური ხაზები. ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებულია როგორც შავი ბაიხის, ასევე მწვანე ბაიხის ჩაის წარმოება, რითაც ქვეყანას აქვს უნიკალური შანსი ჩაის ბაზარზე წამყვანი ადგილის დაკავებისათვის. ამ მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა და მომავალ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ორი თანამედროვე ობიექტი შეემატება გადამამუშავებელ მრეწველობას.

საინტერესოა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მზადდება ისეთი ჩაიც, რომლითაც დღესვე შეიძლება დაინტერესდნენ დასავლეთის მომხმარებლები. რამდენადაც უცნაურიც უნდა იყოს, ეს არის სწორედ ოჯახებში, ხელით დამზადებული ჩაი, რომელიც წარმოების განსხვავებული ტექნოლოგიით ხასიათდება და მისი მოვლა-მოყვანა განსაკუთრებულ კლიმატში, ანუ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ხდება. შესწავლილი თითოეული ოჯახი წლის მანძილზე საშუალოდ 100-120 კგ. პროდუქციას ამზადებს, ამ ჩაის აქვს თავისი ისტორია და ჰყავს თავისი მომხმარებელი.

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში მუშაობდა პროექტი CERMA, რომლის საკონსულტაციო ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს ყველა ის კუთხე და ადგილი, სადაც ჩაის პლანტაციებია განლაგებული. ამ გამოკვლევების საფუძველზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ოჯახურ პირობებში, ხელით დამზადებული ჩაი გამოირჩევა თავისი გარეგანი და ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით. ჩაის ნიმუშები ტესტირებისათვის სხვადასხვა ქვეყნის ჩაის საბროკერო კომპანიებში გაიგზავნა. მიღებულმა

დასკვნებმა კი, როგორც CERMA –ში აცხადებდნენ, ხარისხობრივი შეფასების თვალსაზრისით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროგრამაზე მოშაობს. პროგრამის მიზანი, არსებული პლანტაციების აღრიცხვა და შიგა ბაზარზე იმპორტის ქართული პროდუქციით ჩანაცვლებაა. ამის მისაღწევად გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში ჩაის თანამედროვე ფაბრიკების მშენებლობა იგეგმება. ასოციაციის გათვლებით, ოთხივე პროექტი ჯამში 2 მილიონი ლარის ინვესტიციას საჭიროებს, რომლის ნახევარი შესაძლოა მთავრობამ გრძელვადიანი სესხის სახით გამოუყოს. ამჟამად, ქართულ ჩაის ძირითადად მცირე ზომის 18 ოჯახური საწარმო ამუშავებს. პლანტაციებს კი 30 ათასი ჰექტარის ფართობი უკავია, საიდანაც შედარებით მაღალი ხარისხის ამ დროისთვის მხოლოდ ნახევარია.

დაბოლოს, ჩვენი აზრით, სისტემური კრიზისიდან ქართული მეჩაიეობის გამოყვანა მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებითაა შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში, როგორი ფინანსური დახმარებაც არ უნდა აღმოვუჩინოთ დარგს, უკეთეს შემთხვევაში მივიღებთ სასტარტო პირობების განმეორებას, ანუ იმის აუცილებლობას, რომ ჩაის ფაბრიკებს ყოველწლიურად გავუკეთოთ ფინანსური ინექცია, რადგან უხარისხო პროდუქციის წარმოებისა და მისი დაბალი გასაყიდი ფასის გამო, აღწარმოებადი ციკლის ფორმირება ვერ მოხერხდება.

საბაზრო ეკონომიკის მთავარ მოტივაციას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ამ პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრება წარმოადგენს. საერთაშორისო ბაზრებზე ჩაის მიწოდების სიჭარბის ფონზე, მსოფლიოში ჩაის, განსაკუთრებით კი დაბალი ხარისხის ჩაის ფასები მცირდება, საქართველო კი, ძირითადად, სწორედ ამ ტიპის ჩაის აწარმოებს. ამდენად, მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების შემთხვევაში, ეფექტური და გონივრული მარკეტინგის საშუალებით საქართველოს ამ პროდუქციის ექსპორტის ზრდის გარკვეული პოტენციალი აქვს.

დასკვნები და წინადადებები

1. მეჩაიეობის მსოფლიო ექსპერტების სხვადასხვა ჯგუფების მონაცემებით, მომდევნო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩაიზე მოთხოვნა. ამ ტენდენციისათვის დამახასიათებელი იქნება ახალი პლანტაციების გაშენება, მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებში ჩაის შიგა მოხმარების ზრდა, ჩაის მსოფლიო ექსპორტში წამყვანი ადგილის დაკავება ისეთი ქვეყნების მიერ, რომლებშიც ჩაის მცირე რაოდენობით მოიხმარენ (კენია, საქართველო და სხვა). ამ თვალსაზრისით, ჩაის ექსპორტის დიდი პოტენციალი გააჩნია საქართველოს, სადაც მისი ადგილობრივი მოხმარება წლიურად 3,5-4,0 ათას ტონას არ აღემატება. იგივე ექსპერტების მონაცემებით, საქართველოს მსოფლიო ბაზარზე შეუძლია გაიტანოს 75 - 80 ათასი ტონა ჩაი და ამ მაჩვენებლებით მეექვსე ადგილი დაიკავოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული ტენდენციების მაქსიმალურად გამოსაყენებლად. მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გააქტიურება, რომლებიც სოლიდურ კაპიტალს აბანდებენ ახალი პლანტაციების გაშენებასა და ტექნოლოგიურ გადაიარაღებაში, მეჩაიეობის განვითარება სახელმწიფო მზრუნველობის რანგში ჰყავთ აყვანილი.

2. გასულ საუკუნეში მეჩაიეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სისტემაში. 80-იან წლებში იკრიფებოდა 500 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს მეჩაიეობის ქვეყნებს შორის მე-4 – მე-5 ადგილს იკავებდა. ფუნქციონირებდა 150 პირველადი გადამუშავების, 22 დამფასოებელი, აგურა და ფილა ჩაის მწარმოებელი ფაბრიკა. დარგს გააჩნდა მძლავრი საწარმოო ინფრასტრუქტურა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მზა პროდუქციის უდიდესი ნაწილი (100 - 120 ათასი ტონა) ექსპორტზე, ძირითადად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გადიოდა. მეჩაიეობაზე მოდიოდა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული საერთო პროდუქციის 18%–ზე მეტი.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მეჩაიეობასა და ჩაის მრეწველობაში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყნის ბიუჯეტისა და სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ამ დარგიდან ფულადი შემოსავლების ძირითადი წყაროს შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ 10–15%–ითაა

გამოყენებული. ჩაის პლანტაციების ფართობი 64,5 ათასი ჰა - დან შემცირებულია 47,3 ათას ჰა-მდე (აფხაზეთის ჩათვლით, მის გარეშე – 37,3 ათას ჰა-მდე), ჩაის ფოთლის წარმოება კი – 1986 წლის 581 ათასი ტონიდან 2007 წლისათვის - 7 ათას ტონამდე.

3. დღეს მსოფლიო ბაზარზე დაფასოებული, მარკირებული ქართული ჩაი არ არსებობს. თუმცა საქართვალოში ჯერ კიდევ არის ჩაის პლანტაციები, რომელთა საექსპლუატაციო ფართობი 20 ათასი ჰექტარია. დღეისათვის, საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების ნაწილი კერძო საკუთრებაშია გადაცემული. რაც შეეხება გადამამუშავებელ საწარმოებს, ისინი მთლიანად პრივატიზებულია. მიუხედავად ამისა, მეპატრონეები არ ახორციელებენ ინვესტიციებს, ძველი, ამორტიზებული დანადგარები აქვთ. არის რამდენიმე წამოწყებაც, მაგრამ ისეთ მასშტაბებს ვერ აღწევს, რომ ბაზარზე სერიოზული განაცხადი გააკეთოს.

ქართული ჩაის რეალიზება დღეისათვის მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ დაუფასოებელი ჩაი სარეალიზაციოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იგზავნება და, ეს არის მეჩაიეების შემოსავლის წყარო. ეს ჩაი ძალზედ იაფია. საქართველოდან წლის განმავლობაში საშუალოდ 2 ათასი ტონა ასეთი ჩაი გადის. არის ასევე ხელნაკეთი ჩაის რეალიზაციის მცდელობებიც, მაგრამ სარეალიზაციო ბაზარზე მუდმივი ურთიერთობების ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. კერძო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასულ წელს ქართველი მეჩაიეები მივლინებული იყვნენ ჟენევაში გამართულ ჩაის სპეციალიზებულ გამოფენაზე, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ყველაზე დიდი ღონისძიებაა ამ დარგის წარმომადგენლებისათვის. მართალია, იქ გაფორმდა რამდენიმე კონტრაქტი ქართული ჩაის მიწოდების თაობაზე, მაგრამ ყველა ერთჯერადი იყო და ხანგრძლივ ურთიერთობაზე გადასვლა ვერ მოხერხდა.

უახლოეს პერსპექტივაში, ჩაის პლანტაციების იმ 10–15 ათასი ჰექტარიდან, რომელიც კარგ მდგომარეობაშია, მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი ჩაის წარმოებაა შესაძლებელი. ამისთვის თანამედროვე კომპონენტებით აღჭურვილი რამდენიმე გადამამუშავებელი საწარმოა საჭირო. ეს შესაძლებელს გახდის მაღალხარისხიანი ქართული ჩაის ექსპორტზე გატანას და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ექსპორტი მუდმივად და სტაბილური რაოდენობით უნდა მიმდინარეობდეს.

4. საუკუნეს გადაცილებულმა მეჩაიეობის დარგმა ქვეყანაში სხვადასხვა დროს შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების პირობებში გარკვეული ეტაპობრივი ცვლილებები განიცადა. ეს ეტაპებია: ჩაის მცენარის ინტროდუქციისა და ექსპერიმენტის ეტაპი (1847-1900); ჩაის კულტურის ადაპტაციის ეტაპი (1900-1925); მეჩაიეობის ინტენსიური განვითარების ეტაპი (1925-1940) მეჩაიეობის სტაბილურობისა და აღმავლობის ეტაპი (1946-1970); მეჩაიეობის დიქტატორული მართვისა და დეპრესიის საწყისი ეტაპი (1970-1990); მეჩაიეობის დეგრადაციის ეტაპი (1990 წლიდან დღემდე).

მეჩაიეობაში განვითარებულ სეგმენტალურ კრიზისს აქვს როგორც ეროვნულ ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევი ისეთი საერთო მიზეზები, როგორიცაა ბაზრების დაკარგვა, სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევა, ახალ გარემოში სამეურნეო-საწარმოო და ფინანსური საქმიანობის უცოდინარობა, ტექნოლოგიური დანადგარების როგორც ფიზიკური, ისე მორალური მოძველება, მათი განახლებისათვის ფინანსური რესურსების უქონლობა, ლიბერალურ სავაჭრო გარემოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოუხერხებლობა და მრავალი სხვა, ისე მხოლოდ მეჩაიეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზები, რომლებიც გარდამავალ პერიოდში განვითარდა და რომლის აცილება, ჩვენი აზრით, შესაძლებელი იყო.

5. მეჩაიეობაში შექმნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ განაპირობა საბაზრო ურთიერთობების განვითარების აუცილებლობა. ჩაის წარმოების ადაპტაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ითვალისწინებს მისი განვითარების ბიზნესის ჩარჩოებში მოქცევას. ამიტომ მოცემული დარგის განვითარების სტრატეგიული პოზიცია უნდა შეფასდეს და განისაზღვროს მარკეტინგული მოდელის სახით, რომელშიც აკუმულირებული იქნება როგორც ბუნებრივ-ეკონომიკური საფუძველი, ასევე შესაბამისი მოტივაციები.

ჩაის წარმოების მარკეტინგული მოდელი უნდა დაეყრდნოს მის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: მომხმარებელთა მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება, ბაზრის სიტუაციებისა და საწარმოს რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება, საწარმოს გრძელვადიანი მომგებიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ჩაის წარმოების დარგში საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და შეიძლება ითქვას, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მეჩაიეობის რეგიონში ცხოვრობს 500

ათასზე მეტი ადამიანი, რომელთა შემოსავლის ძირითადი წყარო მეჩაიეობა იყო და იგი ახლო მომავალში ასეთად უნდა იქცეს.

6. მეჩაიეობაში უაღრესად არახელსაყრელი საინვესტიციო გარემოა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გერმანულ ფირმას შპს "მარტინ ბაუერს", რომელმაც მეჩაიეობაში სხვადასხვა ფორმით 30 მილიონზე მეტი გერმანული მარკა დააბანდა, და ამერიკულ კომპანიას "ენ-სი-ეიჩს", რომელმაც პორტფელური ინვესტიციები განახორციელა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე გადაყიდვის იმედით, სხვა უცხოური და ადგილობრივი ხელშესახები ინვესტიციები პრაქტიკულად არ განხორციელებულა

აღსანიშნავია, რომ წელს ჩაის მწარმოებელმა კომპანია „გეოპლანტმა" (ყოფილი „მარტინ ბაუერი") შეკვეთების 90%-ი უკვე შეასრულა, უცხოელ პარტნიორებს „ვან რიიესსა" და „პლანტ ექსტრაქტს" 500 ტონამდე ჩაი გაუგზავნა. კომპანიაში იმედოვნებენ, რომ მომავალ წელს, ამავე კომპანიებთან კონტრაქტების მოცულობა 20%-ით გაიზრდება. ახალი წლიდან გეოპლანტი თურქეთში გაყიდვების გაზრდასაც გეგმავს. მენეჯმენტის შეფასებით, თურქეთის ბაზარი რუსეთზე უფრო მიმზიდველია, თუმცა ამ მიმართულებით უფრო აქტიურ ექსპანსიას ხელს მკაცრი საბაჟო რეჟიმი უშლის, თურქეთში ჩაის იმპორტი 150%-ით იბეგრება, რაც 1 კგ ქართული ჩაის თვითღირებულებას ადგილზე ჩატანით 3 დოლარამდე ზრდის.

7. მეჩაიეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს გადამწყვეტ პრობლემას, რადგანაც გაფართოებული კვლავწარმოების მაღალი ტემპების შემდგომი უზრუნველყოფა და სხვა ამოცანების გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად გამოიყენება საზოგადოების შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოებაზე მოქმედი თითოეული ფაქტორის ობიექტური ეკონომიკური შეფასების გარეშე. რადგან საბოლოო შედეგზე მოქმედებს უამრავი საწარმოო და არასაწარმოო ფაქტორი, ერთი რომელიმე ძირითადი კრიტერიუმის შერჩევა და მის საფუძველზე ჩაის წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე სრული წარმოდგენის შექმნა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მიუღებელია.

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა გამოვავლინოთ არაერთი, არამედ მაჩვენებელთა მთელი სისტემა, რომელთაგან ძირითადად

მიგვაჩნია შემდეგი: საერთო პროდუქცია, შემოსავალი, რენტაბელობის დონე, მოგება, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულება.

8. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება მოითხოვს მეჩაიეობის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების სწორად განსაზღვრას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩაის კულტურის წარმოება უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივ–ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე ეფექტური წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებს.

საბაზრო პირობებში ჩაის წარმოების განვითარებაზე გავლენას ახდენენ, როგორც გარეგანი (სახელმწიფო მხარდაჭერა დოტაციებით, ფასების, საგადასახადო, საკრედიტო პოლიტიკით; არასაბიუჯეტო მხარდაჭერა სხვადასხვა სტრუქტურების მიერ), ისე შინაგანი (წარმოების სტურუქტურის გარდაქმნა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, დანახარჯების ეკონომია) ფაქტორები. თუმცა, ჩაის წარმოების ეკონომიკური მდგრადობის ძირითად შემადგენელ ელემენტებად მიჩნეულია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის მდგომარეობა, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის დონეები, ტექნოლოგიები, მოგების მოცულობა, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და მათი დენადობის შეჩერება.

9. ჩაის წარმოების ეფექტიანობის შეფასებისთვის გამოყენებული გვაქვს ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელი კომპლექსი (ნატურალური, ღირებულებითი). ნატურალური მაჩვენებლებიდან განხილულია მოსავლიანობა, ხოლო ღირებულებითიდან–მოგება, რენტაბელობა, შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება და ფონდტევადობა.

ჩაის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები:

–შრომის ნაყოფიერების დონე უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ზრდის ტემპს, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოების მოცულობის ოპტიმალური ზრდა ცოცხალი სამუშაო ძალის მინიმალური დაკავების პირობებში;

– შრომის ნაყოფიერების ზრდა უნდა მოხდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მისი ფონდშეიარაღება, რადგან ეს პირობა სამუშაო ძალის გამოთავისუფლების ხარჯზე ახდენს არამხოლოდ ცოცხალი, არამედ განივთებული შრომის ნაყოფიერების ამაღლებას;

– მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეკონომიის ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს პროდუქციის ზრდის ტემპს, რაც საწარმოო რესურსების

რაციონალურ გამოყენებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველია.

10. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში ჩაის წარმოების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფერმერული მეურნეობების ეფექტიან საქმიანობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხურ (ფერმერულ) და საოჯახო მეურნეობებს არ გააჩნიათ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება და საჭირო ცოდნა, რაც, რა თქმა უნდა, აფერხებს ჩაის პროდუქციის წარმოების ზრდას, მაგრამ მიუხედავად ამისა 2006 წელს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის 68% სწორედ საოჯახო მეურნეობებმა აწარმოეს, განსხვავებით 1986-1990 და 1991-1995 წლებისა, როცა ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად 7 და 18%-ს შეადგენდა. ჩვენი აზრით, მცირე სიდიდის ფერმერებს იჯარით უნდა გადაეცეს 2-3 ჰა ჩაის პლანტაცია, ხოლო საშუალო სიდიდის ფერმერებს – 3-5 ჰა ჩაის პლანტაცია.

2003 წლის ოქტომბერში ქართული ჩაის მწარმოებელ ფერმერთა ერთიანი სურვილით შეიქმნა ჩაის ხელით დამამზადებელ ფერმერთა ასოციაცია „კავკასიური ჩაი". ასოციაციის ძირითადი მიზანი საექსპორტო პოტენციალის გამოყენებით ქართული ჩაის წარმოების განვითარების ხელშეწყობა გახლდათ. ამასთან, ასოციაციის საქმიანობა ქართულ ბაზარზე მაღალხარისხიანი პროდუქციის შეტანასაც ითვალისწინებს.

11. საქართველოს ჩაის ბაზრის ანალიზის მიხედვით: ძირითადად თბილისისა და სხვა ქალაქების სავაჭრო სისტემაში 95%–ზე მეტი უცხოური წარმოების (უმეტესწილად დაბალი ხარისხის) ჩაი იყიდება და მხოლოდ 4-5%–ია ადგილობრივი წარმოების ჩაი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით (პრესა, ექსპერტული მონაცემები), საქართველოს ბაზარზე ამ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იყიდება 50 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა სახის ჩაი, აქედან, 75–80% ერთჯერად პაკეტებშია დაფასოებული. მწვანე ჩაის ხვედრითი წილი საერთო გაყიდვებში თითქმის 30%–ია, ანუ 1000–1200 ტონამდეა.

საქართველოს ბაზარზე ჩაის ძირითადი მომწოდებლები არიან: დიდი ბრიტანეთის კომპანიები „რისტონი", „ახმადჩაი", „ტვინინგსი", ამერიკული კომპანია „ლიპტონი", ჩინურ-რუსული კომპანიები - „გრენფელდი", იაპონური - „სენჩა", ცეილონის - „დილმახი" და სხვა (ამ კომპანიების უდიდესი ნაწილი ჩაის ტრადიციულად მწარმოებელი ქვეყნებიდან–ჩინეთიდან და ინდოეთიდან არ არიან). 1

კგ ჩაის ფასი, დაახლოებით 20–დან 60–მდე აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. შედარებით უკეთესი ხარისის მწვანე ჩაის 1 კგ-ზე გადაანგარიშებით, 35–40 აშშ დოლარზე ნაკლებად არ იყიდება.

12. კვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ქვეყნად ახალი საკუთრებითი ურთიერთობათა ფორმირება, აგრარული და მიწის რეფორმების გატარება ობიექტურად მოითხოვს მართვის მთელ სისტემაში ძირეულ ცვლილებებს, ე.ი. ორგანიზაციული სტრუქტურის, მმართველობითი აპარატის ფუნქციების, წარმოების პროგნოზირებისა და დაგეგმვის, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების სისტემის, საკადრო პოლიტიკის, ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების მოყვანას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნასთან შესაბამისობაში.

ჩაის წარმოების ქვეკომპლესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ქმედითუნარიანი, თუ მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურას საფუძვლად დაედება შემდეგი პრინციპების გამოყენება: 1. სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა; 2. სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია; 3. მოტივაცია; 4. სამეურნეო საქმიანობის საერთო მიზანზე – მოგებაზე ორიენტაცია; 5. პროგნოზირება (დაბალანსებული განვითარება); 6. სამეურნეო საქმიანობის რეგულირება; 7. ტერიტორიული და დარგობრივი მართვის მექანიზმების შეთანაწყობა.

13. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში უნდა შეიქმნას მეჩაიეობის, მეციტრუსეობის და სუბტროპიკული კულტურების წარმოებაში პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, რომელსაც სამართავად გადაეცემა ბიუჯეტიდან დაფინანსებული მეჩაიეობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა და რომლის ფუნქცია იქნება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პრობლემების მოგვარება, დარგში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის ორგანიზაცია. დროთა განმავლობაში იგი შეძლებს სხვა ფირმების დაინტერესებას და მათ მთლიან ან სეგმენტურ მომსახურებას. შემდგომში კომერციული საქმიანობის ზრდის კვალობაზე, იგი შეიძლება გარდაიქმნას ჰოლდინგურ კომპანიად, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება ბაზრების მოძიება, საიმედო პარტნიორების პოვნა, ფინანსური რესურსების აკუმულირება.

14. მეჩაიეობის განვითარების პრობლემები საქართველოში ყოველთვის სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში იდგა და შესაბამის მმართველ სტრუქტურებს

ძლიერი მარეგულირებელი ფუნქციები ჰქონდა (სახელმწიფო სააქციო საზოგადოება "საქართველოს ჩაი", "ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი", "ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველო", "ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო კომიტეტი", "სახელმწიფო კომერციული გაერთიანება "საქჩაისუბტროპიკი").

ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა მეჩაიეობაში კრიზისის ჩამოყალიბების საწინააღმდეგოდ, რომელიც ძირითადად სამი მიმართულებით ხორციელდებოდა: ეკონომიკურ-ფინანსური – ჩაიზე აქციზის გაუქმება, პროდუქციაზე თავისუფალი ფასწარმოქმნის დაშვება, გადასახადების გადავადება, სახელმწიფო დაკვეთით პროდუქციის გადატვირთვა და გადატვირთული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება და ტექნოლოგიური – მეჩაიეობის რეგიონებისათვის სასუქების გამოყოფა, ენერგო-მატარებლებით (მაზუთი, ელექტროენერგია) ჩაის ფაბრიკების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს ნაკარნახევი იყო მხოლოდ დარგის გადარჩენის სურვილით, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ძველი, ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით ხდებოდა, რამაც ბაზრების დაკარგვის, ჩაის პროდუქციაზე ფასების დისპარიტეტის პირობებში მდგომარეობის ხსნა ვერ შეძლო.

ჩვენი აზრით, ჩაის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამოქმედდეს სახელმწიფო რეგულირების შემდეგი პრინციპები:

–აგრარული პროტექციონიზმისა, როგორც შიგა-ეკონომიკური და ასევე საგარეო-ეკონომიკური ასპექტებით;

–სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის მიზნობრივი და გარანტირებული მხარდაჭერის;

–რეგულირების მექანიზმების ურთიერთშევსების;

–ეკონომიკური და სოციალური მიზნების შეთანაწყობის;

–პროგრამულ-მიზნობრივი უზრუნველყოფის.

15. მეჩაიეობის და ჩაის პროდუქტების წარმოების განვითარების განმსაზღვრელი ტენდენციები ეყრდნობა, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

–საქართველოს მოსახლეობის შიგა მოთხოვნილების უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციაზე;

–კონკურენტუნარიანი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობათა ღონისძიებების დამუშავება;

–საერთაშორისო ბაზარზე მაღალხარისხოვანი საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის გაზრდა;

–ტრადიციული საექსპორტო ბაზრების დაბრუნებისათვის აქტიური სამარკეტინგო პოლიტიკის გატარება;

–საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების გაუმჯობესება.

16. ჩაის მცენარე დიდ მოთხოვნას უყენებს მინერალურ და ორგანულ სასუქებს. თუ უსასუქო ნიადაგზე ჩაის ხარისხოვანი ფოთოლის მოსავლიანობა ჰექტარზე 700-800 კგ-ს შეადგენს, მინერალური და ორგანული სასუქებით სრული განოყიერების ფონზე მოსავლიანობა 14-15 ტონამდე იზრდება.

რეაბილიტაციის ქვემდებარე ჩაის პლანტაციების უმეტესობა 70-80 წლისაა. ამდენად, სტადიური მობერების პროცესში ჩაის ბუჩქების დიაგნოსტირებისა და განოყიერების საკითხებს ახლებურად შესწავლა და განხორციელება ესაჭიროება.

17. დღეს არსებული პერსპექტიული პლანტაციების აღდგენის პარალელურად საჭიროა დაიწყოს საქართველოში გამოყვანილი დიდი ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე სელექციური ფორმების "ბახტაძე", "კოლხიდა" და შემოტანილი ძვირფასი ჯიშების "კიმინი", "შან-ტან-ვე" და სხვა, ჩაის პლანტაციების გაშენება, ხარისხიანი ნედლეულის მოვლა-მოყვანის კულტურის და ტრადიციების აღდგენა. ამ სფეროში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის მცირე მექანიზაციის იაპონური (ფირმა "კავასაკი" და სხვა) საშუალებების დანერგვა.

პირველ ეტაპზე "LTP"-ს ტექნოლოგიის გამოყენებით ერთჯერადი ხმარების პარკუჭებში დასაფასოებელი ქართული მაღალტექნოლოგიური შავი და მწვანე ჩაის გამომუშავება, იოდთან, ასკილთან და სხვა სამკურნალო აქტივობის მცენარეულ ნედლეულთან დაკუპაჟება, ადამიანის გამამხნევებელი სასმელებისა და გამაჯანსაღებელი "ჩაის ბალზამების" წარმოება (რომლებიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის "ჰოლისტიკური" კონცეფციის მოთხოვნებს) და შიგა სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდება. ხოლო მაღალი ხარისხის ნედლეულის დამზადებაში სტაბილურობის მიღწევის შემდეგ გადამუშავების იმპორტული, მაღალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ეტაპობრივი დანერგვა, კლასიკური "ორანჟპეკოს", "სენ-ჩას", "განპაუდერის", "დრაკონის", "ულუჩას" და სხვა ელიტური სახის პროდუქციის გამომუშავება და შიდა ბაზრის გაჯერება, ვინაიდან ქართული

ელიტური ჩაის შიდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვებით დაიწყება ქართული ჩაის პრესტიჟის აღდგენა და საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარზე წარმატებული გასვლა.

18. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი" ითვალისწინებს მეჩაიეობაში მექანიზაციის დონის 60-70%-მდე ამაღლებას, რაც ძირითადად განპირობებულია ჩაის ფოთლის კრეფის შემჭიდროებულ ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულებისა და სოფლად განვითარებული მიგრაციული პროცესების ფონზე მუშახელით უზრუნველყოფის არასაკმაო დონის გამო.

მეჩაიეობის რეაბილიტაციის პირველ ეტაპზე სარეაბილიტაციო სამუშაოთა ტექნოლოგიურ ციკლში ყველაზე რთულ და შრომატევად პროცესს დასერევლიანებული პლანტაციების მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლების სამუშაოების შესრულება წარმოადგენს.

რეაბილიტაციის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რეგიონების მიხედვით შეიქმნას ყოველმხრივ აღჭურვილი მექანიზებული ბრიგადები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე მოემსახურებიან ჩაის მწარმოებელ ფერმერებს და სახელმწიფო მეურნეობებს.

19. საინტერესოა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მზადდება ისეთი ჩაი, რომლითაც დღესვე შეიძლება დაინტერესდნენ დასავლეთის მომხმარებლები. რამდენადაც უცნაურიც უნდა იყოს, ეს არის სწორედ ოჯახებში, ხელით დამზადებული ჩაი, რომელიც წარმოების განსხვავებული ტექნოლოგიით ხასიათდება და მისი მოვლა-მოყვანა განსაკუთრებულ კლიმატში, ანუ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ხდება. შესწავლილი თითოეული ოჯახი წლის მანძილზე საშუალოდ 100-120 კგ. პროდუქციას ამზადებს, ამ ჩაის აქვს თავისი ისტორია და ჰყავს თავისი მომხმარებელი.

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში მუშაობდა პროექტი CERMA, რომლის საკონსულტაციო ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს ყველა ის კუთხე და ადგილი, სადაც ჩაის პლანტაციებია განლაგებული. ამ გამოკვლევების საფუძველზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ოჯახურ პირობებში, ხელით დამზადებული ჩაი გამოირჩევა თავისი გარეგანი და ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით. ჩაის ნიმუშები ტესტირებისათვის სხვადასხვა ქვეყნის ჩაის საბროკერო კომპანიებში გაიგზავნა. მიღებულმა დასკვნებმა კი, როგორც CERMA–ში აცხადებდნენ, ხარისხობრივი შეფასების თვალსაზრისით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

20. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების წყალობით, მიღებულ იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გასატანი მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქცია. ელიტური ჩაის წარმოება შესაძლებელი გახდა ჩაის კრეფისა და გადამუშავების მთელ ციკლზე ტექნოლოგიური და სანიტარული მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ახალშექმნილი მიკროფაბრიკების პირობებში. შპს „თერნალი ჩაის" მიკროფსაბრიკას შესწევს უნარი მიმდინარე წელს აწარმოოს არანაკლებ 3,5-4 ტ. მწვანე ელიტარული ჩაი, რაც საქართველოს დღევანდელ სავაჭრო ქსელში არსებული ჩაის ფასების ქვედა ზღვრის დონეზე გადაანგარიშებით 140 ათასი ლარის ღირებულებისაა. თერნალის პატარა მიკროფაბრიკის მაგალითით არამარტო მეჩაიეები, არამედ ბიზნესმენები, მეცნიერები, ხელისუფლების წარმომადგენლები დაინახავენ, რომ სწორი სტრატეგიის შემთხვევაში, ჩაის ბიზნესს დიდი მომავალი აქვს.

21. საბაზრო ეკონომიკის მთავარ მოტივაციას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ამ პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრება წარმოადგენს. საერთაშორისო ბაზრებზე ჩაის მიწოდების სიჭარბის ფონზე, მსოფლიოში ჩაის, განსაკუთრებით კი დაბალი ხარისხის ჩაის ფასები მცირდება, საქართველო კი, ძირითადად, სწორედ ამ ტიპის ჩაის აწარმოებს. ამდენად, მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების შემთხვევაში, ეფექტური და გონივრული მარკეტინგის საშუალებით საქართველოს ამ პროდუქციის ექსპორტის ზრდის გარკვეული პოტენციალი აქვს.

22. მნიშვნელოვანია ღონისძიებების გატარება ჩაის წარმოების მომგებიანობის, ექსპორტის ზრდისა და სტაბილურობის ამაღლების მიზნით იმ მიწებზე, რომლებზეც ჩაის წარმოება ეკონომიკურად მიზანშეწონილია, ხოლო იქ, სადაც წარმოება ეკონომიკურად გაუმართლებელია, მიწების კონვერტაციისა და ჩაის ამოძირკვის ღონისძიებების გატარება. ეს ღონისძიებები შემდეგია:

- ჩაის სექტორში თანმიმდევრული და კომპლექსური პროგრამის განხორციელება:
- დაბალხარისხიანი ჩაის წარმოების მოცულობის ზრდის ნაცვლად აქცენტის გადატანა ჩაისა და ჩაის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებასა და საბაზრო ნიშის სრულყოფაზე;
- სუბსიდირების, სხვა არამდგრადი და არაეფექტიანი დახმარების (მათ შორის სოციალური) პროგრამების გაუქმება, რომელიც დაბალი ღირებულების ჩაის მოცულობის ზრდის ხელშეწყობას ისახავს მიზნად;
- ჩაის განვითარების ფონდის შექმნა, რომელსაც მენეჯმენტს გაუწევს საბანკო სექტორი. ფონდის დახმარების მიზნობრივი მიმღებები იქნება ის საწარმოები,

რომლებსაც ექნებათ საკუთარი პირველადი წარმოება, ან კავშირი პირველად წარმოებასთან, და თავიანთი საქმიანობა გამყარებული ექნებათ თანმიმდევრული ბიზნეს-გეგმებით, საკუთრებისა და მართვის რაციონალური სტრუქტურებითა და საიმედო ენერგომომარაგების წყაროებით;

- ჩაის ფართობების ინვენტარიზაცია და მის საფუძველზე პერსპექტიული გეგმის შემუშავება იმ ფართობებისათვის, რომელზეც მიზანშეწონილი იქნება ჩაის კულტურის მოყვანა, ფართობებისათვის, რომელზეც შესაძლებელია ალტერნატიული კულტურების გაშენება, და ფართობებისათვის, სადაც ჩაის კულტურას პერსპექტივა არა აქვს;
- ჩაის ალტერნატიული კულტურების შესაძლებლობების კვლევა ცალკეულ რეგიონებში;
- პარტნიორთა წრის გაფართოება და ჩაის ფაბრიკებისთვის საკრედიტო ხაზების პროგრამების შემუშვება;
- ადგილობრივი ჩაის ბაზრის გათავისუფლება გაყალბებული და კონტრაბანდის სახით იმპორტირებული პროდუქტებისაგან, რათა წარმოდგენილი სტანდარტები გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი ჩაისა და ჩაის პროდუქტებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფაქიძე ბ. მეჩაიეობის განვითარება საქართველოში. თბ., 1956.

2. ადამია ვ. უხვი და მაღალხარისხიანი ქართული ჩაისთვის. თბ., 1989.

3. არახამია მ. ეს ჩაი ბუერისაა. "ფინანსები", 1997. № 12.

4. აპლაკოვი პ. მეჩაიეობაში სტრუქტურული გარდაქმნების შესახებ. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული. 2004. ტ. XXVII. გვ. 915-918.

5. აპლაკოვი პ. ზოგიერთი მოსაზრება მეჩაიეობის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით. "სოციალური ეკონომიკა". 2006. №1, გვ. 137-146.

6. აპლაკოვი პ. საქართველოში მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივები. . "სოციალური ეკონომიკა". 2006. №4, გვ. 131-141.

7. ბახტაძე ქ. ჩაის კულტურის ბიოლოგიური საფუძვლები. თბ., 1976.

8. ბახტაძე ქ. ჩაის პლანტაციის მაღალი ხარისხისათვის. ბათუმი. 1954.

9.ბურკაძე ვ. სოფლის მეურნეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. "ეკონომიკა". 1991. №7-8.

10. გიორგობიანი ო. კვების მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია. 1993. გვ. 246.

11. გოლეთიანი გ., გოლეთიანი დ., ჩაის პლანტაციის განოყიერება, გამომც. განათლება, 1984.

12. გოგოხია რ. აგრარული საკითხი და ერის ინტერესები. "ეკონომიკა", 1991. №2. გვ. 3-8.

13. დავითაშვილი მ., ჩაი ჩვენი ქართული. თბ., 1966.

14. დაღუნდარიძე ნინო. ჩაის კულტურის სათავეებთან საქართველოში. საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა". თბ., 2003. გვ. 128.

15. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. თბ., 1993, გვ. 144.

16. კაპანაძე შ., ჩაის უხვი მოსავლისათვის. თბ., 1961

17. კაკულია რ. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური ტრანსფორმაციის აქტუალური საკითხები. "საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში". ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., 1996, ტომი I.

18. კილასონია გ., ფერმერული მეურნეობები–სოფლის მეურნეობის აღმავლობის ძირითადი წყარო. აგრარული მეცნიერების პრობლემები. ტ. XXIII, თბ., 2003, გვ. 8-9.

19. კოპალიანი რ. ჩაის კულტურის რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლები საქართველოში. თბ., ზეკარი. 2004. გვ. 52.

20. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ., „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა". თბ., 2006. გვ. 227-239.

21. კოღუაშვილი პ., აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები. თბ., 1998

22. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. თბ., მეცნიერება. 1997. გვ. 139.

23. კუნჭულია თ. იმედაძე თ. საბაზრო ურთიერთობებისადმი მეჩაიეობის ადაპტირების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. თბ., 1999 , გვ. 55.

24. ლაზიშვილი ლ. კობახიძე მ. სიდიშვილი ნ.– ჩაის ფოთლის ტექნოლოგიის საკითხისათვის–ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის შრომები, ბათუმი, 2003, გვ 71-75.

25. ლაზიშვილი ლ., მახარობლიძე რ., "სამამულო მეჩაიეობის აღდგენა-განვითარების კონცეფცია" თბ., 2003. გვ. 35.

26. ლაზიშვილი ლ., სამამულო მეჩაიეობის აღორძინებას რეფორმების გატარებით მივაღწევთ. გაზეთი „აღორძინება" №40-41, 2001

27. ლაზიშვილი ლ., ჩაი და საბაზრო ეკონომიკა. გაზეთი „აჭარა", 1999.

28. მანველიძე რ., მეჩაიეობის აღორძინების მასშტაბური პროგრამა. გაზეთი „აჭარა", 1999.

29. მექვაბიშვილი ე. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თსუ. თბ., 1991, გვ. 120.

30. ნარჩემაშვილი ნ., აქვს თუ არა ქართულ ჩაის პერსპექტივა, ჟურნ. „აგროინფო", 2008, №4, გვ.19.

31. ონიანი ჯ., მინერალური სასუქების გავლენა ჩაის პლანტაციებში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბ., 1965.

32. ორაგველიძე ნ.ი. ჩაის ახალი სახის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. ქუთაისი. 2001.

33. პაპავა ვ. საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. თბ., 1991. გვ. 110.

34. პაპავა გ. ჩაის მრეწველობის აღორძინების პრობლემები "გზა სიღატაკიდან - სიმდიდრისაკენ!" თბ., 2003, გვ. 215-228.

35. როგავა გ., მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, აგრარული მეცნიერების პრობლემები. ტ. XIII, თბ., 2001, გვ. 170-174.

36. რა გზით შეიძლება საქართველოში მეჩაიეობის გადარჩენა და განვითარება, ჟურნ. „აგროინფო", 2008, №1, გვ.11.

37. სარჯველაძე გ., შავი ბაიხაო ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. თბ., 1969.

38. სარჯველაძე გ., დავიცვათ ქართული ჩაის ღირსება. გაზეთი „აჭარა", 1999.

39. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". თბ., 1996.

40. საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ". თბ., 1996.

41. საქართველოს კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ". თბ., 1996.

42. საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ". თბ., 1997.

43.სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015. მესამე პროექტი. 2006 წ. (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ფონდი).

44. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №877, "რესპუბლიკაში ჩაის, საკონდიტრო, საკონსერვო, ხორცისა და რძის ნაწარმის, ლუდის, მინერალური წყლების, უალკოჰოლო სასმელების წარმოებაზე სახელმწიფო ლიცენზირების წესის შესახებ" , 9 დეკემბერი, 1993წ.

45. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება №291, "1993-1994 წლებში გამომუშავებული ჩაის პროდუქციის რეალიზაციის ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ", 28 ივლისი, 1995წ.

46. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №192, "საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემისა და სხვა საწარმოების მიერ თურქმენეთისათვის მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებისა და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდის გადავადების შესახებ", 27 თებერვალი, 1996.

47. საქართველოს კანონი "დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" და "საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონებში დამატებებისა და ზოგიერთი დარგის საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე", №197, 19 აპრილი, 1996.

48. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, №177, “მეჩაიეობის დარგის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის ფინანსური დახმარების შესახებ“, 10 აპრილი, 1997.

49. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, №267, “თურქმენეთში 1994-1995 წლებში გაგზავნილი ჩაის პროდუქციის ღირებულების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის შესახებ“, 8 ივნისი, 1997.

50. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანება, №2-449, “მეჩაიეობის დარგის აღდგენისა და რეაბილიტაციისათვის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან 1998 წლისათვის სუბსიდიის სახით გამოყოფილი სამი მილიონი ლარის მაღალეფექტიანად გამომყენებელი ორგანიზაციის შესარჩევად ტენდერის გამოცხადების შესახებ“, 23 დეკემბერი, 1997.

51. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანება №2-57, “სახელმწიფო კომერციული გაერთიანება “საქჩაისუბტროპიკის“ სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ“, 30 ივნისი, 1998.

52. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, №266, “მეჩაიეობის დარგის აღდგენის და რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ“, 25 აპრილი, 1998.

53. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №2187-IIს, “მეჩაიეობის აღორძინების სახელმწიფო პროგრამის (2000-2003 წლების პერიოდისათვის) შესახებ“, 22 ივნისი, 1999.

54. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №265, “ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“, 6 აპრილი, 2001.

55. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №891, “ქართული ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“, 1 ივლისი, 2002.

56. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, №336, “მეჩაიეობაში საბაზრო გარემოს ფორმირების ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ“, 27 მარტი, 2003

57. “საქართველოს მეჩაიეობის მიმოხილვა“, “სერმა“, თბ., 2003. გვ. 28.

58. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა “ჩაი“, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2003. გვ. 20.

59. საღარეიშვილი ო. აგროსამრეწველო ინტეგრაცია და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბ., 1989, გვ. 120.

60. ფირცხალაიშვილი ს., ჩაის პლანტაციის ექსპლუატაციის მეცნიერული საფუძვლები, გამომც., „საბჭოთა საქართველო", თბ., 1976.

61. ფაჩულია ო. ჩაის მრეწველობის ახალი ამოცანები საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში. "ეკონომიკა". 2003. №7-8. გვ. 98-104.

62. ფაჩულია ო. საქართველოში ჩაის წარმოების პერსპექტივები. "სოციალური ეკონომიკა". 2003. №5. გვ. 170-173.

63. ქარჩავა გ., ჩაი, მისი წარმოება და მოხმარება. თბ., 1963. გვ. 238.

64. ქანთარია გ. მეჩაიეობა. თბ., 1952.

65. ქარქაშაძე ნ.ი. სსრ კავშირში ჩაის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1982.

66. ქეშელაშვილი ო. აგრარული სექტორი კრიზისიდან რომ გამოვიდეს. "ეკონომიკა". 1994. №4-5.

67. ქეშელაშვილი ო. ბიზნესის ორგანიზაცია. თბ., 1995, გვ. 292.

68. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., მერიდიანი, 1995. გვ. 196.

69. ჩხაიძე გ., მიქელაძე ა. მეჩაიეობა. გამომც. „განათლება", 1989.

70. ჩხაიძე გ., სუბტროპიკული კულტურები, ბათუმი, 1996.

71. ჩაის კულტურის აგროწესები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბ.,.1960.

72. ცანავა თ.რ., კოვალიოვი ვ.ი. ფერმერულ მეურნეობებში კონკურენტუნარიანი შავი ბაიხის ჩაის წარმოების საკითხისათვის. აგრარული მეცნიერების პრობლემები. 2002. ტ. XVI. გვ. 38-141.

73. ცირეკიძე ლ. სახელმწიფო რეგულირების საკითხები მეჩაიეობის აგროსამრეწველო ქვეკომპლექსის მართვის სისტემაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. 1998. ტ. 4. გვ. 288.

74. ძნელაძე დ., ძნელაძე ლ. ბიზნესი. 1999. ტ. I. გვ. 104.

75. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები. თბ., 1993. გვ. 224.

76. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკის რეგულირება. თბ., 1996. ნაწ. I.

77. ჯაბნიძე რ. ჩაი და ციტრუსები. 2004 წ.

78. ჯიბუტი ა. აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ინფრასტრუქტურა, პრობლემები, პერსპექტივები. "ეკონომისტი". 1991. №2. გვ. 30-36.

79. ჯუან ვან ფანი. ჩაის კულტურა. თბ., 1961.

80. Аграрная программа, состояние и тенденции развития агропромышленного производства, М., 1992. стр. 30

81. Абалкин Л. Радикальная реформа, от концепции - к практическим действиям. Ж. Вопросы экономики. 1990. . №1. стр. 14-19.

82. Алхазов Ю. Чай и чаеводство в Грузии. Тб. 1989.

83. Бахтадзе К. Е. Развитие культуры чая в СССР, Изд-во АН ГССРб 1961ю

84. Бураков Б. Проблемы состояния различных форм хозяйствования и собственности в АПК. Ж. Экономика С.Х. и перерабатывающих педпрятий. 1991. . №|10.

85. Виржиния Блейк-Вест. Глобальные персрективы готового к употреблению чая (RTD Thea). ж. Кофе и Чай в России, 2004, №1 (36), стр.13-15, №2 (37), стр. 10-12.

86. Василенко В.Н., Оверщук А.Л. Функционирование малых фермеров США. ЭСХИПП НН, 1991, ст. 47.

87. Грузинов В. Экономика предприятия и предпринимательство. М., 1994. стр. 502.

88. Гулуа К.П. Проблемы производства и улучшения качество чая. Пищевая промышленность. 1986. №2. стр. 45-47.

89. Добринин В.А. Экономическая эффективность С.Х.П. в условиях перехода к рыночным отношениям. М.С.Х.А. М., 1994.

90. Добринин В.А.-Сельские промышленные предприятия в економике сельского хозяйстваю. Москва. Изд-во МСХА.1996

91. Долан Э.Дж., Линдсей Д. Микроэкономика. СПБ. 1994. стр. 137.

92. Копалиани Р.Ш. Удобрение чайных плантации в процессе реабилитации. Журнал «Аграрная наука». Москва. 2003. |11. . стр. 17-20.

93. Копалиани Р.Ш. Чаеводство в Грузии. Журнал «Аграрная наука». Москва. 2003. №12. . стр. 8-10.

94. Культура чая в СССР. Дараселия М. К. Гвасалия В. Цанава В. Воронцов В. Тбилиси АН ГССР 1990.

95. Культура чая. До-Нгок-Куи. Ханой. 1984.

96. Макконнел К.Р., Брю С.Л. Экономикс. М. 1999. часть II. стр. 66.

97. Майсурадзе З.А. Технология гранулированного черного чая. Автореф. диссер. кандид. тех. наук. Сухуми. 1990. стр. 26.

98. Морозов Ю. Рыночная адаптация системы сельскохозяйственного кредита. Ж. Экономическая наука. 1996. №2. стр. 19-23.

99. Сеидишвили Н. Р., Кобахидзе М.А., Лазишвили Л.А.2004. Холодный зеленый чай витаминами Рис.Ж. Пиво и напитки.2004, М. Пищепромиздат.М. 2004

100. Тодуа Р.Ш. Кутателадзе Л.Ш. Харебава Л.Г. Дзнеладзе З.Ю. Комплексная технология производства байхового чая и жидких чайных концентратов. Бюлл. В.Н.И.И.Ч.П. 1984. №38. стр. 4.

101. Трейси М. Сельское хозяйство и продовольствие в экономике развитых стран. Санкт-Петербург. Эк. школа. 1995. стр. 431.

102. Хоперия Р.М. Технология производства чая. М. Агропромиздат. 1986. стр. 160.

103. Хоперия Р.М. Современная технология производства чая. Тбилиси. изд- „Сакартвело", 1992. стр. 116.

104. Хочолава И.А. Технология чая. М.Пищевая промышленность. 1997. стр. 303.

105. Хайне П. Экономический образ мышления. М.Наука. 1991. стр. 84.

106. Чачибадзе З.А. Технология чая из сырья поэтапного сбора. М.. 1990. стр. 65.

107. American Economic-United states in formation agency, 1992.

108. FAO. Vol. 38. 1992 Rome.

109. Harler G. R. Mechanikal harvesting of tea leaf, world crops, 1993. v. 25.

110. Harler C. K. Tea growing. London. 1986.

111. შარკარ შ. „. თეა ინ დარჯილინგ. თეა ანდ ა ბუდ. V. 23, 2. 1985

112.. International Tea Committee-Annual bulletin of statistics, L. 1996. P. 214.

113. Economic Analysis of agriculture politics, 1991, FAO, Roma, Italy. P. 61-83.

114. Paul A. Samuelson, William D. Nordhaus. Economics. McGraw-Hill, Inc. 1995.

115. Georgia and the WTO, MFA of Georjia, 2003, http://www.mfa.gov.ge/wto.htm

116. Gepa-Georgian Exsport Promotion Agency, 2002, 1-2.(www.gepa.org.)

117. What's WTO?, World Trade Organization, 2003, http://www.wto.org